

ქეთევან ბანი



ჯვანათი და  
ქართული იდენტობა

ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია

ისტორიის ინსტიტუტი

ქეთევან მანია

აფხაზეთი და ქართული  
იდენტობა

ბეჭდური მედიის  
რეპრეზენტაციით

თბილისი 2021

გამოკვლევაში „აფხაზეთი და ქართული იდენტობა“, განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომით – ეთნოსიმბოლისტური პარადიგმის ფარგლებში წარმოდგენილია აფხაზეთის რეპრეზენტაცია ქართული ბეჭდური მედიით („დროება“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „მოა-მზე“, „მწყემსი“, „კვალი“). ძირითად აქცენტები გაკეთებულია საზოგადოებრივ პერცეფციებზე, ღირებულებებზე, მახსოვრობებზე.

მაშრომში მრავალრიცხოვან მასალაზე დაკვირვებით განხილულია, თუ როგორ ეწეოდა ქართული ბეჭდური მედია აქტიურ პროპაგანდას ქართული/აფხაზური იდენტობის გადასარ-ჩენად, როგორ ახდენდა საერთო დარაზმულობას იდენტობის ტერიტორიის, ენის, სარწმუნოების დასაცავად თეორიული თუ კონკრეტული ხასიათის პუბლიკაციებით. აღნიშნული აქტივობებით ბეჭდური მედია ცდილობდა აფხაზეთს და დანარჩენ საქართველოს შორის ერთი-ანობის სენტიმენტების გაძლიერება-განმტკიცებას და მძლავრი ქართული ერთობის შექმნას.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

## **რედაქტორები:**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
**მარიამ ჩხარტიშვილი**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
**ოთარ ჟორდანიას**

## **რეცენზენტი:**

ისტორიის დოქტორი, პროფესორი **მერი გაბედავა**

წიგნი გამოცა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარ-დაჭერით „აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში (0605).

ISBN 978-9941-34-082-6

**Tskhum-Abkhazian Academy of Sciences  
Institute of History**

**Ketevan Mania**

**Apkhazeti and Georgian  
Identity  
through the print  
media representation**

**Tbilisi 2021**

## შინაარსი

შესავალი -----	6
თავი პირველი – ტერიტორიული იდენტობა	
აფხაზეთში -----	15
თავი მეორე – ლინგვისტური იდენტობა აფხაზეთში ----	70
თავი მესამე – რელიგიური იდენტობა აფხაზეთში -----	98
თავი მეოთხე – აფხაზეთი და ისტორიული მახსიერება ----	135
თავი მეხუთე – ეკონომიკური ერთობა აფხაზეთში -----	165
დასკვნა -----	182
ვრცელი ინგლისური რეზიუმე -----	194



აფხაზეთისა და სამურზაყანოს რუკა შედგენილი თ. სახოვიას მიერ.  
ცნობის ფურცელი. 1903. N177.  
საჯარო ბიბლიოთეკის ელექტრონული ვერსია

*ედვინება ჩემი ძმის (სიძის)  
მერაბ კუჭუხიძის ნათელ ხსოვნას!*

## შესავალი

XIX ს-ის მეორე ნახევარში დიდი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა ქართული იდენტობა. რუსულმა მმართველობამ თავისი იმპერიალისტური მიზნები მთელი სიმძაფრით გამოავლინა საქართველოს მიმართ, გადაშენებით ემუქრებოდა ქართულ იდენტობას, რუსულ მმართველობას უნდა დაქვემდებარებოდა ილია ჭავჭავაძისეული ტრიადა – *მამული, ენა, სარწმუნოება*.

რუსული კოლონიალიზმის პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართული იდენტობის გადარჩენა/შენარჩუნებისათვის ქართველ სამოციანელთა იდეოლოგიურ ბრძოლას ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. ქართველი სამოციანელები იდეოლოგიური ბრძოლის მთავარ იარაღად იყენებდნენ ბეჭდურ მედიას. საყოველთაოდ აღიარებული თვალსაზრისით, ბეჭდური მედია ხელს უწყობს კულტურული იდენტობის შექმნას და მკითხველთა საზოგადოების ჩამოყალიბებას. მედია ამძაფრებს ნაციონალურ გრძნობებს და ეროვნული იდეის გარშემო აყალიბებს ერთობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბეჭდური მედიის საშუალებით ქართულმა ინტელიგენციამ დაიწყო აქტიური მუშაობა ხალხში საკუთარი იდენტობის დასაცავად. ინტენსიურად აშუქებდა ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს, ქვეყნდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეების შესახებ ინფორმაციები, საგანგებო კორესპონდენციები, ისტორიულ-ეთნოგრაფიული განხილვები. ბეჭდური მედია ამ მასა-

ლებით საერთო სატკივარის გარშემო რაზმავდა მკითხველ ერთობას.

ნაციონალური დადგინების ეპოქაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა რეგიონალურ იდენტობებს. კუთხურობა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს რეალობაც იყო. კუთხური იდენტობის მიმართება ნაციონალურ იდენტობასთან მოითხოვდა განმარტებას. გარკვევას საჭიროებდა კითხვა, რამდენად შეედლოთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებთ ყოფილიყვნენ ქართული ნაციონალური ერთობის წევრები. ილია და მისი *ივერია* დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რეგიონალურ და ნაციონალურ იდენტობათა იერარქიულობის დაფიქსირებას და იმის ცხადყოფას, რომ ისინი ურთიერთს არ გამოირიცხავს, კერძოდ, *ივერიის* პუბლიკაციები აჩვენებდნენ, რომ “ხევსურობა”, “მეგრელობა”, “სვანობა” და ა.შ. არ ნიშნავს “ქართველობისაგან” განსხვავებულ თვითიდენტიფიკაციას, პირიქით, ამგვარი რეგიონალური იდენტობის მქონე ჯგუფის წევრობა სწორედაც რომ გულისხმობს ქართველობას ანუ ქართული ნაციონალური ერთობის წევრობას. აღნიშნული განმარტება ემსახურებოდა ჯგუფის შიდა ბარიერების ელიმინაციის ამოცანას და, შესაბამისად, ნაციონალიზმის ერთ-ერთი ფუნდამენტური იდეალის – ერთიანობის იდეალის – განხორციელებას (ჩხარტიშვილი, მანია 2011: 496).

წინამდებარე გამოკვლევაში ბეჭდურ მედიაში („დროება“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „მოამბე“, „მწყემსი“, „კვალი“) აფხაზეთისადმი მიძღვნილი მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი მასალების რეპრეზენტაციას წარმოვადგენ ქართული იდენტობის ისტორიის კვლევის კონტექსტში. ნაშრომში მასალას გავაანალიზებ ეთნოსიმბოლისტური პარადიგმის მიხედ-



ვით<sup>1</sup>. ძირითად აქცენტებს გავაკეთებ საზოგადოებრივ პერცეფციებზე, ღირებულებებზე, მახსოვრობებზე. ამ კუთხით კვლევის მცდელობა წარმოდგენილია ჩემს ადრინდელ პუბლიკაციებში (მანია 2015: 97-129; მანია 2018ა: 172-187; მანია 2018ბ: 291-297).

ქართული ბეჭდური მედიის მასალები აფხაზეთზე მოიცავს არსებითად ყველა რუბრიკას: მეთაური წერილი, ფელეტონი, ახალი ამბავი, კორესპონდენციები, უცხოეთი. ეს რუბრიკები ნათლად ასახავენ აფხაზეთში არსებულ სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ, პოლიტიკურ თუ რელიგიური თვალსაზრისით არსებულ ვითარებას.

წერილები, რომლებსაც განვიხილავ (მათი ნაწილი), მკვლევრებს არაერთგზის აქვთ გამოყენებული თავიანთი მიზნებისთვის. მათ შორის აღსანიშნავია ო. ჭურღულიას, ა. ძიძარას, ც. ჩხარტიშვილის, თ. ბიბილურის და სხვათა ნაშრომები. ქართულ-აფხაზეთური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის შესწავლის თვალსაზრისით საყურადღებოა ო. ჭურღულიას გამოკვლევები (ჭურღულია 1974, 1983). მკვლევარს წარმოდგენილი აქვს ქართველი საზოგადო მოღვაწეებისა და მწერლების – ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გრიგოლ ორბელიანის, იაკობ გოგებაშვილის, სერგეი მესხის, გიორგი წერეთლის წვლილი საზოგადოებრივი ცხოვრების, კულტურის,

---

<sup>1</sup> ეთნოსიმბოლიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია ინგლისელი მეცნიერი ე. სმითი. აღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომის თეორიული საფუძვლები ქართული სამეცნიერო წრეებისათვის ცნობილი გახდა მ. ჩხარტიშვილის (ჩხარტიშვილი 2004) და ლ. პატარიძის (პატარიძე 2008) თარგმანებით. ასევე მ. ჩხარტიშვილს ეკუთვნის ქართული იდენტობის ისტორიის ახლებური მეთოდოლოგიური მიდგომით კვლევის პირ-ველი მცდელობა.

განათლების განვითარებაში, ეროვნული უფლებების დაცვაში, ისტორიის, ეთნოლოგიის, ფოლკლორის შესწავლაში. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აფხაზეთში მოღვაწე ადგილობრივთა საქმიანობას ქართულ-აფხაზური ლიტერატურული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში. ბევრი მათგანის საქმიანობა მკვლევარს პირველად აქვს წარმოდგენილი. ვრცლად საუბრობს ქ. სოხუმზე, აფხაზეთის დაბეზზე – ოქუმი, ოჩამჩირე, გუდაუთა; სცენისმოყვარულთა მიერ გამართულ წარმოდგენებზე, მათ როლზე ხალხში განათლებისა და კულტურის შეტანის მხრივ. გამოკვლევაში სხვა მასალებთან ერთად წარმოდგენილია „ივერიის“ მონაცემების კვლევა ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის შესასწავლად. ამავე კუთხით გვთავაზობს მკვლევარი კონკრეტულად „ივერიის“ მონაცემების შესწავლას (ჭურღულია 2000: 25-36; ჭურღულია 2013: 15-20). თუმცა ორივე შემთხვევაში მასალების უმრავლესობა, რომლებიც მრავალმხრივ საინტერესო ინფორმაციებს შეიცავენ, ყურადღების მიღმა დარჩენილი. ივერიის მასალებს ასევე ნაწილობრივ აშუქებს თ. ბიბილური თავის ნაშრომში აფხაზეთის პრობლემები და ქართული პრესა (ბიბილური 2007: 146-169). თ. ბიბილური ქართული გაზეთების – „ივერიისა“ და „დროების“ მასალების განხილვის საფუძველზე ასკვნის „XIX საუკუნის მიწურულს, რუსეთის კოლონიალურმა რეჟიმმა აფხაზეთის მიმართ ტაქტიკა შეცვალა, რაც მუჰაჯირების რეპატრიაციის წახალისებაში, აფხაზების თანამდებობრივ დაწინაურებასა და სხვადასხვა თვალსაზრისით ქართველებთან დაპირისპირებაში გამოიხატებოდა. ზრუნვა დაიწყო აფხაზეთში რუსული ორიენტაციის ინტელიგენციის ჩამოყალიბებისათვის, აფხაზთა შორის ანტიქართული განწყობის დანერგვისათვის“.

პრესის („დროება“, „ივერია“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“, „მოამბე“, „სასოფლო გაზეთი“, „კავკაზი“, „ტიფლისკი ვესტნიკი“, „ობზორი“, „ნოვოე ობოზრენიე“, „ჩერნომორსკი ვესტნიკი“) მონაცემების ანალიზი აფხაზეთის ისტორიის შესასწავლად წარმოდგენილია ნ. ნაჭყებიას მონოგრაფიაშიც (ნაჭყებია 2006). წიგნი ერთგვარ კომპილაციურ ნაშრომს წარმოადგენს შედგენილს შემდეგი თემების შესასწავლად: სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მუჰაჯირობა, აფხაზეთის კოლონიზაცია, რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა აფხაზეთში, კულტურა და განათლება, აფხაზეთზე დაბეჭდილ მასალათა ჟანრული დახასიათება. მიუხედავად ფართო მიზნებისა, ყურადღების მიღმა დარჩენილი მრავალი მნიშვნელოვანი პუბლიკაცია, რომლებსაც მეტი სიმკვეთრის შეტანა შეუძლია თვით ავტორის მიერ დასმულ საკითხებში. ბეჭდური მედიის მასალები მრავლად აქვს გამოყენებული ი. კვაშილავას თავის მონოგრაფიულ ნაშრომში სამურზაყანოს ისტორიულ-ეთნოლოგიური შესწავლის მიზნით, სადაც მედიის მონაცემებთან ერთად, კვლევა წარმოდგენილია წერილობითი წყაროების, სამეცნიერო ლიტერატურის, საარქივო და ეთნოლოგიური მასალების ანალიზით (კვაშილავა 2017).

XIX ს-ის ქართველი ინტელიგენციის ღვაწლი კულტურული ურთიერთობის განმტკიცება-გაღრმავებაში წარმოჩენილია ა. ძიძარასა (ძიძარია 1962: 169-172) და ო. ჭურღულისას (ჭურღულია 1999: 218-240) წერილებში. აქვე, აღსანიშნავია, ო. ჭურღულისას „სახალხო განათლების საკითხები აფხაზეთში“, სადაც წარმოდგენილია ქართველთა და აფხაზთა დამსახურება სახალხო განათლების საქმეში (ჭურღულია 2003: 12-108. საინტერესოა, აგრეთვე, აფხაზეთის თეატრალურ ცხოვრების შესწავლისადმი მიძღვნილი ო. ჭურღულისას და ც. ჩხარტიშვილის

სტატიები (ჭურღულია 1971: 10-11; ჩხარტიშვილი 2010: 64-76).  
ო. ჭურღულია აფხაზეთში თეატრალური ცხოვრების დასაწყისად „დროების“ ინფორმაციაზე დაყრდნობით ასახელებს 1885 წელს.

აფხაზეთში რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესწავლას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა, რომელთა შორის აღსანიშნავია ჯ. გამახარიას (გამახარია 2005), ი. გელენავას (გელენავა 2011: 35-61), ნ. პაპუაშვილის (პაპუაშვილი 2005), ს. ვარდოსანიძის გამოკვლევები. პრესის მასალებზე დაყრდნობით რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა გაანალიზებულია ნ. ნაჭყებიასა (ნაჭყებია 2006) და ნ. გულუას (გულუა 2012) ნაშრომებში. კვლევებში წარმოდგენილია თუ როგორ უწევდნენ წინააღმდეგობას რუსეთის საეკლესიო პოლიტიკას „მწყემსნი კეთილნი“. შესწავლილ იქნა სასულიერო განათლების საკითხი XIX ს. II ნახევრის აფხაზეთში ი. ბასილაძე, თ. მაჭავარიანის მიერ (ბასილაძე, მაჭავარიანი 2012: 56-61). ცალკეული სასულიერო პირების მოღვაწეობას აფხაზეთში მიეძღვნა ჯ. გამახარიას მონოგრაფიული ნაშრომები: წმიდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) (გამახარია 2006ა), წმიდა მღვდელმოწამე კირიონ II (სამაგლიშვილი) (გამახარია 2006ბ), წმიდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) (გამახარია 2006გ), წმიდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) (გამახარია 2007). ამბროსი ხელაიას სასულიერო ღვაწლი და დამსახურება წარმოჩენილი აქვს, აგრეთვე, ს. ვარდოსანიძეს თავის ნაშრომში (ვარდოსანიძე 2009). მუჰაჯირობის შემდგომ პერიოდში აფხაზეთის პოლიტიკური ვითარების შესახებ ი. გოგებაშვილის შეხედულებებზე საუბრობს აგრეთვე, ბ. კვარაცხელია. იგი ცდილობს აფხაზი მკვლევრის ს. ლაკობას დაუსაბუთებელი შეხედულებების (თითქოს ი. გოგებაშვილი იყო

ერთ-ერთი პირველთაგანი ვინც წამოაყენა ქართველების მიერ აფხაზეთის კოლონიზაციის პროგრამა) უარყოფას ი. გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილების საფუძველზე (კვარაცხელია 2011: 12-28).

დასახლებული შრომების ჩამონათვალი, რა თქმა უნდა, არასრულია, რადგანაც ჩემს მიზანს არ წარმოადგენს ისტორიო-გრაფიული ხასიათის გამოკვლევის დაწერა. ამიტომაც თვალსაჩინოებისთვის მოვიხმე მათი გარკვეული ნაწილი, რომლებშიც ბეჭდური მედიის მასალები მეტნაკლებად არის გამოყენებული.

ნაშრომი შედგება შესავლის, 5 თავისა და დასკვნისაგან. ერთვის დამოწმებული ლიტერატურა და ვრცელი რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

**პირველი თავი** ეძღვნება ტერიტორიული იდენტობის ანალიზს. ვინაიდან იდენტობის უმნიშვნელოვანეს მარკერს ტერიტორიული მოცემულობა წარმოადგენს, კოლონიალიზმიც მთელი სიმძაფრით ქართული ტერიტორიების გახლეჩისაკენ იყო მიმართული. ამ მიზნით, რუსეთის მთავრობა ხელს უშლიდა რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად დაცარიელებულ აფხაზეთში ქართველების დამკვიდრებას. საგანგებო მსჯელობები მიეძღვნა შავი ზღვის ნაპირების (ყაზახებით, მალაორსებით, ბერძნებით, ესტებით, ბულგარელებით, მოლდაველებით, ოსმალეთიდან წამოსული სომხებით) დასახლების საკითხს, რომლებშიც თვალსაჩინოდ იკვეთება ეთნიკური სურათის მთლიანად შეცვლის მცდელობა.

**მეორე თავში** წარმოდგენილია ლინგვისტური იდენტობის კვლევა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ რუსეთის იმპერიამ საქართველოში შეუტია იდენტობის უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს – დედაენას. ამ მხრივ ისეთივე რთული ვითარება

შეიქმნა აფხაზეთში, როგორც დანარჩენ საქართველოში. მედია აქტიურ პროპაგანდას ეწევა სწავლა-განათლების ამაღლების მიზნით სამრევლო სკოლებისა და სამკითხველოების გახსნის და საგანმანათლებლო ცენტრებში დედაენაზე სწავლების აუცილებლობის მიმართულებით.

**მესამე თავში** იდენტობისათვის რელიგიური მახასიათებლის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, გაანალიზებულია რელიგიური მდგომარეობა აფხაზეთში. მართალია ამ დროისათვის ქრისტიანობას როგორც რელიგიას, საფრთხე არ ემუქრებოდა პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით (რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის გამარჯვების გამო) უცხო იდენტობის მხრიდან, მაგრამ დიდი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა რელიგიური იდენტობა. რუსეთი აქტიურად ეწეოდა რელიგიური მეხსიერების წაშლას. აღნიშნულიდან გამომდინარე ამ თავში წარმოჩენილია თუ რა ღონისძიებას მიმართავდა რელიგიური იდენტობის შენარჩუნების მიზნით ქართული ინტელიგენცია ბეჭდური მედიის საშუალებით. ნაჩვენებია თუ როგორ აღძრავდა მკითხველ საზოგადოებაში სენტიმენტებს რელიგიური იდენტობის გადასარჩენად.

**მეოთხე თავში** შევხებით იდენტობის ისტორიული მახსოვრობის თემას. როგორც ზემოთ აღვნიშნე, დენაციონალიზაციის მძაფრი ფორმებით გამოკვეთილი იმპერიული მმართველობა კულტურულ საყრდენს აცლიდა ქართულ იდენტობას. რუსული მმართველობის სიმძიმე საქართველოს მდიდარ ისტორიულ წარსულსაც დააწვა. ამიტომაც აქ განვიხილავ ქართულ ბეჭდურ მედიაში სამოქალაქო ცნობიერების ასამაღლებლად გაშლილ მუშაობას ისტორიული მახსოვრობის გააქტიუ-

რების მიზნით. აქვე წარმოდგენილია ქალის როლი და ფუნქცია როგორც ოჯახში, ასევე, საზოგადოებაში.

**მეხუთე თავში** – ეკონომიკური ერთობა. ვინაიდან ქართული ერთობის შექმნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მყარი ეკონომიკური ერთობის შექმნას და სოციალური თუ ეკონომიკური საკითხების გადაჭრა მნიშვნელოვანია ეროვნული საკითხების გადაწყვეტის გზაზე. ამიტომაც, XIX ს. მეორე ნახევარში, რუსიფიკატორული პოლიტიკის ბატონობის ხანაში, ბეჭდურ მედია ყურადღებას ამახვილებს ქვეყნის ეკონომიკურ გაძლიერებასა და მისი გაუმჯობესების გზებზე.

*აქვე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო წიგნის რედაქტორებს – პროფ. მ. ჩხარტიშვილს და პროფ. ო. ჟორდანიას, რეცენზენტს პროფ. მ. გაბედავას წიგნზე მუშაობისას პროფესიული რჩევებისათვის. მადლობა ქალბატონ თამარიკო ყურაშვილს ნაშრომის ვრცელი რეზიუმეს ინგლისური თარგმანისთვის.*

*აგრეთვე, დიდი მადლობა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს – მინისტრს, ქალბატონ ეკა ხოფერიას და აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამის კოორდინატორს ბატონ ბესიკ ოდიშარიას „აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოცემის დაფინანსებისათვის.*

**თავი პირველი.**

## **ტერიტორიული იდენტობა აფხაზეთში**

XIX საუკუნეში რუსეთ-თურქეთის ომებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული იდენტობის ისტორიაში. საქართველო ორი უდიდესი იმპერიის – ოსმალეთისა და რუსეთის საცილო ტერიტორიას წარმოადგენდა. ამიტომაც ომში პირდაპირ იყო ჩართული და თავგანწირვით იბრძოდნენ ქართველი მეომრები. ომის შედეგად საქართველოს შემოუერთდა ისტორიული ტერიტორია – სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი<sup>2</sup>. ბრძოლები მიმდინარეობდა ჩრდილო-დასავლეთით – აფხაზეთის ტერიტორიაზეც. აღნიშნულიდან გამომდინარე, მედიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგების გაშუქებას.

---

<sup>2</sup> ეს საკითხი განხილული გვაქვს მ. ჩხარტიშვილთან თანაავტორობით გამოქვეყნებულ ნაშრომში (ჩხარტიშვილი, მანია 2013-2014: 109-117), სადაც აღვნიშნავდით, რომ ამ ფაქტმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ქართველი ერის კონცეპტუალიზაციაში. უპირველესი კორექტივი შეეხო რელიგიას. თუ წინა პერიოდში ქართველობა ასოცირდებოდა მართლმადიდებლობასთან, ამ დროისათვის შეინიშნება დამოკიდებულების ცვლილება. ე.წ. „ოსმალის საქართველოს“ და „რუსეთის საქართველოს“ პოლიტიკური გაერთიანების შემდგომ, ქართული ინტელიგენციის წინაშე დაისვა კულტურული ჰომოგენურობის საკითხი. ვინაიდან ეთნიკურ ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ იყო მართლმადიდებელი ქრისტიანი, სხვა რელიგიაზე – ისლამზე – იყო მოქცეული, ამიტომაც წამოიწია წინ საერთო ისტორიამ, როგორც იდენტობრივმა მარკერმა. ქართველმა ნაციონალისტებმა დაიწყეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის რეპრეზენტაცია განუყოფლად საქართველოს დანარჩენი ნაწილების ისტორიისაგან.



„დროების“ კორესპონდენცია „ხალხის არეულობა აზნა-ზეთში“ აღწერს რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის წინ აფხაზეთში არსებულ ვითარებას. ეს სტატია, როგორც სქოლიო იუწყება, დაბეჭდილი ყოფილა რუსულ გაზეთ „გოლოსში“ მაჭავარიანისგან (რედაქტორი აფხაზეთის ბლალოჩინად მიიჩნევს). სტატია ძვირფას ცნობებს შეიცავდა აფხაზეთში ოსმალების შემოსვლასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. ამიტომაც აქტუალობიდან გამომდინარე, რედაქცია შემოკლებული ვარიანტით აქვეყნებს მას ქართულ ენაზე ქართველი მკითხველისთვის. ცნობილია, რომ ოსმალების გავლენის ქვეშ იყო აფხაზეთი. მაჰმადიანი აფხაზები ცხოვრობდნენ სოხუმში და სოხუმის გარშემო სოფლებში, რომლებმაც სრული თანაგრძნობა გამოუცხადეს ოსმალებს. ოსმალები აქ მოდიოდნენ ტრაპიზონიდან და ბათუმიდან სავაჭროდ. გარდა ვაჭრობისა, ისინი მაჰმადიანობის აქტიურ პროპაგანდას ეწეოდნენ – ავრცელებდნენ და მოლობის უფლებას აძლევდნენ მამაკაცებთან ერთად ქალებსაც, ურჩევდნენ მათ რომ მეჩეთის ასაშენებლად უფლება მოეპოვებინათ, ქადაგებდნენ ოსმალეთის იმპერიის ძლიერებას. ამგვარი ხერხებით ცდილობდნენ აფხაზებისთვის რუსულ მმართველობაზე გული აეცრუათ. ამდენად, ინტენსიური მუშაობა იყო გაჩაღებული აფხაზეთის ოსმალთაგანისათვის. 1876 წელს აფხაზეთში გამოჩენილან საეჭვო პირები, რომლებიც მოუწოდებდნენ აფხაზებს ომი თუ დაიწყებოდა ოსმალების მხარე დაეჭირათ:

მცირე ნაწილმა აფხაზებმა, მეტათ სოხუმის გარეშე მცხოვრებლებმა გამოუცხადეს ოსმალეთს სრული თანაგრძნობა... მომეტებულს ნაწილს აფხაზებს კი სრულებით არ სურდა ომიანობა

და ფიქრობდნენ, რომ ოსმალების გამოჩენა აბხაზეთში დალუპავს მთელს აბხაზეთსაო („დროება“ 1878, №152).

გაზეთები თვალ-ყურს ადევნებდნენ ომის მიმდინარეობას. 1877 წლის „დროება“ იტყობინება, რომ ოსმალთა ჯარებმა სოხუმი აიღეს და გადასწვეს, აფხაზები კი ოსმალთა ჯარის სამსახურში ჩადგნენ და რუსების წინააღმდეგ იბრძვიანო („დროება“ 1877. №54). აქვე მკითხველს აწვდის ინფორმაციას ომიანობის შესახებ რუსულ გაზეთებში გამოქვეყნებულ ცნობებზე, რომლის მიხედვითაც ოსმალეთის ხელისუფლებას ბრძანება გაუცია ყურადღება მიექცია კავკასიაში დასახლებულ მაჰმადიანების აჯანყებისთვის. სოხუმის ალების გეგმა წინასწარ ჰქონია შემუშავებული ოსმალეთის პორტას. სანამ ოსმალები სოხუმში გადმოვიდოდნენ, წინასწარ გამოუგზავნიათ ხუთი ჩერქეზი, რომლებიც ბათუმიდან სოხუმს ხუთი ხომალდით და ჰასან ფაშას ჯარით მიაღწენ. მათ სოხუმში თავიანთი მომხრეებისთვის დაურიგებიათ იარაღი. რამდენიმე დღეში ამ ხუთ კაცს სოხუმის მაზრაში 3000 აჯანყებული ჩეჩენი მოუგროვებიათ. ამის შემდეგ ჰასან ფაშას გადმოუყვანია რამდენიმე ასი კაცი ოსმალო, ჩეჩენი, ქურთი, ლაზი. ამ ძალებით აუღიათ ოსმალებს სოხუმი. თუმცა რუსის ჯარსაც სათანადო წინააღმდეგობა გაუწევია და ჰასან ფაშას დამატებითი იარაღი გაუგზავნია აჯანყებულთათვის („დროება“ 1877. №54).

კორესპონდენციები იძლევა რუსეთისა და ოსმალეთის მომხრეთა შესახებ საინტერესო ინფორმაციებს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, სოხუმსა და სოხუმის გარშემო მომხრეებიც ჰყოლია ოსმალებს, მაგრამ დიდი უმრავლესობა ომიანობის წინააღმდე-

გი ყოფილა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ომიანობა დალუპავდა აფხაზეთს. ოსმალთა ზეგავლენით ბევრი გამაჰმადიანებულია ამ მხარეში, მათ შორის სახელდება ჰუსეინ ომერიპა ლაკერბაი, რომელსაც ხალხის ნდობა და პატივისცემა ჰქონია მოპოვებული. იგი ისევ ქრისტიანობაზე მოქცეულა, რუსეთის მომხრე გამხდარა და მისი შემწეობით გავრცელებულა აფხაზეთში ქრისტიანობა. აფხაზეთის მომავალზე გულშემატკივარი ლაკერბაი წამოსულა ლიხნაში, მოუნახავს ქრისტიანი მღვდლები: დავით ახვლედიანი, ივანე გეგია და ბესარიონი<sup>3</sup>:

– გული მიკვდება, სთქვა ლაკერბაიმ, რო ვხედამ აფხაზეთი ილუპება. ის საუკუნოთ დაილუპება, თუ მაზრის უფროსმა არ გამოითხოვა სოხუმიდან რაც შეიძლება მომეტებული ჯარი. აფხაზები მზათ არიან დამალონ თავიანთი სახლობა მთებში, რუსებს შეუერთდნენ და ეომონ მტერს; მაგრამ თუ მაზრის უფროსი დაგვტოვებს უყურადღებოთ, მაშინ ძალდატანებული ვიქნებით დავემორჩილოთ და შევუერთდეთ ოსმალებს („დროება“ 1878. №154).

ამ ეპიზოდით ნათელია, რომ ორ დამპყრობელს შორის აფხაზების გარკვეული ნაწილი არჩევანს რუსებზე აკეთებს და ოსმალების გაბატონებას აფხაზეთის დალუპვად აღიქვამენ.

ზემოთ აღნიშნულ თავყრილობაზე საუბარია ოსმალთა მომხრე აფხაზების მოქმედებებზე, რომლის შესახებაც ინფორმაციას იგებენ შახან ზვამბაისგან. მისი ცნობით, ოსმალთა მომხრე აფხაზები ფაშას შეატყობინებენ რუსეთის მომხრე აფხაზე-

---

<sup>3</sup> ეს არის მოძღვარი დეკანოზი ვასილ (ბერობაში ბესარიონ) მიქაბერიძე - ხაზი ჩემია ქ. მ. („ცნობის ფურცელი“ 1903. №2356).

ბის განწყობას, რომ აფხაზების უმრავლესობა რუსეთს უჭერს მხარს. ასეთ შემთხვევაში თავისი მომხრეები ფაშას ურჩევენ:

აბხაზებთან მოლაპარაკება და შემწეობის თხოვნა ძალიან ძნელია, რადგან მომეტებულ ნაწილს რუსების მხარე უჭირავთ და მცირე ნაწილს ემინიან ყაზახებისა, რომელნიც ეხლა იმყოფებიან ლიხნაში. ფაშა მოიგებს საქმეს, თუ ეხლავ უბრძანა, რომ გუადაუტს დაუწყონ სროლა. მაზრის უფროსი მიატოვებს გუდაუტს; ამ დროს უზბეკ მარღანია თავისი ამხანაგებით გამოუდგეს უფროსს და დახოცონ ყველანი („დროება“ 1878. №154).

ეს ინფორმაცია აფხაზეთის ბედზე გულშემატკივარმა შეკრებილებმა შეატყობინეს მაზრის უფროსს, რათა ადრინდელივით აფხაზებისთვის არ დაებრალეზინათ რუსი მოხელის მოკვლა. ამ დროს ს. ლიხნის მოედანზე დაეცა ოსმალების ხომალდიდან ნასროლი ყუმბარა და მაზრის უფროსი სასწრაფოდ გაარიდეს ლიხნიდან. ასეთ ვითარებაში გამოჩნდება ოსმალების მომხრე უზბეკ მარღანიაც, რომელიც ჰუსეინს მიმართავს „აბხაზეთი ჩვენი იყო და გვინდა ადრინდელივით ჩვენი გახდესო“.

საინტერესოა უზბეკის წინაპრების პოზიციაც, რომელიც წარმოდგენილია კორესპონდენციაში. უზბეკის პაპა, აზნაური კაცია მარღანია განთქმული ყოფილა ოსმალებით. აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე ცდილობდა მისი გავლენის შემცირებას აფხაზებსა და ჩერქეზებზე.

იმ დროს მომეტებულ ნაწილ აბხაზის თავადებს ჩვეულებათ ჰქონდათ გაეგზავნათ თავიანთი ერთი შვილი სამეგრელოში, რომ იქ ქრისტიანობა მიეღოთ და ესწავლათ ქართული ენა („დროება“ 1878. №155).

კაცის გაუგზავნია ერთი შვილი ტიტო (დავით) მარღანია სამეგრელოში, რომელსაც მეგრელი ქალი შეურთავს და დაბრუნებულა. ბოლო დროს მილიციის შტაბ-კაპიტნის ჩინი მიუღია. მეორე შვილის შვილი ყოფილა უზბეკი. იგი პაპის მსგავსად, ოსმალების მომხრე გამხდარა. ამ ფაქტითაც ნათელია, რომ პოლიტიკური ორიენტაციით ოჯახის გათიშულ წევრებს აფხაზეთის გადარჩენის საკითხი ამოდრავებთ, რის შედეგადაც მდინარის სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ.

ოსმალები და ოსმალთა ბატონობის მომხრე აფხაზები მოუწოდებდნენ მოსახლეობას რუსული მმართველობის წინააღმდეგ გამოსულიყვნენ და აფხაზებს, მიუხედავად უარისა, თოფ-იარაღი დაურიგეს რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად. ყამლატ და უზბეკ მარღანიები ასე მიმართავდნენ ხალხს:

ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ჩვენ მუდამ მოგვდიოდა აქედამ ამბავი, რომ რუსებისგან შეწუხებული იყავით, ჩვენც დიდებულს ხონთქარს ვევედრებოდით, რომ მოგვშველებოდა, ინგლისის მინისტრებსაც მოვახსენეთ ეს ამბავი და ახლა მოვსულვართ ჩვენი საზოგადო ქვეყნის დასახსნელად. ამის გამო ვისაც გინდათ წამოდით ხომალდზე და მიიღეთ თოფ-იარაღი რუსებთან საბრძოლველად („დროება“ 1878. №156).

უმეტესობა უარს განაცხადებს რუსების წინააღმდეგ გამოსვლაზე.

აქვე, ჩემი ყურადღება მიიქცია ომის დაწყებამდე რუსეთის ხელისუფლების ქმედებებმა. ომიანობის მოლოდინში გუდაუთის მხარე სრულად გახიზნულა სამურზაყანოში:

18 აპრილს გუდაუთის პორტის, ერთად ერთის პორტისა ბზიბ და სუხუმ შუა, ყაზახები დაიბარეს სუხუმს. ამ გვარის განკარგულების გამო მთელი ის მხარე ისე დარჩა, რომ ერთი ჯარის

კაციც აღარ მოიპოვებოდა იქ იმ დროს, დარჩა უმფარველოდ, ღვთის და ბოროტ კაცთა ანაზარად...“ („მოამბე“ 1895 №9: 62).

რამდენიმე წლით ადრე რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზების განიარაღება<sup>4</sup> მოახდინა და „ხალხი უიარაღო, უუფროსო, როგორც ფარა ცხვრისა უმწყემსო, დარჩა ისე, ღვთის ანაზარა“. ისეთი ვითარება იყო შექმნილი, რომ

ზემო აფხაზეთის მცხოვრებნი დარწმუნებულნი იყვნენ, მთავრობა ჩვენს სამშობლოს უთუოდ ხონთქარს უთმობს და არა უნდა ჩვენი დაფარვაო, რომ ეს ესე არ იყოსო, ჰფიქრობდნენ აფხაზები, უთუოდ ჯარს მოგვაშველებდნენ და ჩვენს მხარეს გაამაგრებდნენო. მხოლოდ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ დესანტს, რომელიც 400 კაცზედ მეტი არ იყო, ქედი მოუდრიკა ამოდენა ხალხმა და დაემორჩილა... („მოამბე“ 1895 №9: 64).

განიარაღებით აფხაზებს წაართვეს თავიანთი თავის და სამშობლოს დაცვის შესაძლებლობა. ამგვარად, 400 ჯარისკაცმა სამარცხვინოდ და უსისხლოდ დაიკავა, ააოხრა ზემო აფხაზეთი და გადწვა სოხუმი. აქედან ახალ ათონს მიადგნენ და ისიც გადაწვეს. მაშინ, როდესაც სოხუმში 4 ათასი ჯარისკაცი იდგა, რომელიც სრულიად საკმარისი იყო ვაჟკაცურად დახვედროდა მტერს გუდაუთსა და სოხუმში.

კორესპონდენციის ავტორი აბუ-კინო ამგვარი მიზეზებით ხსნის აფხაზების ოსმალთა მხარეს გადასვლის ფაქტს, რაც გახდა მაჰმადიანი აფხაზების მოღალატედ შერაცხვის მიზეზი.

---

<sup>4</sup> „დროების“ ინფორმაციით 1966 წელს აფხაზეთში არეულობის ჩაქრობის შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ მოსახლეობისგან მოითხოვა იარაღის ჩაბარება. კოდორს გაღმა მცხოვრებ მოსახლეობას ჩაუბარებია იარაღი („დროება“ 1966. №32).

ამ დროს ოსმალები აქტიურ მოქმედებაზე იყვნენ გადასული, გუდაუთის აფხაზებსაც ძალით მიაჩერეს თოფ-იარაღი და 1 მაისს სოხუმისაკენ გამოემართნენ. ოსმალოს ფაშაც თავისი ჯავშნიანი ხომალდებით ზღვით გამოემართა სოხუმისაკენ. ოსმალები რომ დარწმუნდნენ რუსის ჯარი არ იყო სოხუმში, გადმოვიდნენ ხომალდებიდან და ცეცხლი წაუკიდეს ქალაქს. დესანტი მთლიანად მუჰაჯირებისაგან შედგებოდა („დროება“ 1878. №156).

სოხუმის სახლები სულ ერთიანად დაანგრეს და მოსწვეს. მაგრამ უკაცრავად „სულ ერთიანად“ არა, რაღაც განგებისა, თუ ადამიანის წყალობით გადარჩენილა მხოლოდ ერთი ლამაზი სახლი, რომელზედაც თურმე ეწერა: „სოხუმის საქალაქო სკოლა“.

ასევე სასწაულებრივად გადარჩენილა აღნიშნული ომის დროს, სოხუმში განათლების გამავრცელებელი მეორე კერა საქალაქო სასწავლებელი („ივერია“ 1881. №11).

ოსმალებს ბრძოლის წინა ხაზზე აფხაზები დაუყენებიათ. გაზეთის ცნობით, თავდადებული ბრძოლით გამოირჩეულან სოხუმის ახლო-მახლო მცხოვრები გამაჰმადიანებული აფხაზები. 15 ივნისს გენერალ ალხაზოვის ჯარი ამარცხებს ოსმალებს. იმედაკარგულმა აფხაზებმა მიატოვეს ფაშა და მთებს შეაფარეს თავი. ამასთან შეიტყვეს, რომ ორივე მხარის ინფორმატორი ხიროპს მარშანია გაიძვერობის გამო შეიპყრეს რუსებმა.

15 ივლისს ფაშას ბრძანებით ყამლატ მარლანიამ აფხაზებს განუცხადა ოსმალებით გადასახლების შესახებ. ოსმალებმა გადაწყვიტეს თუ აფხაზეთი არ დარჩებოდათ, აფხაზები თან წაეყვანათ და ბრძოლებში ცხენოსან ჯარად გამოეყენებინათ. აფხაზები გადასახლების წინააღმდეგი იყვნენ, თუმცა მაჰმადი-

ანი აფხაზები მალე დათანხმდნენ, ქრისტიანი აფხაზები კი ზოგი მოფერებით, ზოგი მოტყუებით, ზოგი ძალით დაითანხმეს („დროება“ 1878. №156).

XIX ს. II ნახევარში ოსმალეთში აფხაზების გადასახლება ორჯერ მოხდა: პირველი 1863-64 წლებში, როდესაც მთელი დაღის ხეობა წებელდიდან სვანეთის საზღვრამდე სულ დაიცალა და მეორედ რუსეთ-თურქეთის ომის დროს („ცნობის ფურცელი“ 1902. №1846). „დროების“ ინფორმაციით 30 ათასი აფხაზი გადასახლებულა ოსმალეთში („დროება“ 1878. №158). „აფხაზეთში აფხაზები ბევრი-ბევრი ხუთი ათასამდინ თუ იქნება დარჩენილი“ – აღნიშნავს 1878 წლის „დროება“ („დროება“ 1878. №100).

აი, როგორ აღწერს გადასახლებლად მომზადებული აფხაზების ემოციებს:

საცოდაობა იყო ხომალდზე გადაყვანილი აფხაზების ნახვა, რომელნიც ოსმალეთში მიჰყავდათ. ისინი ცხარე ცრემლით სტიროდნენ, ხელებს იშვერდნენ ზღვის ნაპირებისკენ და ამნაირად ეთხოვებოდნენ თავის სამშობლო ქვეყანას... („დროება“ 1878. №157).

ამასთან აფხაზების მეთაური ჰუსეინ ლაკერბაი, იერომონახი ბესარიონი და მღვდელი დავით ახვლედიანი შეიპყრეს ოსმალებმა და გამოუცხადეს, რომ ღალატისთვის სიკვდილით დასჯას უპირებდნენ, თუმცა თანამომხმეების მონდომებით ისინი სიკვდილს გადაურჩნენ.

ოსმალთა ხომალდზე, რომელიც აფხაზეთის სანაპიროებს მოადგა მრავლად იყვნენ ჩერქეზები და აფხაზები, რომლებმაც



1864-1865 წლებში მიატოვეს თავიანთი ქვეყანა. აფხაზი მუჰაჯირების ყოფნას ოსმალთა ხომალდზე ასე ხსნის გაზეთი:

ახლა ესენი იმიტომ მოვიდნენ აფხაზეთში, რომ ჰსურდათ ისევ ამ თავის სამშობლოს ქვეყანაში დასახლებულიყვნენ. იმედი ჰქონდათ, რომ ოსმალები დაამარცხებდნენ რუსებს და ამ ნაირად დარჩებოდათ განთავისუფლებული თავის საყვარელი სამშობლო. რამდენი მაგალითი მომხდარა, რომ ოსმალეთში გადასახლებულ აფხაზებსა და ჩერქეზებს ვეღარ გაუძლიათ თავის ქვეყნის მოშორება, მიუტოვებიათ ცოლ-შვილი, მოსულან სოხუმში და უთხოვნიათ ჩვენი მთავრობისთვის, რომ ხელახლად დასახლების ნება მოგვეცითო...

ამისთანა ძლიერი სიყვარული აქვთ იმათ თავის სამშობლო მთებისა და მიწა-წყლისა!.. („დროება“ 1878. №157).

ამონარიდით თვალსაჩინოდ იკვეთება აფხაზთა მიჯაჭვულობა მათი ისტორიული მიწა-წყლისადმი, რომელიც წინაპრების, წმინდანების, გმირების მეხსიერების უნიკალურ საცავს წარმოადგენდა და, რომლის მითვისებაც ცდილობდა „უცხო/სხვა“ იდენტობა რუსეთის თუ ოსმალეთის სახით.

არაერთი კორესპონდენცია აღწერს მუჰაჯირობის გულმტკივნეულ პროცესს. „დროების“ კორესპონდენცია აღნიშნავს, რომ „წებელდელები, დალელები და გუფუელები წავიდნენ. აბჟუვის მაზრიდამაც მრავალი წავიდა. ჭილოუელებიც და ჯგერდელები გამორეკეს თავიანთი ბინიდან; მათ საშინელი გულით არ უნდათ წასვლა. სოხუმში წავიდნენ შესახვეწნათ...“ („დროება“ 1867. №23). 60-იან წლებში მუჰაჯირობას გაზეთის ინფორმაციით, გადაურჩა ბზიფის მაზრა მაზრის უფროსის დიმიტრი ჭავჭავაძის წყალობით, რომელიც მოსახლეობას უბ-

სნიდა, რომ „რუსეთის მმართველობის ხელქვეით ყოფნა სჯობდა ოსმალეთის მართველობის ხელქვეით ყოფნას“ („დროება“ 1867. №23).

შემდგომ პერიოდშიც გრძელდება მუჰაჯირობის პროცესი. აფხაზეთში გაუსაძლისი პირობები შეექმნათ დარჩენილებს, ჩამოართვეს მამულები და მხოლოდ იჯარით სარგებლობის უფლებას აძლევდნენ, ისიც ხშირ შემთხვევაში არა საკუთარ, არამედ სხვის მამულში. კორესპონდენტი ფსევდონიმით აბუკინო ვრცლად აღწერს შექმნილ ვითარებას, რომელსაც სამურზაყანოელი მურზაყანის პირით გადმოგვცემს. ბოლოს ასეთ რჩევას აძლევს ღალატის ბრალდებით მამულჩამორთმეულ, იმედგადაწურულ მეგობარს, რომელსაც გადაუწყვეტია ოსმალეთში გადასახლება:

მოლაღატე და იუდა არის თავისის სამშობლოსი ყოველი ჩვენგანი, რომელსაც, თუნდაც ერთი მტკაველი მიწა ჰქონდეს, თავისის ნებით დასტოვებს იმას და მირზის სხვა ქვეყანაში! ჩვენი, ჩვენის შვილებისა და შვილი შვილების ძვლები ჩვენთ წინაპართა ძვლებთან ერთად მიბარებულ და მათთან ერთად მისვენებულ უნდა იქმნას... მერწმუნე, ის ადამიანი, რომელიც თავისის ნებით თავს დაანებებს სამშობლოს, ტომს, ენას, რჯულს – ფეხს ვერსად მოიკიდებს, – არც თავისის ახალის სამშობლოს ფასი ეცოდინება და იმასაც ისე ადვილად დასტოვებს, უღალატებს, როგორც თავისი ძველი სამშობლო დასტოვა! შენ შენი თუ ვერ შეითვისე, ვერ შეინახე, ჩემსას როგორ შეითვისებ და გაუფრთხილდები?! („მოამბე“ 1895 №9: 79).

ეპიზოდში ხაზგასმულია იდენტობის შენარჩუნებისათვის ეროვნული მახასიათებლების მნიშვნელობა. მითითებულია, რომ თუ ადამიანი ეროვნულ ელფერს დაკარგავს და არ

გაუფრთხილდება საკუთარ სამშობლოს, ვერც სხვა/ახალი „სამშობლოს“ ერთგულებას შეძლებს.

აბუ-კინო აქვე ახსენებს თანამომძეს ილია ჭავჭავაძის ლექსს:

ჩემი მამულისათვის  
მე ჩემს ძუძუს გაწოვებ,  
მისის სიკეთისათვის  
გაგწირავ და გაბრძოლებ...  
მას დედის ძუძუ ტკბილი  
შხამადაც შერგებია,  
მამულისათვის სიკვდილი  
ვისაც დაჰზარებია...

ამგვარი მსჯელობით ცდილობს აფხაზებში აღძრას მამულისადმი მძაფრი გრძნობები, რათა არ გადაიხვეწონ და არ გადაშენდეს საქართველოს ეს ნაწილი:

ოდესმე სახელოვანი და ძლიერი ერი გაჰქრება, აღიგვება დედამიწის ზურგიდან!... გადასახლებაა მიზეზი, რომ ისინი, რომელთაც ათას წლობით უცხოვრიათ კავკასიაში და მტრისგან თავი დაუცავთ, – დღეს აღარ არიან, გაჰქრნენ, ვითარცა კვამლი ჰაერში, ჩაყლაპულ იქმნენ იმ ხალხისაგან, რომელთაც იგინი შეეხიზნენ, შეეკედლნენ, აი სწორედ ისე, როგორც ამ შენს საყვარელს ღალიზგას ზღვა ჰყლაპავს („მოამბე“ 1895 №9: 79-80).

ეს ვრცელი ამონარიდები იმისთვის მოვიხმე, რომ მეჩვენებინა თუ როგორ ცდილობდნენ როგორც ოსმალების, ასევე რუსების მომხრე აფხაზები თავიანთი ვინაობისა და სამშობლოს გადარჩენას. აფხაზებმა გამოიყენეს ერთი დამპყრობლის მეორე დამპყრობლით დამარცხების საუკუნეებამოცდილი ხერხი. ამონარიდებით დასტურდება, რომ ორივე მხარე ორიენტაციის არჩევანით ცდილობს თვითობის შენარჩუნებას. აქ კიდევ ერთი

საკითხი იკვეთება – რამდენად მტკივნეულია არჩევანის შედეგები. ამაზე ქვემოთ შესაბამის თავში გვექნება საუბარი.

გაზეთი აფხაზების მიერ მამულის მიტოვების მიზეზზეც ამახვილებს ყურადღებას:

გაიმარჯვა რუსეთმა, მაგრამ სოხუმი დანაცრდა, ხოლო უმეტესი ნაწილი აფხაზეთისა ოსმალთ ჯარს გაჰყვა; იცოდნენ, რომ მოლაღატეს სიკეთე არ დაეყრებოდა („ივერია“ 1889. №263).

ომის შედეგებს აფხაზეთისათვის ეხება „ცნობის ფურცელი“ აფხაზების ოსმალეთში გადასახლების ერთ-ერთ მიზეზად ოსმალეთთან ერთმორწმუნეობას ასახელებს:

იყო დრო, როცა აფხაზეთისათვის მართლა შეგვეძლო აფხაზეთი გვეწოდა, რადგანაც ეს კუთხე კავკასიისა ქალაქ სოჩიდან (აფ. შვაჩა) დამოკიდებული მდინარე ოხურეიამდის და აქა-იქ სამურზაყანოშიაც აფხაზებით იყო დასახლებული, და ეს უცხოდ უხვ ბუნებისგან შემკული შავი ზღვის პირი ეკუთვნოდა აფხაზთა და შეადგენდა საქართველოს საერისთავოს. დღეს კი ეს მხარე მარტოოდენ სახელითაა „აფხაზეთი“ და არა მცხოვრებლებით: ვის არ გადაეყრებით აქა? რა მილეთის ხალხსა? როგორც მკითხველსაც მოეხსენება, უმეტესი ნაწილი აფხაზებისა, ამ ხალხონობის „ნამდვილი მარილი“, სხვა-და-სხვა მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო იძულებულ იქმნა ერთმორწმუნე სათათრეთში გადასახლებულიყო მესამოცე წლებში, – მე ვამბობ დალ-წებელდებულების შესახებ. უკანასკნელ რუს-ოსმალთ კამპანიის დროს ამათ ზედ დაერთო ის აფხაზნიც, რომელნიც სახლობდნენ ზღვის პირად მდინარე ააცსა და თოუმუშ შუა, და აგრეთვე ბევრი აფხაზნიც დასავლეთ აფხაზეთიდან („ცნობის ფურცელი“ 1902. №1727).

ამ უნებლიე გადასახლებით დაცარიელებულა შუაგული აფხაზეთი მდინარე ააციდან კოდორამდე და გავერანებულია.

სათათრეთიდან უკან დაბრუნებულთ აქ დასახლების ნება არ მისცეს და გაანაწილეს დასავლეთ და აღმოსავლეთ აფხაზეთში, და აფხაზთა სისხლით მორწყულსა და მათი ძვლებით გაპოხირებულს მხარეს მოაწყდა სხვა-და-სხვა რჯულის და ენის ხალხი: ბერძენი, ბოლგარი, სომეხი, ესტები, მოლდავანი და აქა-იქ მეგრელებიც. შუა გული აფხაზეთისა ამ კოლონისტებმა დაიჭირეს, რითაც დღევანდელი აფხაზები გაიყო ორ ნაწილად: დასავლეთისა – მდინარე ააცსა და გაგრას შუა და აღმოსავლეთისა – მდ. კოდორსა და ოხურეის შუა. დასავლეთის ნაწილს უწოდებენ „ბზიფს“ (გუდაუთის ნაწილი), აღმოსავლეთისას – „აბჟუა“-ს (კოდორის ნაწილი) („ცნობის ფურცელი“ 1902. №1727).

აქ ისევ ხაზგასმია იმისა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იდენტობისათვის წინაპრების სისხლით მორწყულ და მათი ძვლებით გაპოხირებულ მიწას.

ოსმალეთში იძულებით („ივერიის“ ინფორმაციით დაახლოებით 20 ათასი სული. მათ შორის, სამოცი სახლი აფხაზეთში მოსახლე მეგრელი ყოფილა) გადასახლებულები გაუსადლის მდგომარეობაში ჩავარდნილან, ხონთქარმა არ შეუსრულა დაპირებები. დახმარების მოლოდინში დღიური ლუკმა შემოაკლდათ და სასოწარკვეთილნი ომის დამთავრებას ელოდებოდნენ უკან დაბრუნების იმედით („ივერია“ 1877. №28).

თუმცა, აფხაზების უმეტესობას, როგორც გაზეთებიდან ვიტყობთ, არ ეღირსა სამშობლოში დაბრუნება და საერთოდ, გადაშენების საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ:

უმეტესი ნაწილი გადასახლებულ აფხაზებისა სათათრეთში გაწყდა, ცოტა-ოდენი უკან დაბრუნდა, დანარჩენი თათრებმა აქეთ-იქით გაჰვანტეს, რის გამოც დღეს თუ არა ხვალ თავის ეროვნულ ელფერს დაჰკარგავენ და თათართა მიერ შთაინთქებიან!... („ცნობის ფურცელი“ 1902. №1727).

„ივერია“ მიუთითებს, რომ დაცარიელებულ აფხაზეთში, კერძოდ, გუდაუთის ნაწილში ანატოლიიდან მოსული 200-მდე სომეხი დასახლებულა. მცირე აზიაში გადასახლებული აფხაზეთის მცხოვრებნი ახალ საცხოვრებელში არსებული ურთულესი მდგომარეობის გამო ისევ უკან დაბრუნებულან. დაბრუნებულებს თავიანთი მამულ-დედული სხვის მიერ დაკავებული დახვდათ, რის გამოც ჩხუბი მოსვლიათ აფხაზებსა და სომხებს („ივერია“ 1888 №58, 1891 №33).

ოსმალეთიდან მობრუნებული აფხაზების შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაძლევს „ცნობის ფურცელი“:

წინანდელი აფხაზები მოკლებულ იყვნენ უფლებას ქალაქ სოხუმის მახლობლად დასახლებულიყვნენ, როგორც არასაიმედო ელემენტები. აბჟუვაში (აღმოსავლეთ აფხაზეთში) შეეძლოთ ყოფნა მხოლოდ მდინარე კოდორის გამოღმა; ხოლო ბზიფში (დასავლეთ აფხაზეთში მდინარე აც-წყლის იქით გაგრამდე. მიზეზი ასეთის სასჯელისა ის გახლდათ, რომ რუს-ოსმალის უკანასკნელ ომის დროს აფხაზთ ოსმალთა მომხრეობა დაბრალდათ („ცნობის ფურცელი“ 1903. №2309).

როდესაც აფხაზეთს ოსმალები დაეპატრონენ, ისინი იძულებულები გახდნენ დამორჩილებოდნენ მათ, ვინაიდან

ბრძოლის ატეხა ჩვენის გაწყვეტით გათავდებოდა. და ამიტომ ისევ მათს მხარეს გადასვლა ვარჩიეთო. ოსმალთ ოსმალეთში წაგვასხეს, მაგრამ იქ მწარე დღე დაგვადგა, ნახევრად გავწყდით და აქ რომ დავბრუნდით – მოღალატეებად მოვინათლენითო... („ცნობის ფურცელი“ 1903. №2309).

ასეთივე ვითარებაში აღმოჩნდნენ აძვიბჟის საზოგადოების სოფლები – აძვიბჟა და ათარა, რომლებიც მდინარე კოდო-

რის მარცხენა ნაპირზეა ზღვის პირას. მათ რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, როგორც „დამნაშავე-მოალაატე“ ელემენტს აეკრძალა შუაგულ აფხაზეთში – გუმისტის ნაწილში დასახლება. მცხოვრებთა უმეტესობა ოსმალეთში გადაიხვეწა, ვინც დარჩა ან ოსმალეთიდან ვინც მობრუნდა, ისინი აფხაზეთის დასავლეთ ნაწილში – ბზიფში და აღმოსავლეთ ნაწილში – აბჟუაში დაარიგეს. მათი მამულები კი თავად-აზნაურობას დაურიგეს:

ამეიბჟელების სისხლითა და ოფლით გაპოხიერებული მამულები იმისთანა თავადებსაც მიეზომათ, რომელთაც მანამდის არც კი იცოდნენ ქვეყნიერებაზედ ამ სოფლის არსებობა („ცნობის ფურცელი“ 1905. №2826).

სოხუმის მცხოვრებლებს მოთხოვნა წაუყენებიათ ნამესტნიკისთვის, რომ

ამ ოლქში მცხოვრები აფხაზები აღარ მოიხსენონ მეტად საძრახის და დაუმსახურებელ სახელით: „დამნაშავენი“, როგორც ამ ჟამად სჩადიან ადმინისტრაციის მოხელენი მიწერ-მოწერის და მათთან საუბრის დროს.

ამ ოლქის მცხოვრებთაც მიენიჭოთ ის უფლებანი, რაც სამურზაყანოს ოლქის მცხოვრებთა აქვთ; ოლქის უმიწა-წყლო მკვიდრთ ეხლავ დაურიგდეთ მიწები... („ცნობის ფურცელი“ 1905. №2954).

ოსმალეთიდან სამშობლოში მობრუნებულ აფხაზებს ღალატის ბრალდებით აეკრძალათ საკუთარ მამულებში („კვალის“ ცნობით, მდ. კოდორსა და აბსთას შუა, სოხუმის გარშემო ადგილებზე) დასახლება („კვალი“ 1897. №12: 252). მათი ბედი სანდოობის თვალსაზრისით გადაუწყვეტია ხელისუფლებას:

მთელი სამურზაყანო და მხოლოდ ორი საზოგადოება (ილორისა და ფოქვეშისა) – კოდორის ნაწილისა ითვლებიან სახელმწიფოს ერთგულებათ უკანასკნელ რუს-ოსმალთა ომიანობის შემდეგ, დანარჩენი აფხაზეთი დამნაშავეთ ცნობილია. „ისტორიულ სიმართლეს რომ მივდევდეთ, ამ პოლიტიკურ დაუდგრომლობაში, ბრალი მართო აფხაზებს არ ედებაო“, სამართლიანად აღნიშნავს ბ. რიბინსკი („კვალი“ 1897. №11).

ამ ნიშნით მიუნიჭებიათ მამულებზე საკუთრების უფლება სამურზაყანოს და ხსენებული ორ საზოგადოებისათვის. მობრუნებულთა ბედზე მსჯელობისას თავის კორესპონდენციაში პ. ჭარაია საუბრობს ამგვარი გადაწყვეტილების არამართებულობაზე, რომელსაც მისივე მითითებით, თვით რუსი მოხელე რიბინსკი აღნიშნავდა:

ასეთი განკარგულება მთავრობამ იმ განზრახვით მოახდინა, რომ სოხუმის ახლოს სახელმწიფოსთვინ უფრო საიმედონი დაესახლებინა და, როგორც ამბობს რიბინსკი, აფხაზეთში გავრცელებული ქურდობა რომ იმდენად მავნებელი და მაზარალებელი არ ყოფილიყო კოლონისტებისათვის რომლებიც ჯერ კიდევ მუჰაჯირობის შემდეგ აფხაზეთის გათავისუფლებულ ადგილებზე ნელ-ნელა იკიდებდა ფეხს („კვალი“ 1897. №12: 252).

მუჰაჯირები რუსი მოხელეების სასტიკ დევნასაც განიცდიდნენ. სოხუმის სამხედრო მაზრის უფროსი პოლკოვნიკი არაკინი „თოფითა და ზარბაზნით უხვდება ყველა აზხაზებსა და ჩერქეზებს, რომელნიც კი იმის მაზრაში შავზღვის ნაპირზე ფეხის გამოდგმას გაბედავს“ („დროება“ 1881. №223).

თუმცა, დაბრუნებული აფხაზების ნაწილს მაინც მოუხერხებია „ივერიის“ მონაცემებით მდ. კოდორის მარცხენა ნაპირზე გაშენებულ სოფ. აძვიბჟუა ანუ შვაწყალში დასახლება:



მცხოვრებლების უმეტესობას შეადგენენ „მოხაჯირნი“ (მოჰაჯირნი), ესე იგი სათათრეთში უკანასკნელ ომიანობის დროს წასულნი, ანუ ძალად წაყვანილნი და მერე უკან დაბრუნებულნი („ივერია“ 1897. №200).

ომის შედეგად დაცარიელებული აფხაზეთის დასახლების საკითხის განხილვას არაერთხელ ვხვდებით მედიის ფურცლებზე. ამ მდიდარ მხარეში დასახლების უამრავი მსურველი გამოჩნდა. მსურველთ შორის აღსანიშნავია, საგანგებო ამხანაგობის შექმნა რუსეთში აფხაზეთის მიწების შესაძენად ვერესჩაგინის, ტარასოვის და ოლსუფიევის შემადგენლობით, რომლებსაც კავკასიის ნამესტნიკისთვის კავკასიაში ბზიფს, მძიმთასა და სოჭს შუა 100 000 დესეტინა მიწის შეძენის სურვილი განუცხადებიათ. ამასთან კომპანია გზების გაყვანის, მეურნეობის და ქარხნების გამართვის პირობას იძლეოდა („დროება“ 1870. №8).

დაცარიელებული და გაუდაბურებული აფხაზეთის ათვისების საკითხი რუსეთის მთავრობის დღის წესრიგში დადგა. მოსკოვში შედგა სამეურნეო საზოგადოება შავი ზღვის ნაპირებზე ადგილების შესაძენად და რუსების დასასახლებლად ამ მხარეში. აღნიშნული ადგილების შესასწავლად საგანგებოდ იგზავნება ვერესჩაგინი, რომელიც იმ რწმუნებით წასულა აქედან, რომ შესაძლებელი იყო რუსეთიდან შავი ზღვის ნაპირებზე ხალხის გადმოსახლება („დროება“ 1879. №34). მოგვიანებით თავად ვერესჩაგინს მამული სოხუმის მახლობლად, ს. ემერაში შეუძენია („ცნობის ფურცელი“ 1897. №356).

კორესპონდენციებში საუბარია დასახლების პოლიტიკურ ასპექტებზე:

მთელი ქვეყნის ცხოვრება იმდენათ დაიდრა ამ ჟამათ, რომ აღმოსავლეთის და დასავლეთის ერები დღითი-დღე უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს და ამ მდგომარეობაში ისინი თანდათან უფრო სცნობენ ჩვენი კავკასიის ქვეყნის საჭიროებას, რადგან ეს მიწის-ყელი ერთი-ორათ უფრო უმოკლებს გზას იმათს ალებ-მიცემობას და პოლიტიკურს დამოკიდებულებას ერთმანეთში. ამიტომაც რუსეთი ცდილობს რომ დღეს გავერანებული ჩვენი მხარის ადგილები მიიზომოს, კასპიის ზღვისა და შავის ზღვის მხრით რო არიან („დროება“ 1879. №36).

მოსკოვის სამეურნეო საზოგადოების ერთ-ერთ წარმომადგენელს ბარონ ნიკოლაის თავის ანგარიშში პირდაპირ აქვს მითითებული, რომ

ერთი დიდი სახელმწიფო განზრახვა თვალიდან არ უნდა გამოგვეპარვოდ: *ისა, რომ ამ ზღვის პირათ ისეთი ხალხი უნდა მოგვეპატუჯა, რომ ომიანობის და პოლიტიკური მიხლა-მოხლის დროს საიმედო ყოფილიყო და ხელმწიფობის ერთგული* (კურსივი „ივერიის“ ნარკვევის<sup>5</sup> ავტორისეულია) („დროება“ 1879. № 36).

ამ ანგარიშში ნათლად იკვეთება ტერიტორიული თუ ეკონომიკური ნიშნით გამოხატული იმპერიალისტური მიზნები.

კავკასიაში შავი ზღვის ნაპირებზე, საცა ამდენი რუსის სისხლი დაღვრილა და ამდენი რუსის ფული ჩაღუპულაო, უნდა ფლობდეს მხოლოდ რუსის ეკლესია, რუსული ენა და რუსულათ სწავლებაო („დროება“ 1879. №36).

---

<sup>5</sup> ნარკვევის ავტორად მიჩნეულია ილია ჭავჭავაძე (იხ. ქგაბ 1965: 231).

– განუცხადებია სამეურნეო საზოგადოების კრებაზე პეტერბურგში ბატალისტ რუს მხატვარს ვერესჩაგინს, რომელსაც არაერთხელ დაუთვალაიერებია ეს მხარე.

ე.ი. ვერესჩაგინის განცხადებით უნდა მომხდარიყო აფხაზეთის დენაციონალიზაცია.

ცხადია, ეს მხარე უნდა გამხდარიყო დასაყრდენი რუსეთის ხელისუფლებისათვის. სწორედ, ამ მიზნით განუზრახავს ამ მხარის ათვისება რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებიდან ჩამოსახლებულებით. ამგვარად, აფხაზეთის საუკეთესო მიწები სხვადასხვა სამოხელეო თანამდებობის პირების (ვოლკოვების, ვედენსკის<sup>6</sup>, კომენდანტ კოლუბიაკინის ქვრივის და სხვების) ხელში აღმოჩნდა და გაედინებოდა აურაცხელი სიმდიდრე ჩვენი ქვეყნიდან, მაშინ როდესაც ჩვენებური გლეხი შიმშილით კვდებოდა („ივერია“ 1881. №11, 1889 №263).

„დროების“ ინფორმაციით, აფხაზეთში ყველა მსურველს გადაეცემოდა მიწები. მრავლად გამოჩნდნენ აფხაზეთის მიწაწყალზე დამკვიდრების მსურველები. აფხაზეთს მოაწყდა ბერძენი, რუსი, ბულგარი, ნემეცი, მეგრელი, იმერელი სომეხი და სხვა. რუსეთიდან მომსვლელ გემებს სოხუმში მრავლად ჩამოჰყავდა უცხო ქვეყნის ხალხი. მაგრამ აქაურ ჰავას მხოლოდ ბერძენმა და იმერელ-მეგრელმა გაუძლო. დანარჩენი მოსულეები ადგილობრივი ციებ-ცხელების მსხვერპლი გახდნენ („დროება“ 1883. №212; „დროება“ 1884. №235).

---

<sup>6</sup> „დროების“ ინფორმაციით ბ. ვედენსკი 1884 წლამდე მუშაობდა ამ მხარეში მამულების დამრიგებელი კომისიის თავმჯდომარედ („დროება“ 1884. №81). 1885 წელს კი სოხუმის ოლქის უფროსად არის დანიშნული („მომამბე“ 1896. №12).

1886 წელს მთავრობის განკარგულებით საგანგებო კომისია შემდგარა მ. გერსევანოვის თავმჯდომარეობით შავი ზღვის ნაპირების დასახლების საკითხის შესასწავლად. 13 ნოემბერს „რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის დამხმარებელი საზოგადოება“ მართავს დასახლების საკითხისადმი მიძღვნილ საგანგებო კრებას, სადაც გერსევანოვი განაცხადებს შავი ზღვის ნაპირების დონის ყაზახებით დასახლების აუცილებლობას („ივერია“ 1886. №256). ამ მიზნის განსახორციელებლად სახელმწიფოს უნდა შეესყიდა აქაური შეუმუშავებელი მიწები. გარდა ამისა, მიუღიათ გადაწყვეტილება ქერჩსა და ბათუმს შუა გემების ხშირი მოძრაობისთვის შეეწყობოთ ხელი ვაჭრობის განვითარების მიზნით („ივერია“ 1887. №109).

როგორც „ივერია“ იტყობინება, 1886 წელს შავი ზღვის სანაპიროების დასახლების შესახებ გამოცემული დებულებით, განისაზღვრა ადმინისტრაციული მოწყობის გეგმა. ვიდრე ხალხი გადაწყვეტილების ფორმალური გამოცხადების მოლოდინში იყო, შავი ზღვის ოლქის და სოხუმის განყოფილების საუკეთესო ადგილები კავკასიის სამოხელეო თანამდებობის პირებს დაურიგდათ. ზოგიერთი ნაწილი ამ მიწისაკი ადგილობრივი ადმინისტრაციის შემწეობით სომხებმა, ბერძნებმა და ოსმალებმა ჩაიგდეს ხელში, ხოლო დარჩენილი ერთი ნაწილის უსასყიდლოდ დარიგება გადაუწყვეტიათ „სასოფლო და სამოქალაქო წესდების“ ძალით. მაგრამ ეს დასარიგებელი მიწები ისეთ ცუდს ადგილას ყოფილა, რომ დასახლების მსურველები უარს განაცხადებენ იქ ცხოვრებაზე („ივერია“ 1895. №83).

1889 წელს კი მთავრობა გამოსცემს კანონს შავი ზღვის პირას მდებარე თავისუფალ ადგილებზე რუსების დასახლების შესახებ.

დაიწყო მედგარი და შეუპოვარი ეროვნული დევნა, დევნა უმაგალითო და საზიზღარი. ჯამბაზ რედაქტორ პალმის<sup>7</sup> გაზეთმა უფრო შორსა და ღრმად შესტოპა და ყოველდღე უჩურჩულეზდა მთავრობას: ნოვოროსიისკიდან ბათუმამდე და ზღვის პირიდან 25 ვერსის მანძილზე ერთი „ტუზემცი“<sup>8</sup> არ უნდა გავაჭაჭანოთო („ივერია“ 1905. №121).

აღნიშნული ინფორმაციების მიწოდების პარალელურად მედიაში ხაზგასმულია, დასახლების საკითხის გადაწყვეტისას შავი ზღვის ნაპირების ისეთი ხალხით დასახლების გათვალისწინება, რომლებიც აქაური ჰავის და ბუნების ქვეყანაში ცხოვრობენ (მაგალითად, მეგრელები და იმერლები), ვინაიდან უცხოელი ვერ ეგუებოდა აქაურ ჰავას ზაფხულობით ციების გავრცელების გამო („ივერია“ 1887 №50). არაერთი მაგალითია დასახელებული მედიაში შავი ზღვის ნაპირებზე დასახლებული უცხოელების ამოა შრომის და ზარალის შესახებ იმის დასტურად, რომ უცხოელები აქაურობას ვერ ეწყობიან („ივერია“ 1887, №99), მათ შორის ბულგარელები და ესტონელები („ივერია“ 1901. №91). მეორე მიზეზი იმისა, რომ რუსები და კერძოდ, სლავიანები რატომაც ვერ ეგუებიან აქ ცხოვრებას არის ის, რომ ამ ადგილებში არ მოდის პური, უპუროდ კი მათ ცხოვრება არ შეუძლიათ („დროება“ 1878. №24).

---

<sup>7</sup> გრიგორ პალმი – რუსულენოვანი გაზეთის „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რედაქტორი. გაზეთი გამოდიოდა ბათუმში 1894-1907 წწ. (რპზს 1941: 51). გაზეთი ანტიქართულ ხასიათს ატარებდა.

<sup>8</sup> „ტუზემცი“ – ადგილობრივი („ივერია“ 1905. №218). რუსი იმპერიალისტები „ტუზემცებად“ მოიხსენიებდნენ რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეების მკვიდრ მოსახლეობას.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, აფხაზეთში მიწები გადაეცათ ერთგულ მოხელეებს. მაგრამ სამსახურის სანაცვლოდ ჯილდოდ ბოძებულ მამულებს რუსმა მოხელეებმა ვერ მოუარეს და ზოგმა გაყიდა, ზოგმა მიატოვა და გაზეთების ინფორმაციით გავერანდა, გაუდაბურდა. ამგვარ მოხელეებს განეკუთვნებოდა მიხეილ კატკოვი, რომლისთვისც გადაუციათ ბიჭვინთის მახლობლად მამული. კატკოვს, რომელიც მუდამ ქადაგებდა თავის გაზეთში „კავკასიაში მაგრად უნდა ჩავდგათ რუსებმა ფეხიო, ღრმა ფესვები უნდა გავიდგათო და რომელიც ასე ხშირად სჩივის, რომ რუსეთის ხაზინას კავკასიაზე ბევრი ეხარჯება და სარგებლობა კი იქიდან ჩვენ არა გვაქვს რაო“, გადაუწყვეტია მთავრობის მიერ ბიჭვინთის მახლობლად მიცემული მამულის გაყიდვა:

შავი ზღვის ნაპირა ალაგები ისევ კავკასიის ხალხებმა უნდა დასახლონ და შეიმუშავონ; სხვა ტომისა და სხვა ქვეყნის ხალხის აქ მოთავსებას თვით ბუნება ეწინააღმდეგება... („დროება“ 1876. №74).

– ასკენის გაზეთი.

როგორც გაზეთებიდან ჩანს, აქაურობას ყველაზე უკეთ რაჭიდან, სამეგრელოდან და იმერეთიდან გადმოსახლებულები შეეთვისნენ („ივერია“ 1887. №114). XX ს. დასაწყისში კვლავაც აქტუალური იყო აფხაზეთის კოლონიზაციის საკითხი.

ქართველობამ ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს, რათა საგსებით შეინარჩუნოს თავისი მიწა-წყალი, და არამც თუ შეინარჩუნოს, დაიბრუნოს ის ნაწილები ჩვენის ქვეყნისა, რომელიც მათ ხელიდგან გამოაცალა დროთა უკუღმართმა ტრიალმა („ივერია“ 1902. №95).

– აღნიშნავს ი. გოგებაშვილი და კვლავაც აგრძელებს ამ საკითხზე წერილების გამოქვეყნებას. წერილი „უსამართლო ბრალდება“ თვალსაჩინო დასტურია იმისა თუ როგორ იღწვოდა იგი ტერიტორიის შენარჩუნებისთვის, როგორ ცდილობდა დაეცვა თავისი ერის უფლებანი დაცარიელებულ აფხაზეთში. აქვე საუბარია იმაზე თუ როგორ დაარწმუნა საგაზეთო დებატებით ვედენსკი და სტაროსელსკი (მეფისნაცვლის კანცელარიის მაღალჩინოსანი) აფხაზეთის დასახლების შესახებ მისეული შეხედულების მართებულობაში – საუკეთესო კონტიგენტად მეგრელების, იმერლების და გურულების მიჩნევის თაობაზე. მაგრამ რუსიფიკატორული პოლიტიკის აქტივისტ კატკოვს განგაში აუტეხავს მედიით, წალმა წარმართული საქმე უკუღმა შემოუბრუნებია და მოუთხოვია დაცარიელებულ ადგილებზე გლეხების რუსეთის შიდა გუბერიათაგან გადმოსახლება („ივერია“ 1902. №108). ეპიზოდით თვალსაჩინოა მედიის განსაკუთრებული როლი.

რუსეთის მთავრობის მიერ შავი ზღვის ნაპირების ასათვისებლად წარმართული საქმიანობის პარალელურად, ასპარეზზე გამოჩნდა ავანტურისტი აშინოვი. წარმოშობით პენზელი ავანტურისტი აშინოვი<sup>9</sup>, ვაჭრის ოჯახიდან იყო გამოსული, რომელსაც პირადი გამორჩენის მიზნით, რუსეთის მთავრობისთვის თხოვნით მიუმართავს, რათა მას და მის ამხანაგებს, რომლებიც პატარა აზიიდან გადმოსახლდებიან რუსეთის დასაცველად, შავი ზღვის ნაპირებზე დასახლების ნება დართონ („ივერია“ 1887. №95). იგი სხვადასხვა ხრიკებით (საქართველოს გარუსების აქტიური მხარდამჭერების – კატკო-

---

<sup>9</sup> აშინოვის წარმომავლობისა და საქმიანობის გადმოცემისას „ივერია“ ეყრდნობა რუსულ გაზეთ „Неделя“-ში გამოქვეყნებულ წერილს.

ვის, აქსაკოვის, „Нов. вѣ.“ კორესპონდენტ მოლჩანოვის, კავკასიის მცოდნე ბოროზდინის და სხვათა დახმარებით) ახერხებს მოიპოვოს მთავრობისაგან აფხაზეთში კაზაკების ჩასახლების უფლება. ამინოვმა საამისოდ მთავრობისაგან თანხებიც მიიღო. მართალია, ყაზახების დასახლების უფლებას ითხოვდა, მაგრამ სინამდვილეში დაიყოლია ღარიბი ოჯახები იმ იმედით, რომ მთავრობა აუცილებლად დააფინანსებდა მათ. ამგვარად გააზრიყვა მალოროსთა 117 ოჯახი, რომლებიც, მართლაც, დასახლდნენ სოხუმის მაზრაში. მთავრობისაგან მიღებული დახმარება თვითონ ჩაიგდო ხელში და გადმოსახლებულები ცარიელტარიელი დატოვა, რომელთა ნაწილი დაიხოცა, ხოლო უმრავლესობამ მალე მიატოვა აფხაზეთი („ივერია“ 1889. №43).

მომდევნო ნომერში ილია ჭავჭავაძე მეთაურ წერილს უძღვნის ამინოვის საქმიანობის ანალიზს, რათა ხალხისთვის უფრო თვალსაჩინო გახდეს მისი კერძო აზრები და რუსეთის მთავრობის მიზნები შავი ზღვის ნაპირების დასახლების საკითხთან დაკავშირებით. ამინოვი მთავრობას არწმუნებდა:

რაც უფრო ადრე ავეჭინთ ბინასა და სახლ-კარს ამ „თავისუფალ ყაზახებს“<sup>10</sup>, რომელთა ვინაობა მარტო ამინოვმა იცოდა, უკეთესი იქნება. ჩვენი ეროვნული პოლიტიკაც ამასა თხოვლობს. ეს თავისუფალი ყაზახები მრავალგვარს სამსახურს გაუწევენ ჩვენს პოლიტიკასაო: ერთი ისა, რომ შავი ზღვის ნაპირებზე რუსის ტომის ხალხი ერთგულად და მხნედ დაიცავს კავკასიას, თუ ვინიციობაა მტერმა კავკასიაში ფეხი რომ შემოდგას. თავის სამსახურს ეს უგზო-უკვლოდ განზნეულნი ყაზახნი იმითი დააგვირგვინებენ, რომ რუსულს კულტურას დაამკვიდრებენ

---

<sup>10</sup>საუბარია მისივე შეთხზულ, კავკასიაში და ოსმალეთისა და სპარსეთის საზღვარზე მცხოვრებ ორასი ათასამდე „თავისუფალ ყაზახზე“, რუსზე.



კავკასიაში. ამას გაიძახოდნენ კავკასიის ვითომდა მცოდნე და მოკეთე ბოროზდინები და შავროვები... („ივერია“ 1889. №45).

„ივერიაში“ გადაღმელის (ანთიმოზ ჯულელი)<sup>11</sup> ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილი „აფხაზეთი“ ისევ დასახლების საკითხს შეეხება. ავტორი გულისტკივილით მიუთითებს, რომ მეგრელებს (შარშან ე.ი. 1893 წელს – ქ.მ.) გამოცემული განკარგულებით არ აქვთ სოხუმის ოლქში დასახლების უფლება. ამის მიზეზად სახელდებოდა მეგრელებში გავრცელებული ქურდობა („ივერია“ 1894. №31). სინამდვილეში რუსეთს თავისი კოლონიური მიზნები ჰქონდა ამ საკითხთან დაკავშირებით და აქ სხვა ხალხის, უცხო იდენტობის დასახლებას აპირებდა.

მართალია, ქართველებს აქეთ დასახლებას უშლიდნენ, მაგრამ ქუთაისის გუბერნიაში – სენაკის, ლეჩხუმის, რაჭის, ქუთაისის და შორაპნის მაზრებში ზოგი უმამულობის, ხოლო ზოგი მიწის უნაყოფობის გამო, აქეთკენ მოიწევდნენ. მიუხედავად აკრძალვისა (უკვე მეოთხე წელიაო – იუწყება 1895 წ. მე-12 ნომერი – რაც ჩვენი ხალხის გადმოსახლება შეჩერებულა ადგილობრივი საგუბერნიო ადმინისტრაციის განკარგულებით), ქართველებმა სხვა ხერხს მიმართეს ზოგი იჯარით იღებდა, ზოგი თუ შეძლება ჰქონდა საკუთრებად ყიდულობდა.

ძალიან ეძნელება ჩვენს ხალხს თავისი სოფლის მოშორება, მაგრამ ის იმედი, რომ წელიწადში ერთხელ მაინც შეუძლიან მონახულოს თავისი მამა-პაპათა სასაფლაო და თავისს სალოცავს შეევედროს, დიდს იმედს და გამბედაობას აძლევს მას აქეთ გადმოსახლებისას („ივერია“ 1895. №12).

---

<sup>11</sup> ერთ-ერთ კორესპონდენტში თვითონვე ამჟღავნებს თავის ვინაობას („ივერია“ 1895. №128).

ზემოთ არაერთი მაგალითი მოვიხმე იდენტობისთვის მამა-პაპათა საფლავების და სალოცავების მნიშვნელობის შესახებ. ამ მხრივ გამორჩეულია ეს ამონარიდიც.

მედიაში ვხვდებით ინფორმაციას აფხაზეთში მამულის მფლობელი ქართველი თავადის მიერ ქართველი მოახალშენეებისთვის ხელშეწყობის შესახებაც. ამის მაგალითია თავადი ზაქარია ერისთავი, რომელსაც სოხუმთან ახლოს ჰქონია ათას ოთხასი დესეტინა მიწა. მიწის მიყიდვა განუზრახავს ახალ-მოშენებისთვის თანხის ნაწილ-ნაწილ გადახდის პირობით. თავადისთვის მიუმართავს მდიდარ უცხოელს და ერთიანად უძღვევია თანხა, მაგრამ თავადს არ მიუცია „თქვენ უამისოდაც ბევრი შეძლება გაქვთ და უმჯობესი იქნება ჩემი მამული ღარიბებს მივყიდო“ („ივერია“ 1895. №12). როგორც მედიიდან ვიტყობთ, ჩვენმა ღარიბმა გლეხებმა ვერ შეძლეს თავადი ზ. ერისთავის მამულის შეძენა და შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან. თავადს როგორც ჩანს მდიდარი კაცისთვის ერთიანად მიუყიდა მამული („ივერია“ 1895. №51).

კერძო პირის სამაგალითო საქმიანობის შესახებ ინფორმაციები საგანგებოდ ქვეყნდება გაზეთებში იმის საჩვენებლად თუ რა ძალა აქვს ერთობით შესრულებულ საქმეს. ასეთად დასახელებულია 1895 წელს ქ. სოხუმში ადგილობრივი მოღვაწის ანთ. ჯუღელის მიერ დაარსებული წრე, რომელსაც მიზნად დაუსახავს მამულების შესყიდვა და უმიწაწყლო გლეხებისთვის შეღავათიან ფასებში მიყიდვა. მართალია გაზეთ „ნოვოე ვრემიას“ განგაშის ზარი შემოუკრავს „მეგრელები შემოესივნენ აფხაზეთს და აზრად აქვთ, იქიდან სხვა ყველანი უნდა გამოაძევონო“... გამოძიებაც უწარმოებია ხელისუფლებას და დარწმუნებულან, რომ შეთქმულებას არ ჰქონია ადგილი, მაგრამ

ანთ. ჯუღელისთვის ურჩევით ამ საქმიანობისთვის თავი დაენებებინა თუ არ უნდოდა უფრო დიდ უსიამოვნებას გადაჰყროდა. თუმცა ამ წრეს მოუსწრია 7 დესეტინა მიწის შექმნა და 19 სამოსახლოდ დაყოფა. საზოგადოებას მოუწოდებს, რომ არ უნდა შეაშინოს ამ ფაქტმა, პირიქით, უნდა გახდეს მაგალითი და თუ აფხაზეთში ვერ მოხერხდება, ის უნდა მოხდეს სხვაგან. საუბარია ქუთაისსა და თბილისში კომიტეტების დაარსების აუცილებლობაზე, რომლებსაც უნდა ეზრუნათ თავისუფალი მიწების გამოძებნაზე და ბანკით თუ სხვა საშუალებების დახმარებით უმიწაწყლო გლეხებისთვის გადაცემაზე. ამ თვალსაზრისით მითითებულია ზღვიდან მოშორებულ ადგილები – დალის ხეობაში. ამ ადგილებს ფულიანი კაცები ჯერ არ მიჰკარებდნენ სიშორის გამო. კომიტეტებს, სწორედ, სიშორით განპირობებული სიახფით უნდა ესარგებლათ, ვინაიდან მიწების გამო სოხუმის ოლქში არსებული ციებ-ცხელებიდან გამომდინარე შესაძლოა ცოტა ხანში გაძვირებულიყო (ცნობის ფურცელი 1902. №1849).

რთული ვითარება ყოფილა ბევრ ახალშენში – არც სასულიერო მამა ჰყოლიათ და არც რიგიანი სასწავლებელი ჰქონიათ „ჩვენი ღვთის მოშიში ხალხი ამჟამად აქ გაგარეგნებულს აფხაზს დამსგავსებია. ამისთვის წმინდა არა არის რა და ეს ხომ უბედურებაა ხალხისთვის“ („ივერია“ 1895. №12).

„ცნობის ფურცელიც“ არაერთ კორესპონდენციას უძღვნის აღნიშნულ საკითხებს. კორესპონდენტი თ. სახოკია (აქვეყნებს თ.ს. ინიციალით) მოგზაურობის შთაბეჭდილებების აღწერისას საგანგებო ყურადღებას უთმობს მეგრელებით დასახლების თემას. მიუხედავად იმისა, თუ რამდენად უჭირდათ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, თავიანთი ადგილ-მამულის მიტოვება, იმდე-

ნად იყვნენ უმიწობით შეწუხებულები, გადმოსახლებულან სოხუმიდან ოთხი ვერსის დაშორებით ჭაობიან ხშირ ტყეში. 25 ოჯახს მიუტოვებია (20 წლის წინ – 1883 წ. – ქ.მ.) თავისი სახლ-კარი სენაკის მაზრაში და აქ აულიათ მიწები იჯარით. ეს ადგილი ქალაქს ეკუთვნოდა, მაგრამ ვინაიდან უსარგებლო და ჭაობიანი იყო, ამიტომაც დაუსახლებელი ყოფილა. აი ეს უვარგისი, ჭაობიანი და ტყიანი ადგილი გაუშენებიათ და აუყვავებიათ მეგრელებს: ტყე გაკაფეს, ჭაობი დააშრეს, სახნავ-სათესი მიწები გააჩინეს, ვენახი გააშენეს და აყვავებულ სოფლად აქციეს („ცნობს ფურცელი“ 1903. №2309).

„ივერია“ არაერთხელ უბრუნდება დასახლების საკითხს. 1889 წლის გადაწყვეტილებით და აქტიური მხარდამჭერების (მათ შორის პალმი და მისი გაზეთი აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა, როგორც აღვნიშნე, ამ მიმართულებით) წყალობით, ბიუროკრატამ გადაწყვიტა წმინდა რუსული ქალაქების აღორძინება. ამ მიზნით 1896 წლიდან ყველა „ტუზემცებს“ (ე.ი. ადგილობრივებს – ქ.მ.) აკრძალათ სამოსახლო მიწების შეძენა. 1899 წლის გაზაფხულიდან კი საზოგადოებას მიწების ყიდვის ნებართვა მოსვლია. ნებართვით მიწების შეძენა შეეძლო ყველას ეროვნების განურჩევლად. მდიდარმა და მშვენიერმა ბუნებამ, ზღვის ნაპირას მდებარეობამ ბევრი მსურველი გაუჩინა აქაურობას. მხოლოდ მსურველთა უმრავლესობა პეტერბურგის და მოსკოვის დიდკაცობა ყოფილა.

დასახლების ნებართვის პარალელურად, მთავრობა უგზავნის განკარგულებას პოლიციას და თვითმმართველობას, შეისწავლონ დასახლებული ადგილების კანონიერება.

თუ ძალად მამულების დამჩემებელთ დაესაკუთრა ეს ადგილები, მაშინ წაერთმევა იგი იმ ხალხს, რომლის დაუცხრომელი

შრომითა და სისხლ-ნარევ ოფლითა ბაყაყთა საკონცერტო ჭაობებიდგან მშვენიერ თვალ წარმტაც პატარა ქალაქად იქცა ჩვენი გუდაუთი („ივერია“ 1899. №242)!

სწორედ, ეს იწვევს კორესპონდენტის ფარულ აღმოფოთებას და დასძენს:

მალიან კარგი იქნება, რომ უმაღლესი მთავრობა წაექომაგოს ამ უსიტყვო ხალხს და ამათი ბედი უკუღმართად არავის გადააწყვეტინოს („ივერია“ 1899. №242).

მართალია, ეროვნების მიუხედავად დართეს ყველას დასახლების ნება, მაგრამ საქმე ისე მოაგვარეს, რომ ღარიბი „ტუხემცები“ მაინც უმიწოდ დარჩნენ: ერთი მხრივ, ფასები მალიან გაზარდეს ხელოვნურად; მეორე მხრივ, ყველა მყიდველს უნდა დაედო პირობა: „безприкословно подчиниться существующим и всемь могущим битъ существовать распоряженіямъ правительства!“ ასე რომ 1903 წ. გაცემული მიწები 1905 წ. უკან დააბრუნეს მყიდველებმა, რადგან ვერ შეძლეს მიწის ფასის გადახდა („ივერია“ 1905. №121).

„ივერია“ (*ნარკვევის რუბრიკა*, რომელსაც ხშირ შემთხვევაში თვითონ ილია ჭავჭავაძე ადგენდა) მოუწოდებს სრულიად ქართველობას გამოიჩინონ მამულიშვილობა შავი ზღვის ნაპირებზე დარჩენილი თავისუფალი ადგილების ათვისებაში დაეხმარონ უმამულოდ დარჩენილ თანმემამულეებს „სწორედ სამშობლოს სიყვარულს დაამტკიცებს ის ქართველი (ვისაც გავლენა და შეძლება აქვს), რომელიც უმამულოდ დარჩენილ ქართველთ მოუხერხებს იქ დასახლებას“ („ივერია“ 1895. №30).

გაზეთი ასევე თხოვნით მიმართავს საზოგადოებას ვისაც შეუძლია შემწეობა აღმოუჩინოს აქ დასახლების მსურ-

ველთ თუ როგორ მოიქცნენ, ვისთან მივიდნენ, ვის მიმართონ თხოვნით. წერილს ერთვის რედაქციის შენიშვნა სქოლიოში „რედაქცია საჭიროდ ჰრაცხს გამოაცხადოს, რომ სიამოვნებით დაუთმობს ალაგს გაზეთში ყოველს ცნობას ზემოთ ხსენებული საგნის შესახებ“ („ივერია“ 1895. №32).

მკითხველს ასევე მიეწოდება ეთნიკური ცვლილებების შესახებ ინფორმაცია. გულისტკივილით აღწერს მედია ამ ომის შედეგებს აფხაზეთისათვის. აღნიშნავს, რომ ომის შედეგად აფხაზეთს მხოლოდ ფორმალურად შერჩა სახელი, არსებითად შეიცვალა ეთნიკური სურათი. აფხაზეთის მიერ მიტოვებულ მამულებს სხვადასხვა ეროვნების ხალხი დაეპატრონა. პრესა აქტიურად აშუქებს კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგებს:

აჭრელდნენ (შავი ზღვის ნაპირების) მცხოვრებნი, გესმისთ რუსული, ქართული, ბერძნული, სომხური, ესტონური. მეგრული ყაბალახი, ოსმალური ფესი, რუსული კარტრუხი – ერთმანეთშია აქ ასვრილი. ბაბილონის გოდოლის შენება გაგონდებათ, აქაურობას რომ ყურს უგდებთ. თქვენს თავს ეკითხებით ე მკვიდრი ამ ქვეყნისა რაღა იქმნა, როგორ მოხდა, რომ მის სუფრას სხვები მოსხდომიანო („ცნობის ფურცელი“ 1903. №2309).

ეთნიკური სურათის ამსახველ ფრიად საინტერესო წერილს აქვეყნებს კორესპონდენტი სოხუმიდან ა. ჯუღელი, რომელიც თავის მგზავრის შენიშვნებში აღწერს სოხუმიდან მახლობელ სოფლებში არსებულ ვითარებას. კორესპონდენციაში იგრძნობა ჩვენი მიწა-წყლის დაკარგვის შიში. სოხუმს კარგ სოფელს ადარებს, რომელიც 3 ათას მცხოვრებს მოითვლის:

აქაურ შენობათა ფასი არის სულ შვიდას ოცი ათასი მანეთი, ასე რომ ჩვენი სოხუმის სყიდვა ადვილად შეუძლიან ერთს რომელსამე ცოტაოდნად შეძლებულს ამერიკელს, ან ევროპიელს კაცსა („ივერია“ 1886. №233).

აქცენტი დამაფიქრებელია. ქართველობას ამცნობს, რომ ეს არ უნდა დავუშვათ, არ დავკარგოთ ჩვენი მიწა-წყალი.

მივყვეთ მგზავრის შენიშვნებს. სოხუმიდან 12 ვერსის დაშორებით თავადი გ. ერისთავის მამული ყოფილა, რომელიც მიუყიდია იაფად მეგრელებისა და იმერლებისათვის, ფასის ნაწილ-ნაწილ დაფარვის პირობით. თავად გ. ერისთავს უწონებს ამ გადაწყვეტილებას ავტორი. ამ პერიოდში გლეხი სარგებლობს კიდევაც მიწით და თან მეპატრონე ხდება („ივერია“ 1886. №233).

ე.ი. ჩვენი მიწა-წყალი ჩვენვე გვრჩება, უცხოთა ხელში არ გადავა. ეს ერთგვარი მოწოდებაცაა.

შემდეგ იწყებს მიმდებარე სოფლების აღწერას. როგორც სამოგზაურო ნარკვევიდან ჩანს, თავად გ. ერისთავის მამულებს მოსდევს მეგრელებით დასახლებული ფშაფი; ფშაფს – დრანდა. დრანდის მცხოვრებლებიც ახალმოშენები ყოფილან, აქ ორმოცდაათ ოჯახამდე მოლდავანი ე.ი. უცხო იდენტობა დასახლებულა. დრანდის მონასტერი (ორი წლის წინ ე.ი. 1884 წ.) რუსის ბერებისთვის გადაუციათ. ამ დროისათვის ოთხმოცდაათი რუსი მმა-ბერი ცხოვრობდა. დრანდის სოფელს მოსდევს ესტების სოფელი, სადაც თითო-ოროლა ესტილა შემორჩენილა გავრცელებული ციების გამო. მთლიანად რუსებით ყოფილა დასახლებული მომდევნო სოფელი ვლადიმროვკა. აქაურებიც ძლიერ შეუწუხებია ციებას და ასიდან ოცილა თუ გადარჩენილა. როგორც ჩანს, აქაურ გარემოს ვერ შეეგუვნენ მეზობელ ს.ნიკო-

ლავესკში და აქედან წასულან. მათი წასვლის შემდეგ, აქ მეგრელები დასახლებულან. ჩამოთვლილ სოფლებს მხოლოდ ორი ეკლესია ჰქონია დრანდისა და ნიკოლავესკის, მრევლიც მხოლოდ მეგრელები ყოფილან, მღვდელიც ჩვენებური ჰყოლიათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, წირვა-ლოცვა სლავიანურ ენაზე წარმოებდა („ივერია“ 1886. №165). მეგრელებით (30-მდე ოჯახი) ყოფილა დასახლებული ს. მერხელიც. ა. ჯუღელი შემდგომ აღწერს ბერძნებით დასახლებულ ს. ვოლგინსკის და რუსებით დასახლებულ ს. პოლტავას. აქ კიდევ ერთხელ აღნიშნულია თურა ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ აფხაზეთში გადმოსახლებული რუსები ციების გამო („ივერია“ 1886 №233). ციება რომ აუტანელი იყო ჩამოსახლებულ რუსთათვის, მოწმობს ჰამუთბეის კორესპონდენციაც გუდაუთიდან.

ს. ბომბორაში 38 მოსახლეა, ოთხი წლის განმავლობაში დაიბადა 11, გარდაიცვალა 41 სული, 11 დაბადებულთაგან სამილანა ცოცხალი. ს. ბაკლანოვკაში (ააცში) 1887-1897 წწ. დაიბადა 137 და მოკვდა 260 სული. ესე იგი ათის წლის განმავლობაში მოკვდა 123 სულით მეტი ვიდრე დაიბადა. არა უკეთეს მდგომარეობაშია დანარჩენი სოფლების მცხოვრებნი გუდაუთის ნაწილისა („ივერია“ 1899. №71).

ზ. ჩხიკვაძის პუბლიკაციაში, რომელიც ასევე წარმოადგენს მოგზაურობის ამსახველ შთაბეჭდილებებს და აღწერილია აფხაზეთის წარმტაცი ბუნება, გეოგრაფიული მდებარეობა, ხალხის ყოფა-ცხოვრება, მოცემულია უკანასკნელ აღწერას დაფუძნებული ცნობები აფხაზეთის მოსახლეობის<sup>12</sup> შესახებ.

---

<sup>12</sup> დემოგრაფიული თვალსაზრისით საყურადღებოა „ივერიის“ ადგილობრივი კორესპონდენტის ილიკო ვერმიცანაშვილის (ამ ფსევდონიმით კორესპონდენციებს აქვეყნებდა ნიკოლოზ ჯანაშია. იხ. ფსევ-



ამ მონაცემებით აფხაზეთში 52 ათასი მცხოვრები ყოფილა: აქედან 2 ათასი მაჰმადიანი დანარჩენი ქრისტიანი. აქვე გვაწვდის ქრისტიანობის გავრცელების შესახებ ისტორიულ ექსკურსს, ქრისტიანობის ისტორიას წარმოგვიდგენს პირველი მქადაგებლების გამოჩენიდან მის თანამედროვეობამდე („ივერია“ 1891. №157). ვრცლად გვიყვება ახალი ათონის მონასტრის შესახებ. ავტორი მონასტერში იმ დროს მისულა, როდესაც წირვა მიმდინარეობდა. წირვას ესწრებოდა ორმოცამდე რიაზანის გუბერნიიდან გადმოსახლებული რუსი. ათონის მონასტერს სახელი ჰქონია განთქმული რუსეთში, რის შედეგად რუსი მომლოცველების ჩამოსვლა მომრავლებულა მონასტერში. აქ ორასამდე ბერი მოღვაწეობდა და წირვა-ლოცვა რუსულად მიმდინარეობდა. მონასტერს თავისი სასწავლებელი ჰქონია, სადაც ასევე რუსულად მიმდინარეობდა სწავლა („ივერია“ 1891. №158, №161).

დემოგრაფიული თვალსაზრისით საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის თ. სახოკია წერილების სერიაში „ვიზრუნოთ“. აფხაზეთში ასახელებს 7 რუსთა სოფელს, 2 – ესტონელთა, 5 ბერძენთა და 10 – მეგრელთა. 1896 წელს დაემატა ოსმალეთიდან გადმოსახლებული სომხები, რომლებიც მოიჯარადრენი იყვნენ და თამბაქოს მოყვანას მისდევენ. აქვე აქვეყნებს 1896 წლის სოხუმის ოლქის უფროსის ანგარიშს აფხაზეთსა და სამურზაყანოში მცხოვრებთა რაოდენობრივი მონაცემების შესახებ. ამ მონაცემებით აფხაზეთსა და სამურზაყანოში სულ 106 719 სული ცხოვრობდა. აქედან 35,97% სამურზაყანოელები შეად-

---

დონიების ლექსიკონი. ელექტრონული ვერსია) ინფორმაცია, რომლის მიხედვით 1897 წელს სოხუმის ოლქში 110, 000 მცხოვრები ირიცხებოდა („ივერია“ 1897. №239).

გენდნენ, დანარჩენი აფხაზეთის მკვიდრნი ყოფილან: აფხაზები – 30, 37%, მეგრელები – 23,83 %, სომხები – 4 %, ბერძნები – 2,90 %, რუსები –1,57 %, ესტონელები – 0,81 %, მოლდაველნი – 0,17 %, ბულგარელები – 0, 11 %, ოსმალები – 0, 18 %, პოლონელები – 0,01%, სპარსელები – 0,03 %, რუსინები – 0,02 % („ცნობის ფურცელი“ 1902. №1846).

უცხოთა ხელში გადასულა ადრინდელი მთავრისშვილის მამულებიც, კ. გვასალიას კორესპონდენციით. საუბარია „გიძე ეწერის“ (აფხაზეთი) მამულების ბელგიის ამხანაგობისთვის გადაცემაზე. ბელგიის ამხანაგობისგან კი ეს მამულები იჯარით აუღია სპ. ნარაკიძეს და ამუშავებდნენ დროებით გადმოსული მეგრელები. მაგრამ, როგორც ჩანს, მეგრელებს ბუნების სიმკაცრესთან ერთად, ბრძოლა უწევდათ ადამიანთა უკულმართობასთანაც. ერთ-ერთი ასეთი ფაქტი უკავშირდება ბათუმში გამომავალი რუსული გაზეთის რედაქტორს გრ. პალმს, რომელსაც უკულტურობად მოუხსენებია მეგრელები.

... რაც შეეხება მეგრელების უკულტუროსნობას და სხვების კულტუროსნობას, ეს-კი სასაცილოა სწორედ, სამწუხარო რომ არ იყოს!.. მე არ ვფიქრობ აქ, შავი ზღვის პირად, სუ ყველა არტისტები და რედაქტორები გადმოსახლდნენ, მაგრამ გლეხი კი, თუ განათლება არ აქვს მიღებული, ყველგან გლეხია... მათთვის განათლება ან სხვა რაიმე ამ ნაირი იარაღის ხელში მიცემა საჭირო... ნუ თუ მეგრელს გლეხს აღარც ერთი ღირსება არა აქვს და ესტონელს კი, აქაო და ჩვენში გადმოსახლდება, ყოველის ღირსებით შემკობილია? რასაკვირველიაო, გვიპასუხებს თუ უკუდმა განბრძობილს პალმს დაუჯერებთ, მაგრამ პალმი და ჭემმარტება ხომ ერთი და იგივე არ არის, რომ მისი ნათქვამი ყველამ ირწმუნოს!.. („ივერია“ 1901. №91).

იდენტობის ისტორიული მიწა-წყალი საკრალურ ადგილს წარმოადგენს ეროვნული იდენტობისათვის საერთო ღირებულებებით, სიმბოლოებით, ტრადიციებით, რომლებიც ამბავებენ და აღვივებენ იდენტობის შიდა-ჯგუფურ სენტიმენტებს; ზემოთ აღნიშნულ კორესპონდენციებში ნათლად ჩანს, თუ როგორ არ იშურებს მედია ძალისხმევას ჩვენი მიწა-წყალი უცხოთა ხელში რომ არ აღმოჩნდეს და სრულიად ქართველობას მოუწოდებს:

ახლავე გვმართებს სიმარდე და ჭკუა, რომ მომავალ ბედნიერებას, ე.ი. სიმდიდრეს ხელი არ ავაცდინოთ და სხვებმა, ვინ იცის ვინ, არ ჩაიგდოს ხელში და ჩვენ მონებად არ გაგვხადოს. ეს ქართულს თქმულებას ემსგავსება შინაური კატა გარეულმა კატამ გააგდო. ჯერ რკინიგზის გამოყვანა არც კი გადაწყვეტილა, მოდიან სხვა-და-სხვა ქვეყნელები და ყიდულობენ ადგილებს. ჩვენებურებს სძინავთ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ პატარა წრეს, რომელიც შესდგა ამ ჟამად აქ და რომელსაც მიზნად აქვს ადგილების შესყიდვა საერთოდ ქ. სოხუმში. ეს წრე მზად არის ყოველი პატოსანი ქართველი მიიღოს ამხანაგად და ამით გაუადვილოს ყველას ადგილები შეაძენინოს („ივერია“ 1895. №128).

ქართული ინტელიგენციის აქტიურმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო. მართალია, პატარა წრე შედგა, მაგრამ სწორედ ეს წრეა ქართული ერთობის საერთო სულისკვეთებით შეკვრის მაგალითი. ასეთი საზოგადოების შექმნამ, როგორც ჩანს, აღაშფოთა რუსეთის მთავრობა და „ნოვოე ვრემიას“ ჟურნალისტებმაც არ დააყოვნეს. მათი ცნობით, ქართველები განგებ ავრცელებდნენ ხმებს სოხუმში ციებ-ცხელების გავრცელების შესახებ, რათა ამით მამულის შექმნის მსურველი რუსები დაემინები-

ნათ. გაზეთის ცნობით, ქართველები ამ ხმებს ავრცელებდნენ იმისთვის, რომ რუსებს არ დაეკავებინათ აქაური ადგილები

ამგვარის შემთხვევის თავიდან ასაცილებლად სოხუმში არსდება საზოგადოება ქართველების, აზნაურებისა და ბერძენთა, რომელთაც განუზრახავთ თვალ-ყური ადევნონ მამულებს და თუ სადმე, ან სოხუმში ან სოხუმის მიდამოში, გამოჩნდება გასასყიდი მამული, მაშინვე შეიძინონ ისინი. ამრიგად, უმთავრესი საგანი ახალის საზოგადოებისა არის: ხელიდან არ გაუშვან აქაური მიწა-წყალი. მაგრამ *საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ განზრახულს საზოგადოებას, გარდა აღნიშნულს საგნისა აზრად აქვს ეცადოს, რომ უმიწა-წყლო მკვიდრთა და რუსებს შორის სიძულვილი არ მოისპოს* (კურსივი „ივერიის“ ნარკვევის<sup>13</sup> ავტორისეულია) („ივერია“ 1895. №181).

სიცრუე, რომელშიც ადანაშაულებს ქართველებს „ნოვოე ვრემია“, არ იყო ქართველების მოგონილი. სოხუმის ოლქს, რომ უცხოელები ვერ შეეგუვნენ ამის დამადასტურებელი არაერთი მაგალითია გამოქვეყნებული პრესაში. თვით რუს ექიმებს, სწავლულებს და მწერლებს ბევრჯერ შეუმოწმებიათ და დაუდგენიათ რომ აქაური ჰავა უცხოთათვის მავნებელია. მაგრამ ამ ადგილების შექმნა რაკი ქართველებს ჰქონდა გადაწყვეტილი, ციებ-ცხელების ამბავი სიცრუედ უნდა იქნას აღიარებული. აღნიშნული საზოგადოება ერთა შორის სიძულვილს სთესსო – აცხადებდა „ნოვოე ვრემია“. ცილისწამებას უწოდებს ამ განცხადებას ილია ჭავჭავაძე

ეს ცილის-წამება გაზეთს დასჭირდა მხოლოდ იმიტომ რომ სასარგებლო საზოგადოება, რომელსაც ადგილ-მამულების შექმნა განუზრახავს, მანედ ჩაეთვალა... საზოგადოებას განუ-

---

<sup>13</sup>ნარკვევის ავტორად მიჩნეულია ილია ჭავჭავაძე (იხ. ქგაბ 1965: 231).

ზრახავს ბოგანო ხალხის დასახლება და ადგილ-მამულის შერჩენა – ეს სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეა, მაგრამ, რადგანაც ეს საზოგადოება მკვიდრთაგან შესდგება, მაშასადამე, მავნებელიაო – აი „ნოვ. ვრ.“-ს ლოლიკა! („ივერია“ 1895. №181).

ეს ფაქტი სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულ იქნა როგორც ხალხებს შორის შუღლისა და მტრობის ჩამოგდების მაგალითი (ჭურღულია 2000: 30). ეს ასეც იყო. რუსეთის მთავრობა ცდილობდა საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის – აფხაზეთის ხელში ჩაგდებას, საამისოდ კი ყველანაირად უშლიდა ხელს ქართული ეთნოსის დამკვიდრებას.

ეთნიკური თვალსაზრისით საყურადღებოა პუბლიკაციები დაბა გუთაუთაზე. ომამდე დაბა მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა. აქ მოჰქონდა აფხაზეთის მეურნეობის სხვადასხვა ნაწარმი გასაყიდად. მაშინ ოსმალები პირველობდნენ ვაჭრობაში. 1900 წლისათვის „ივერიის“ ინფორმაციით, სავაჭრო პირველობა მეგრელებს მოუპოვებიათ. აქვე აღნიშნულია, რომ გუდაუთა 16-17 წლის წინ გაუდაბურებული და დაუსახლებელი ადგილი ყოფილა:

1880 წ. ვინმე ალექსანდროვიჩის (ნაწილის უფროსის) წინადადებით ს. ლიხინში მოვაჭრე მეგრელები და ორიოდე ხონელები, თუ გურულები გუდაუთაში გადმოსულან, რომელიც იმ დროს გაუვლელ ჭაობიანს ტყეს წარმოადგენდა... მეგრელებმა მართლა მოინდომეს, შეუდგნენ გუდაუთის ტყის გაკაფვასა და ჭაობის ამოშრობას... რამოდენიმე ხნის შემდეგ აქ ჭაობის ნაცვლად წამოჭიმულ იქმნა მშვენიერი კოხტა დუქნები. ცოტა რომ სული მოიდგე, შეუდგნენ ეკლესიის აღმენებასა და ჩინებული ეკლესია გააკეთეს... შემდეგ მღვდელიც იშოვეს და ჯამაგირიც თავიანთ ჯიბიდან დაუნიშნეს. რა-კი მაგრად მოიკიდეს ფეხი, სკოლაც დააარსეს და მასწავ-

ლებელსაც თვითონ ინახავდნენ თავიანთ ხარჯზედ („ივერია“ 1900. №203).

„ცნობის ფურცელის“ ინფორმაციით, მოიჯარადრე მეგრელები დასახლებულან აფხაზეთის და სამურზაყანოს სოფლებში: აფხაზეთის სოფლებში (ჯგერდა, ჭილოუ, გუდავა, ვარჩე, ტამიში, ბაბუშარა) 3000-ზე მეტი მეგრელი, სამურზაყანოს სოფლებში (რეფი, ბარლეფი, გალი, ბედია) 300 კომლამდე მეგრელი („ცნობის ფურცელი“ 1899. №850).

კორესპონდენტი აფხაზეთიდან პ. ჭარაია აღნიშნავს, რომ თავიდან რუსეთის ხელისუფლება მეგრელებს როგორც სხვა ეროვნების წარმომადგენელთ, დასახლებას არ უშლიდა:

თავდაპირველათ მეგრელებს და საზოგადოთ ქართველებს ისე კარგად უყურებდნენ, როგორც სხვა ეროვნობის გადმოსახლებულთა. იმათ ისევე იწვევდენ ამ გავერანებულ სახელმწიფო ადგილების გასაშენებლათ, როგორც სხვა ეროვნობათა წარმომადგენლებს („კვალი“ 1897. № 12:253).

1897 წლის „ივერია“ მონაცემებით, მარჯვე ქართველის (მეგრელის) სიბეჯითის წყალობით იმ ადგილას, სადაც ტურის ჩხავილი ისმოდა, სიცოცხლე დუღს. ქართველთა მონდომებით ეკლესიაში ისმის ქებათა-ქება ღვთის მიმართ. მცხოვრებთა ეთნიკურ შემადგენლობას ასეთნაირად წარმოადგენს:

50 ქართველი მკვიდრია (ერთი იმერელი, ორი გურული, დანარჩენი მეგრელობა), 13 ბერძენი, 11 რუსი, 5 აფხაზი და ერთი სომეხი. ჩვენი დაბა ერთად ერთი სავაჭრო ადგილია მთელს გუდაუთის ნაწილში, რომელსაც სიგრძით 90 ვერსი და სიგანით 15-30 ვერსი ადგილი უჭირავს და შესდგება 12 აფხაზთა საზოგადოებისაგან, 3 რუსისა და ერთი ცომხურისაგან. აღებ-

მიცემობა თითქმის მთლად ქართველობის ხელშია. ამათ გარდა ჰვაჭრობენ სომხები, ბერძნები და თათრები... („ივერია“ 1897. №188).

ამგვარად, გზა გაუკვალეს მეგრელებმა გუდაუთის მოქალაქეობრივ ცხოვრებას. გუდაუთის სასიცოცხლო მოძრაობამ აქ დასახლების სურვილი აღუძრა სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს – სომხებს, ბერძნებს, თათრებს. 1903 წლის „ცნობის ფურცელის“ კორესპონდენცია „მგზავრის წერილები“ საინტერესო სურათს იძლევა გუდაუთის ეთნიკური შემადგენლობის თვალსაზრისით:

გუდაუთა საკმაოდ მოზრდილი დაბაა აფხაზეთისა, შიგ 172 კომლი ანუ 1117 სული მცხოვრები ითვლება სხვა-და-სხვა ეროვნებისა. მათს შორის რიცხვით, როგორც ყველგან აქეთკენ, პირველი ალაგი უჭირავს ქართველ ტომს (მეგრელი) – 356 სულია, მერე მოსდევენ რუსები (242 სული) შემდეგ ბერძნები (133 სული), სომხები (132), აფხაზნი (87 სული) და სულ ბოლოს ოსმალები (32) და სხ. („ცნობის ფურცელი“ 1903. №2349).

მეგრელები ჭარბობდნენ ოჩამჩირეშიც 1896 წლისთვის თ. სახოკიას კორესპონდენციით „სამურზაყანო“:

მცხოვრებნი ორისავე სქესისა ოჩამჩირეში დღეს 608 სული ითვლება. ამათში 26 კომლი ოსმალოა, 3 – ბერძენი, 1 – სომეხი და 1-იც პოლონელი, დანარჩენი მეგრელები არიან. სალაპარაკო ენა მეგრულია, თუმცა ქართულიც ყველამ იცის. მეგრელებში (მეტადრე ვაჭრებში) ბევრია ბერძნულისა და ოსმალურის ენების ზედმიწევნით მცოდნენიცა (მოამბე 1896. №12).

საკუთარი მიწა-წყლის შენარჩუნებისათვის ზრუნვაზე დასმული აქცენტები ილია ჭავჭავაძის სიტყვაში, რომელიც წარმოთქვა 1903 წელს სოხუმში სტუმრობისას:

აქამოდე ამ მშვენიერ აფხაზ-ქართველთა მიწა-წყალს ხმლით ვინახავდით და ასე თუ ისე შევინახეთ კიდევ. დღეს ხმალი ქარქაში ჩაეგო. დღეს სხვა მტერი მოდის, როგორც ვხედავთ, ისე გულ-და-გულ და პირდაპირ – კი არა, როგორც პატიოსანი ხმალი, არამედ ჩუმად, ქურდულად, როგორც მაცდური და მპარავი. იგი მტერი ფულია, გაიძვერა, და მზაკვარი. იგი ღიმილით და ალერსით მოგექცევით და ისე გამოგაცლით ხელიდან ამ ლამაზს, ტურფას, მდიდარს ქვეყანას, რომ პირველ ხანებში იქნება მადლობელნიც გაუხდეთ.

კიდევ ვიტყვი: ღმერთმა გიხსნათ ამ საშინელ მაცდურისაგან, ღმერთმა ჰქნას და თამამ ხმლისაგან უძლეველნი არ იძლივნეთ მხდალ მშიშარ ფულისაგან და შეიჩინოთ ეს ქართველის სისხლით მორწყული მშვენიერი ქვეყანა თქვენდა სადღეგრძელოდ და თქვენთა შვილთა და მახლობელთა საბედნიეროდ და თავ-მოსაწონებლად („ივერია“ 1903. №118).

ილია ჭავჭავაძე ამ მიმართებით და შემდგომ მისი გაზეთში გამოქვეყნებით, ახდენდა მსმენელებსა თუ მკითხველებში ეროვნული გრძნობების გაღვივებას და საერთო მოზილიზაციას ისტორიული ტერიტორიების სამართლებრივი უფლებების დასაცავად.

თავის სიტყვაში ილია ჭავჭავაძე იმ ვითარებაზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც შექმნილია აფხაზეთში. ეს არის გამოფხიზლებისკენ მოწოდება, რათა ქართული მიწა-წყალი უცხოთა ხელში არ აღმოჩნდეს.





**ილია ჭავჭავაძის სტუმრობა აფხაზეთში**

ამავე სადილზე ერთ ახალგაზრდას ასევე საყურადღებო სიტყვით მიუმართავს ილია ჭავჭავაძისთვის:

დღეს ზოგიერთმა თავისი სიტყვის წარმოთქმის დროს ჩვენ გვიწოდა აღმოსავლეთის მოძმეთაგან მოწყვეტილი ქართველობა. შეიძლება ბევრს გაუკვირდეს და სთქვას, რათ უნდა ვიყვეთ მოწყვეტილი ჩვენთა მოძმეთაგან, როდესაც ჩვენსა და ჩვენს მოძმეთა შორის არაფერი დამაბრკოლებელი არ არის ამართულიო, მაგრამ ნამდვილად-კი ეს ასეა, რადგანაც ჩვენში არ არის გავრცელებული ის, რამაც უნდა შეაკავშიროს ერთმანერთთან, ე.ი. არ არის გავრცელებული ჟურნალ-გაზეთობა და მწიგნობრობა და აი ამის წყალობით ვართ მოწყვეტილი ჩვენთა მოძმეთაგანაო.

როდესაც ჩვენში ფეხს მოიკიდებს ქართული ჟურნალ-გაზეთობა და მწიგნობრობა, მაშინ, სადაც უნდა ვიქმნეთ, ვერაფერი

ვერ მოგვწყვიტავს ჩვენი ძმების გულიდამ და ეს რომ ასე იყოს, საჭიროა სოხუმში გაიმართოს სკოლა, რომელშიაც შეიძლება დეს შესაფერისი პირველ დაწყებითი აღზრდა მიიღოს მომავალმა ახალ თაობამო და სთხოვა თ. ჭავჭავაძეს, როგორც „წერაკითხვის საზოგადოების“ თავმჯდომარეს იშუამდგომლოს სოხუმში წერაკითხვის საზოგადოების დაარსებისათვის („ივერია“ 1903. №118).

აქვე აღსანიშნავია, ჩასახლებული რუსების მიერ აქაურების შევიწროების საკითხი. აფხაზეთს მიწის უქონლობის გამო, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მიაშურა დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით სამეგრელოს მოსახლეობამ. ზოგს იჯარით აუღია მიწა, ზოგიც მიადგა უტეხ, გაუვალ ტყეს და წმენდდა, ასუფთავებდა, ერთი წლით მაინც რომ ესარგებლა და მოეყვანა მოსავალი. მათ განცვიფრებაში მოჰყავდა რუსი გლეხები, რომლებსაც მთავრობა აქ გასაჩერებლად ფულად თუ სხვა სახის დახმარებასაც უწყევდა. რუსი გლეხების გაოცებას იწვევდა ის გარემოება, რომ როგორ შეიძლება ადამიანმა ასეთი შრომა გასწიოს დროებითი სარგებლობისთვის („ცნობის ფურცელი“ 1905. № 2772).

მძიმე შრომით დამუშავებული შეძენილი, იჯარით თუ დროებითი მამულებიდან მთავრობა უმოწყალოდ აგდებდა ქართველობას აფხაზეთიდან, მაშინ როდესაც ჩრდილოეთიდან გადმოსახლებულებს ყოველგვარ შეღავათს აძლევდა. სოხუმის თავმა ბერენსმა აითვალწუნა მეგრელები და გადასახლება უბრძანა მატროსების დასახლების მიზეზით. ამგვარად დაიწყო ადგილობრივების დევნა მათ მიერვე ბაღნარად ქცეული ადგილებიდან („ცნობის ფურცელი“ 1903. №2309). შემდგომში, 1905 წლის „ცნობის ფურცელიდან“ ვიტყობთ, რომ ეს პროცესი დროებით შეჩერებულა ამ დრომდე. მაგრამ სუსხიან ზამთარში

პოლიციას აუყრია საწყალი გლეხები საახალწლოდ და მათი ნაშრომ-ნაამაგარი მატროსებისთვის გადაუცია საახალწლო საჩუქრად. ასე უმოწყალოდ დაისაჯნენ საცოდავები („ცნობის ფურცელი“ 1905. №2766).

ასევე, მთავრობის განკარგულებით აფხაზეთში მცხოვრები ქართველების შევიწროების არაერთი მაგალითია დაცული ბეჭდურ მედიაში. ერთ-ერთი გახლავთ სვანების გაყრა ჩხალთის საზოგადოებიდან, რომლებსაც მშვენიერ მამულებად უქცევიათ უხმარ-ურგები მიწები. მთავრობას მათთვის განუცხადებია ეს ადგილები დანიშნულია რუსთა დასასახლებლად. გადასახლების შესახებ ბრძანებაში მითითებული ყოფილა, „რადგან ტუზემცები ხელს უშლიან რუსების დასახლების და გარუსების საქმეს, ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა გადავასახლოთ ზემოხსენებული სვანები“. ასე მოექცა მთავრობა სოხუმის საკათედრო ნადელების დამუშავების შემდეგ მეგრელებსაც, რომლებსაც იჯარით გადასცეს ნადელები. ეპისკოპოსი გაურისხდა მათ და სტრაჟნიკების დახმარებით გაამძევეს ისინი ფშაფის საზოგადოებიდან. მეგრელებმაც როგორც ჩხალთის სვანებმა თავიანთი მისია ადგილების გაწმენდით დაასრულეს („ცნობის ფურცელი“ 1905. №2819).

უმაგალითო ეროვნული დევნის პარალელურად, ბნელი ძალები ჭორებსაც უვრცელებდნენ ადგილობრივებს „ვითომც ემზადებოდნენ ქართველები აფხაზების ამოწყვეტას და მათი მიწა-წყლის დასაკუთრებას“ („ცნობის ფურცელი“ 1905. №2766).

ასეთ აუტანელ მდგომარეობას არ ურიგდებოდა ადგილობრივი მოსახლეობა. სოხუმში მცხოვრებთა ერთ ჯგუფს დეკემბით მიუმართავს ნამესტნიკისათვის ყაზახ-რუსებისა და მატროსების მიერ მოთამაშე ახალგაზრდობისა და მაცურებ-

ლების დარბევის შესახებ. დარბევის შემდეგ, მთვრალი ყაზახ-რუსები და მატროსები დასდევნებია დაშლილ ხალხს, დაუ-რბევიათ სახლები და დუქნები, უმოწყალოდ უცემიათ, ზოგი დაუსახიჩრებიათ, ზოგი დაუჭრიათ. მოსახლეობა ითხოვდა ადმინისტრაციისგან საქმის გამოძიებას („ცნობის ფურცელი“ 1905. №2835).

მედიაში იკვეთება სოხუმის ოლქში მცხოვრებთა დაუ-მორჩილებლობის მოძრაობის შესახებ ინფორმაცია. კორესპონ-დენცია იტყობინება, რომ გაზეთ „რუსში“ რუსებს გამოუქვეყნე-ბიათ ცნობა იმის თაობაზე თითქოს მათ დევნიან აფხაზები „ვიღუპებით გვიშველეთ მოგვესივნენ აფხა-ზებო. აქაურ ადმინისტრაციას მივმართეთ, მაგრამ გულხელ-დაკრეფილები არიან, დაგვხმარეთო. აფხაზებს ადგილები ბევრი აქვთ. ამ მოძრაობას აგრარული ნიადაგი არ აქვსო“ („ცნობის ფურცელი“ 1905. №2790). გაზეთ „რუსის“ ინფორმაციის არამართებულობა დასტურდება არაერთი პუბლიკაციიდან, რომლებიც თვალსა-ჩინოდ მოწმობენ აფხაზეთის მკვიდრთა უნუგემო მდგომარე-ობას მიწების უქონლობის გამო.

მოგვიანებით „ცნობის ფურცელი“ ისევ აქვეყნებს ინფო-რმაციას რუსებით დასახლებული ორი სოფლის მოსახლეობის მიერ ნამესტნიკისთვის დეპეშის გაგზავნის შესახებ – „ტუზემ-ცები აჯანყდნენ და არიქა ჯარი მოგვაშველეთო“. გაზეთი ყუ-რადღებას ამახვილებს ადგილობრივების აჯანყების მიზეზებ-ზე – „რუსს გლეხების ასეთი დეპეშა ბიუროკრატის ხანგრ-ძლივ მოქმედების შედეგია. ბიუროკრატამ შეაჩვია ჩვენში დასახლებული რუსები „ტუზემცების“ აბუჩად აგდებასო“ („ცნობის ფურცელი“ 1905. №2952).

ამავდროულად ინტენსიურად ქვეყნდება პუბლიკაციები ოსმალეთიდან გადმოსახლებული სომხების შესახებ. როგორც ზემოთ აღვნიშნე, სომხების და ბერძნების დასახლება შავი ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე XIX ს-ის 70-იანი წლებიდან იწყება. თუმცა ამ მხარეს დიდი ნაკადი, გაზეთის ინფორმაციით, 1895 წლიდან მოაწყდა. სომხები აქ იჯარით იღებდნენ მიწას და მოჰყავდათ თამბაქო, მაგრამ თურქეთის ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ და მთავრობას არანაირ გადასახადს არ უხდიდნენ. ამ დროს ქართველი გლეხები უმიწობით უკიდურეს მდგომარეობაში იყვნენ, ხოლო იჯარით მუშაობაში იმდენსაც ვერ იღებდნენ, რამდენსაც მისცემდა მას სხვასთან დღიურად მუშაობა. გლეხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აუცილებელი იყო მისთვის მიწის გადაცემა, რათა ადამიანურად ცხოვრება და თავის რჩენა შესძლებოდა. ამის ნაცვლად მთავრობა ისეთ ღონისძიებას ხმარობდა, უფრო აუარესებდა ხალხის მდგომარეობას. ატარებდა იმ მავნებელ პოლიტიკას, რომელსაც მიზნად ჰქონდა საქართველოს ტერიტორიაზე ქართული ელემენტის შემცირება და შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულთა გამრავლება.

მკვიდრს, ადგილობრივ მცხოვრებს, რომელიც რამდენისამე ათასი წლის განმავლობაში ბინადრობს თავის წინაპართა სისხლით მორწყულ მიწაზე, გზა შეკრული აქვს და არ შეუძლიან იმით მაინც ისარგებლოს, რაც მისთვის ბუნებას და ისტორიას მოუცია.

დროა, ბოლო მოეღოს ამ საშინელ უსამართლობას და მეტი ყურადღება მიექცეს ქართველ ხალხის სრულიად კანონიერ საჭიროებასა და მოთხოვნილებას („ივერია“ 1905. №8).

წერს აღშფოთებული ფილიპე გოგიჩაიშვილი „ივერიის“ მეთაურ წერილში. 1905 წლისათვის სოხუმის ოლქში 30 ათასი სომეხი ყოფილა დასახლებული და იჯარის ვადის გასვლის შემდეგაც ითხოვდნენ აქ ცხოვრების უფლებას. მათი დროებით დარჩენის თხოვნით მიუმართავს სამეურნეო საზოგადოებისთვის სომხური გაზეთ „მშაკის“<sup>14</sup> რედაქტორს ა. ქალანთარს. სომეხთა საკითხს მიემდგნა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრება. კრების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება „ცნობის ფურცელში“, საიდანაც ირკვევა მათი სოხუმის ოლქიდან გასახლების მიზეზი. აგრონომი დემენტიევი გასახლების მიზეზად სომეხების მიერ რუსთა ქვეშევრდომობის მიუღებლობას ასახელებს. კრებაზე სიტყვით გამოსულა ვ. რცხილაძე, რომელსაც ყურადღება გაუმახვილებია ქართველთა მიწის სინაკლებეზე. „რას ემსგავსება სამეურნეო საზოგადოებამ გვერდი აუაროს ადგილობრივ მცხოვრებთა უსაჭიროეს მოთხოვნილებას და შუამდგომლობა აღძრას, რომ უცხო ხალხისთვის ფართოთ კარები გავაღოთ და ჩავისახლოთო“ – განუცხადებია კრებაზე ვ. რცხილაძეს. ვრცელი სიტყვით გამოსულა არტ. ენფიჯიანციც, რომელიც ამტკიცებდა თუ სოხუმის ოლქიდან მეთამბაქოებს დაითხოვდნენ ძალიან დაეცემოდა თამბაქოს საქმე ჩვენში. კრებაზე ქართველი თავადიც გამოსულა გენერალი პოლიკარპ ლ. შერვაშიძე. ქართველი თავადი მხარს უჭერდა ენფიჯიანცს:

---

<sup>14</sup>გაზეთი „მშაკი“ გამოდიოდა თბილისში 1872-1920 წლებში. გაზეთის დამაარსებელი იყო გრ. არწრუნი, რომელიც გაზეთს 1892 წლამდე რედაქტორობდა. გაზეთში აშუქებდა თურქეთში მყოფი სომეხების ცხოვრებას. მისი გარდაცვალების შემდეგ, გაზეთის რედაქტორები იყვნენ: ა. ქალანთარი, ა. არაქელიანი და სხვ. (ქსე 1984: გვ. 240).

გაოცებული ვარ, რად უნდა დავითხოვო ეს ხალხი, როდესაც მათ ადგილებს ფასი მოუმატეს და შრომობენ. ადგილობრივი მცხოვრებნი ვერ სარგებლობენ თავიანთ მდგომარეობით, ისინი მარტო სიმინდს თუ სთესენ და დანარჩენ დროს, აქამდე მაინც, ცხენის ქურდობასა და სხვა ამ გვარ ავაზაკურ მოქმედებას მისდევდნენო („ცნობის ფურცელი“ 1905. №2760).

ამ განცხადებებით აღშფოთებული გაზეთი აღნიშნავს:

ენფიჯიანცს და თავ. შარვაშიძეს თავისი ინტერესი აქვთ: ფაბრიკანტს „სამპსონ“-ის თუთუნი უნდა იაფად, მემამულეს ადგილის რენტა ჰსურს გააძლიეროს. ენფიჯიანცებსა და შარვაშიძეებს რა დარდი აქვთ მეგრულ-აფხაზებისა, ისინი რას ინაღვლებენ ჩვენს ჩამორჩენასა და გაკოტრებას?! („ცნობის ფურცელი“ 1905. №2761).

ამავე გაზეთში მეორე ქართველიც სახელდება, რომელიც მხარდაჭერას უცხადებს სომეხ მეთამბაქოებს „ბ-ნს ნატროშვილს უბრძანებია: შავი ზღვის ნაპირა ადგილები უდაბნო იყო, ხოლო ანატოლიელ პლანტატორებმა გააცოცხლესო; მაშ ეს ადგილები მათი საკუთრება იყოსო“ (ცნობის ფურცელი 1905. №2761). სამეურნეო საზოგადოებას დაუარსებია კომიტეტი, რომელმაც „ჩვენი ქვეყნის სხვა-და-სხვა ადგილები უნდა დაურიგოს უცხო კულტურტრეგერებს, რადგან ჩვენი მეურნენი უნიჭონი ყოფილან და აღარ შეუძლიათ სამეურნეო კულტურის გაუმჯობესება-განვითარება!..“ („ცნობის ფურცელი“ 1905. №2761).

ქართველთა ამგვარ უმართებულო ლანძღვას ქართველის თუ არაქართველის მხრიდან აღუშფოთებია „ცნობის

ფურცელის“ კორესპონდენტი „აფხაზის“<sup>15</sup> ფსევდონიმით. მას მოჰყავს მაგალითები დასავლეთ საქართველოდან, სამეგრელოდან გადმოსახლებულთა გასაოცარი შროისმოყვარეობის დასტურად, რომლებმაც გაუვალი ტყეები და ჭაობიანი ადგილები ბალნარად აქციეს (ამგვარი არაერთი მაგალითი მაქვს მოხმობილი ზემოთ). აქვე გაკვირვებას ვერ მალავს იმ თანამოძმეების მიმართ, რომლებიც ხედავენ „იმის პიროვნებას დასცინიან, ტალახში სვრიან, ფეხ-ქვეშ სთელავენ, უნდათ სრულიად მოსპონ და ეს კი ნაცვლად იმისა, რომ თავისს მტერს სამაგიერო მიაგოს, ფინიასავით ელაქუცება, მონურად ფეხებს ულოკავს, ფიანდაზად ეგება და ქება-დიდებას უძღვნის!“ („ცნობის ფურცელი“ 1905. №2772).

ა. ქალანთარის განცხადებას გამოეხმაურა ფ. გოგიჩაიშვილი „ივერიაში“ და გამოთქვა საქართველოში უცხოელთა დასახლების საწინააღმდეგო შეხედულება, რასაც ა. ქალანთარის საპასუხო წერილი მოჰყვა (გამოქვეყნებულია ივერიაში). იგი გამოექომაგა გადმოსახლებულებს. წერილში ა. ქალანთარს ხაზგასმით აქვს აღნიშნული, რომ სომხები დროებით არიან გადმოსახლებულები, გარდა ამისა, მისი აზრით სომეხი მეთუთუნეები სასარგებლო ელემენტია შავი ზღვის ნაპირებზე და მათი დარჩენა აუცილებელია ჩვენი ქვეყნის კულტურისათვის („ივერია“ 1905. №40). მაგრამ ფ. გოგიჩაიშვილის თვალსაზრისით, საკითხი სცილდება სტუმართმოყვარეობის და თამბაქოს კულტურის განვითარების ფარგლებს. მისი შენიშვნით

---

<sup>15</sup> აფხაზის ფსევდონიმით გაზეთში წერილებს აქვეყნებდა მელიტონ გობეჩია (გობეჩია 1959: 17).



არც ერთ ხალხს არ შეუძლიან უტერიტორიოდ ხალხოსნური ცხოვრება და ეროვნული განვითარება. ამიტომ შეიძლება კაცი სულითა და გულით მთელის კაცობრიობის მოყვარული და კეთილის მსურველი იყოს, არც ერთს უცხო ერს არა მტრობდეს, არავინ სძულდეს, მაგრამ, იმავე დროს თავის ეროვნულ თვით-არსებობის გულისთვის თავის მიწა-წყალს იცავდეს და იმის შენარჩუნებისთვის ზრუნავდეს („ივერია“ 1905. №40).

ფ. გოგიჩაიშვილი ამ მოტივით მიუღებლად მიიჩნევს ა. ქალანთარის განცხადებას სტუმართმოყვარეობის შესახებ და აღნიშნავს, რომ გაცილებით რთულ საკითხთან გვაქვს საქმე, რაც იდენტობის ტერიტორიას ეხება. ერთბაშად მრავალი უცხო ელემენტის „დროებით“ დასახლება ამ მცირე ტერიტორიაზე და მათი მჭიდრო მოსახლეობის გაჩენა, რამდენიმე წელიწადში მკვიდრ ბინას იჩენს და ამცირებს ადგილობრივ მცხოვრებთათვის მიწას, რამაც საბოლოოდ შეიძლება დასახლებულთა გვარ-ტომობის მიხედვით ტერიტორიის ეროვნულ განაწილების მოთხოვნამდეც მიგვიყვანოსო – ამგვარ, არცთუ უსაფუძვლო ვარაუდს გამოთქვამს ფ. გოგიჩაიშვილი („ივერია“ 1905. №40). თბილისის საბჭოში შეიკრიბა კავკასიის სხვადასხვა კუთხის ბურჟუაზია სომხის ხალხის საჭიროებათა გამოსარკვევად. მათ შორის შავი ზღვის ნაპირებზე დროებით დასახლებულ 30 ათას სომეხს თავის წარმომადგენლად სწორედ ა. ქალანთარი აურჩევია. შეკრებილ სომეხთა შეუმუშავებიათ „ამიერკავკასიის სომეხთა პეტიცია“. სადაც განუცხადებიათ, რომ ოსმალეთიდან გადმოსახლებულ სომეხებს, რომლებიც რუსეთის ქვეშევრდომობას მიიღებენ, კავკასიაში ნადელები მიეცეთ და დასახლებულ იქმნენ („ივერია“ 1905. №60). ფ. გოგიჩაიშვილის თვალსაზრისით, პეტიციის ზემოთ აღნიშნული მუხლით საჯაროდ ცხადდება შემდგენთა სურვილი:

სომხობისათვის ტერიტორიის გაფართოება კავკასიაში („ივერია“ 1905. №61).

ამ ფაქტით, გარდა მნიშვნელოვანი მომენტისა, იკვეთება სომეხთა გასაოცარი თანადგომა საკუთარი თანამომხმეების ინტერესების დასაცავად. საყურადღებოა ამ მაგალითის განსაკუთრებულობა იდენტობის დაცვა/შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. სომეხთა აღშფოთებას იწვევს მედიის აქტიურობა.

„ივერიის“ აქტიურობას თავის მხრივ ტერიტორიული ინტერესების დაცვის მიზნით, აუღელვებია სომხური ბურჟუაზია და თავიანთ გაზეთ მშაკში გამოუქვეყნებიათ კრიტიკული წერილი, სადაც „ქართველ ნაციონალისტთა“ მსხვერპლად გამოუცხადებია ა. ქალანთარს სომხური ბურჟუაზია. ქვეყნდება „მშაკში“ გამოქვეყნებული წერილები შემოკლებით, რათა ქართველმა მკითხველმა იცოდეს სომეხების აზრი („ივერია“ 1905. №69). აქვე ქვეყნდება ბაგრატ მიკირტუმიანის წერილიც. „ივერიაში“ აქტიურმა მსჯელობამ ამ საკითხთან დაკავშირებით საგონებელში ჩააგდო სომხური ბურჟუაზია და მშრომელი ხალხიც კი, რომელიც თავისკენ მიიმხრო, ეროვნული საკითხის გარშემო შემოიკრიბა ისინი. ამის ნიმუშად იბეჭდება სწორედ მითითებული მიკირტუმიანის წერილი, რომელიც კიდევ ერთხელ ადანაშაულებს „ივერიას“ და მის გუნდს სომეხების დევნა-შევიწროებაში. წერილი ასე იწყება:

ქალაქ ადგილებში და სოფლებშიაც ბეჭდურ სიტყვისა სჯერა და სწამს ხალხს ისე, როგორც ციდან მოვლენილი მანანა. გლეხებსა და მდაბიო მკითხველებს ყველაფერი, რასაც აცხადებს პრესა წმინდა და შეუმცდარი ჰგონიათ. გაზეთი, როგორც მქადაგებელი, ყოველ კუთხეში ვრცელდება, ხალხის ყველა წრეს ედება და გარკვეულ მიმართულებას ანიჭებს. გაზეთი მკით-

ხველს თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებას უყენებს და ასწავლის, თუ როგორ მოიქცეს იმათ შესახებ („ივერია“ 1905. №69).

ეპიზოდი საინტერესოა მედიის დანიშნულებაზე და ზემოქმედების ძალაზე საუბრის თვალსაზრისითაც, რომ გაზეთს დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანზე. აღსანიშნავია ისიც, რომ პუბლიკაციის ავტორი რიგითი მუშა გახლავთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ერთბაშად მრავალი უცხო ელემენტის „დროებით“ შავი ზღვის ნაპირებზე დასახლების საწინააღმდეგო თვალსაზრისს გამოთქვამდა ფ. გოგიჩაიშვილი. იგი ფიქრობდა, რომ ეს საბოლოოდ დასახლებულთა გვარ-ტომობის მიხედვით ტერიტორიის ეროვნულ განაწილების მოთხოვნამდე მიგვიყვანდა. მალევე გამართლდა მისი ვარაუდი. ამის ნათელი დადასტურებაა „ივერიაშივე“ გამოქვეყნებული წერილი ემიგრანტის პასუხი. ემიგრანტს ოსმალეთიდან გამოსულთა უფლების ისტორიულად გამოკვლევა უცდია და გამოურკვევია, რომ მათ როგორც „პონტოელებს“ დიდი უფლება აქვთ შავი ზღვის ნაპირებზე დასახლებისა („ივერია“ 1905 №86). ემიგრანტის „ისტორიულ“ გამოკვლევას ფ. გოგიჩაიშვილი უპირისპირებს ტერიტორიაზე და ერზე თეორიულ მსჯელობას („ივერია“ 1905. №187). სტატიის მიზანია იდენტობის არსებობისათვის ტერიტორიის მნიშვნელობის პროპაგანდა და იდეური მხარდაჭერის მოპოვება ეროვნული მიწა-წყლის დაცვის საქმეში.

მშრომელი ხალხის კლასობრივ ბრძოლის ნაყოფიერობა დამყარებულია არა მუშტსა ან თოფის სროლის ცოდნაზე, არამედ შეგნებასა და გონებრივ განითარებაზე. უცხო ხალხის გამრავლება და მასში პატარა ერის ყოფნა სრულიად მშვიდობიანადაც, ძალდაუტანებლადაც იწვევს უკანასკნელის ეროვნულ

გადაგვარებასა და გადაშენებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას იმდენად მაღალი კულტურა არ აქვს შექმნილი, რომ შეეძლოს თავათ ამ კულტურის ძალის მეოხებით წინააღმდეგობა გაუწიოს უცხოელთა გადამგვარებელ ზეგავლენას. გადაგვარების დაწყება გამოიხატება, სხვათა შორის, ენის არევასა და, მაშასადამე, გონებრივ განვითარების აუცილებელ იარაღის დაჩლუნგებაში. მშრომელ ხალხს, რომელმაც მხოლოდ თავისი დედა-ენა იცის, მხოლოდ ამ ენაზე შეუძლიან აზრის გაგება, ცოდნის შეძენა და, მაშასადამე, კლასობრივ ბრძოლასაც უფრო ნაყოფიერად წარმართვა, ესაჭიროება ამ ენაზე პრესა, მწერლობა, მეცნიერება, ესაჭიროება სკოლა და სხ. მრავალრიცხოვან უცხო-ეროვნების ხალხის ზეგავლენით გამოწვეული გადაგვარება არის, მიუხედავად იმისა, ეროვნულ ბრძოლით თუ მშვიდობიან კულტურულ მუშაობით იწვევს ის უცხო ხალხი ამ გადაგვარებას („ივერია“ 1905. №187).

ავტორი მიუთითებს, რომ ეს გარემოება იწვევს პატარა ერის გადაგვარებას, მისი კულტურული განვითარების შეფერხებას თუ კულტურული ნიადაგის დაკარგვას.

ტერიტორია აუცილებელი საფუძველია ხალხის მრავალმხრივ კულტურული ცხოვრების განსავითარებლად და ამიტომ ის, ვინც იცავს ეროვნულ ტერიტორიის მთლიანობას და იმავე დროს შინაურ სოციალ-ეკონომიურ განწყობილებაში მხარს უჭერს მშრომელ ხალხის ინტერესებს, ნამდვილი მეგობარია ხალხისა, ვინაიდან ამ გზით მიმართვა ხალხის სოციალ-პოლიტიკურ აზროვნებისა და მოქმედებისა განსაკუთრებით საჭირო და სასარგებლოა ჩვენს მდგომარეობაში მყოფ ეროვნებისათვის („ივერია“ 1905. №187).

ეს მსჯელობა გამოიწვია ოსმალეთიდან გადმოსახლებულ სომხებისათვის ნადელების გამოყოფის მოთხოვნამ. გაზეთი არ უჭერს მხარს

ჩვენი თავის-თავად ვიწრო ადგილი ოსმალეთიდან გადმოსულთათვის საკოლონიზაციო ადგილად გამოაცხადონო. „მშაკისათვის“ საკმაო საბუთია, რომ უცხო სახელმწიფოებიდან მოსულებმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღონ ნადელების მოსაპოებლად. ეს ბავშვური აზრი მას საბუთად მიაჩნია. აბა, ოსმალეთის რომელი პროლეტარი იტყვის უარს რუსეთის ქვეშევრდომობაზე, თუ მას მიწას მისცემენ და მესაკუთრედ გახდიან. ჩვენ პირობას ვაძლევთ „მშაკის“ რედაქციას, რომ ქართველ უმიწაწყლო გლეხებში ვიშოვით ისეთებს, რომელნიც სიამოვნებით გადავლენ გერმანიაში, თუ იქ მათ მიწას მისცემენ და დაასახლებენ („ივერია“ 1905. №187).

ბეჭდურმა მედიამ დევიზად გაიხადა „საქართველო ქართველებისათვის“. აკრიტიკებს შავი ზღვის ნაპირებიდან ჩამოსულ ქართველ თავადს<sup>16</sup>, რომელიც მხარს უჭერდა ოსმალეთიდან ჩამოსულ სომხებისთვის ნადელების გამოყოფას იმ მოტივით, რომ ისინი მისთვის ოქროს მადანს წარმოადგენდნენ. ეს თავადი სამეურნეო საზოგადოებაში თხოულობდა: თუ ღმერთი გწამთ, არ დამღუპოთ! სომეხი მეთუთუნეები რომ გადაასახლოთ სადმე მე დავიღუპებიო („ივერია“ 1905. №187).

თუ როგორ იბრძოდა მედია ტერიტორიული იდენტობის დაცვა-შენარჩუნებისათვის ამის ნათელი მაგალითია ამავე ნომერში გამოქვეყნებული სტატია „დავუჯეროთ?“, რომელიც სომხურ გაზეთ „მშაკიდან“ არის გადმობეჭდილი. წერილი ზემოთხსენებულ სომხების საკითხთან დაკავშირებით ქართული პრესის დამოკიდებულების საკითხს შეეხება. სომეხი

---

<sup>16</sup> „ცნობის ფურცელის“ ინფორმაციით გამოირკვა ქართველი თავადის ვინაობა. ეს არის თავადი პოლიკარე ლ. შერვაშიძე (ხაზი ჩემია – ქ.მ.).

დეპუტატების პეტიციას სომეხი პროლეტარიატისთვის მიწის გადაცემის საკითხში ქართულმა პრესამ დიდად შეუშალა ხელი:

აყალ-მაყალი ასტეხა ამ მუშა ხალხისა და პროლეტარიატის წინააღმდეგ. სომეხ ინტელიგენციასა და ბურჟუაზიას ქართულმა პრესამ თავს მეხი დაატეხა მხოლოდ იმიტომ, რომ მან ადამიანის უფლებანი მოითხოვა ამ ტიტველა ბრბოსთვის („ივერია“ 1905. №187).

1905-1906 წლებში მიმდინარე დაუმორჩილებლობის მოძრაობას მასობრივი რეპრესიები მოჰყვა საქართველოში. „ერთობის ქადაგების“ ბრალდებით ხელისუფლების მოხელეები დაერივნენ სამურზაყანოს მოსახლეობასაც, როგორც საქართველოს სხვა მხარეებში. რეპრესიებს ხელმძღვანელობდა პოლკოვნიკი ხორძინსკი. „მოქადაგე-აგიტატორის“ ბრალდებით დაუპატიმრებიათ ს. საბერიოს მცხოვრები დავით ჩქოტუა, ტუგუ ხორავა და მასწავლებელი ნინო ლუკავა („ცნობის ფურცელი“ 1906. №3032).

როგორც განხილული მასალა მოწმობს, რუსული მმართველობის იმპერიული მიზნები ისტორიული ქართული მიწაწყლის დენაციონალიზაციას ემსახურებოდა. ქართული მიწის ქართველთა ხელში შესანარჩუნებლად ბეჭდური მედია სახელმწიფოს არსებობისათვის ტერიტორიის ფლობის აუცილებლობაზე მსჯელობებით მკითხველ საზოგადოებას უღვივებდა ნაციონალურ გრძნობას და საკუთარი მიწა-წყლის დაცვისაკენ მოუწოდებდა.

**თავი მეორე.**

## **ლინგვისტური იდენტობა აფხაზეთში**

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისით, ენა იდენტობის უმთავრეს მახასიათებელს წარმოადგენს.

შიდა-ჯგუფურ კოჰეზიას განაპირობებს, უპირველეს ყოვლისა, ენის კომუნიკაციური ფუნქცია. ენა, როგორც ასეთი, იძლევა არა მარტო კულტურის მონაპოვრების, არამედ სოლიდარობის სენტიმენტების და იდეოლოგიების ცირკულაციის საშუალებას. ამგვარად, ენა ხელშემწყობ ვითარებას ქმნის ჯგუფის ჰომოგენურობისა და ექსკლუზიურობისათვის. ამასთან ერთად ენას აქვს სიმბოლური მნიშვნელობაც, რომელიც უკავშირდება ჯგუფის წევრების თვითაღქმებს, მათ მიერ იმის განცდას და რწმენას, რომ მშობლიური ენა განსაკუთრებულია, საღვრთოა, კურთხეულია, და ა.შ. ამდენად, ენა არა მარტო კომუნიკაციის, არამედ კულტურული მონაპოვრების გავრცელების საშუალებასაც წარმოადგენს (ჩხარტიშვილი, მანია 2010: 472-483).

XIX ს-ს II ნახევარში რთული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა ქართული იდენტობა. რუსეთის იმპერიული პოლიტიკა გააფთრებით უტევდა ყოველივე ქართულს. რეჟიმის მთავარი სამიზნე გახდა იდენტობის ენობრივი მახასიათებელი. დაიწყო საგანმანათლებლო სივრცის რუსიფიკაცია. ქართული სასწავლებლებიდან საერთოდ ამოიღეს ქართულ ენაზე სწავლება და ქართველი ყმაწვილების აღზრდა ქართულის არ მცოდნე მასწავლებლებს ჩააბარეს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მედიაში ინტენსიური მსჯელობაა გამართული დედა ენის მნიშვნელობის, პირველდაწყებითი განათლების

მშობლიურ ენაზე მიღების, საერთოდ, სასწავლებლებსა და ოჯახში ქართული ენის ფუნქციის საკითხებზე. დედააზრი ამ წერილებისა მდგომარეობდა იმაში, რომ ხალხის განათლება, რომელიც უარყოფდა დედა ენის შუამდგომელობას პირველ-დაწყებითი განათლების გადასაცემად, გახსნის მაგიერ გონებას უხშობდა ახალ თაობას, გონებითად და ზნეობითად ამდაბლებდა და აღარიბებდა მას. ერთი სიტყვით, პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ხალხის განათლების დანიშნულებას (მანია 2017: 225-238). ამ მხრივ გამონაკლისს არც აფხაზეთი წარმოადგენდა. აქ ისეთივე რთული ვითარება შეიქმნა როგორც დანარჩენ საქართველოში. სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, სასტიკად იღვევებოდა ქართული ენა, ჰქონდა ადგილი მისი ჩანაცვლების მცდელობებს აფხაზეთში.

სასწავლებლებში არსებული ქართული ენის უნუგემო ვითარებას თვალსაჩინოდ ასახავს საქალეზო სკოლის გახსნასთან დაკავშირებით „დროებაში“ გამოქვეყნებული ინფორმაცია:

შარშან სოხუმში, უმაღლესის ბრძანებით, გაიხსნა საქალეზო შკოლა. წელს ეს შკოლა სამკლასიან საქალეზო პროგიმნაზიით გადააკეთეს. პროგიმნაზია დანიშნულია ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის... პროგიმნაზიაში ასწავლიან სამღვთო წერილს, რუსულ ენას, რუსეთის გეოგრაფიას, რუსეთის და შემოკლებით საზოგადო ისტორიას, არითმეტიკას, წერას, გალობას და ხელსაქნარს.. („დროება“ 1872. №21).

ამგვარად იყო მოწყობილი არა მარტო საქალეზო, არამედ ყველა სასწავლებელი, რომელთა პირდაპირი დანიშნულება ახალი თაობის და ზოგადად, აფხაზეთის გარუსება იყო. სკოლებში მასწავლებლებად რუსების მოწვევაც ამ მიზანს ემსახურებოდა. ამგვარმა სწავლების მეთოდმა საერთოდ დასცა განათ-



ლების დონე. მოსწავლეებმა არც ქართული იცოდნენ და არც რუსული.

ამიტომაც ბეჭდურ მედიაში უმთავრეს ადგილს იკავებს ზრუნვა ერის განათლების ამალგებაზე, ვინაიდან შეუძლებელია ერის კეთილდღეობა განათლების გარეშე. სწორედ, განათლებული ხალხი ქმნის კულტურულ ერთობას. როგორც ცნობილია, საქართველოში სწავლა-განათლების მხრივ არსებული არასახარბიელო მდგომარეობის უნიფიცირება იტვირთა ილია ჭავჭავაძის თაოსნობით 1879 წელს დაარსებულმა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“. ერის განათლების საკითხის მოგვარების მიზნით წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით საქართველოს სხვადასხვა პროვინციებში არსდება სხვადასხვაგვარი სკოლები, წიგნთსაცავები, დამხმარე საზოგადოებები. ამ თვალსაზრისით საინტერესო მასალებს ვხვდებით მედიაში, რომელთა შორისაც საყურადღებოა აფხაზეთიდან თბილისში კავკასიის ნამესტნიკთან საშუამდგომლოდ ჩამოსული დელეგაცია 11 წევრის შემადგენლობით. დელეგაციას მიუმართავს თხოვნით, რომ გლეხების განთავისუფლების შემდეგ დარჩენილი თანხა ასი ათასი მანეთი და თავად დიმიტრი ჭავჭავაძის მიერ შემოწირული თანხა ოცი ათასი მანეთი შეუერთონ თბილისის ან ქუთაისის საადგილმამულო ბანკს და ამ ფულის შემოსავალი მოახმარონ აფხაზეთში და სამურზაყანოში განათლების საქმეს („დროება“ 1881. №2).

ბეჭდური მედია ყურადღებას აქცევს იმგვარ ფაქტებს როგორც არის განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის, მაჰმადიანი აფხაზების განათლება. ამ საკითხსაც შეეხება თ. სახოკია წერილში „სწავლა-განათლების საქმე აფხაზეთში“.

ხალხში გავრცელებული ყოფილა აზრი სასულიერო მთავრობის განზრახვის – სოხუმის სამთო სკოლის სასულიერო სასწავლებლად გადაკეთების შესახებ, სადაც მხოლოდ მართლმადიდებელი აფხაზები შეძლებდნენ შესვლა. იგი აღნიშნავს, რომ ეს ერთადერთი სკოლაა, სადაც მაჰმადიან აფხაზებს შეუძლოთ განათლების მიღება და ისინი სკოლის გარეშე დარჩებიანო. ამიტომაც მიმართავს სასულიერო მთავრობას, როდესაც ამ საკითხზე იქნება მსჯელობა ეს ფაქტიც გაითვალისწინონ („მოამბე“ 1896. №4: 108).

იქვე ფრიად აღმაშფოთებელ ფაქტსაც მოიხმობს, რომელიც რუსულ გაზეთ „ახალს მიმომხილველში“ გამოუქვეყნებია წელენჯიხელ კორესპონდენტს. კორესპონდენტი დასწრებია სამეგრელოში ლევიცკის მეთოდით გაკვეთილის ახსნას: „მასწავლებელმა შემდეგი თემა აიღო ასახსნელად: „ქათამმა კვერცხი დასდო; კაცი მიეპარა და შესჭამა“. მასწავლებელმა ჯერ კაკანი დაიწყო, ქათამსავით, მერე ჯიბიდან კვერცხი ამოიღო, პირში ჩაიღო და პირიდან ნელ-ნელა გამოუშვა. ამითი გააგებინა მსმენელთ: ამას ჰქვია „დადება კვერცხისაო“. მერე მასწავლებელმა კვერცხი მაგიდაზე დასდო, მიეპარა, აიღო, შესჭამა, ნაჭუჭი კი იატაკზე დაჰყარა.

ხალხის აღფრთოვანება გამოიწვია ცოდნის ასამაღლებლად გაჩაღებულმა საყოველთაო მოძრაობამ. მაგრამ არ გასულა დიდი ხანი, რომ სასწავლო დაწესებულებები საზოგადოების გულშემმატკვირობას მოკლებულნი, ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ბეჭდურმა მედიათა თავის თავზე აიღო სასწავლებლების ხელშეწყობისათვის პროპაგანდა. ივერია ქართველთა სიფხიზლის სადარაჯოზე დგას და მიძინების უფლებას არ აძლევს ქართველებს, მოუწოდებს სრულიად ერს, ვისაც

სწავლა-განათლებაზე გული შესტკივა, სკოლების გასაუმჯობესებლად შესაბამის ღონისძიებებს მიმართონ (ივერია 1887. №6).

საამისოდ გაზეთი იმგვარ გარემოებებზე აკეთებს აქცენტებს, რომლებიც ხელს შეუწყობს სწავლა-განათლების წარმატებას. ამ მხრივ საყურადღებოა აფხაზეთის ახლად დანიშნული ეპისკოპოსის, გენადის შეხედულებები (ეს შეხედულებები მოცემულია ა. ჯუღელის კორესპონდენციაში). მისი თვალსაზრისით, აუცილებელი იყო სასულიერო პირების აქტიური ჩართულობა განათლების ამალგებაში. ამისთვის პირველ რიგში ადგილობრივი სასულიერო კადრები უნდა მოემზადებინათ:

თუ არა აფხაზეთისავე ღვიძლი შვილი სხვა აქ ვერაფერს გახდებოა. თვით ქრისტეს მქადაგებელნი და მოციქულნი ქრისტეს სწავლას მანამდისინ არ ასწავებდნენ ერს, სანამ იმ ერის ენას, ზნე-ჩვეულებას შეისწავლიდნენ ხოლმეო. ჩვენც უნდა ვეცადოთ ამ ხალხის თითო-ოროლა წარმომადგენელს ვასწავლოთ და შემდეგ იმათ მივანდოთ თავის ღვიძლის ერის გაწვრთნაო.

აქვე სიხარულით იუწყება ავტორი ოთხკლასიანი სასწავლებლის დაარსების ინიციატივის შესახებ, თუმცა გულისტკივილით დასძენს – ერთი სკოლა საკმარისი არ იქნება აფხაზეთის 70 ათასი მცხოვრებისთვისო („ივერია“ 1887. №94).

მშობლიურ ენაზე, განათლების აუცილებლობაზეა საუბარი ა. ენგურელის წერილში სამურზაყანოდან. კორესპონდენციაში აღწერილია სამურზაყანოს ბუნებრივი მდებარეობა, ნაყოფიერი სახნავ-სათესი მიწები და ტყე. მითითებულია, რომ ასეთი სიმდიდრის მიუხედავად აქაურები მაინც სიღარიბეში ცხოვრობენ.

აქაური ახალგაზრდობა, განსაკუთრებით თავად-აზნაურობა, ნაცვლად იმისა, რომ თვისი ნიჭი, მტკიცე ხასიათი, მხნეობა, გამბედაობა და სიმარდე, რომელიც მისი ბუნებური თვისებაა, მოახმაროს კეთილ საქმეს, სწავლა-განათლებისა და სიმდიდრის შექმნას – ქურდობასა, ყაჩაღობასა, მარცვა-გლეჯასა და ჩხუბში, კაცის კვლასა და ცხენით სეირნობაში ატარებს დროს („ივერია“ 1893. №237).

ამის მიზეზად კი არამართებული სწავლაა დასახელებული. აქ არ იყო არც ერთი ხეირიანი სასწავლებელი, რომელიც ცოტათი მაინც დააკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებას. სოხუმში, ოჩამჩირეში, ოქუშსა და დიხაზურგაში არსებული ორკლასიანი სასწავლებელი არ ემსახურებოდა ხალხის სწავლა-განათლებას. ამ სკოლებში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, რაც დამლუპველ შედეგებს იძლეოდა: ბავშვები იზეპირებდნენ რუსულ სიტყვებს მათი ქართული მნიშვნელობის ცოდნის გარეშე. როდესაც კორესპონდენტს უკითხავს მასწავლებლისთვის ამ სავალალო მდგომარეობის შესახებ, მასწავლებელს უთქვამს:

ჯერ ზეპირად ვასწავლი ისტორიას ყმაწვილებს, შემდეგ-კი, გაისათ, რადგან ქართულად ახსნის ნება არა გვაქვს, მეგრულად ავუხსნიო... სხვა დონე არ არის; აქაური პროგრამა მოითხოვს, რომ შევირდეშმა იცოდნენ რუსულად ლოცვები, ძველისა და ახლის აღთქმის ისტორია, და, რადგანაც ბავშვებმა რუსული არ იციან, ამიტომ იძულებული ვარ ზეპირად ვასწავლო („ივერია“ 1893. №237).

ოჩამჩირის მოსახლეობას თხოვნით მიუმართავს ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორ ფ. ლევიცკისთვის ოჩამჩირის ნორმალური სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლის დანიშვნის თაობაზე, მაგრამ უშედეგოდ. მოსა-

ხლებას ხელი არ ჩაუქნევია. ამჯერად გადაუწყვეტია უმაღლეს მთავრობას მიმართონ თხოვნით („ცნობის ფურცელი“ 1897. №399).

როგორც ვხედავთ, პოლიტიკური რეაქციის პერიოდიდან (XIX ს-ის 80-იანი წლები), საქართველოში გამოიკვეთა ქართული ენის უმაგალითო დევნა სკოლებიდან, სახელმწიფო დაწესებულებებიდან, ეკლესიიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე აფხაზეთის სასწავლებლებში, როგორც დანარჩენ საქართველოში სწავლა მთლიანად რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ქართულის ხსენება არ იყო ისეთ სასწავლებლებშიც, სადაც მოსწავლეთა უმრავლესობას ქართველები შეადგენენ. ამგვარ ვითარებას აღწერს „ივერია“ გუდაუთის ერთკლასიანი სასწავლებლის მაგალითზე („ივერია“ 1892. №268).

აფხაზეთ-სამურზაყანოს სასწავლებლებში მამა ამბროსი კავკასიძის ზედამხედველობის დროს „კავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოების“ სკოლებში „კიდევ ედგა სული ქართულ ენასა; დედა-ენაზე ხელის მოწერას მაინც სწავლობდნენ ბავშვები“ თ. სახოკიას გადმოცემით. მაგრამ აფხაზეთ-სამურზაყანოში „ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოების“ სკოლების ზედამხედველად მღვდელ კავჯარაძის დანიშვნის შემდეგ „დაადგა შავი ორშაბათი ამ სკოლებში“. მამა კავჯარაძეს თავის მიზნად გაუხდია „დათრგუნვა ქართულის ენისა“ და ქართულის სახსენებლის მოსპობა მის საზედამხედველო სკოლებში, საამისო ბრძანებაც გაუცია – ქართული არამც და არამც არ ასწავლოთო. სწორედ მამა კავჯარაძემ გაანთავისუფლა ოქუძის სკოლის მასწავლებელი ივანე გეგია ქართულის სწავლების გამო „კაცი ერთგული თავისის საქმისა, ყოვლად უანგარო, ყველასი საყვარელი და ყველასგან პატივცემული“.

ამგვარი ქმედებების გამო სოხუმის და შავიზღვისპირეთის ოლქების ბლალოჩინთა კრებამ არ აირჩია სოხუმის საოლქო ზედამხედველად. უპირატესობა რუს მღვდელს მიანიჭეს ჩვენებურმა მღვდლებმა „დეე, უცხომ გაგვყიდოს, ვიდრე ჩვენებურმაო“ („მოამბე“ 1895. №11: 122). ჩვენებურში წარმომავლობით გურული მამა კავჯარაძე იგულისხმებოდა. მამა კავჯარაძე იყო რუსეთის ხელისუფლების სამსახურში ჩამდგარი გადაგვარებული ქართველი მოხელე. ასევე ანტიქართულ საქმიანობას ეწეოდა ოჩამჩირის ნორმალური სასწავლებლის ზედამხედველი ბორის ხორავა. ეს ნათლად ჩანს შემდეგ ეპიზოდში. სოხუმის საეპარქიო სამოსწავლო საზოგადოებას გადაუწყვეტია აფხაზეთ-სამურზაყანოს სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლების საჭიროების გამორკვევა. ამ მიზნით საბლალოჩინოებს დაევალა მღვდლების საშუალებით ხალხის აზრის დადგენა – უნდოდათ თუ არა ბავშვებს ქართულად ესწავლათ. აქვე სამი სოფლის სოფელთა კრების გადაწყვეტილებას იტყობინება თ. სახოკია, რომელსაც დაუდგენია:

ქართული ენა – ჩვენი დედა-ენაა, წირვა-ლოცვა ქართულად უფრო გვესმის, შინაურობაში ქართულის ცოდნა ჩვენთვის უფრო გამოსადეგია და, გარდა ამისა, თვით რუსულის შესწავლა ქართულის ენის საშუალებით უფრო უადვილდება ჩვენს ბავშვებსაო („მოამბე“ 1895. №11: 124).

ბ. ხორავას თავის გამოჩენა გადაუწყვეტია, შეუდგენია მოხსენება სოხუმის ეპისკოპოსთან იმის თაობაზე, რომ მეგრელთათვის ქართული ენა უფრო ძნელი გასაგებია, ვიდრე რუსულიო, მარტო ქართველები თუ იტყვიან, რომ მეგრელსა და ქართველს გასაყოფი არა აქვს რაო. ბ. ხორავა ოჩამჩირლებს

სთხოვდა ხელი მოეწერათ ამ მოხსენებისთვის „იქნება, ქართული ენა როგორმე მოგვაშორონო“. მაგრამ აღფრთოვანებას ვერ მალავს ავტორი „მანდაურებმა კუდით ქვა ასროლინეს თურმე“. თუმცა, 14 ხელისმომწერი მაინც აღმოჩნდა ამ მხარეში („მოამბე“ 1895. №11: 125). საფიქრებელია, რომ ანტიქართული საქმიანობის გამო მოკლეს ზედამხედველი ბორის ხორავა 1905 წელს გავრცელებული დაუმორჩილებლობის მოძრაობის წევრებმა („ცნობის ფურცელი“ 1905. №2769).

განათლების თვალსაზრისით სამწუხარო მდგომარეობა ყოფილა სამურზაყანოს სამრევლო სკოლებშიც.

სად არის კაცი, რომ მიაქციოს ყოველ ამას ყურადღება და წამალი დასდოს ჩვენს ტკივილს. ამის ნაცვლად სულ სხვა გვარი მოძღვრება ისმის აქეთ, „აშორდიზმი“ იკიდებს ფეხს. ვგონებ, დროა ქართველმა მოწინავე საზოგადოებამ მიჰხედოს სამურზაყანოელებს. თორემ ლამის ეს ერთი მხარე საქართველოსი მოსწყედეს ჩვენს საერთო სამშობლოს; ლამის გადარჯულდეს და ქართული ენის ხსენებაც-კი აღმოიფხვრას („ივერია“ 1893. №237).

ასეთივე რთულ ვითარებას აღწერს სამსონ დათეშიძე გუდავათის განყოფილებაშიც („ივერია“ 1894 №66). იგი მდგომარეობიდან გამოსავალს განათლების აქტიურ პროპაგანდაში ხედავდა, გაზეთის ფურცლებიდან მოუწოდებს საზოგადოებას ხალხს შეაყვაროს სწავლა და დაანახოს სკოლის კეთილი ნაყოფი. ამისათვის კი საჭირო იყო თითოეულ საზოგადოებაში სასოფლო სასწავლებლის დაარსება. ამ და სხვა მრავალმა მსგავსმა მოწოდებამ სასურველი შედეგი გამოიღო და პრობლემის დაძლევაში ხალხის აქტიური ჩართულობა განაპირობა. აღნიშნული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია კერძო პირების სამაგა-

ლითო მოღვაწეობა, უანგარო სამსახური საზოგადო კეთილი საქმისადმი. ასეთ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ კერძო კაცთა მიერ დაარსებული სამრევლო სკოლები აფხაზეთში. მათ შორის პირველობა ეკუთვნის სოფ. დურიფშის ეკლესიის მედავითნეს სვიმონ ნოდის, რომელსაც გაუხსნია სამრევლო სკოლა. ეს სამაგალითო საქმე ელვისებურად გავრცელებულა აფხაზეთში და სხვებსაც – მღ. იონა ნაჭყებიას სოფ. ბულაბირხვაში, მღ. ამბაკო თოფურიძეს სოფ. ბარმიშში და დიაკონ სამსონ კვაჭანტირაძეს რუსთა ახალშენ ბამბორაში დაუარსებიათ სამრევლო სკოლები. ამ მხრივ საყურადღებოა ასევე, „ცნობის ფურცელის“ კორესპონდენცია გ.დ.-ძე შერვაშიძის მიერ სკოლის ასაშენებლად მიწის და მასალის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე. „საქებარი და მისაბაძი საქმე“ ასე აფასებს გაზეთი საზოგადო საქმისთვის გამოჩენილ კეთილ ინიციატივას („ცნობის ფურცელი“ 1897. №402). ასევე ყურადღებას ამახვილებს გაზეთი გამორჩეულ საზოგადო მოღვაწეებზე. ერთ-ერთი მათგანი არის დ.გუდაუთში ფოსტა-ტელეგრაფის მოხელედ გამწესებული თეოფილაქტე გოგიტიძე. მისი მონდომებით ბევრი სასიკეთო საქმეები განხორციელებულა დაბაში – გამართულა წარმოდგენები, გახსნილა წიგნთსაცავი. მსახურობის ოთხ წელიწადში დაბის წინმსვლელობისთვის მნიშვნელოვანი კვალი დატოვა გაზეთის ინფორმაციით. თ. გოგიტიძის გადაყვანას „დიდ დანაკლისად და საჭირო კაცის გადაყვანად“ ასახელებს „მით უფრო, რომ აქ ინტელიგენტთაგანი არავინ არის“ – აღნიშნავს გაზეთი („ცნობის ფურცელი“ 1897. №392).

როგორც აღნიშნული მაგალითები მეტყველებს, ხალხი აცნობიერებს სკოლის როლს და ფუნქციას სახალხო განათლების საქმეში და აქტიურ მონაწილეობას იღებს ამ მიმართულებით



წარმართულ ინიციატივებში. სკოლებს (გარდა იმისა, რომ განათლების საკითხს მოემსახურებოდნენ) ეკლესიასთან ერთად უნდა ემოქმედა აფხაზეთში გავრცელებული ცრუ-მორწმუნოების ამოსაკვეთად და ჭეშმარიტი ქრისტიანობის შეთვისებაში დახმარებოდა ხალხს, რომელიც ცეკვა-თამაშით შეჰყურებდა სახლის წვას მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ღმერთს ეწყინებო, რადგან სახლი მეხისგან იწვისო.

ცრუმორწმუნოების არაერთი მაგალითია გაზეთებში. აი კიდევ ერთი. მთელ სოხუმის ოლქში ერთი ექიმი და ორი თუ სამი ექთანს ყოფილა, რომლებიც, რასაკვირველია, ახერხებდნენ დახმარებას ავადმყოფთათვის. ამას უგულობა/ზარმაცობაც ემატებოდა და შედეგად წარმოუდგენელი სურათი იყო შექმნილი უექიმობით თუ ექიმის ნაკლებობა/დაუდევრობით. ადამიანები სამედიცინო დახმარების არ აღმოჩენით იხოცებოდა. ამგვარი მდგომარეობით იყო განპირობებული, რომ სოხუმის ოლქის მოსახლეობამ (100 ათასს სულზე მეტი) ავადმყოფობის დროს მოუხშირა მკითხავებთან მიმართვას:

ასწლოვან ხეების ჩრდილში მოდუდუნე მთის ღელეს ნაპირზედ შეგროვილა საკმაოდ ბლომა ხალხი, უფროსებითი მამაკაცი, და დიდის სასოებით თავისს სალოცავს მსხვერპლს სწირავენ, რომ ამით მისი განრისხებული გული მოისყიდონ და შეაბრალონ ლოგინად დავრდომილი, აქავე ცივს მიწაზედ მწოლიარე აფხაზი, რომელიც უვიც მკითხავებისა და მაწანწალა მოლეების შთაგონებით ვითომ იმიტომ გახდა ავად, რომ თავისს სალოცავს ჯეროვანად პატივი ველარა სცაო... („ივერია“ 1898. №22).

ასეთ რთულ ვითარებაში, ეკლესიასთან ერთად სკოლას უნდა შეესრულებინა მნიშვნელოვანი როლი ამ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში.

სწორედ, სანიმუშო საზოგადო საქმეს უნდა გამოეფხიზლებინა ინდიფერენტული საზოგადოება, შეეკრა მძლავრ ერთობად და გაემსჭვალა საკუთარი „ვინაობის“<sup>17</sup> შენარჩუნება-განმტკიცების გრძნობით.

გარდა დენაციონალიზაციის კუთხით გაშლილი საქმიანობისა, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართული ანტიქართველები, აფხაზეთის სკოლები ქართული წიგნების ნაკლებობასაც განიცდიდა („ივერია“ 1892 №141).

ქართულად სწავლების აკრძალვას ისეთი სავალალო შედეგი გამოუღია, რომ ძალიან შემცირებულა მოწაფეთა რიცხვი აფხაზეთში, რასაც შეიძლება სასწავლებლების დახურვა გამოეწვია. ამიტომაც ბეჭდური მედია ცდილობს მთლიანად ქართული საზოგადოების ჩართვას მდგომარეობის გამოსწორებაში. მოუწოდებს სრულიად ქართველობას ქართული წიგნების გახშირება-გავრცელების საქმეში აქტიურობისაკენ. „ივერიის“ ინფორმაციით, ბ-ნი კ. თავართქილაძის გამოგზავნილი „ვეფხისტყაოსანი“, „თამარიანი“, დუტუ მეგრელის და ნინოშვილის მოთხრობები რამდენიმე ცალი მალევე გაყიდულა. წიგნებით მომარაგება დიდ დახმარებას გაუწევს ქართულ წიგნებს მონატრულებს, სახლში მაინც შეძლებენ წაკითხვას („ივერია“ 1895. №131).

როგორც ვხედავთ, აშკარად გამოკვეთილია ხალხის განწყობა ქართული წიგნებისადმი, რომელიც ხელშეწყობას ორი

---

<sup>17</sup> ტერმინი „ვინაობა“ ილია ჭავჭავაძის შემოღებულია, რომელიც იდენტობის ფარდი უნდა იყოს (ჩხარტიშვილი, მანია 2011: 106).

მიმართულებით საჭიროებდა: პირველი ეს იყო წიგნებით მომარაგება, მეორე – სამკითხველოების გახსნა. აღნიშნული მიმართულებებით მუშაობის გააქტიურება კი დიდ სარგებლობას მოუტანდა ხალხის გონებრივ გამოფხიზლება-განვითარებას, გრძნობათა გაკეთილშობილებას. ასეთი განსაკუთრებული დანიშნულების გათვალისწინებით, ხშირად აქვეყნებს წერილებს მედია სამკითხველოების გახსნის აუცილებლობა-სარგებლიანობის თაობაზე. მედიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა ოქუმის წიგნთსაცავის დაარსების შესახებ გამოქვეყნებულ ინფორმაციას. დიდი თანაგრძნობა გამოუცხადეს წიგნთსაცავის დაარსების ინიციატორ ივანე გეგიას:

ფრიად სასიამოვნოა ის ერთობრივი შეგნება ამ დიადის საქმის მნიშვნელობისა და ის სიყვარული, რომელიც წიგნთსაცავის დამაარსებლის სახელზე გამოგზავნილ წერილებში ეტყობათ ამ უკანასკნელთა ავქსონებს. ერთი მათგანი უგზავნის ხუთს მანეთს, თავისს ღარიბ და ხელმოკლე ნაცნობებში ხუთ-ხუთ შაურობით მოგროვილსა და თანაც სწერს: „ამას წინეთ „ივერიის“ ფურცლებზე ამოვიკითხეთ თქვენი წერილი, რომელიც ღირსია თანაგრძნობისა ყველა იმ ქართველისაგან, რომელსაც ოდნავაცაა შესტკივა გული ჩვენი ბეჩავი ერის წარმატებისათვის“... წერილის ბოლოს ის აზრია გატარებული, რომ ჩვენს ერს განათლების სხივი უნდა მოვფინოთ, ვინ იცის, შემდეგში „ცხოვრების გაზაფხული დაგვიდგესო“ და სხვ. მერე ამასა წერს, როგორც ეტყობა, კაცი, რომელსაც სკოლის გარეშე უსწავლია წერა-კითხვა და ქართულ წიგნებზე აღზრდილა და განვითარებულა („მოამბე“ 1896. №12: 27).

ამ ეპიზოდში საყურადღებოა მკითხველის აღქმა განათლების საჭიროების და მისი ხელშეწყობის თვალსაზრისით.

1895 წლის 151-ე ნომერი სასიხარულო ამბავს იუწყება მთავრობისგან დ. ოქუმიის სამკითხველოს გახსნის ნებართვის თაობაზე, მხოლოდ შემდგომ დახმარებას მოითხოვდა ეს საქმე. ქართველი საზოგადოება ახლა წიგნით და ფულით უნდა მიშველებოდა, რომ კეთილად აღსრულებულიყო ეს საქმე.

იმედია, არავინ დაიშურებს თავისს წვლილს ამ კეთილი საქმისთვის: მით უფრო, რომ დღეს სამურზაყანო განსაცდელშია, უკანასკნელ მდგომარეობაშია და, თუ დროზე არ მივეშველეთ, ლამის სულ გადარჯულდეს ეს მხარე („ივერია“ 1895. №151).

ასევე, სოხუმის საზოგადოებასაც გამოუთქვამს სურვილი წიგნთსაცავ-სამკითხველოს დაარსების თაობაზე. გაზეთიც მიესალმება ამ შესანიშნავ ინიციატივას

ვუსურვოთ ამ პატიოსან მუშაკთ, რომ მათ სასურველად დაუგვირგვინდეთ ეს სასიხარულო მეცადინეობა ჩვენს მრავალტანჯულს დედა-ენას (ქართულს – ქ.მ.) და ფესვებს გაუმაგრებს იმისთანა ქალაქშიაც, რომელსაც უცხო ელემენტები (რუსული – ქ.მ.) ისე მოსწოლიან აქეთ-იქიდან, რომ საცაა სრულიად დაუკარგავენ მას ეროვნულს ელფერს („ივერია“ 1896. №44).

ამ მონდომებას შედეგიც მოჰყოლია. საზოგადოებას უზრუნია სამკითხველოს დასაარსებლად შესაბამისი სახსრების მოძიებაზე. დაუგეგმიათ წარმოდგენები აღნიშნული საქმის სასარგებლოდ, შეუგროვებიათ ხელმოწერები თანხის შესადგენად, თუმცა ეს მონდომება არ აღმოჩნდა საკმარისი. კორესპონდენტი იმედს გამოთქვამს, რომ სამაგალითო გახდება გუნდის მონდომება, ქართული საზოგადოებაც გამოიჩენს შესაბამის გულისხმიერებას და გაიღებს დახმარებას სამკითხველოს სასარგებლოდ.

წარმოდგენილი კორესპონდენცია ყურადღებას იპყრობს იმ თვალსაზრისითაც, რომ სამკითხველო არა მარტო „გონებრივი სალარო“ იქნებოდა როგორც ამას „ივერიის“ პუბლიცისტები უწოდებენ, არამედ ფესვებს გაუმაგრებდა დედაენას ე.ი. ქართულს, ქალაქში, რომელსაც უცხო ელემენტები (რუსული) მოძალებია და ეროვნულ ელფერს გადაშენებით ემუქრება. ეს ხდება იმ ქალაქში, სადაც მოსახლეობის ძირითად ნაწილს ქართველები შეადგენდნენ (ასეთ სურათს იძლევა რამდენიმე კორესპონდენცია, რომლებსაც ნაშრომში განვიხილავ). ამან უნდა ააღელვოს სრულიად ქართველობა და ყველამ ერთად შეუწყოს ხელი სამკითხველოების გამრავლებას. როგორც ჩანს, საზოგადოების დაწინაურებულმა ნაწილმა გააცნობიერა საფრთხე და გაისიგრძეგანა მოსალოდნელი საფრთხის შედეგები. საზოგადოების ამ ნაწილმა აქეთვე წარმართა მთელი ყურადღება.

მედია რომ საუკეთესო იდეალების განხორციელებას უწყობდა ხელს, ეს დასტურდება ყოველი კორესპონდენციიდან. აი, კიდევ ერთი ფაქტი. 1895 წელს კერძო პირის თ. გოგიტიძის მონდომებით დაბა გუდაუთში დაუარსებიათ სამკითხველო („ივერია“ 1894. №265), რომელიც ასევე, შემდგომ მხარდაჭერას და თანადგომას საჭიროებდა. ივერიის მოწოდებას მატერიალური დახმარების თაობაზე სათანადო გამოხმაურება მოჰყვა. გაზეთი გვაცნობს („ივერია“ 1896. №81) იმ პირთა სახელებს (მათ შორის ვრცელი ინფორმაცია დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია იხილოს ო. ჭურღულიას დასახელებულ ნაშრომებში), რომლებმაც დახმარება გაუწიეს სამკითხველოს. დიდია მათი დამსახურება მას-განათლებისათვის ხელშეწყობის თვალსაზრისით. ნათელია, რომ გაზეთი განსაკუთრებულ როლს

ასრულებს საზოგადო საქმისთვის გულშემატკივარი მკითხველი ერთობის შექმნაში.

თუმცა საზოგადო კეთილ საქმეს ყოველთვის გამოუჩნდებოდა ხელის შემშლელი გარემოებებიც. ერთ-ერთ ასეთ ფაქტზეა საუბარი კორესპონდენციაში წერილი სოხუმიდან (ავტორი ხელს აწერს აბუ-კინოს<sup>18</sup> ფსევდონიმით). მარიამ დავითის ასულ შერვაშიძეს გადაუწყვეტია წარმოდგენის გამართვა დედათა სასწავლებლის<sup>19</sup> სასარგებლოდ. დიდი წარმატებით ჩაუვლია წარმოდგენას და შემოსული თანხა მთლიანად გადაუციათ დედათა სასწავლებლის სასარგებლოდ. მაგრამ სანამ ეს კეთილი საქმე განხორციელდებოდა ამ კეთილ წამოწყებას ბევრი ხელისშემშლელი გამოუჩნდა, რომლებსაც ათასნაირი ჭორები გაუვრცელებლობათ, აფიშები ჩამოუგლეჯიათ და წარმოდგენაზე დასწრების სურვილს უკარგავდნენ ხალხს.

არ ვარგივართ, არა... არ გაგიგონიათ რა უპასუხა ვეება გამოქცეულმა ხემ ტყეში მიმავალ მგზავრს, როდესაც უკანასკნელმა უსაყვედურა: ერთი ბეწო, პაწაწინა რკინამ როგორ დაცა მაგოდენა ვეშაპი ძირსაო? მამ მე მოგახსენებთ: „ჩემი ბიძაშვილი ტარად რომ არ ჰყოლოდაო, ვერას დამაკლებდაო“. ცულის ტარებმა ბევრჯელ დასცეს ძირს, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ უშველეს დაცემას, წაქცევას სხვა-და-სხვა ერის საქმისა... („ივერია“ 1893 №52).

წერს აღშფოთებული კორესპონდენტი. მაგრამ ხელისშემშლელებს მიზნისთვის ვერ მიუღწევიათ. აქაური ქართველობა დიდი თუ პატარა სიხარულით დასწრებია წარმოდგენას

---

<sup>18</sup> აბუ-კინო // კონსტანტინე მაჭავარიანი (ჭურღულია 1974: 132).

<sup>19</sup> თბილისის დედათა სასწავლებლის დაარსების ინიციატორი მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანი ყოფილა.

და თავისი თანაგრძნობა გამოუჩენია სცენის მოყვარულთა მიმართ. ხალხი მიხვდა რომ სწავლა-განათლება აუცილებელია მათივე შვილებისთვის.

ქართული ინტელიგენციის აქტიურმა მუშაობამ XX ს. დასაწყისისათვის სასიკეთო შედეგი გამოიღო როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ასევე აფხაზეთ-სამურზაყანოში განათლების აუცილებლობის გაცნობიერების თვალსაზრისით. ხალხმა გაცნობიერა სწავლა-განათლების საჭიროება, ამიტომაც მიუხედავად სიღარიბისა, ხარჯს არ ერიდებოდნენ შვილებს პირველდაწყებითი განათლება რომ მიეღოთ. საყოველთაო ჩართულობით და აქტიურობით მომრავლდა სკოლები. აფხაზეთის მივარდნილ სოფლებშიც კი დაარსდა სამრევლო თუ სამინისტრო სკოლები. მაგრამ ამავდროულად თავი იჩინა არასასიამოვნო ამბავმაც. პირველ წლებში სკოლებში მოსწავლეთა აქტიური მოსწრება აღინიშნებოდა. შემდგომ წლებში კი ნელ-ნელა შემცირდა და ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ სკოლები საერთოდ დაცარიელდა. ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზად „ცნობის ფურცელი“ ასახელებს იმ გარემოებას, რომ სკოლამ ვერ გაამართლა ხალხის იმედი, ვერ ასრულებდა თავის დანიშნულებას, ვერ აძლევდა ელემენტარულ განათლებასაც კი. იქვე გაზეთი ამახვილებს ყურადღებას სკოლის უფუნქციობის კონკრეტულ მიზეზებზე. პირველ რიგში ასახელებს სწავლების „მუნჯური მეთოდს“, უხეირო სახელმძღვანელოებს და მასწავლებლებს. სწავლების მეთოდი ისეთივე გაუგებარი იყო მოსწავლეებისთვის, როგორც მასწავლებლებისთვის. ავტორი გალის და გუდაუთის სოფლებზე აკეთებს აქცენტს და აღნიშნავს, რომ თავისი საქმის მოყვარული, მცოდნე და მასწავლებლის დანიშნულება გაცნობიერებული მასწავლებლები არ იყვნენ სკოლებ-

ში გამოგზავნილი. გამოგზავნილი მასწავლებლების უმეტესობა მასწავლებლად მსახურობდნენ იმ მიზეზით, რომ ჯარში არ გაეწვიათ. ამიტომაც იცვლებოდა ხშირ-ხშირად მასწავლებლები და სწავლებაც უშედეგო ხასიათს იღებდა („ცნობის ფურცელი“ 1904. №2538).

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ბეჭდური მედია დიდად უწყობს ხელს ეროვნული გრძნობების გამძაფრებას და ერთობის შეკავშირებას. ბეჭდური მედია აძლევს ძირითად ბიძგს საერთო ეროვნული მასშტაბის მკითხველთა საზოგადოების ჩამოყალიბებას. ამიტომაც იყო, რომ რუსეთის მთავრობა საგანგებოდ ზღუდავდა ქართული ჟურნალ-გაზეთების გავრცელებას. კორესპონდენცია ოჩამჩირიდან (ავტორი მა ვორეჟ) სწორედ ამ საკითხზე ახდენს აქცენტირებას. ახალ-მოდის ამორდიზმი<sup>20</sup> გავრცელებულა ამ მხარეში, რომლის მიმდევრებიც გაიძახოდნენ თურმე „ოჩამჩირელმა ქართველებმა არ გაჰბედოთ ქართულად ლაპარაკი, არც ქართული წაიკითხოთო“. ინტერნაციონალურ სამკითხველოს დასაარსებლად შემდგარ ყრილობაზე ერთ ქართველს უკითხავს თუ რამდენი ქართული ჟურნალ-გაზეთის გამოწერის უფლება ჰქონდა. ბატონს უპასუხია (ჩვენი დაბის სახელს და დიდებას უწოდებს ავტორი ვისაც კითხვით მიმართეს ყრილობაზე): „ერთს გაზეთს გამოგიწერთ, მხოლოდ ამაში, რაც მე გიჩვენოთ თქვენ ის წაიკითხეთო“ („ივერია“ 1898. №231).

---

<sup>20</sup> „ახალ ამორდიას“ უწოდებდნენ ვ. მაჭავარიანს, რომელმაც რუსული ასოებით შეადგინა აფხაზური ენის სახელმძღვანელო. ინსპექტორ იზმაილოვის განკარგულებით აფხაზეთის სკოლებში აფხაზური ენის სწავლება შემოიღეს, საამისოდ ვ. მაჭავარიანის სახელმძღვანელო იქნა გამოყენებული.



ადვილი არ აღმოჩნდა მშობლიური ენის ამოშლა ხალხის ცნობიერებიდან. ამიტომაც რუსულმა ადმინისტრაციამ აფხაზეთში ქართული ენის განდევნის სხვადასხვა ხერხს მიმართა. მთავრობის მიერ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ გზად მიჩნეულ იქნა აფხაზური კადრების რუსულ სასწავლებლებში მომზადება. *ახალი ამბავის* რუბრიკა ამ თვალსაზრისით გადადგმულ ნაბიჯებს აქცევს ყურადღებას. რუბრიკაში აღნიშნულია, რომ მთავრობას მიუღია გადაწყვეტილება ხელი შეუწყონ აფხაზეთის ზნეობრივ და ეკონომიკურ დაწინაურებას. განუზრახავთ დაეხმარონ აფხაზებს სასოფლო მეურნეობის და ბაღოსნობის შესწავლაში („ივერია“ 1894. №149). სინამდვილეში როგორც კორესპონდენციიდან ჩანს, გაძლიერებული მისიონერული საქმიანობა ჰქონიათ განუზრახელი რუსული ენის გასავრცელებლად. შედეგი ფრიად სავალალო აღმოჩნდა იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც სტავროპოლის გიმნაზიაში გაუგზავნია განათლების მისაღებად რუსეთის მთავრობას:

... ეს სასურველ ნაყოფს არ იძლევა, რადგანაც თავიანთს ენას სრულიად ივიწყებენ, ჰმორდებიან ხასიათით თავიანთ მოძმეებს და, თუ სამშობლოში დაბრუნება მოუხდათ, დიდის ტანჯვა-წვალებით უნდა შეავსოს ეს სიმახინჯე („ივერია“ 1900. №223).

ამ საკითხს შეეხება „ცნობის ფურცელიც“. კორესპონდენციის ინფორმაციით, სოხუმის ორკლასიანი სკოლა, რომელიც 1864 წლიდან არსებობდა, მსგავსად სოხუმის ოლქის და ზოგადად, საქართველოს სასწავლებლებისა, მოწაფეთა გარუსების პოლიტიკას ემსახურებოდა. ათასში ერთხელ სახელმწიფო ხარჯითაც იგზავნებოდა კურსდამთავრებული გიმნაზიაში. მხოლოდ სწავლის გასაგრძელებლად აგზავნიდნენ არა

ქუთაისის გიმნაზიაში, რაც უფრო მოხერხებული და სარგებლიანი იქნებოდა აქაურებისთვის, არამედ სტავროპოლის გიმნაზიაში. ბიუროკრატია რაღა ბიუროკრატია იქნებოდა, აქაურების ინტერესებისთვის ეცა პატივი

ბიუროკრატამ იცის, რომ ქუთაისი ქართველთა ქალაქია; იცის, რომ სოხუმიდან გამოგზავნილი ბავშვი ქართველ საზოგადოებაში დატრიალდება, ქართულს ადვილად ისწავლის და ქართული ტენდენციებიც განუვითარდებაო („ცნობის ფურცელი“ 1905. №2786).

ნათლად ჩანს, რომ ამგვარი პოლიტიკა ემსახურებოდა იდენტობრივი ნიშნების მოშლას. ამ მიზნით იქნა დაარსებული სამშობლოდან შორს, სტავროპოლის გიმნაზიაში სოხუმის ოლქის ბავშვთათვის რამდენიმე სტიპენდია და გზავნიდნენ ბავშვებს სამშობლოდან უცხო მხარეში, რათა მშობლიური გრძნობა გაენელებინათ, დედა ენა დაევიწყებინათ და რუსული შეესწავლათ:

გზავნიან ბავშვს სამშობლოდან შორს, „უცხო“ მხარეში, უცხო ხალხში, რომ ყოველი მშობლიური გრძნობა გულიდან ამოკვლიჯონ, ნაცნობ სამშობლო სურათებს მოაშორონ, დედა ენა დაავიწყონ და მხოლოდ რუსული ასწავლონ... სამწუხაროა, რომ აფხაზები, რუსის ბიუროკრატის სატრფიალო სისტემის წყალობით, გონებრივად გადაშენების გზას ადგანან და ჯერ-ჯერობით სრულს ინდიფერენტიზმს იჩენენ ეროვნული დამოუკიდებლობის საქმეში. გარუსების პოლიტიკამ იმდენი მოასწრო, რომ ეს ხალხი სრულიად ჩამოაშორა თავისს მეზობლებს ქართველებს („ცნობის ფურცელი“ 1905. №2786).

„სოხუმელის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ ამ კორესპონდენციაში თვალსაჩინოა გარუსების პოლიტიკის შედეგი. „დღეს-კი აფხაზეთის ხალხს, ქართველებთან ერთობა არავითა-

რი არა აქვთ“ – წერს გულისტკივილით ავტორი და აქვე საუბრობს ერთობის აღდგენისათვის ქართული მწერლობის გავრცელების როლზე. ამ მიმართულებითაც აქტიურად მუშაობდნენ გარუსების პოლიტიკის აქტივისტები:

ქართული გაზეთის ნაცვლად სხვა-და-სხვა ხრიკებით ავრცელებდნენ ბათუმელ ჯამბაზის გაზეთს<sup>21</sup>, რომელიც ქართველო-ბას და მისს კულტურას ამცირებდა თავის მკითხველთა თვალში და გარდა ამისა აფხაზებს აგონებდა, ქართველები (მეგრელები) თქვენი მტრები არიან, აქ მოდიან, თქვენს მიწებს იჩემებენო და სხ.-და-სხ. („ცნობის ფურცელი“ 1905. №2786).

ა-რე ხაბულიანის ფსევდონიმით „კვალში“ გამოქვეყნებული წერილიც სოხუმის მცხოვრებთა ეროვნულ გადაგვარებაზე ამახვილებს ყურადღებას:

აქ ქართველს – ქართველობა აღარ ეტყობა, სამშობლო ენა და ლიტერატურა თითქმის გამქრალა და არც არავის გული შესტკივა ამაზე. ამოდენა ქალაქში, სადაც სამ წილზე მეტი ქართველობა იქნება, ერთი ბიბლიოთეკაც კი არ არსებობს, წელიწადი ისე გაივლის, რომ ერთი ქართული წარმოდგენაც არ გამართება, ქართულ ენაზე ღვთის მსახურება, რაც ასე საჭიროა ამოდენა ქართველობისთვის, რომლის მეათედ ნაწილსაც არაფერი გაეგება სხვა ენისა, აქ არ არის და სხ. („კვალი“ 1898. №39: 645).

როგორც ვხედავთ, რუსულმა მმართველობამ ამ მხარეში იდენტობრივი მახასიათებლები სრულ გაქრობამდე მიიყვანა.

---

<sup>21</sup> იგულისხმება გ. პალმის რედაქტორობით ბათუმში გამოქვეყნებული გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკი“ – ქ.მ..

აქვე აღმშფოთებელია ისიც, რომ ადგილობრივებს გული არ შესტკიოდათ ამ ყველაფერზე.

ამგვარმა პოლიტიკამ აქაური მოსახლეობა იმდენად გადააგვარა და როგორც გაზეთი მიუთითებს, ინდიფერენტული გახადა, რომ აფხაზ ხალხს დაავიწყა თუ კი ვინმესთან საერთო ჰქონდა ისევ ქართველებთან, რომლებთანაც ისტორიულად არიან დაკავშირებული და „მათის სამშობლოს გეოგრაფიული მდებარეობაც ისეთია, რომ ქართველებს იქით ამ ხალხს ხსნა არა აქვს“. თუ აფხაზთა ნათესაობა ქართველებთან საეჭვოა, იგივე არ ითქმის სამურზაყანოელთა შესახებ. მათი ნათესაობა ქართველებთან (მეგრელებთან) ეჭვს გარეშეა. მხოლოდ ბიუროკრატია ცდილობდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა პროვინციის მცხოვრები ერთმანეთს ჩამოეშორებინა და გადაეკიდებინა, ერთმანეთის მტრობა ჩაენერგა, ამგვარად უფრო ადვილად გაბატონდებოდა მათზე. ბიუროკრატია უარყოფდა ყოველგვარ ისტორიულ, ეთნოგრაფიულ და ლინგვისტურ საბუთებს, რომლებიც ამტკიცებდა სამურზაყანოელთ მეგრულ ჩამომავლობას და მათ ნათესაობას ქართველებთან. ამის ნათელი მაგალითია შემდეგი ეპიზოდი:

ერთის მხრივ ამ ნათესაობას უარჰყოფს და მეორეს მხრივ სამურზაყანოელთ აფხაზებს უნათესავეებს და თანაც გაიძახის, რაკი სამურზაყანოელნი მეგრელები კი არა, აფხაზები არიან (აფხაზები არიანო იმ სამურზაყანოელთა შესახებ ამბობენ, რომელნიც შინაობაში მხოლოდ მეგრულს ლაპარაკობენ და აფხაზურისა არაფერი ესმით) მათთვის ქართული ენა საჭირო არ არისო; რაკი სამურზაყანოელნი აფხაზები არიან და აფხაზებს კი საკუთარი მწერლობა არა აქვთ, სამურზაყანოელებმა ისევ რუსული ენა ისწავლონო. „ასწავლიან“ კიდევ რუსულს („ცნობის ფურცელი“ 1905. №2786).

„ივერიის“ გიორგი ჩიჩუას პუბლიკაციაში, რომელშიც ასახულია კავკასიის საუფლისწულო მამულების ინსპექტორის კლინგელის ინიციატივით ქუთაისის გუბერნიაში სამეურნეო წარმოების შესასწავლად მოწყობილი ექსპედიციის შთაბეჭდილებები, ასეთი საინტერესო ფაქტიცაა დაცული. გ. ჩიჩუას ცნობით, დაბა ოქუმში აფხაზები ცოტა ყოფილან, მაგრამ ვინც იყვნენ იმათაც მეგრული ენის საშუალებით ასწავლიდნენ. აქვე შენიშნავს, რომ მეგრული აფხაზმა ბავშვებმა არ იცოდნენ, ქართული უფრო ეხერხებოდათ, თუმცა, როგორც აღვნიშნე, ქართულად სწავლება აკრძალული ყოფილა. მოგზაურობის ჩანაწერებში ეს გარემოებაა მითითებული განათლების წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად („ივერია“ 1894. №8).

კორესპონდენციებით ვლინდება, რომ სამურზაყანოს მცხოვრებნი ჩვენი მწერლობითაც ვერ სარგებლობდნენ:

საქართველოს ამ კუთხის პროვინციაში, სადაც ქართული ლაპარაკი, როგორც ქართველთა მონათესავეთ, თითქმის ყველას ემარჯვება, ქართული წერა-კითხვა ადვილად გავრცელდებოდა და ქართული მწერლობა შეძლებისა დაგვარად საგრძნობელ სამსახურს გაგვიწევდა ამ მხარის გონებრივად ამაღლების საქმეში. თორემ ახლა სამურზაყანოელთ სამშობლო (ქართულ) ენაზედაც უშლიან გონების განვითარებას და ვეღარც რუსულ ენაზე ანათლებენ, არსებულ მახინჯ მუნჯურის სისტემის წყალობით სოფელელთ აძულებენ სკოლა და მწიგნობრობას, გონებრივად ამახინჯებენ, ზნეობრივად აქვეითებენ, ქართველობას ამორებენ, გადაშენების გზაზე აყენებენ... („ცნობის ფურცელი“ 1905. №2786).

ზემოთ ვნახეთ თუ როგორ დევნიდა რუსეთის მთავრობა ქართულ ენას როგორც უცხო და გაუგებარს აფხაზეთის

მცხოვრებთათვის, ასევე ვნახეთ, როგორ კრძალავდა ქართული ჟურნალ-გაზეთების გავრცელებას აფხაზეთში, ქვემოთ ვნახავთ თუ როგორ საგანგებოდ ზრუნავდა აფხაზეთში ქართული კვალი გამქრალიყო ქართული ისტორიული ძეგლების განადგურებით. შედეგმაც არ დააყოვნა და გაჩნდნენ „ახალი დროის ამორდიები“, რომელთა აქტიური ქმედებით მივიღეთ ის, რომ სოხუმში ქართული ენა იმდენად აუთვალწუნებიათ, სათაკილოდ მიაჩნდათ ქართულად ლაპარაკი, ძნელად თუ იპოვიდით ქართულად მოსაუბრე ოჯახს. *წერილი სოხუმიდან* (ავტორი კოლო//კალანდაძე ნესტორ<sup>22</sup>) სწორედ ამ აღმშფოთებელ ვითარებას შეეხება:

სამწუხარო სურათი გეხატებათ წინ, როდესაც ქართულს ოჯახში ქართველი ბავშვები უცხო ენაზე გაძლევენ პასუხს ქართულს კითხვაზე და თან ისეთის თვალებით უცქერიან დედას, ან მამას, რომ თითქოს უსაყვედურებენ, რატომ ჩვენც არ გვასწავლეთ ჩვენი დედა-ენაო. მაგრამ ახლა დედა ენაზე ლაპარაკი გაუნათლებლობის ნიშნად აქვს ყველას მიჩნეული და, მაშასადამე, ვის უნდა სურდეს, რომ გაუნათლებლად ეჩვენოს ხალხს?! დიალ! ამ ნაირმა შეხედულებამ და სხვა უკუღმართმა ვითარებამ ლამის სულ გააქროს ქართული ენა და თან წაიღოს ქართული ოჯახები, თუ რამ ღონისძიება არ იქმნა მიღებული („ივერია“ 1904. №292).

რუსული სწავლების შედეგს კი ასე გადმოგვცემს სამურზაყანოელი მეგობრის პირით „მოამბის“ კორესპონდენტი აბუკინო:

---

<sup>22</sup> კოლო – ნესტორ კალანდაძე. იხ. ფსევდონიმების ლექსიკონი. ელექტრონული ვერსია.

შენ და სხვამ ჩვენებმაც რუსულ სასწავლებლებში დავიწყეთ და დავამთავრეთ ჩვენი სწავლა.

– განათლება. ჩვენი დედა ენა არც მაშინ გვეოდნია, არც ეხლა ვიცით: არ გვისწავლია, და ამის გამოც რუსულად ვფიქრობთ, ლექსს რუსულად ვაშენებთ და მერე ჩვენს დედა ენაზედ ვთარგმნით („მოამბე“ 1895 N9: 59).

განათლების რუსიფიკაციის შედეგი იყო ისიც, რომ ქართველი კუსდამთავრებული ქართულ ენაზე ვერ აღავლენდა წირვა-ლოცვას. ამგვარი მაგალითები მოჰყავს თ. სახოკიას აფხაზეთ-სამურზაყანოს ვითარების ამსახველ პუბლიკაციაში. მათ შორის ასახელებს ს. გუდავათში (სამურზაყანო) მღვდლად დანიშნული მამა გიორგი საჯაიას, რომელიც სლავურად ასრულებდა მღვდელმსახურებას მეგრული მრევლისთვის, რომლისთვის უცხო არ იყო ქართული ენა:

თვითონ გვარი ამტკიცებს, რომ მამა საჯაია სამეგრელოს შვილია, მაშასადამე, კანონით, ქართველის ტომისა, მისისავე თხოვნით მედავითნეთ ამ სოფელში ვინმე ბაღაშვილი დაუნიშნავთ, ფსირცხას ერთ-კლასიან სკოლაში კურს-დამთავრებული, მამასადამე, ქართულის უცოდინარი („მოამბე“ 1895. №11:121).

სტატიიდან ვიტყობთ, რომ მამა გიორგი საჯაიას ქართულად წირვა-ლოცვის შესრულება არ სცოდნია.

ასეთ ვითარებაში ქართული იდენტობის გადარჩენისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ სკოლას, ეკლესიას და თეატრს. ეს კარგად გაუცნობიერებია სოხუმელ ქართველებს და როგორც წერილი იუწყება „ზეციურ მანანასავით ელის ქართულს წარმოდგენებს, რომლებიც ეგრე იშვიათი შეიქმნა სოხუმში ალაგის უქონლობის გამო“.

თეატრს განსაკუთრებული ადგილი უკავია ნაციონალისტური რენესანსის დროს, რადგან ნაციონალური ენის საჯარო გამოყენების საშუალებას იძლევა. თეატრის, როგორც გართობის, უბრალოდ დასვენების საშუალების გაგება უცხო იყო მეცხრამეტე საუკუნის ქართველი ნაციონალისტებისათვის, რომელთაც წილად ხვდათ ყოფილიყვნენ ქართული ერთობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესის აქტორები (ჩხარტიშვილი, მანია 2011: 384).

მედია აქტიურად აშუქებს გამართული წარმოდგენების („ივერია“ 1893, №237), აგრეთვე წარმოდგენების ხელშემწყობთა (ერთ-ერთი ასეთი ხელშემწყობი ყოფილა გაიანე შერვაშიძე. „ივერია“ 1895. №256) შესახებ ინფორმაციებს. გარდა იმისა, რომ წარმოდგენები ქართულად იმართებოდა, წარმოდგენის შემდეგ საღამო ქართული ლექსების კითხვით გრძელდებოდა, რაც ბლომად შეკრებილ საზოგადოებას სენტიმენტებს უღვივებდა და უძლიერებდა. წარმოდგენები ხშირ შემთხვევაში საქველმოქმედო ხასიათს ატარებდა: ეხმარებოდნენ ღარიბ მოსწავლეებს, სკოლისა თუ სამკითხველოს დაარსებას უწევდნენ შემწეობას, აგრეთვე წყალდიდობით დაზარალებულებს, ანუ თეატრი მრავალმხრივ ეწეოდა ეროვნულ საქმეს: აჯანსაღებდა დამსწრე საზოგადოების სულს, ეწეოდა ქველმოქმედებას, ადგენდა და აკავშირებდა ქართულ იდენტობას. ასეთი ფაქტები მისაბამი უნდა გამხდარიყო სრულიად საქართველოსთვის – ეს იყო ქართველი პუბლიცისტების უმთავრესი მიზანი.

როგორც ცნობილია, ქართული სიმღერა ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილია. კულტურა არის იდენტობის გამოკვეთილი მახასიათებელი. ამიტომაც სათანადო ადგილი ეთმობა მედიის ფურცლებზე ქართული სიმღერის, მუსიკის,



ხოროს მნიშვნელობაზე მსჯელობას ქართული იდენტობის შენარჩუნების თვალსაზრისით.

დიალ, ქართველ ხალხს აქვს სასიქადულო ეროვნული ჰანგები, სიმღერები, საგალობლები, რათა ეს სიმდიდრე მკვდარ თანხად არ დაგვრჩეს, რათა მან იმოქმედოს, წინ წავიდეს, სისრულე შეიმატოს, გახდეს ინტენსიური სიამოვნების წყაროდ ქართველთათვის და უცხოელების თვალშიაც სახელი გაგვიკეთოს, საჭიროა, უკიდურესად საჭიროა ქართული ნაციონალური ხორო („ისარი“ 1907, №273).

ქართული სიმღერა ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს და აღძრავს ეროვნულ სენტიმენტებს. სწორედ ამგვარი ნაციონალური ემოციებია აღწერილი სოხუმში ჩატარებული ქართული ხოროს კონცერტისადმი მიძღვნილ კორესპონდენციაში. კონცერტი გაუმართავს რატილს. მყურებელი (უმეტესად ქართველები ყოფილან), დიდად კმაყოფილი დარჩენილა, ორჯერ, სამჯერ გაამეორებინეს თითო საგალობელი კორესპონდენციის ცნობით და აღფრთოვანება ვაშას და „ქართველ მღერალთ გაუმარჯოს შეძახილით“ გამოუხატავთ („ივერია“ 1894. №138).

ენობრივი ბარიერით არაერთი სოციალური პრობლემა დასახელებული ბეჭდურ მედიაში. მათ შორის ერთ-ერთი არის ქართველი ექიმის არყოლა ქართველებით დასახლებულ სოხუმში. გამწესებულ რუს ექიმს აქაურები ენის უცოდინრობის გამო ვერ მიმართავდნენ და სთხოვდნენ დახმარებას („ივერია“ 1897. №214). ამ პრობლემის ერთგვარი გადაჭრის მცდელობა არის მოცემული 1905 წლის „ცნობის ფურცელში“. მოსკოველ პროფესორს ზოგი საკუთარი ფულით, ზოგი შემოწირულობით აუშენებია ქვის ორსართულიანი საავადმყოფო სოხუმში. თუმცა, მთავარ პრობლემას, ქართველი ექიმების საჭიროებას მაინც არ

მიექცა ყურადღება იქ, სადაც ავადმყოფთა უმეტესობა ქართველია. ახალ საავადმყოფოში არც ერთი ქართველი ექიმი-სთვის არ მიუციათ ადგილი („ცნობის ფურცელი“ 1905. №2766).

ზემოთ განხილულ კორესპონდენციებში თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი ქართული ინტელიგენციის ბრძოლა ლინგვისტური იდენტობის გადასარჩენად და ამ მხრივ განსაკუთრებულია ქართული ბეჭდური მედიის როლი.

**თავი მესამე.**

**რელიგიური იდენტობა აფხაზეთში**

ქრისტიანული სარწმუნოება, საუკუნეების მანძილზე ქართული იდენტობის განმსაზღვრელ მახასიათებელს წარმოადგენდა. ქართველებში, როგორც ამას მ. ჩხარტიშვილთან თანაავტორობით გამოქვეყნებულ გამოკვლევაში აღვნიშნავდით, ძალიან მძლავრი იყო ისტორიული გამოცდილების ხსოვნა, იმის გაცნობიერება, რომ ქართულმა ერთობამ თავი დიდწილად ქრისტიანობით შეინახა და ქართველობა და ქრისტიანობა ერთმანეთს შეედულა ერთობის წევრთა ცნობიერებაში. საუკუნეების განმავლობაში ქართული კულტურის მანიფესტაციის ერთადერთი სივრცე იყო მართლმადიდებლური ქრისტიანული სივრცე. ქრისტიანობაზე უარის თქმა, ყველა კულტურულ საყრდენს გამოაცლიდა ქართულ იდენტობას (ჩხარტიშვილი, მანია 2011: 330). ამგვარი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა XIX ს-ის მეორე ნახევარში მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული ტრადიცია. აფხაზეთის ოსმალთაგან დაკავების შემდეგ, დაიწყო ამ მხარის გამაჰმადიანება. მაგრამ რუსეთთან შეერთების შემდეგ, აქტიური მუშაობა გაჩაღდა ხალხის კვლავ ქრისტიანობაზე მოქცევის მიმართულებით. მართალია, მართლმადიდებელ რუსეთთან ქრისტიანულ იდეოლოგიას საფრთხე არ ემუქრებოდა, მაგრამ იმპერიული მმართველობა კულტურულ საყრდენს აცლიდა ქართულ იდენტობას, რაც გამოვლინდა რელიგიური ისტორიული მეხსიერების ადგილებისა და ისტორიული მეხსიერების კვალის წაშლის ინტენსიურ მცდელობა-განხორციელებაში.

აფხაზეთში რელიგიური თვალსაზრისით არსებულ ვითარებას თვალნათლივ ასახავს ბეჭდური მედია. აქ ქრისტიანულ და მაჰმადიანურ სარწმუნოებასთან ერთად მძლავრად ყოფილა შემონახული წარმართული წარმოდგენები. ეს საკითხი თვალსაჩინოდ წარმოჩენილია პ. გიორგიძის (პეტრე ჭარაია) ავტორობით გამოქვეყნებულ წერილების სერიაში „აფხაზები და აფხაზნი“:

დღეს უმრავლესობა აფხაზთა ქრისტიანობას აღიარებს, უმცირესობა-კი მაჰმადიანობას მისდევს, მაგრამ როგორც ერთნი, ისე მეორენიც ნამდვილად-კი ამ უკანასკნელს დრომდის წარმართნი უფრო არიან. აფხაზების წარმართულს სარწმუნოებაზე ეტყობა დიდი გავლენა და ზედ-მოქმედება ჰქონია მაჰმადიანობასა და უფრო ქრისტიანობას, ეს სამი სარწმუნოება ერთმანეთში არეულია, მაგრამ იმდენად-კი ვერა, რომ იმათი განცალკევება, გამოყოფა და გამოცნობა ერთმანეთისაგან შესაძლო არ იყოს. ბევრი წარმართული რწმენა დღესაც აქ-იქ წმინდადა და მტკიცედ არის დაცული („ივერია“ 1888. №179).

აფხაზთა რწმენა-წარმოდგენებზე საუბარია „ივერიის“ 180-ე ნომერშიც:

აფხაზებს აქვსთ ქრისტიანობისგან მიღებული და შეთვისებული წარმოდგენა ერთს არსებითსა და ქვეყნის შემოქმედს ღმერთზე, მაგრამ ეს წარმოდგენა ერთს ძრიელ ბუნდადა და ბნელად აქვსთ გამოხატული, თუ ჩვენ ხშირად გვესმის სიტყვა ღმერთი (ანცა), ეს უფრო ენის, სიტყვის გასაშვენიერებლად და შესამკობელად იხმარება, ვიდრე საგნად რელიგიურის რწმენისა და თაყვანებისა („ივერია“ 1888. №180).

ამდენად გაბუნდოვანებულია აფხაზთა მეხსიერებაში ღმერთის შესახებ შეხედულებები.

აქვე აღნიშნული, რომ აფხაზთა წარმართული რწმენა-წარმოდგენები არის მრავალღმერთოვანი (პოლითეისტური), „გაპიროვნება და გაღმერთება ბუნების მოვლენათ და ადამიანის მოქმედებათა იმისს უმთავრესს თვისებას შეადგენს“. ბუნების მოვლენების გაღმერთება განპირობებული იყო მათი შიშით და კრძალვით პატივისცემის და მადლობის ნიშნად. ცალკე აღნიშვნის ღირსია ადამიანის სხვადასხვა მოქმედების, ხელოსნობის და წარმოებათა ღვათებების თაყვანცემა. აფხაზების ამგვარი რწმენა და შეხედულებები შემორჩენილი იყო იმ რელიგიურ ცერემონიებსა და წესებში, რომლებიც სრულდებოდა ამ პერიოდის აფხაზთა სალოცავებში.

ამავე ნომრის („ივერიის“ 1888. №180) პუბლიკაციაში ქრისტიანობის გვერდით წარმართული რწმენა-წარმოდგენების არსებობის თვალსაზრისი დადასტურებულია ლინგვისტური ანალიზით. ავტორმა სიტყვა „ანცას“ ლინგვისტური შესწავლით გაამყარა აფხაზების რელიგიის უძველესი დროიდან პოლითეისტური ხასიათი.

აფხაზეთში სალოცავებს იმ რელიგიურ ცერემონიებს უწოდებდნენ, რომლებსაც აფხაზი შესაწირავთან ერთად ლოცვითა და ხვეწნა-ვედრებით მიჰმართავდნენ თავიანთ ღმერთებს ძველადვე მიღებული წესით.

სალოცავების თემას სერიის რამდენიმე ნომრის პუბლიკაცია მიეძღვნა, რომლებიც თვალნათლივ წარმოაჩენს ქრისტიანობის გვერდით წარმართული რწმენა-წარმოდგენების არსებობას.

სალოცავებში ზოგიერთს ეტყობა მეტი გავლენა ქრისტიანობისა, ზოგს-კი – ნაკლები, თუმცა წარმართობის კვალი მაინც ემჩნევათ. მაგრამ უმრავლესობა სალოცავათა, როგორც ფორმით, ისე შინა-

არსით, ჯერ კიდევ წარმართულის ხასიათისაა („ივერია“ 1888. №183).

უფრო მძაფრად აღწერს რელიგიური თვალსაზრისით აფხაზეთში არსებულ ვითარებას „ცნობის ფურცელი“:

არა მგონია ისე დაცემული იყოს ქრისტიანობა სხვა რომელიმე საქრისტიანო მხარეში, როგორც აფხაზეთში; აქ ძნელად გამოსაცნობია ქრისტიანი მაჰმადიანისაგან და მაჰმადიანი ქრისტიანისაგან; ხშირად შეხვდებით ისეთებსაც, რომელნიც მაჰმადიანობას დაშორებულია და არც ქრისტიანია, არც ერთს და არც მეორე სარწმუნოებას არ ასრულებს და თვითონაც არ იცის, რომელს მიენდოს („ცნობის ფურცელი“ 1898. №660)!

მძიმე იყო აფხაზეთში თურქეთის აგრესიის შედეგები სარწმუნოების მხრივ. ოსმალების გავლენამ იმდენად იმოქმედა მათზე, რომ თავდაპირველად მაღალი წოდების ხალხმა შეიცვალა სარწმუნოება და მიიღო მაჰმადიანობა. როდესაც მთავარი დაადგა ამ გზას, თავადაზნაურობამაც შემოიჭრა მოლები და დაიწყეს ნებაყოფლობით შეგონება ნელ-ნელა სხვადასხვა საჩუქრების წყალობით:

ამ ხერხმა იმდენათ იმოქმედა აფხაზეთზე, რომ შემდეგში დაუტევეს სრულიად ქრისტეს სარწმუნოება. მაგრამ აქა-იქ კიდე ბჟუტავდა ქრისტიანობის ნათელი აფხაზეთში... ყირიმის ომის დროს სრულიად ამოიფხვრა ქრისტიანობა აფხაზეთში. მაგრამ ისეთი მაჰმადიანები კი შეიქმნენ, რომ სრულებით არ ესმოდათ მაჰმადის სარწმუნოება: აღარც მაჰმადიანებში იყვნენ და აღარც ქრისტიანებში. ხალხი დარჩა შუა გზაზე; უფრო შეიქმნენ ურჯულო, ვიდრე რომელიმე რჯულის აღმსარებელნი („დროება“ 1875. № 88).

„მწყემსი“ იტყობინება, რომ მაჰმადიანები და ცრუ-მოლები ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ გაქრისტიანებული აფხაზები ისევ მაჰმადიანობაზე მოექციათ. მოლების წარმომავლობაზეც ამახვილებს ყურადღებას:

შთამომავლობით მოლები აფხაზები არიან, მაგრამ გარეგანი შეხედულობით არაფრით განირჩევიან თათრებისაგან. რუს-ოსმალოს ომის შემდეგ ამ პირებს თავის თანამომძე მაჰჯირებთან ერთად მიუტოვებიათ თავისი მიწა-წყალი და სათათრეთში გადასახლებულან. მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ იგინი ხელახლად დაბრუნებულან აფხაზეთში და თავის მიწა-წყალზე დასახლებულან.

სათათრეთში მათ შეუსწავლიათ თათრული წერა-კითხვა, მკითხაობა, აქიმობა და ზოგს, აფხაზების აზრით, მოლობაც ზედმიწევნით შეუსწავლია. ყოველივე ეს ცოდნა ხელს უწყობს მოლებს იმოქმედონ ქრისტიანობის წინააღმდეგ („მწყემსი“ 1890. №3-4: 6-7)

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სოხუმის ეპარქიის ოთხ საბლალოჩინოში – ოქუმის, ოჩამჩირის, გუდაუთის და შავი ზღვის, ყველგან ერთნაირი მდგომარეობა არ ყოფილა რელიგიური თვალსაზრისით. ოქუმის საბლალოჩინოში, რომელიც მოიცავდა მდ. ენგურიდან ილორის წმ. გიორგის ეკლესიის ჩათვლით ტერიტორიას, ყველა მცხოვრები მართლმადიდებელი ყოფილა;

მათში მაჰმადის სარწმუნოების აღმსარებელი არ მოიპოვება. ქრისტიანობას აქ მტკიცედ აქვს ფესვი გადგმული. სამწყსოს და სულიერ მწყემსთა შორის მამა-შვილური განწყობილება და სიყვარული არსებობს. სარწმუნოების მხრივ აქაურებზე დიდი გავლენა აქვს სამეგრელოს. ოქუმელები მოსაზღვრენი და მეზობელნი არიან მეგრელებისა, ოქუმელები მეგრელებისაგან იღე-

ბენ ზნე-ჩვეულებას და ამ ორივე ხალხს ხშირად მისვლა-მოსვლა აქვს ერთმანეთში. მათში გახშირებულია ხორციელი და სულიერი ნათესაობა („მწყემსი“ 1889. №12).

რუსეთის მიერ აფხაზეთის ოსმალთაგან განთავისუფლების შემდეგ, აქტიური მუშაობა დაიწყო ოსმალთაგან გამაჰმადიანებული აფხაზეთის კვლავ ქრისტიანობაზე მოსაქცევად. აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებულია სასულიერო პირების დამსახურება ხალხში ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგების მხრივ, რომელთა შორის გამორჩეულია ეპისკოპოს ალექსანდრეს მოღვაწეობა აფხაზეთში. იგი აქტიურ ქადაგებას ეწეოდა ქართველთათვის ქრისტიანული სარწმუნოების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე და აუცილებლობაზე („დროება“ 1875, №88). გამაჰმადიანებული აფხაზების გაქრისტიანებაში დიდი წვლილი მიუძღვით იმერეთის მთავარეპისკოპოს გაბრიელს თავის მღვდელმთავრობაში 18 ათასზე მეტი აფხაზი მოუწათლავს („ივერია“ 1889. №95). ამ მიზნით აფხაზეთში იგზავნება მღვდლები. ბეჭდური მედია არც მათი მუშაობის შედეგებს ტოვებს უყურადღებოდ. სინოდის ობერ-პროკურორის მართლმადიდებელი სარწმუნოების უწყების 1867 წ. ანგარიშში აღნიშნული ყოფილა, რომ აფხაზეთში 846 ქალი და მამაკაცი გაქრისტიანებულია („დროება“ 1869. №5). ამავე გაზეთში გამოქვეყნებული სოხუმის მაზრის მმართველის გენერალ-მაიორ გეიმანის ინფორმაციით კი, რომელსაც მიაწოდებს კავკასიის მთავარმართებელს, აღნიშნულია, რომ ნახევარი წლის მანძილზე სოხუმის მაზრაში ხუთი ათასზე მეტი აფხაზი მონათლულა. აქვეა, უკანასკნელი კამერალური აღწერის ცნობები, რომლითაც სოხუმის მაზრაში 66 ათას 468 მცხოვრები ირიცხებოდა, ხოლო აქედან 43 ათასი გაქრისტიანებული ყოფილა („დროება“ 1869. №28). 1878



წლისათვის სოხუმის ოლქის ბიჭვინთის და ოჩამჩირის მაზრის მცხოვრებნი 99 ათასამდე ასულა, აქედან 86 ათასი ქრისტიანი ყოფილა, 13 ათასი მაჰმადიანი („დროება“ 1878. №152). მღვდლე-ბის აქტიურ საქმიანობაზე მიუთითებს, აგრეთვე, „ცნობის ფურცელის“ მონაცემებიც, რომლის მიხედვითაც დაბა გუდაუთში მოსახლეობის უმეტესობა ქრისტიანი ყოფილა. თუმცა, ამავდროულად სამწუხარო ვითარება შექმნილა, მოლეების აქტიური ქადაგებით აფხაზები თავს მუსლიმებად აცხადებდნენ („ცნობის ფურცელი“ 1898. №501).

ამავე მიზნით აფხაზეთში იგზავნება რუსი მისიონერი ბერებიც, რომლებსაც აღუდგენიათ სიმონ კანანელის<sup>23</sup> სახელობის ტაძარი. აქ ორმოცდაათამდე ბერი იწყებს მოღვაწეობას ქრისტიანული მრწამსის გასავრცელებლად, მაგრამ როგორც ირკვევა, ბერები ვერ ასრულებენ თავიანთ მისიას:

ბერების აზრი იყო, ვითომ მისიონერობა გაეწიათ ხალხში, მაგრამ ყოველივე ამათი მეცადინეობა ამაო შეიქნა, რადგანაც აფხაზებს მაჰმადის რჯული ისე გასჯდომიათ, რომ ამის დაგდებას სამშობლოს დაგდება ამჯობინეს და ამ საუკუნის მეორე ნახევარში უმეტესი ნაწილი აფხაზებისა სათათრეთში გადასახლდნენ... („დროება“ 1883. №216).

---

<sup>23</sup> სიმონ კანანელის ტაძარში დამკვიდრებული მისიონერი ბერების შესახებ საყუადღებო შეხედულებას გამოთქვამს ქ. პავლიაშვილი. იგი აღნიშნავს, რომ მათი მოღვაწეობის შედეგად სიმონ კანანელის სახელობის ტაძარი თვითმპყრობელური იმპერიის ინტერესებში ჩადგა. იგი აფხაზეთის საქართველოსაგან სარწმუნოებრივ-პოლიტიკურ გამიჯვნასა და ქართველი ერის გადაგვარებას ემსახურებოდა (პავლიაშვილი 2004: 222-136).

პარალელურად, აქტიურად მუშაობდნენ მოღებიც აფხაზეთში. იყო შემთხვევა, როდესაც ქრისტიანული წესით დასაფლავებული მიცვალებულისთვის თათრული წესი შეუსრულებიათ. მიუხედავად აკრძალვისა, მოლა ოსმან ჩიმაგუა ეწეოდა ს. აჭანდარის მოსახლეობაში მაჰმადიანობის განმტკიცებას. მამა დიმიტრი ხოჭოლავას მონდომებით დაუპატიმრებიათ მოლა ოსმან ჩიმაგუა („ცნობის ფურცელი“ 1897 №331). ამ მხრივ უწყემო ვითარება ყოფილა მოგვიანებითაც სოხუმის ოლქში

უფლება აყრილ და ჩაგრულ ხალხად სოხუმის ოლქში არიან ყველაზე უფრო ქართველები (მეგრელობა). სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმ დროს, როცა სხვა ეროვნებებს უფლება აქვთ სამშობლო ენაზე აუგონ წესი მიცვალებულთ, ჩვენ, ქართველები ამასაც მოკლებულნი ვართ: სიკვდილის შემდეგაც არ ემეტებათ ჩვენთვის თავისუფლება! („ცნობის ფურცელი“ 1905. №2819).

მნიშვნელოვანია ბექდურ მედიის როლი მკითხველებში ქრისტიანული სარწმუნოების პოპულარიზაციის, ქრისტიანობაზე, როგორც აფხაზთა მამა-პაპეულ რელიგიაზე მსჯელობის თვალსაზრისით:

თვით იესო ქრისტეს ქვეყნად მოსვლის დროს აფხაზეთის მოსაქრისტიანებლად წამოსულა სიმონ კანანელი, ის სიმონი, რომლის ქორწილზე ქრისტემ წყალი ღვინოდ გარდააქცია, აქ მოსვლისთანავე იგი სიკვდილით დასჯილ იქმნა ადერკი მეფისაგან. ამას მოგვითხრობს ისტორია. იმ ადგილს საცა სიმონი დასაჯეს, შემდეგ ქრისტეს რჯულის გავრცელებისა აღუგიათ სიმონის სახელზე ეკლესია; გასულა რამოდენიმე წელი და დროთა ბრუნვას ქრისტიანობა შეუმცირებია აფხაზეთში და სიმონის ეკლესია დანგრეულა („დროება“ 1883. №216).

ამგვარი საუბრებით მედია აფხაზებს მოუწოდებდა დაბრუნებოდნენ თავიანთ მამა-პაპეულ სარწმუნოებას – ქრისტიანობას.

აფხაზეთში სარწმუნოების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის გამოსწორებას მიეძღვნა 1898 წ. 1 მაისს ოჩამჩირეში ჩატარებული სამღვდელოების კრება („ცნობის ფურცელი“ 1898 №528).

აფხაზეთში რელიგიური მეხსიერების თვალსაზრისით საინტერესოა „დროების“ კორესპონდენცია. კორესპონდენციაში აღნიშნულია, რომ სოხუმის განყოფილებაში არის 57 ეკლესია, აქედან 37 შუა აფხაზეთში ყოფილა. აქვე ყურადღება გამახვილებულია იმ გარემოებაზე, რომ „ძველებური ქრისტიანების ეკლესიების ნანგრევებმა გაუადვილეს აფხაზეთის მცხოვრებლებს მართლმადიდებლის სარწმუნოების მიღება“ („დროება“ 1878. №152). აქ თვალნათლივ იკვეთება ხალხის გრძნობები. რელიგიური მეხსიერების ადგილებმა აღძრა საზოგადოებრივი სენტიმენტები და ხალხის ტრადიციულ სარწმუნოებაზე მობრუნებას შეუწყო ხელი.

მართალია, ოსმალთა რუსების მიერ დამარცხების შემდეგ, შემცირდა ქრისტიანობის, როგორც საჯარო იდეოლოგიის მიმართ საფრთხე სხვა/უცხო რელიგიური იდენტობის მხრიდან, მაგრამ მართლმადიდებელი რუსეთის მიერ ქართული რელიგიური იდენტობისათვის კულტურული საყრდენის გამოცლის არაერთ მაგალითს ვხვდებით ბეჭდურ მედიაში. მათ შორის აღსანიშნავია, გამოგზავნილი მისიონერი ბერების საქმიანობა, რომლებმაც ვერ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა განემტკიცებინათ ქრისტიანული მრწამსი ხალხში („დროება“ 1883. №212). „დროება“ იუწყება, რომ მისიონერი ბერების გამოგზავნას აპი-

რებდა ხელისუფლება ფიჭვის მთის (პიცუნდა) მონასტერშიც მონასტრის განსაახლებლად.

ფიჭვის მთის მონასტერი ეკუთვნის იმ გუნდსა ძველის მონასტრებისას საქართველოში, რომელთა შემწეობით განათლებული მხილველი აღადგენს ხოლმე წარსულ ცხოვრებას ხალხისას, ნაშთნი ძველის მხატვრობისა კედლებზედ (ფრესკები) და არქიტექტურა განაცხოველებენ საუკუნეებში ჩამარხულს კულტურას ქვეყნისას, ამ საშუალებით დაწინაურებულ ქვეყნებში ხალხურ ზღაპრებიდამ გამოიკვლევენ ხოლმე სიმართლეს, ლეგენდას ხდიან ისტორიად და ხალხს გააცნობენ მის წარსულს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძველს მონასტრებში ამ ნაირს ხელობას ვერ გამოიჩენენ რუსის ბერები და „განახლება“ მონასტრისა ის იქნება მხოლოდ, რომ ნანგრევს ალაგს აგურს დაუმატებენ და კედლებს კირით შელესვენ. დიად თეთრი და სუფთა გამოვა, მაგრამ იმ კირის ქვეშ დაიფლება უკანასკნელი ნაშთი ძველის ხელოვნობისა და კულტურისა და ამ სახით, შეიძლება, წინამორბედნი მისიონერნი ქრისტიანობისა გამოდგენენ ცივილიზაციის შემბლაღველად, როგორც მოხდა ეს მცხეთის ტაძარში („დროება“ 1883. №215).

როგორც ამონარიდიდან ჩანს, რუსული მმართველობა განადგურებით ემუქრება ქართველთათვის წმინდა ნაშთებს (ძველ მხატვრობას და არქიტექტურას) რელიგიური მეხსიერების ადგილებისას, იმ ადგილებისას, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შეწყვეტილი რელიგიური მეხსიერების აღდგენაში, ვინაიდან მათში დაცულია უძვირფასესი ინფორმაციები უწყვეტობის ხაზის გასავლებად. ასეთი ნაშთებისადმი ბარბაროსული დამოკიდებულების და მისიონერი მამების საქმიანობის აღმაშფოთებელი კორესპონდენციით მივიქცევ მკითხველის ყურადღებას. საგანგებოდ გამოგზავნილ მისიონერ მამებს გადაუთეთრებიათ ისტორიული წარსულის ცოცხალი,

მეტყველი ფრესკები და არქიტექტურა ათონის და ბიჭვინთის მონასტერში. აღნიშნულ ვანდალიზმს აღუშფოთებია რუსი ბატალისტი მხატვარი ვერეშაგინი, რომელსაც ამ ადგილების დათვალიერება ჰქონია გადაწყვეტილი, მაგრამ რომ შეუტყვია მათი გადაკეთების ამბავი, გადაუფიქრებია.

მე ძალიან მოწადინებული ვიყავი დამეთვალიერებია სახელგანთქმულ ბიჭვინთის ტაძარი, სოხუმის ახლოს მდებარე. ეს მართლა დიდებული და ღირსშესანიშნავი ნაშთი; უნდა გავიხსენოთ, რომ იქ ექსორიათ იქმნა განდევნილი წმ. იოანე ოქროპირი და იმ ტაძრის კედლები, როგორც მარწმუნებენ, იმ დროიდან შემკული იყვნენ ფრესკებით გასაკვირველიც არ არის, რომ იმ დროინდელ ტაძრის გარეგან კედლებზე დიდრონი ხეები გაზრდილან („ცნობის ფურცელი“ 1901. №1586).

საქართველოში განხორციელებული ვანდალიზმით აღშფოთებულა რუსი მწერალი და ღვთისმეტყველი ბ. ნ. დურნოვოც, რომელიც თავის წერილებში მიუთითებდა საქართველოში ძველი ტაძრების დაქცევის, მათი მშვენიერი ხუროთმოძღვრების და ქანდაკების ნიმუშების განადგურება-აოხრების შესახებ და განცვიფრებულს უკითხავს: „რას მივაწეროთ, რომ ამ მამაცმა ერმა (ქართველმა), რომელმაც ათას ხუთასი წლის განმავლობაში მტკიცეთ და შეურყევლად დაიცვა თავისი ენა, სარწმუნოება და ტერიტორია, და მიიტანა ყოველივე ეს შეუბღალველად მე-XIX საუკუნის დასაწყისამდე, ჩვენს დროში ასე დაკნინდა და დამაბუნდა და თავისს დიდებულ ძველ ნაშთებსაც ვეღარ უვლის?“ („ცნობის ფურცელი“ 1901. №1586).

ყველა ქვეყანა კრძალვით და მოწიწებით ეპყრობა წარსულ დროის ნაშთებს. ყველგან მოიპოვება მუზეუმები და არქეოლოგიური ნაშთების დამცავი შენობები.

ჩვენ ვერც ის დაგვიცავს, რაც გადარჩა მურმან ყრუს, ჩინგიზ-ყაენის, თემურ-ლენგის და შაჰ-აბასის შემოსევას და დარბევას! – ნეტავ, რას უყურებს მოსკოვის არხეოლოგიურ საზოგადოების ტფილისის აგენტი და ან ახლად შემდგარი ტფილისის განყოფილება იმავე საზოგადოებისა? – კითხულობს აღშფოთებული კორესპონდენციის ავტორი და იქვე დასძენს, – ჩვენ გვავიწყდება ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ ადამიანი განირჩევა პირუტყვისაგან მისდამი მინიჭებულ მეხსიერებით თავის წარსულის სვე-ბედისა, რომლის ნაშთებს ის მედგრად იცავს. ხოლო როცა ადამიანი ჰკარგავს ამ თვისებას, მაშინ მან ხელი უნდა აიღოს, არამც თუ ბუნების მეფობაზე, არამედ თვით კულტურით შეჭურვილ არსებობაზე („ცნობის ფურცელი“ 1901. №1586).

როგორც ვხედავთ, კორესპონდენციით ავტორი მკითხველებში ცდილობს გააღვივოს ეროვნული სენტიმენტები იდენტობის შენარჩუნებისათვის, ვინაიდან რელიგიური ისტორიული მეხსიერების ადგილების გაქრობით ქრება ამ კულტურის შემქმნელი ერის არსებობა. ამიტომაც ისტორიული მეხსიერების მნიშვნელოვნობაზე საუბრების გამართვით თავის მკითხველებს მოუწოდებს კულტურული ძეგლების დაცვისაკენ.

თ. ჟორდანიას წერილი „მოქვის (აფხაზეთი) ეკლესიის ომოფორი ისტორიული წარწერებით“, კიდევ ერთი თვალსაჩინო დადასტურებაა იმისა თუ როგორ საგანგებოდ ზრუნავდა რუსეთის მთავრობა ქართული კვალის გაქრობას აფხაზეთში. მოქვის დიდებული ტაძარი, რომელიც აღუშენებია აფხაზეთ-სამეგრელოს მეფე ლევანს 957 წლის ახლო დროებში, 1865 წ. უკანასკნელ აფხაზეთა მთავრის დროს განუახლებიათ,

ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, გააფუჭეს ეს ტაძარი; ფერად-ფერადი მარმარილოსაგან გაკეთებული მისი იატაკი სრულიად შეიმუხრა; ძვირფასი მარმარილოს სვეტები დაამსხვრიეს, ხოლო ფასდაუდებელი მოზაიკით (სოფიოს კენჭით) მხატვრობა მისი საუკუნოდ გაჰქრა.. უჩინო იქმნენ აგრეთვე ქართულნი წარწერანი. ამ უკანასკნელმა გარემოებამ ქართულის მოძულე მეცნიერთა (უკეთ რომ ვსთქვათ უმეცართა) წრეს საბაზი მისცა ბუკი ნადართი გამოეცხადებინათ, ვითომ მოქვის ტაძარი ქართული ხელოვნება არ იყოს, ვითომ აფხაზეთში ქართული კულტურის გავლენა არ ყოფილიყო. ამისთანა გვამნი ქართულ წარწერას თუ სადმე მოახელებდნენ, ჰშლიდნენ, რყვინდნენ და კედლებზე ჯღაბნიდნენ ბერძნულ წარწერათა... („ივერია“ 1902. №92).

ავტორი იძლევა ინფორმაციას სამეგრელოში მიმოფანტული მოქვის ტაძრის სიწმინდეების შესახებ იმის დასტურად რომ მოქვში და მთელს აფხაზეთში ქართული კულტურა ყოფილა გავრცელებული და ქართული ენა გამეფებული. ავტორს 1890 წელს გულდაგულ დათვალიერებისას აღმოუჩენია სამრეკლოდან ჩამოქცეული ქვის ნატეხი ასომთავრული წარწერით, რომელიც იუწყებოდა სამრეკლოს მოქველი მთავარეპისკოპოს გრიგოლ მაგმნიძეს მიერ აშენებას (წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით XV ს. დასასრულით თარიღდება). სამეგრელოს ტაძრებში თვითონ ავტორს უნახია მოქვის ტაძრის კუთვნილი ხატები და ჯვრები ქართული წარწერებით. მარტვილში აღმოჩნდა 1300 წ. დაწერილ-დახატული ქართული სახარება მოქვის კუთვნილი, აგრეთვე სხვა წიგნებიც დავითნი, გულანი და სხვა. ეს ყველაფერი დასტურია იმისა, რომ მოქვში და მთლიანად, აფხაზეთში ქართული კულტურა ყოფილა გავრცელებული და ქართული ენა გამეფებული. აქვე აქვეყნებს ილორის ტაძრის კუთვნილი სიწმიდის, ომოფორის და მასზე მოთავსებული

ასომთავრული წარწერების შესახებ ინფორმაციას („ივერია“ 1902. №92).

ამგვარი პუბლიკაციების გამოქვეყნება აუცილებლობით იყო განპირობებული. თ. ჟორდანია ქართული კულტურის მონაპოვრების რეპრეზენტაციით კულტურული კავშირის უწყვეტობას ადასტურებს აფხაზეთში. ამით ამსხვრევს უცხო იდენტობის მიზნებს და ხელს უწყობს მოსახლეობის გაერთიანებას ქართული კულტურის გარშემო, მაშინ როდესაც ამ უკანასკნელს გარედან ემუქრება საფრთხე.

რელიგიური საკითხებისადმი იმპერიული მიდგომა დასახელებული „დროების“ კორესპონდენციაში ოსმალეთის გავლენით გამაჰმადიანებული აფხაზების კვლავ ძველს სარწმუნოებაზე მოქცევის სირთულედ. გარდა ამისა, ხალხში სახარების ნათელის გავრცელების ნაცვლად, ლოცვათა რუსულად იძულებით დაზეპირების მცდელობა უარყოფით ემოციას იწვევდა ხალხში („დროება“ 1883. №215). ყოველივე ამას ხალხის ეკლესიისგან განრიდება მოჰყვა. ამის ნათელი მაგალითია კორესპონდენცია გუდაუთიდან. როგორც კორესპონდენციიდან ვიტყობთ, საეკლესიო დღეობაზე, რომელსაც აქაურები პირველ ღვინობისთვის მართავდნენ, აქ მცხოვრებ 50 ქართველთაგან არავინ დასწრებია („ცნობის ფურცელი“ 1897. № 333). ხალხის ეკლესიისგან განრიდებას განსაკუთრებული მასშტაბები მიუღია სამურზაყანოშიც, რასაც საგონებელში ჩაუგდია სამურზაყანოს მოსახლეობა და გადაუწყვეტიათ მთავრობისთვის მიემართათ ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის აღვლენის ნებართვის მოთხოვნით („ცნობის ფურცელი“ 1898. №479).

გარდა აღნიშნულისა, ხშირ შემთხვევაში გაქრისტიანებული მოსახლეობის ისლამისკენ მიბრუნება გ. როგავას აზრით,



განპირობებული იყო ადგილობრივი ენის არმცოდნე რუსი სამღვდელოების მიერ აფხაზთა მონათვლის ფორმალური ხასიათით (როგავა 2000: 102).

არსებული ვითარება მისიონერი მამების არასწორი მუშაობის შედეგად იყო. სამსონ დათეშიძის (სამსონ დ.<sup>24</sup> ფსევდონიმით) ინფორმაციით, აფხაზეთში ოფიციალურად უმეტესი ნაწილი ქრისტიანი ყოფილა, მაგრამ ნამდვილად არც ქრისტიანები ყოფილან და არც მაჰმადიანები. აქაურები არ იცავდნენ ქრისტიანულ წესებს. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ჯვარ-დაუწერელი ქორწინება, რასაც „დათით ქორწინებას“ ეძახდნენ. სარწმუნოებრივი თვალსაზრისით განსაცდელის ჟამს (სარწმუნოება იმდენად არის დაცემული, რომ წელიწადში ერთხელ ძლივს შედიოდნენ აქაური მცხოვრებლები), ათონის მონასტრის არქიმანდრიტ მამა იერონს, იმის ნაცვლად ეზრუნა სწავლა-განათლების ამალგებაზე და დაცემული სარწმუნოების განმტკიცება-გამლიერებაზე, ახალი ტაძრის აგებაზე დაუწყია ფიქრი, რაც უთუოდ კარგი საქმე იყო, თუმცა

ხალხში სწავლისა და სინათლის მოფენა და მართლმადიდებელის სარწმუნოების გამტკიცება უფრო უკეთესი ძეგლი იქმნებოდა და უფრო უკეთესი დამსახურება ღვთისა და კაცობრიობის წინაშე („ივერია“ 1894. №66).

აღნიშნული კორესპონდენცია რელიგიური საკითხებისადმი მისიონერი მამების დამოკიდებულების თვალსაჩინო დადასტურებაა. ამგვარმა დამოკიდებულებამ საბოლოო ჯამში

---

<sup>24</sup> სამსონ დ. – სამსონ დათეშიძე. იხ. ფსევდონიმების ლექსიკონი. ელექტრონული ვერსია. [http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=srch&d=2&id\\_srch=b32e3e5ff2529963de7e4d13603c0100&il=en&p=1](http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=srch&d=2&id_srch=b32e3e5ff2529963de7e4d13603c0100&il=en&p=1)

უფუნქციოდ აქცია ქართული ეკლესია-მონასტრები. „კავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოების” მიერ გამოგზავნილ მისიონერ ევტიხი მამინაიშვილს აქ უნუგეშო მდგომარეობა დახვედრია:

ახლად მონათლული აფხაზები ისევ მაჰმადის სარწმუნოებაზე გადასულან. სოფლებში მოლები გამრავლებულან და მედრესეები გაუხსნიათ აფხაზების ბავშვებისთვის. კვირა-უქმეობით ეკლესიებში მარტო მღვდელ-დიაკონს თუ ნახავს კაცი. ეს სამწუხარო მოვლენა შენიშნულია უფრო ბზიფში (დასავლეთ აფხაზეთში), რომელიც მამა კავკასიძის შემდეგ უმისიონეროდ იყო დარჩენილი („ცნობის ფურცელი“ 1896. №63).

აი, სხვა მაგალითიც:

ადრე ძალით მონათლულნი ქრისტიანებათ. ახლა ჩუმათ – მალვით ისევ მოლებს ემხრობიან და სიკვდილის შემდეგაც მაჰმადიანურ წესზედ იმარხებიან. იყო შემთხვევა და არა ერთი რომ, ქრისტიანი აფხაზი მისი ანდერძის თანახმად, აიღო და დაასაფლავა მოლამ მაჰმადიანურად, ხოლო შემდეგ ამოაღებინა მღვდელმა და დამარხა ქრისტიანულად („ცნობის ფურცელი“ 1898. №660).

შემდეგი კორესპონდენციაც „ცნობის ფურცელიდან“, მიუთითებს ათონის მონასტრის მისიონერი მამების (800-მდერუსი ბერი დამკვიდრებულა) მოღვაწეობის უშედეგობაზე. მისიონერმა ბერებმა არათუ ვერ შეასრულეს თავიანთი მისია განემტკიცებინათ ქრისტიანული სწავლება ხალხში, არამედ პირიქით მათი აქ დამკვიდრებით ნელ-ნელა ისპობოდა ქრისტიანობა ამ მხარეში. ბოლო 8-10 წლის განმავლობაში ყოველ წელიწადს ათასობით აფხაზი იცვლიდა სარწმუნოებას („ცნობის ფურცელი“ 1904. №2708).

რელიგიური ისტორიული მეხსიერების თვალსაზრისით საინტერესოა დაბა გუდაუთის ს. აჭანდარას<sup>25</sup> შესახებ ცნობები. ს. აჭანდარა, ერთი მხრივ, ოსმალების, მეორე მხრივ, ჩერქეზების (ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა სოფელს) გავლენით მაჰმადიანობას მყარად ჰქონდა ფეხი მოკიდებული ამ სოფელში, თუმცა, როგორც ჩანს, ქრისტიანობაც ვერ ამოიგდეს გულიდან:

რა სარწმუნოების ხალხია აჭანდარელები? მე არა მგონია, დედამიწაზე კიდევ იყოს მეორე იმ ტიპის სარწმუნოება, როგორც აჭანდარაშია. აქ ქრისტიანობა არეულია მაჰმადის სჯულში და გამოსულა რაღაც არგაგონილი ქრისტიანული-მაჰმადიანური სარწმუნოება...

ქრისტიანობა ისე დაიხშო ხალხში, რომ არავითარი მასთან შეერთებულ გარეგან მოქმედებებს აღარ ჰქონდათ ადგილი აჭანდარაში. ნათვლა, ჯვრის-წერა ზიარება და სხვა მივიწყებული იყო ხალხისგან. ეს დრო იყო, როდესაც ზეციურ მანანასავით მოველინა აჭანდარლებს ბერი მიქაბერიძე – კაცი შრომის მოყვარე, ზედმიწევნით მცოდნე საღმრთო სჯულისა. იმისმა ენერგიულმა ქმედებებმა, რომელთაც თვითონ თავის ცხოვრებაში ასრულებდა, დიდი გავლენა იქონია ხალხზე („მოამბე“ 1898. №6: 117).

ბერი მიქაბერიძის გავლენით აჭანდარელები კვლავ გაქრისტიანებულან. თუმცა მიქაბერიძის აქედან გადასვლის შემდეგ აჭანდარაში ისევ ალაჰის ქება-დიდება გაძლიერებულა.

---

<sup>25</sup> სახელწოდება სოფელს მიუღია სიტყვისგან ჭადარი. „შუა აჭანდარაში სდგას სამი ას-წლოვანი ჭადრის ხე (მოხუცთა სიტყვით, მეოთხეც ყოფილა), რომელიც თავისი ვეებერთელა, შორს-შორს გამვებულის ტოტებით დაჭერილი აქვს თითქმის ერთი ქცევა ადგილი და იმათი სიდიდ-სილამაზე უცხო მნახველს აკვირვებს“ („მოამბე“ 1898. №6: 101).

მაჰმადიანობის გამყარებას უფრო შეუწყო ხელი 1877 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომმა. აჰანდარლებიც გადაიხვეწნენ ოსმალეთში, სადაც სამი წელი დარჩნენ. ამ დროს განიმტკიცეს მაჰმადიანობა. 1881 წელს უკან მობრუნებულებს არც ჰქონიათ გაქრისტიანების სურვილი.

სოფელში მცხოვრები 250 კომლიდან მხოლოდ 15 კომლი ყოფილა ქრისტიანი, დანარჩენი მაჰმადიანი იყო. აღსანიშნავია, რომ მათაც მიუღიათ ქრისტიანობა, მაგრამ შემდეგ მაინც გამაჰმადიანებულან და ქრისტიანობას სიძულვილის თვალით უყურებდნენ („ივერია“ 1902. №68). თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წმინდად შეუნახავთ „დიუდურუბშის ძეგლის“ ხსოვნა. დიუდურუბშის ძეგლი მდებარეობდა რამდენიმე ასეული წლის წინათ ამავე სახელწოდების მთაზე, რომლის ძირში განფენილი ყოფილა ს. აჰანდარა. „მას შემდეგ, რაც ის დაინგრა, მისი ნანგრევები ძეგლად დარჩენილა, რომელსაც აფხაზები ეხლაც თაყვანს სცემენ. თვით ის ადგილი, სადაც არის ნანგრევი ძველის ეკლესიისა, აფხაზებს წმიდა ადგილად მიაჩნიათ, და არც ერთი აფხაზი იქ ასვლას არ გაბედავს“. რადგან აფხაზები ვერ ბედავდნენ წმინდა ნანგრევის მოლოცვას, დაბლა მოუწყვიათ მსხვერპლშეწირვის ადგილი, სადაც დიდი მუხა და ქვა იდო. ქვაზე ღვთისმშობელი ყოფილა გამოსახული, რომელზეც იღებდნენ ფიცს აფხაზები. იმ ადგილს, სადაც ძველის ეკლესიის ნანგრევები იყო, აფხაზურად ეძახდნენ „ანიბს ნახო დიუდურუბშ“, რაც ქართულად ნიშნავს „აფხაზეთის ძლიერი ხატი დიუდურუბში“. ძეგლის მეთვალყურეობა ძველი დროიდან ჩიჩბების გვარს ჰქონია. მთელი წლის განმავლობაში აფხაზები, როგორც მაჰმადიანები, ისე ქრისტიანები, დღესასწაულობენ მხოლოდ ახალ წელს და აღდგომას. აღდგომას

წითელი კვერცხით და პასქით ეგებებიან. ეს ქრისტიანობის ნაშთი შერჩენიათ აფხაზებს („ივერია“ 1902. №68).

აღსანიშნავია, კორესპონდენციის მიხედვით ქრისტიანობის და წარმართობის სინთეზი. ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევებში წარმართულ მსხვერპლშეწირვას და რიტუალს აფიქსირებს ავტორი. მაგრამ აქ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ პოლიტიკურ ვითარებას არ ძალუძს წაშალოს იდენტობის რელიგიური ისტორიული მეხსიერების და მეხსიერების ადგილების ხსოვნა.

წარმართობის და ქრისტიანობის სინთეზი ჩანს ქორწინების ტრადიციაშიც. ტრადიციული ქორწინებით რამდენიმეწლიანი თანაცხოვრების შემდეგ ხდებოდა ქრისტიანული საიდუმლოთი მათი კავშირის განმტკიცება. თვალსაჩინოებისთვის მოვიყვან ერთ-ერთ მაგალითს:

ძიძა და მონათესავენი მისნი ლოცულობენ, რომ შურით არავინ მოშალოს სასიძო, ეს მოშლა, მათის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ აფხაზები სხვა-და-სხვა შელოცვებით, ტყვიითა და დანასკვულის ხელსახოცებით მოუსობენ სასიძოს მეუღლეობის ნიჭსა... მე თვითონ დავესწარი სამს შემთხვევას როდესაც მამაჩემთან მოვიდენ სასიძოს მშობელნი და ჰსთხოვდენ მოსვენების ნებას სასწაულთ-მოქმედის წმიდის გიორგის ხატისას სოფლის ილორიდამ გადასაცემად კაცის ამ გვარ მომშლელთა პირთა. ამ ხატისა ძლიერ ეშინიანთ როგორც ქრისტიანებს, ისე მაჰმადიანებსაც. როდესაც მოასვენებდენ მას, შეშინებული ბრალეულნი გარდაცემამდე დაასწრობდენ და ხელახლავ გახსნიდენ შეკრულს სასიძოს, რომელსაც მიეცემოდა კვლავ ნიჭი მეუღლეობით ცხოვრებისა („დროება“ 1885. №20<sup>26</sup>).

---

<sup>26</sup> ავტორი კოწია მაჭავარიანი.

იმპერიული მმართველობა, თუ ერთი მხრივ, ქართული იდენტობისათვის კულტურული საყდენის გამოცლას ისტორიული მეხსიერების ადგილების წაშლით ცდილობდა, მეორე მხრივ, ენობრივი იდენტობის მოშლით ცდილობდა რელიგიური იდენტობის განადგურებას. განსაკუთრებულ წნეხს განიცდიდა იდენტობის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი – ენა, როგორც ზემოთ ლინგვისტური იდენტობის განხილვისას მივუთითებდი. ვინაიდან ენა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მყარი ეროვნული ერთობის შექმნაში. ამ შემთხვევაში ენა უწყობდა ხელს რელიგიური ისტორიული მეხსიერების გავრცელებას, შესაბამისად, ენისთვის ბრძოლა თვითობის სხვა მახასიათებლებისთვის, ამ შემთხვევაში რელიგიური მეხსიერების შენარჩუნებისთვის ბრძოლის ტოლფასი იყო.

ამიტომაც დაიწყო საგანმანათლებლო სივრცის შეურიგებელი რუსიფიკაცია, რამაც უნუგეშო მდგომარეობაში ჩააგდო ქართული სასწავლებლები. გამონაკლისს არც სასულიერო სასწავლებლები წარმოადგენდა. რეჟიმმა ქართული ენის სწავლება ამოიღო სასულიერო სასწავლებლებიდან, რომლებიც განსაკუთრებით საჭიროებდა მშობლიურ ენაზე სწავლებას, ვინაიდან სასწავლებელს უნდა აღეზარდა ჭეშმარიტი სულიერი მოძღვრები. შედეგად საზოგადოებას უბრუნდებოდა ეროვნულ ცოდნას მოკლებული მოძღვარი, რომელიც თავის მოვალეობას ვერ ასრულებდა. ასეთი დამლუპველი შედეგი მოგვცა ჩვენში კათალიკოსობის გაუქმებამ და ეგზარქოსობის შემოღებამ. ამ დროიდან დაარსდა ჩვენში სასულიერო სასწავლებლების ნაცვლად, სქოლასტიკური (ანუ ფორმალური) – ბერძნულ-ლათინური სემინარიები. ჩვენი ქვეყნის სასულიერო საქმეების წარმართველად დაინიშნა უმაღლესი სინოდი, რომელმაც რუსულ

ყაიდაზე გარდაქმნა ჩვენი სემინარიები და სასულიერო ახალგაზრდობა დააყენა გადაბირების გზაზე.

XIX ს-ის 60-იან წლებში ეგზარქოს ევსევის შეუნიშნავს ის გარემოება, რომ ქართველი მღვდლები არამცთუ ვერ აღავლენდნენ ქადაგებას ქართულ ენაზე, არამედ საეკლესიო წიგნებს ბორძიკით კითხულობდნენ და წინადადება წამოუყენებია თბილისის სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების გაძლიერების თაობაზე, თუმცა მთავრობისაგან უარი მიუღია („ივერია“ 1882. №2). შემდგომში, აფხაზეთის ახლად დანიშნულ ეპისკოპოს გენადის დაუსვამს ადგილობრივი სასულიერო კადრების მომზადების საკითხი, რომელთაც თავიანთ წვლილი უნდა შეეტანათ ხალხის განათლების ამალგებაში („ივერია“ 1887. №94). თუმცა ეს საკითხიც იმპერიულ პოლიტიკას იქნა დაქვემდებარებული. გადაწყდა აფხაზეთი კადრების რუსულ სასწავლებლებში მომზადება, იმ განზრახვით, თითქოსდა ამით მთავრობა ხელს უწყობდა აფხაზეთის ზნეობრივ და ეკონომიკურ დაწინაურებას – დაეხმარონ აფხაზებს სასოფლო მეურნეობის და ბაღოსნობის შესწავლაში („ივერია“ 1894. №149). სინამდვილეში, გაძლიერებული მისიონერული საქმიანობა ჰქონიათ განზრახული რუსული ენის გასავრცელებლად. შედეგი ფრიად სავალალო აღმოჩნდა იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც სტავროპოლის გიმნაზიაში გაუგზავნია განათლების მისაღებად რუსეთის მთავრობას („ივერია“ 1900. №223).

სარწმუნოებრივი თვალსაზრისით მდგომარეობას ართულებდა რუსი მღვდლების გამწესება აფხაზეთის ეკლესიებში. მაგალითად, ს. ბესლახუბაში დანიშნულ რუსი მღვდელი წირვა-ლოცვას, ქადაგებას რუსულად ეწეოდა, რომელიც არ ესმოდა ადგილობრივ მცხოვრებლებს:

როგორ გინდათ, რომ ბესლაზუბელ გლეხი კაცი დაელაარაკოს ამ მღვდელს? ლაპარაკისთვის და ერთმანეთთან აზრის გაცვლა-გამოცვლისთვის ღმერთს ენა გაუჭენია, და თუ კი კაცმა არ იცის ეს ენა, მთელი ხალხი ისე სად უნდა დახელოვნდეს მიმიკაში, რომ თთებითა და კბილებით ელაპარაკოს თავის მოძღვარს („დროება“ 1881. №27).

განსაკუთრებულ სირთულეს ქმნიდა აღსარების საიდუმლოს შესრულება. მღვდელი რუსულადასრულებდა წირვა-ლოცვას, მრევლი ისმენდა. მიუხედავად იმისა, გაიგებდა თუ არა, ეკლესიაში ხატს და ჯვარს მაინც ემთხვეოდა, პირჯვარს გადაიწერდა. მაგრამ როგორ შეასრულებდა რუსი მღვდელი აღსარების საიდუმლოს მაშინ, როდესაც მრევლს არ ესმოდა მისი ენა? ამ შემთხვევაში მღვდელს თარჯიმნის დახმარებით გადაუწყვეტია თავისი ვალდებულების შესრულება. ამგვარი საქმიანობით მღვდელი არღვევდა ქრისტიანულ ტრადიციას, აღსარების საიდუმლოს, რომლის დროსაც მესამე პირის დაშვება მიუღებელია. პუბლიკაცია მიზნად ისახავს ამგვარი ფაქტებით საზოგადოების ყურადღების გააქტიურებას.

საზოგადო საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულების არაერთ მაგალითს ვხვდებით მედიაში. ერთ-ერთ ასეთ მაგალითს წარმოადგენდა ქართველებით დასახლებულ სოხუმში ნინოზობის დღესასწაულზე წირვა-ლოცვის მშობლიურ ენაზე აღვლენის<sup>27</sup> უფლების არქონა. გულგრილი დამოკიდებულების კიდევ ერთ ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ გუდაუთის

---

<sup>27</sup> როგორც ჩანს, არაერთგზის მიმართვას შედეგი გამოუღია და წლის ბოლოსთვის (1898 წ.) უკვე გაზეთი სასიხარულო ინფორმაციას აწვდის თავის მკითხველებს – სოხუმის ოლქის მცხოვრებლებმა მიიღეს სამშობლო ენაზე წირვა-ლოცვის მოსმენის ნებართვა („ივერია“ 1898. №273).



მღვდელ მამა იოანე ჩაჩანიძის რუსულად წირვა-ლოცვის აღვლენა. გუდაუთში მოსახლეობა 90 კომლიდან 80 მეგრელები და იმერლები ყოფილან. აქ 1887 წლამდე ქართულ ენაზე ყოფილა წირვა-ლოცვა. მაგრამ 1887 წლიდან რუსულად დაუწყია წირვა-ლოცვა მღვდელ იოანე ჩაჩანიძეს. კორესპონდენციის ინფორმაციით, მისთვის არავის მოუთხოვია გუდაუთში რუსულად წირვა-ლოცვის აღვლენა („ცნობის ფურცელი“ 1897. №84). ალბათ ეს არის უმთავრესი მიზეზი იმ გარემოებისა, რომ გუდაუთში საეკლესიო დღეობაზე ქართველმა მომლოცველებმა შეწყვიტეს სიარული („ცნობის ფურცელი“ 1897. №333). თუმცა, ამავე „ცნობის ფურცელში“ ვხვდებით ინფორმაციას მღვდელ იოანე ჩაჩანიძის მიერ ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი პანაშვიდის ქართულად აღვლენის თაობაზე („ცნობის ფურცელი“ 1898. №466).

ასეთ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ აქტივობებს, რასაც უნდა გაერღვია საზოგადო საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება. მედია საზოგადო საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებას უპირისპირებს სამაგალითო მოღვაწეობას. ასეთ ნიმუშს წარმოადგენს მღვდელ ბ. ხელაიას საქმიანობა, რომელსაც ყაზანის ორიოდე ქართველისთვის ქართულად შეუსრულებია წირვა-ლოცვა მღ. ბ. ხელაიას. „საზოგადოდ ჩვენ, სოხუმელებს, საერთო, არა საპირადო, საქმეებისთვის არა გვცალიან, მაშინ გვძინავს, გვძინავს საღათას ძილით“ – წერს გულისტკივილით ივერია („ივერია“ 1898. №48).

ეს იყო იდენტობრივი მახასიათებლების გადარჩენისათვის ბრძოლის იშვიათი ნიმუში. ბეჭდური მედია ამგვარი სამაგალითო მოღვაწეობის ამსახველი ეპიზოდებით ცდილობდა

ინდიფერენტული მოსახლეობის გამოფხიზლებას. ამ მხრივ საყურადღებო კიდევ სხვა მაგალითებს წარმოვადგენ. მათ შორისაა ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების სკოლების ინსპექტორის არქიმანდრიტ ამბროსის<sup>28</sup> (საუბარია არქიმანდრიტ ამბროსი კავკასიძეზე<sup>29</sup>) მოღვაწეობა („ივერია“ 1890. №91, №103, №114), რომელიც აფხაზეთის სკოლების დათვალიერებისას ხალხში ქრისტიანულ მოძღვრება-ქადაგებას ეწეოდა და არიგებდა მათ სწავლა-განათლების აუცილებლობის შესახებ. ასევე, ქრისტიანულ მოძღვრება-ქადაგებას ეწეოდა დეკანოზი დავით მაჭავარიანი სამურზაყანოსა და აბჟუვის (კოდორის განყოფილება) საეკლესიო სამრევლო სკოლების დათვალიერებისას („ივერია“ 1894. №253). აღსანიშნავია, აგრეთვე, ოჩამჩირის ბლალოჩინ მამა იოანე კერესელიძის საქმიანობა (ოჩამჩირის ბლალოჩინად უმსახურია 1882 წლიდან). მამა იოანე კერესელი-

---

<sup>28</sup> არქიმანდრიტი ამბროსი კავკასიძე მთავრობას 1890 წლის 1 მარტს დაუნიშნავს ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების სკოლების ინსპექტორად და მისიონერად გურიის, აფხაზეთის, სამურზაყანოს, სვანეთის და ახალციხის მაზრაში (იხ. „ივერია“ 1890 №114).

<sup>29</sup> არქიმანდრიტ ამბროსი კავკასიძისადმი მიძღვნილი წერილები უკანასკნელ დრომდე ამბროსი ხელაიასადმი მიძღვნილად იყო მიჩნეული (ქგაბ 1963: 83). „ივერიის“ 1890 წლის 90-ე და 103-ე ნომრების პუბლიკაციაში არ გვხვდება არქიმანდრიტ ამბროსის გვარი. გვარი მითითებულია 1890 წლის 114-ე ნომერში. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ნ. პაპუაშვილმა და შეცდომით ამბროსი ხელაიასადმი მიძღვნილად მიჩნეული კორესპონდენციების არქიმანდრიტ ამბროსი კავკასიძისადმი კუთვნილების აზრი გამოთქვა (პაპუაშვილი 2005: 83). ამ აზრს იზიარებს ჯ. გამახარიაც (გამახარია 2006ა: 18-19). თუმცა ნ. ნაჭყებიას ზემოთ დასახელებულ მონოგრაფიაში, რომელიც 2006 წ. არის გამოქვეყნებული, ისევ ამბროსი ხელაიასადმი მიძღვნილ პუბლიკაციად არის მიჩნეული (ნაჭყებია 2006: 105).

მესაც ღირსეული სამსახურისთვის დიდი სითბო და სიყვარული დაუმსახურებია ოჩამჩირის მოსახლეობაში („ივერია“ 1898. №200; „ცნობის ფურცელი“ 1898. №622). მამა იოანე კერესელიძის ოჩამჩირიდან გაცილების (სიყვარულის და პატივისცემის ნიშნად მოსახლეობას გამოსათხოვარი სადილიც კი გაუმართავს) შემდეგ, აქ ბლადოჩინად დაუნიშნავთ მამა დიმიტრი მარლანია. აფხაზეთიდან კორესპონდენტ ნ. ჯანაშიას დახასიათებით „მამა დიმიტრი მარლანია წარმომადგენელია იმ ახალგაზრდა აფხაზთა ჯგუფისა, რომელნიც სულითა და გულით მოწადინებულნი არიან არ მოისპოს ძველებური კავშირი აფხაზთა და ქართველთა შორის“ („ივერია“ 1898. №218).

სამაგალითო სახალხო აქტოვობებზეც საუბრობს მედია. მაგალითად, სოფ. მერხეულის ოცდაათ მოსახლე მეგრელებს საკუთარი ხარჯით აუშენებია ეკლესია. ასევე საკუთარი ხარჯით დაუწყიათ ეკლესიის მშენებლობა სოფ. აბჟაყვაში ახალ მოსახლე მეგრელებს („დროება“ 1883. №240). ეკლესიების მშენებლობის საკითხში იკვეთება კერძო პირის ინიციატივებიც. მაგალითად, ს. ბედიაში კნეინა ალექსანდრა გრიგოლის ასულ შარვაშიძის ხარჯით აუგიათ ეკლესია („ცნობის ფურცელი“ 1898. №592).

სარწმუნოების დაქვეითებაზე და აფხაზეთში სარწმუნოების თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით მღვდლის როლზეა საუბარი ახალი ამბების რუბრიკაში ს. აკვასქეს მაგალითზე. ამ სოფელში სარწმუნოებრივი ვითარება რადიკალურად შეცვლილა სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულ მამა ბ. გობეჩიას გადმოყვანის შემდეგ. კეთილისმყოფელი გავლენა მოუხდენია ახალგაშენებულ მღვდლის ქადაგება-დარიგებას მრევლზე: გახშირებულა

ნათლობა, ჯვრისწერა, სარწმუნოებაზე მობრუნება დაუწყია სოფლის მოსახლეობას, მომრავლებულა მლოცველები („ცნობის ფურცელი“ 1899. №899).

როგორც აღვნიშნე, თავისი საქმიანობით და საზოგადო კეთილდღეობაზე ზრუნვით დიდი სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია თითოეულ მათგანს ხალხში. კეთილი ნაყოფი გამოუღია მათ ქადაგება-მოდღვრებას მრევლში. აქ გამოვეყოფდი არქიმანდრიტ ამბროსი კავკასიძის ქადაგება-მოდღვრებას ს. ლიხინის ეკლესიაში, რომელიც გამოქვეყნებულია „ივერიაში“ „ბ.ხ.“<sup>30</sup> ფსევდონიმით. აღნიშნული ქადაგება-მოდღვრების შედეგი მნიშვნელოვანია იდენტობის საზოგადოებრივი პერცეფციების კვლევისათვის. კორესპონდენციის ავტორი, მამა ამბროსი ხელაია ხაზს უსვამს არქიმანდრიტ ამბროსი კავკასიძის მჭევრმეტყველებას. ამ ნიჭის წყალობით მისმა ქადაგებამ ხალხის გულებამდე მიაღწია და დიდი გავლენა მოახდინა მათზე:

შემდგომად ასეთის სწავლა-მოდღვრებისა აუხსნა ხალხს შვილების სწავლების სარგებლობა და უთხრა, რომ თქვენს საზოგადოებაშიაც სკოლა გამართეთო. ისე დაბეჯითებით ლაპარაკობდა მამა არხიმანდრიტი და ყოველივე ნათქვამი თვისი ისე ჩააწვთა ხალხს ყურში, რომ დიდის სიამოვნებით მიიღო საზოგადოებამ ეს წინადადება და იქვე ეკლესიაში განაცხადეს სურვილი სკოლის გამართისა... ასეთმა მამობრივმა დარიგებამ და შემწეობის აღმოჩენამ და დახმარებამ ძალიან ასიამოვნა ხალხი, თითქოს გული მოუღობო ყველას და თბილი სხივი ჩაუფინა („ივერია“ 1890. №114).

---

<sup>30</sup> დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში კორესპონდენციის ავტორად მიჩნეულია მამა ამბროსი (ერისკაცობაში ბესარიონად წოდებული) ხელაია (იხ. პაპუაშვილი 2005: 83; გამახარია 2006ა: 18-19).

ეპიზოდით თვალსაჩინოა არქიმანდრიტ ამბროსი კავკასიის ქადაგება-მოდღვრების როლი საზოგადოების სულიერი გაჯანსაღების კუთხით, ეს იყო მოწოდება ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვისაკენ ისევდაისევ მათივე კეთილდღეობისათვის. ბოლოს მამა ამბროსი ხელაია დასძენს

ღმერთმა ინებოს, რომ ამისთანა კაცები ხშირად დაჰხედვდნენ ხოლმე ჩვენს მივიწყებულს მხარეს და ათასში ერთხელ მაინც გაგვაგონებდნენ კაცობრიულსა და კეთილს სიტყვა-პასუხსა („ივერია“ 1890. №114).

ნაციონალური გრძნობა ნათლად ჩანს ქართულად წირვა-ლოცვის აკრძალვის შესახებ გამოქვეყნებულ კორესპონდენციებში. ამის ნათელი მაგალითია შემდეგი ამონარიდი:

აქეთ ქართული ენის ჭაჭანება არსად არ ისმის, არც ერთ სასწავლებელში.

წარმოდგინეთ აქაური ქართველების მდგომარეობა: ბევრს მათგანს ისე არ ესმის რუსული ენა, როგორც თქვენს უმორჩილეს მონას ჩინური, და მთელი წელიწადი ერთხელ ვერსად ვერ მოისმენთ ქართულს წირვა-ლოცვას, თუმცა ქართველი მღვდლები არიან, რომელთაც შეუძლიათ ქართულად წირვა-ლოცვა („ივერია“ 1892. №85).

ამავე საკითხს ეხება „ივერიის“ წერილები სოხუმიდან. კორესპონდენციები იუწყება, რომ აღდგომის დღესასწაულზე სოხუმის ტაძარში სახარება წაუკითხავთ ბერძნულად, სლავურად, ლათინურად, ქართველებს ლოცვა ქართულად ვერ მოუსმენიათ და გულნატკენი გამოსულან ტაძრიდან. ეს ხდება იქ, სადაც მცხოვრებთა ორ მესამედს ქართველები შეადგენდნენ.

აქურ ქართველებს განუზრახავთ მოთხოვნით მიმართონ მთავრობას დროგამოშვებით მაინც დართონ ქართულად წირვა-ლოცვის ნება. თუ ნებას არ დართავენ გადაუწყვეტიათ ახალი ტაძარი ააგონ, სადაც მხოლოდ ქართულად იქნება წირვა-ლოცვა („ივერია“ 1894. №128; „ივერია“ 1895. №75).

აგერ ათი წელიწადია, რაც ჩვენ ქართული წირვა-ლოცვა არ გაგვიგონია. ასე გასინჯეთ, აღდგომასაც არ გვესმის ტკბილ სამშობლოს ენაზედ სახარების კითხვა („ივერია“ 1897. №48).

სოხუმის ოლქის ს. ფშანის მოსახლეობისთვის, სადაც მხოლოდ ქართველები ცხოვრობენ, ადგილობრივ მღვდელს დ. ხუციშვილს წირვა-ლოცვა სლავიანურ ენაზე შეუსრულებია, მიუხედავად სინოდის 1898 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილებისა – იმ სოფლებში, სადაც მოსახლეობას ქართველები შეადგენენ წირვა-ლოცვა ქართულად უნდა სრულდებოდეს („ივერია“ 1899. №69).

დაბა გუდავათის მაგალითზე ასეთი სურათია წარმოდგენილი. 1896 წლამდე, ვინაიდან დაბის მცხოვრებთა უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ, წირვა-ლოცვა ქართულად სრულდებოდა, მაგრამ 1896 წლიდან ვითარება შეცვლილა: ქართულად აუკრძალიათ, არა მარტო ეკლესიაში წირვა-ლოცვა, არამედ შინ, მიცვალებულზე წესის აგებაც და ბავშვის მონათვლაც („ივერია“ 1905. №121).

სამურზაყანოსა და აფხაზეთის საზოგადოებას თხოვნით არაერთგზის მიუმართავთ სასოფლო სასწავლებლებში „დედა-ენის“ სწავლების შემოღების შესახებ. „ივერიის“ ახალი ამბავის რუბრიკა აღნიშნავს „ჩვენშიც არიან ისეთი პირები, რომელთაც კარგად შეუგნიათ, რომ „მაღლა აცოცებისთვის

კუდის ქნევაა საჭირო“ და კიდევ ასე იქცევიან, ესენი უქადა-გებენ ხალხს, საჭირო არ არის თქვენს შვილებმა ქართული ენა იცოდნენო“ („ივერია“ 1895. №218).

სოფლის მწერლები ზოგან გაჯიუტდნენ: ქართული რად გინდათ, ჩვენ ხომ მუდამ რუსულად ვწერთ „რაპორტებსაო“. ჩვენ ვერ გამოგვიყენებია ქართული ენა და ჩვენი მომავალი თაობა რაში გამოიყენებსო. რამდენიმე ვაჟ-ბატონი დიდ ოინებს სხადიან ქართული ენის წინააღმდეგ. ქუცმაცობით სხვისი ყურადღების დამსახურებას სცდილობენ. ესენი გახლავს ჩვენი ქვეყნის ახლად აფუებული პატრიოტები (ავტორი ოქმ-ელი ვანო<sup>31</sup>, „ივერია“ 1896. №17).

არაერთხელ მიუღიათ უარი წირვა-ლოცვის ქართულად აღვლენის ნებართვაზე. ერთ-ერთი უარი სოხუმის საზოგადოებას მოსვლია ნინოობის დღესასწაულზე („ივერია“ 1898, №17). ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა უფროსისა და ეპისკოპოს არსენის მიმოწერიდან, ირკვევა რომ ნინოობის დღესასწაულზე ქართულად წირვის აღვლენაზე უარი ეპისკოპოს არსენს ქართული მოქალაქობრიობის დანერგვის შიშით განუცხადებია, რაც დასტურდება მისივე სიტყვებიდან „ქართველების მოძრაობა დიდათ აბრკოლებს აფხაზების გარუსებისა და გადაგვარების საქმეს“ (გამახარია 2006: 148).

კნეინა ალათია შერვაშიძესაც მიუმართავს თხოვნით საქართველოს ეგზარქოს ფლაბიანესადმი წირვა-ლოცვის ქართულად აღვლენის თაობაზე. როგორც მედია-მასალები მოწმობს, არაერთგზის მიმართავს შედეგი გამოუღია და 1898 წლის ბოლოსთვის უკვე „ივერია“ სასიხარულო ინფორმაციას აწვდის

---

<sup>31</sup> ოქ-მელი ვანო – ივანე გეგია. იხ. (ჟორდანიას 2011: 166).

თავის მკითხველებს – სოხუმის ოლქის მცხოვრებლებმა მიიღეს სამშობლო ენაზე წირვა-ლოცვის მოსმენის ნებართვა.

... უეჭველია, ზნეობრივის მხრივ დიდს და თვალსაჩინო ნაყოფს გამოიღებს ეს განკარგულება.

... დროა აქაურმა ქართველობამ გამოიღვიძოს, გარდა თავისის პირად საქმეებისა, საზოგადო საქმესაც ერთად, თანხმობით მოჰკიდოს ხელი, გულგრილობა, ზარმაცობა საზოგადო საქმეში აწ მაინც მოიშოროს თავიდან და დანარჩენ ქართველთ აჩვენოს, რომ ისიც ქართველია გულით, საქმით და არა უაზრო სიტყვით! ჩვენ, სოხუმელთათვის, აგრეთვე საჭიროა ქართული სამრევლო სკოლაც (ავტორი ჰამუთ-ბეი<sup>32</sup>, „ივერია“ 1898. №273).

ბეჭდურ მედიას ყურადღების მიღმა არ რჩება სოხუმში ქართულად წირვის აღვლენის შესახებ ინფორმაცია და იტყობინება, რომ თხუთმეტი წლის შემდეგ პირველად, ეპისკოპოს სერაფიმეს წყალობით ქართულ ენაზე აღვლენილ წირვას იმდენი ხალხი მოაწყდა, რომ ერთი ნაწილიც ძლივს დაიჭია ეკლესიამო („ცნობის ფურცელი“ 1905. №2838).

მისიონერული საქმიანობის გაგრძელებას წარმოადგენდა რუსი მღვდლების დანიშვნა აფხაზეთში. ერთ-ერთი რუსი მღვდელი „ჩერ. ვესტნიკის“ ცნობით მეგობრულად არ მიუღიათ აფხაზეთში

მკვიდრნი მცხოვრებნი, აფხაზები, თამამად ითქმის, მოხარულნი არიან, რომ ახალი მწყემსი-რუსი გაუმწესეს. სასურველია,

---

<sup>32</sup> ჰამუთ-ბეი – ამ ფსევდონიმით ივერიაში კორესპონდენციებს აქვეყნებდა ნიკოლოზ ჯანაშია. 1891 წელს მუშაობას იწყებს სოხუმის მთიელთა სკოლაში მასწავლებლად, მაგრამ მალევე დასწამეს „გაქართველების“ პოლიტის მიმდევრობა და გადაიყვანეს გურიაში (იხ. სახოკია 1984: 212-215).



აფხაზების სოფლებში ამისთანა ნასწავლი მწყემსები იყოს, წერა-კითხვის უცოდინარ ქართველების მაგიერ, რომლებიც წირვა-ლოცვას ქართულად აფხაზთათვის გაუგებარ ენაზედ ასრულებენ..

ნარკვევის ავტორი აღშფოთებული პასუხობს: მხოლოდ გონებადახშულ ადამიანს შეუძლია თქვას აფხაზი ქართული წირვა-ლოცვას ვერ იგებს და სლავიანურს იგებსო. ი. ჭავჭავაძე ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავს გაზ. „ჩერ. ვესტ“-ის მიზანს:

უარჰყოს საქართველოს ისტორია და ქართველ-აფხაზთა სულიერი და ეროვნული ერთობა წარსულში. სრულიად ბრმა და ყრუ, ხსოვნასა და წარმოდგენას მოკლებული უნდა იყოს ის კაცი, რომელიც არ გაიხსენებს რა დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველ სამღვდელოებას კავკასიონის მთების კიდეებზედ დასახლებულ თემთა მოქცევა მოქრისტიანებაში. სად იყვნენ ოპერეტის არტისტი პალმი და მისი თანამოაზრენი, როდესაც ქართველი მღვდლები, მონასტერში აღზრდილნი, ჩრდილო ოსეთში მოღვაწეობდნენ იმ დროს („ივერია“ 1903. №175).

რუსული ფაქტორი თავისი იმპერიული მიზნებისთვის იყენებდა სარწმუნოების მხრივ აფხაზეთში არსებულ ვითარებას. როგორც ბეჭდური მედიის მასალემი მოწმობს, მართალია აქტიური საქმიანობა გაჩაღდა აფხაზეთის ქრისტიანობაზე მოქცევის მხრივ, მაგრამ მონათვლაზე მათი მობრუნება იმდენად რთული არ ყოფილა, რამდენადაც მათი ჭეშმარიტი გაქრისტიანება. ამისთვის შემდგომი მუშაობა და კარგი მასწავლებლები იყო საჭირო, რათა ისინი კეთილ კვალზე დამდგარიყვნენ. ზემოთ უკვე მივუთითეთ აფხაზთა გაქრისტიანების შემაფერხებელ გარემოებებზე. კორესპონდენციაში საუბარია აფხაზთა გაქრისტიანების შემაფერხებელ სხვა ფაქტორზეც: აფხა-

ზეთში გავრცელებულა ინფორმაცია, რომ ყველა სრულწლოვანი, ქრისტიანი აფხაზი უნდა გაეწვიათ ჯარში, მაჰმადიანი აფხაზები კი თავისუფლდებოდნენ სამხედრო ბეგარისგან. ამ ინფორმაციას არეულობა გამოუწვევია ახალმონათლულ აფხაზებში და ისევ მაჰმადიანობაზე მოქცევა მოუთხოვიათ („ივერია“ 1889. №95).

თუ ზოგიერთნი ფულის გადახდით იცილებენ თავიდგან სამხედრო, ჩენ რაღა დავაშავეთ? ჩვენც მზად ვართ ჯარში გასვლის მაგივრად ფული გადავიხადოთ, და თუ ეს შეუძლებელია, მაშინ თათრობას დაუბრუნდებით; ჩვენ გვეგონა, რუსეთის სახელმწიფოში უპირატესობა ქრისტიანობას ეჭირა, მაგრამ, როგორცა სჩანს ეს უპირატესობა მაჰმადიანებსა ჰქონებია, ამიტომ დღეიდგან ჩვენს შვილებს მაინც აღარ მოვნათლავთ („მწყემსი“ 1889. №10: 7).

აღნიშნული თვალსაზრისით, როგორც ჩანს, განსაკუთრებულ წნეხს განიცდიდა სამურზაყანო. მთავრობა სარწმუნოებას აქ ვითარების სამართავად იყენებდა. მთავრობის გადაწყვეტილებით სამურზაყანოშიც, როგორც დანარჩენ აფხაზეთში, სამხედრო ბეგარის ფულით გადახდის ვალდებულება შემოუღიათ მაჰმადიანი აფხაზებისთვის. ამ ფაქტს დიდი გავლენა მოუხდენია ხალხზე: არათუ ქრისტიანობა მიუღია ვინმეს, არამედ ახლად მონათლული ქრისტიანები ისევ მაჰმადის სჯულზე მოქცეულან. კორესპონდენციებში მითითებულია, რომ

ქვეშევრდომთა მოწვევა ჯარის კაცებად ამტკიცებს სახელმწიფოს ნდობას მათდამი, შეადგენს დიდს პატივს და სიქადულს მათთვის („მწყემსი“ 1889. №13:13).

იმისათვის, რომ ამგვარმა სამხედრო ვალდებულებამ აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებას ზიანი არ მიეყენებინა, აუცილებელი იყო ხელისუფლებას ერთნაირი სამხედრო ვალდებულება შემოეღო აფხაზეთში.

აღნიშნულ პრობლემაზე გაუმახვილებია ყურადღება 1890 წელს ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების ინსპექტორად დანიშნულ არქიმანდრიტ ამბროსი კავკასიძეს და განუმარტავს და დაურწმუნებია ხალხი, რომ

მთავრობას ქრისტიანების სიკეთე უნდა და არა ის, რომ ასეთის განკარგულებით უპირატესობას აძლევდეს მუსულმანებს, როგორც თქვენ გიფიქრიათო. აქედგან ის უნდა დაასკვნას, რომ მთავრობა ქრისტიანებს უფრო მეტად ენდობა, სახელმწიფოს შვილებად მიაჩნია და მაჰმადიანებს-კი მხოლოდ ხარკსა სთხოვს ფულადო... რადგან თქვენ მთავრობის ნამდვილი აზრი ვერ გაგიგიათ, მთავრობამ შესცვალა ეს განკარგულება, და შემდეგში თქვენც და მუსულმანებსაც „საღდათად“ აღარ გაგიყვანენ და გადასახადს ყველასგან ფულად აიღებენო („ივერია“ 1890. №91).

სამხედრო ბეგარის<sup>33</sup> საკითხში გაუგებრობას იწვევდა სიტყვა „ქრისტიანი-აფხაზები“, როგორც აქაურს საზოგადოება-

---

<sup>33</sup> ჯარში გაწვევის ახალი წესი ძალაში დარჩა გასაბჭოებამდე. იგი უკვე აღარ იყო ხელისშემშლელი ფაქტორი მართლმადიდებლობისათვის, მაგრამ გახდა საფუძველი ქართველების დიდი ნაწილის გააფხაზებისა. სამხედრო ბეგარისათვის თავის არიდების მიზნით, ბევრი ქართველი ნებაყოფლობით აფხაზად ეწერებოდა. რუსები თვალს ხუჭავდნენ სამხედრო ვალდებულთა რაოდენობის ხელოვნურ შემცირებაზე; მათთვის გაცილებით მნიშვნელოვანი იყო ქართული გავლენის შესუსტება აფხაზეთში (გამახარია 3006: 566). ამის შედეგად გვხვდება დღეს ერთი და იგივე გვარ-სახელის მქონე ქართველებიც და აფხაზებიც (აფსუები) (ლორთქიფანიძე 2012: 60).

ში, ისე თვით აქაურ ადმინისტრაციაშიც. სოხუმის ოლქის ერთ ნაწილს წარმოადგენს სამურზაყანო. გაუგებარი დარჩა სამურზაყანოელები „ქრისტიან-აფხაზებად“ ითვლებოდნენ თუ მეგრელებად. ნამდვილად-კი მეგრელები, და მამასადაძმე, ქართველები არიან. ყველგან მთელს სამურზაყანოში მეგრულად ლაპარაკობენ და არიან ისეთივე ქრისტიანები, როგორც მათი თანამოდმე მეგრელები. მხოლოდ გაკვირვებას იწვევდა ის გარემოება, რომ როცა საქმე სწავლა-განათლებას შეეხებოდა სამურზაყანოში, სამურზაყანოელები აფხაზები იყვნენ და სწავლა-განათლება სამურზაყანოში იმავე წესსა და რიგს უნდა დაქვემდებარებოდა, როგორსაც აფხაზეთში. მაგრამ, როცა სამხედრო სამსახურის ფულით გადახდაზე მიდგა საქმე, სამურზაყანოელები ქრისტიანები, მეგრელები არიან და არა აფხაზებით („ივერია“ 1890. №134).

გადის დრო. გუდაუთის აფხაზები თავიანთი ნებით უარს აცხადებენ გადასახადის გადახდაზე და მოითხოვენ ჯარში გაწვევას („ცნობის ფურცელი“ 1905. № 2782).

რელიგიური თვალსაზრისით სამწუხარო ვითარებას ასახავს წერილი „მდგომარეობა მართლ-მადიდებლობისა საქართველოს საეგზარქოსოში“. ამ სათაურით დაბეჭდილა ჟურნალ „Церковный Ведомост“-ში უწმიდესი სინოდის ობერპროკურორის (საუბარია კონსტანტინ პობედონოსცევი<sup>34</sup> – ქ.მ.) 1894 და 1895 წლების ანგარიშიდან საქართველოს ეპარქიებში მართლ-მადიდებელთა სარწმუნოებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობები. საქართველოს ოთხ ეპარქიაში – ქართლ-კახეთის, იმერეთის, გურია-სამეგრელოს და სოხუმის ეპარქიაში „სცხოვრობენ

---

<sup>34</sup> კონსტანტინ პობედონოსცევის სინოდის ობერ-პროკურორის თანამდებობა დაუკავებია 1880 წელს („მწყემსი“. 1889 №11. გვ. 2).

*სხვა-და-სხვა ხალხოსნობის ერნი: რუსები, ქართველები, ოსები, მეგრელები, აზხაზები, ფშავლები, ხევსურები, თუშები და სხვა-და-სხვა წვრილმანნი ერნი...*“ (კურსივი ჩემია – ქ.მ.). შემდგომ მოცემულია თითოეული მათგანის სარწმუნოებრივ-ზნეობრივი დახასიათება. წარმოვადგენ ჩემი მიზნებიდან გამომდინარე აფხაზებთან მიმართებაში მოცემულ ცნობებს:

აზხაზები და მეგრელები. სარწმუნოებას ძალიან გულცივად ეპყრობიან და არც ერთმა მათგანმა პირველ-დაწყებითი ჭემ-მარიტებანიც სარწმუნოებისა არ იცის, ეკლესიებში იშვიათად დადიან, აღსარებისა და ზიარების მოვალეობას გულმოდგინედ არ ასრულებენ... ამის გარდა აზხაზებს არეული აქვთ მაჰმადის და წარმართთა სწავლა სარწმუნოებაში, თაყვანისცემა მუხის ხეებისა, მათ მიმართ მსხვერპლის შეწირვა... მართლმადიდებელნი აფხაზნი ქორწინებასაც ძალიან სუბუქად ექცევიან. ქალწულთა ქალთა ყმაწვილის კაცებისაგან გატაცებას და მასთან უკანონოდ ცხოვრებას, ხშირად ახლო ნათესავებთანაც-კი, აფხაზთა შორის შეადგენს მკვიდრს ჩვეულებასა. ველურის და უზნეო ჩვევათაგან აფხაზთა შორის უნდა ჩათვალოს სისხლის ძიება და ცხენის ქურდობა, რომელიც დანაშაულად არ მიაჩნიათ, ეს ჩვეულება ვაკაკობად აქვთ მიჩნეული, სისხლის ძიება სადმთო ვალად („ივერია“ 1898. №225).

ამონარიდი რელიგიური ვითარების ასახვასთან ერთად, იძლევა პირდაპირ მინიშნებას თუ როგორ შეიძლება განვითარდეს შემდგომში მოვლენები. ანგარიშებში აშკარად ვლინდება რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის მიზნები, რაც ჩანს ქართული რეგიონალური იდენტობების – იმერლების, მეგრელების, აფხაზების, ოსების, ფშავლების, თუშების სხვადასხვა ხალხოსნობის ერებად დასახელებაში. საქართველოს რეგიონალურ იდენტობებად დანაწევრებით „ახალ“ რელიგი-

ურ ისტორიულ მეხსიერებას ქმნიდა რუსეთის ხელისუფლება, რაც ადვილად მიღწევადს ხდიდა იმპერიულ მიზნებს.

ეკლესია გარდა იმისა, რომ არის რელიგიური საქმიანობის აღსრულების ადგილი, ამასთან აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობაც, რაც სხვა იდენტობრივ მახასიათებლებთან ერთად აქცევს ქართული იდენტობის გადარჩენის ადგილად. საამისოდ იმართებოდა სხვადასხვა აქტივობები. ერთ-ერთი ასეთია ქართველ საზოგადო მოღვაწეთა სათანადო მოგონება. ვინაიდან ყველა ცნობიერი ერის მოვალეობაა ქვეყნისათვის გამორჩეული შვილების ღვაწლის პატივისცემით მოხსენიება და მათი ღირსეულად მოგონება. სოხუმის ერთ-ერთ ტაძარში ქართველი მწერლის ეგნატე ნინოშვილის სულის მოსახსენებელი საორმოცო პანაშვიდის გადახდის შესახებ. ინფორმაცია საყურადღებოა იმ თვალსაზრისითაც, რომ პანაშვიდი ქართულად გადაუხდია დეკანოზ მაჭავარიანს (დავით მაჭავარიანს – ქ.მ.). ამ ფაქტით დიდად ნასიამოვნები დარჩენილა საზოგადოება – ერთხელ მაინც გვეღირსა ქართულის გაგონება ქართველებს აქაურ ეკლესიაშიო („ივერია“ 1894. №128).

ეს ეპიზოდი მრავალმხრივ საინტერესოა. როგორც აღვნიშნე, საზოგადო მოღვაწეების სამაგალითო ცხოვრების მოგონება, ერთი მხრივ, ეროვნული ერთობის გააქტიურება-გამთლიანებას უწყობს ხელს; მეორე მხრივ, ზემოთ ხსენებული პანაშვიდის ქართულად გადახდას რეაქციის მძვინვარების ხანაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული იდენტობის შენარჩუნების თვალსაზრისით. სწორედ ქართულად პანაშვიდის აღვლენამ გააღვივა, როგორც ვნახეთ, ეროვნული სენტიმენტები. ამით აღფრთოვანებული კორესპონდენტიც ხომ

სიხარულით აღნიშნავს „საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დარჩა“.

ასევე საინტერესოა რაფიელ ერისთავის სახელზე ბლალოჩინ იოანე ჩხენკელის მიერ გადახდილი პარაკლისის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომელიც კეთილ შედეგზე აქცენტირებით იქცევს ყურადღებას. სამაგალითო ცხოვრების რეპრეზენტაციამ კარგი ნაყოფი გამოიღო

სამურზაყანოში, სადაც იშვიათად თუ მოიპოვება საერთო გულ-შემატკივარი ადამიანი, იჩინა თავი საზოგადოებაში საერთო სურვილმა, რომ მიეკედლონ თავიანთ მოძმეთ ყოველ თვალსაჩინო საქმეში. ხალხი იმდენი შეგროვდა, რომ ტევა არ იყო („ივერია“ 1895. №249).

განხილული აქტივობებით ბეჭდური მედია ცდილობდა ინდიფერენტული მოსახლეობის გამოფხიზლებას და საერთო დარაზმულობას რელიგიური იდენტობის დასაცავად.

**თავი მეოთხე.**

**აფხაზეთი და ისტორიული მემკვიდრეობა**

როგორც ზემოთ აღვნიშნე, XIX ს-ს II ნახევარში დიდი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა ქართული იდენტობა. ჯერ ოსმალეთის, შემდგომ რუსული მმართველობის შედეგად გადაგვარების საშიშროების წინაშე დადგა ამ მხარეში რელიგია, კულტურა, ისტორია, ტრადიცია, ზნე-ჩვეულებები. თუმცა, რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად, ეს მხარე განთავისუფლდა თურქული გავლენისგან და რელიგიას უკვე როგორც იდენტობრივ მახასიათებელს, საფრთხე არ ემუქრებოდა უცხო იდენტობის მხრიდან, მაგრამ დენაციონალიზაციის მძაფრი ფორმებით გამოკვეთილი იმპერიული მმართველობა კულტურულ საყრდენს აცლიდა ქართულ იდენტობას. ამჯერად რუსული მმართველობის სიმძიმე საქართველოს მდიდარ ისტორიულ წარსულს დააწვა. ამ სიმძიმემ თითქოს ეროვნული სული გამოაცალაო ქართველობას, იმდენად ინდიფერენტული მიდგომა შეინიშნებოდა ხალხში ეროვნული საკითხებისადმი.

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა:

ნაციის დამახასიათებელი მემკვიდრეობის ღირებულებათა, სიმბოლოთა, მახსოვრობათა, მითთა, ტრადიციათა სახეების კვლავწარმოება და რეინტერპრეტაციას და ამ სახეებთან და მემკვიდრეობასთან (მისი კულტურული ელემენტებითურთ) საკუთარი თავის იდენტიფიკაციას (ჩხარტიშვილი 2004:42).



ამიტომაც ქართულ ბეჭდურ მედიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამოქალაქო ცნობიერების ასამაღლებლად ისტორიული მახსოვრობის გააქტიურებას:

ავიცა და კარგიცა, დიდებულიც და სავალალოც, რადგან ერთიც და მეორეც ერთგვარად გასწვრთნის ჩვენს გონებას, ერთგვარად გაუღვიძებს ერს გულისხმიერებას, გაუმტკიცებს ერთობას, გამოარკვევს ჩვენს ეროვნულ ცნობიერობას და აღძრავს დიადს ეროვნულს მოძრაობას („ივერია“ 1882. № 10).

ეთნოსიმბოლისტური პარადიგმის ავტორის ე. სმითის შეხედულებით, იდენტობის ისტორიული ფესვებისადმი მიბრუნება/ძიება აუცილებელია ნაციონალური ერთიანობის შესაქმნელად:

ნაციონალიზმი უნიკალური ნაციონალური იდენტობის ხელახალ აღმოჩენასა და განახლებას მოითხოვს; ეს წინაპართა საშობლოში მოსახლე ისტორიულ-კულტურულ ერთობაში ავთენტური ფესვებისადმი დაბრუნებას ნიშნავს. ნაციონალისტთათვის ნაცია, როგორც კულტურის ფორმა, ის ერთობაა, რომლის წევრებსაც გაცნობიერებული აქვთ თავიანთი კულტურული ერთიანობა და ნაციონალური ისტორია და თავდადებით იღწვიან ვერნაკულური ენების, ტრადიციების, ხელოვნების დარგების, ლანდშაფტის, ნაციონალური განათლებისა და ინსტიტუციების მეშვეობით ნაციონალური ინდივიდუალობის განვითარებისათვის (ჩხარტიშვილი 2004: 62).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი საზოგადოების უმნიშვნელოვანესი საფიქრალი გახდა ისტორიის დაცვა, რაც იდენტობის შენარჩუნებისათვის ზრუნვას უდრიდა. ქართველი პუბლიცისტები მართებულად მიიჩნევენ, რომ წარსულის საფუძვლიანი შესწავლა დიდ დახმარებას გაუწევდა არასასუ-

რველი თანამედროვე ცხოვრების შეცვლაში, ხელს შეუწყობდა ეროვნული ცნობიერების განმტკიცებას და ეროვნული მოძრაობის აღმავლობას. ამ მიზანს ემსახურებოდა ბეჭდურ მედიაში, ერთი მხრივ, აფხაზეთის ეკლესია-მონასტრების ისტორიულ ფესვებზე, რაც არსებული პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე აუცილებლობით იყო განპირობებული, მეორე მხრივ, აფხაზების წეს-ჩვეულებებზე, ტრადიციაზე, კულტურაზე აქტიური საუბრების გამართვა მკითხველებთან. ამგვარად ცდილობდა მედია ისტორიული ხსოვნის გააქტიურებას ხალხში და იდენტობის შენარჩუნებისათვის ქართველთა დარაზმულობას.

საგანგებოდ ზრუნავდა რუსული მმართველობა ქართული კვალის წაშლას აფხაზეთში. რელიგიური იდენტობის განხილვისას წარმოდგენილი მაქვს მოქვის, ბიჭვინთის, ახალი ათონის ტაძრებში ამ მხრივ განხორციელებული საქმიანობა და შედეგები.

ი. გოგებაშვილი შეურიგებელ ბრძოლას უცხადებს კულტურული ძეგლების მიმართ განხორციელებულ ვანდალიზმს. განიხილავს რა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობას, მიუთითებს:


ამჟამად აფხაზებს ორი მოტრფიალე ჰყავს. ერთნი ცდილობენ სრულიად დააშორონ იგინი საქართველოს, მეორენი მონატრულნი არიან დაიცვან ისტორიული კავშირი აფხაზებისა ქართველებთან... ჩვენ, ქართველებს, მხურვალედ გვსურს როგორც ჩვენი საღვთისმსახურო ენის, ისე ჩვენი მშობლიური ლიტერატურის განვითარება, გამდიდრება. მოვალენი ვართ იგივე ვისურვოთ სხვა ეროვნებებისთვისაც, მათ შორის აფხაზებისათვის („წყარო“ 1907. №26).

მისი აზრით, „აფხაზთა გამოფხიზლების და კულტურულობის გზაზე მათი დადგომის წყალობით უწინდელი გარეგნული ერთიანობა ქართველებთან შეიცვლება შინაგანი სოლიდარობით და ინტენსიური ძმობით...“ (წერილი „აფხაზეთის შესახებ“ გამოქვეყნებული იყო რუსულ ენაზე გაზეთში „ზაკავკაზიე“ (გოგებაშვილი 1955: 200-221)). ი. გოგებაშვილი აფხაზ-ქართველთა ერთობის აღდგენის მიზნით პუბლიკაციებში აქცენტირებას ახდენდა ისტორიულ თანაცხოვრებაზე

თუ შეგნებული აფხაზები დაახლოვებით გაიცნობენ თავისი სამშობლოს წარსულს, ცხადათ დარწმუნდებიან, რომ აფხაზეთი მხოლოდ იმ საუკუნოებში სტკბებოდა კეთილდღეობით და კაი სახელით, როცა შეკავშირებული იყო საქართველოსთან პოლიტიკურად სარწმუნოებით და ღვთისმსახურებით. მეტსაც შეიტყობენ. მაშინ აფხაზეთი სათავეში უდგა მთელ დასავლეთ საქართველოსა, რომელსაც აფხაზების სახელმწიფო ერქვა. მაგრამ როცა ისტორიის უკუღმა ტრიალმა მოსწყვიტა იგი საქართველოს და გაიმარტოვა, აფხაზები უკან-უკან წავიდნენ, დაეცნენ, გაველურდნენ, ერის ნაცვლად წარმოადგენენ ერთ მუჭა თემს, რომელსაც გაქრობა ემუქრება, თუ პოლიტიკოსებმა გააცალკევეს, გაიმარტივეს და მოსწყვიტეს საქართველოსა. მტკიცე კავშირი კი მეგრელებთან და სხვა ქართველებთან წელში გამართავს აფხაზებს, ზურგს გაუმაგრებს, ძალას და ღონეს მისცემს და კარგის მომავლის იმედით აღავსებს („წყარო“ 1907. №26).

ბეჭდური მედია ქართული კულტურის ძეგლების მიმართ განხორციელებულ ვანდალიზმს მათ ისტორიული ფესვებზე საუბარს უპირისპირებს და მკითხველებში ეწევა ინტენსიურ პოპულარიზაციას. ქვემოთ ამის რამდენიმე მაგალითს წარმოვადგენ. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ქართული კულტურის ძეგლი არის ბედიის ტაძარი:

... ერთი დიდებული ნაშთთაგანი ჩვენის წარსულისა – ბედიის ტაძარი. თუმცა ჟამთა სიმკაცრეს მეტის-მეტად დაუზიანებია ეს ტაძარი, მაგრამ თავის წარსული სიდიადე იმდენად ეტყობა დღესაც ბედიის ტაძარს, რომ შესვლისთანავე შიგ მოწიწებით ქუდს იხდით და მყისვე განიშსჭვალებით ქრისტიანებრივისა და წარსულთა დროთა პატივისცემის გრძნობითა („ივერია” 1894. №52).



**ბედიის ტაძარი. მწყემსი 1893. N12.  
საჯარო ბიბლიოთეკის ელექტრონული ვერსია**

ტაძარი ინახავს ძვირფას ინფორმაციას საქართველოს ისტორიის შესახებ. ტაძარში კარგად ყოფილა შემონახული თამარ დედოფლის სახე და წარწერები, მაგრამ ჩვენი წარსუ-

ლის ეს დიდებული და სახელოვანი ნაშთი კორესპონდენტის თანამედროვეობაში ნადგურდებოდა. ადგილობრივები, ერთი მხრივ, მოკრძალებას გამოხატავდნენ ტაძრის მიმართ, მეორე მხრივ, უმართებულოდ იქცეოდნენ. ეკლესიის ნანგრევი ქვები ზოგს თავიანთი მიცვალებულის საფლავებისთვის, ზოგს ბუხრის ასაშენებლად წაუღიათ. კორესპონდენციის ავტორი მოუწოდებს სასულიერო პირებს გაუფრთხილდნენ წარსულის ნაშთებს, მათ შორის ისეთ უძვირფასეს განძს როგორცაა თამარ დედოფლის ნახატი.

ასევე, წარმოდგენილია ბიჭვინთის ტაძრის შესახებ ისტორიული ცნობები მედიაში

ახლად მონათლულ აფხაზთათვის აღაშენა ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანე I 551 წელში. ამ ტაძრის გეგმა გადაღებულია კონსტანტინეპოლს წმინდა სოფიის ტაძრისაგან... ახლად აშენებული პიწუნდის ტაძარი უკურთხებიან წმ. სოფიის სახელებად, მსგავსად კონსტანტინეპოლის წმ. სოფიის ტაძრისა და ეს სახელი ეწოდებოდა მას XVII საუკუნემდის („მწყემსი“ 1893. N18: 10-12).

XVII ს-ში ოსმალთა შემოსევების გამო, აფხაზთა კათალიკოსები იმერეთში გადასულან. 1830 წლიდან კი რუსებს სამხედრო ციხე მიუშენებიათ ტაძრის გალავნის ჩრდილოეთ კედელზე. კორესპონდენციის მიხედვით ბიჭვინთის ტაძარი განსხვავებულია საქართველოს ეკლესიებისგან. აქვე სქოლიოში მითითებულია, რომ 1860 წელს ბიჭვინთის ტაძარი განუახლებიათ და მხოლოდ მაშინ დაემსგავსა მისი ფანჯრები საქართველოს ეკლესიის ფანჯრებს. განახლებისას გუმბათში და საკურთხეველში შეუსწორებიათ ზოგიერთი მხატვრობა.

აღნიშნულია, რომ ტაძრის საკურთხეველი ჰგავს ატენის სიონის ტაძრის საკურთხეველს.



**პიცუნდის (ბიჭვინტის) მონასტერი. მწყემსი 1893. N18.  
საჯარო ბიბლიოთეკის ელექტრონული ვერსია.**

არაერთი კორესპონდენციაა გამოქვეყნებული მოციქულ სიმონ კანანელის სახელობის ტაძრის შესახებ. საუბარია ტაძრის შექმნაზე, ბერძენთა მფლობელობაზე, ნიკოპსიის საქართველოს განაპირა საზღვრობის პერიოდზე, ოსმალთა მფლობელობაზე და შემდგომ რუსული მმართველობის დროს ძველი ანაკოპიის ნანგრევებზე წმ. სიმონ კანანელის სახელობის მონასტრის დაფუძნებაზე, რომელსაც განსაკუთრებული მისია უნდა შეესრულებინა აფხაზეთში მართლმადიდებლობის გავრცელების თვა-

ლსაზრისით. მონასტერს, აქ დაცული სიმონ კანანელის წმინდა ნაწილების თაყვანსაცემად წინარე პერიოდში მრავალი მომლოცველი ჰყოლია, მაგრამ კორესპონდენტის მითითებით, ამ საუკუნის (XIX ს.) დასაწყისში ქრისტიანობა არსებული პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მისუსტებულა და ტაძარიც დანგრეულა („მწყემსი“ 1893. №10: 6-8).



წმ. სიმონ კანანელის სახელობის ტაძარი. მწყემსი 1893. N10.  
საჯარო ბიბლიოთეკის ელექტრონული ვერსია.

რუსული მმართველობის შედეგად დრანდის ტაძრის იმჟამინდელ სამწყუხარო მდგომარეობას იუწყება „კვალი“:

დღეს ეს ტაძარი შიგნით და გარეთ კირით შეფეთქილია და არაფერი მოაგონებს კაცს მის ძველებურს სიმდიდრეს და კედლის დიდებულს მხატვრობას.

ამ ტაძარს აქვს შიგნით ჯვრის სახე და კუთხეებში რგვალი სამლოცველო ეკვტერები და სამწირველოები. საზოგადოდ ტაძარს ეტყობა ბიზანტიის ხელობა, მაგრამ თვით მუნებურს ხუროთ-მოდღვრებასაც დაუმჩნევია კვალი წამწვეტებული გუმბათით, რომელიც მოგვაგონებს მეგრულ-აფხაზურს ფაცხურს სახურავს. თვით კედლების საშენებელი მასალა ძველებური აგური და კირია, გარეთ კი თლილის ქვის პერანგი აქვს შემოკრული. ყოველივე ამა გარემოების ძალით ეს ტაძარი უნდა იყოს მერვე ან მეცხრე საუკუნისა, როდესაც აფხაზეთის მთავრობა განთავისუფლდა ბიზანტიის დამოკიდებულებისაგან და დაამყარა საკუთარი მეფობა, საკუთარისავე განათლებისა და ხუროთმოდღვრების გეგმის შემოღებით („კვალი“ 1893. №13: 12).



დრანდის ტაძარი. კვალი 1893. №13.  
საჯარო ბიბლიოთეკა.

ბეჭდური მედია, აგრეთვე, ეწეოდა აფხაზეთში ისტორიულად არსებული წეს-ჩვეულებების, ტრადიციების, კულტურის



აქტიურ პოპულარიზაციას მკითხველებში. ამ მხრივ გამორჩეულია პ. გიორგიძის (პეტრე ჭარაია)<sup>35</sup>, თ. სახოკიას და სხვათა ავტორობით გამოქვეყნებული ეთნოგრაფიული წერილების სერია. პ. ჭარაიას ეთნოგრაფიული წერილების სერია – „აფხაზები და აფხაზნი“, რვა კარისაგან შედგება, ყოველ კარში მრავალი ცალკე თემა და საკითხია განხილული. მათ შორის აღსანიშნავია: ყოფა-ცხოვრება, ხასიათი, მჭევრმეტყველება, სისხლის ძიება, ქურდობა, ქალის მდგომარეობა და როლი ოჯახსა თუ საზოგადოებაში, სარწმუნოება, პატრიოტიზმი, სტუმარ-მასპინძლობა, სალოცავები, ქორწინება, მიცვალებულის დატირება, ხალხური პოეზია, მჭედლობა და სამჭედლო საქმის მნიშვნელობა და სხვ.

165-ე ნომერში იწყება აღნიშნული სერიის გამოქვეყნება. პირველ თავში გამოკვეთილია ეთნოგრაფიის, როგორც მეცნიერების, მნიშვნელობა საკუთარი ვინაობის შესასწავლად. მითითებულია, რომ:

სხვა-და-სხვა გვარს ცოდნასა და მეცნიერებათა შორის ნაკლების ყურადღების ღირსი არ არის ის რთული მეცნიერება, რომელიც კაცს თავის თავს გააცნობს, თავის თავს ასწავლის: დღევანდელს ყოფას თვალწინ დაუყენებს, წარსულს ცხოვრებაში ჩაახედებს, შეატყობინებს, რა ხორცისა და სულისაა, რა ენა აქვს, ანუ რა ზნე და ჩვეულება კერძოდ ერთს თუ იმის ნათესავთა კრებულს („ივერია“ 1888. №165).

წერილი საინტერესოა გამოყენებული ტერმინოლოგიის კუთხითაც. ავტორი აფხაზური ერთობის აღსანიშნავად იყენებს ხან ტერმინ „ტომს“, ხან „ერს“, ხან „აფხაზთა ტომის ერს“. ჩანს,

---

<sup>35</sup> პ. გიორგიძე – პეტრე ჭარაია. იხ. ფსევდონიმების ლექსიკონი. ელექტრონული ვერსია.

ასე უნდა გავიგოთ მისი ნათქვამი: აფხაზური ეთნიკურობის (ანუ წარმომავლობის) ერთობა (ხალხი). ავტორის მითითებით, შავ ზღვას, კავკასიონის ქედსა და სამურზაყანოს შორის მდებარე ტერიტორიას ეწოდება აფხაზეთი, რომელიც დასახლებული იყო „აფხაზთა ტომის ერთთა“ (ჩხარტიშვილი, მანია 2011: 426-428).

წერილში აღნიშნულია, რომ აფხაზებს ვაჟკაცობის უმთავრეს ნიშნად ქურდობა მიაჩნდათ: ქურდობა „ყველას მოხუცებულებიდან პატარამდის, ქალიდან კაცამდის ძვალსა და რბილში აქვს და მაღალ წოდებას ხომ პროფესიად გადაუქცევია. დრო და გარემოება იცვლება, თაობა თაობას მოსდევს, მაგრამ ქურდობა ისევ ერთსა და იმავე დონეზე დგას აფხაზეთში“ („ივერია“ 1888. №165).

მეორე ჩვეულება, რომელიც აფხაზეთში ყოფილა გავრცელებული არის სისხლის აღება. მათ მიაჩნდათ, რომ „სისხლის ძიება ღვთაებრივი და წმინდა მოვალეობაა ადამიანისა, იმისი გადაუხდელობა, კაცს საუკუნოდ სირცხვილეულ ჰყოფს დედამიწაზე. ამ აზრზეა ყველა, ქალი და კაცი, დიდი და პატარა“.

უარყოფითი მახასიათებლების დაფიქსირების პარალელურად ავტორი წარმოაჩენს აფხაზთა დადებით მხარესაც. იგი აფხაზს ქვეყნის სიყვარულით გულანთებულს გვიხატავს. მათთვის დამახასიათებელი ყოფილა „სამშობლოს ქება და ლოცვა: „აფსნზე“ უკეთესი ალაგი დუნიაზე არ არის; ღმერთო აფსნს ნუ დაკარგავ“-ო, ეს მუდამ ენაზე ადგია, ჭირშიაც და ლხინშიაც“, მიუთითებს ავტორი. საინტერესოა, სქოლიოში ჩატანილი ტერმინ „აფსნის“ მისეული განმარტებაც: „თავის სამშობლო ქვეყანას აფხაზები უწოდებენ: აფსნ. სიტყვა შესდგება, ჩემის აზრით, შემ-

დეგ სიტყვათაგან: აფსუა – აფხაზი და ან – დედა; აფსუ ან აფსნ – აფხაზის დედა სამშობლო, აფხაზეთი“ (ივერია 1888. №167).

ეთნოგრაფიული წერილები საგანგებოდ მიუთითებს აფხაზთა განსაკუთრებულ დამოკიდებულებას და პატივისცემას სტუმრისადმი:


სტუმართ-მოყვარეობა აფხაზთა ისე გავრცელებულა, რომ სტუმარი მათ შორის ითვლება საღმრთო პირად და ყოველს ჟამს სასურველია („დროება“ 1884. №275).

მიუხედავად იმისა, არის თუ არა სახლის პატრონი შინ, კმარა რომ სტუმარმა მოხსნას უნაგირი თავის ცხენს და კედელზე ჩამოჰკიდოს. ამის შემდეგ იგი შინაური ხდება და თუნდაც მამაკაცი არ იყოს შინ, დედაკაცები შესაფერ პატივისცემას გამოხატავენ:

მასპინძელი და მისნი მონათესავენი ერთობით თავზედ ადგანან და გულის-მოდგინედ ისმენენ სტუმართ საუბარს და ვერცა რა-ვინ გაბედავს სიტყვის ჩამორთმევას, რაც უნდა სიცრუეს ლაპარაკობდეს. ამას ზრდილობა მოითხოვს და სტუმართა პატივის ცემა („დროება“ 1884. №276).

ისტორიული მეხსიერების რეპრეზენტაციის თვალსაზრისით საინტერესოა „ცნობის ფურცელის“ კორესპონდენცია „აფხაზეთში. სოხუმიდან გაგრამდე“ (მგზავრის შენიშვნები), ავტორი თ. სახოკია (აქვეყნებს თ.ს. ფსევდონიმით). წერილების სერიაში საუბარია ფსირცხაზე, სადაც პირველ საუკუნეში იქადაგა ქრისტიანობა ანდრია პირველწოდებულმა და სიმონ კანანელმა. საყურადღებოა ისიც, რომ ფსირცხა დავით აღმაშენებლის ანდერძში მოხსენიებულია სამეფოს დასავლეთ საზღვრად. ამ ისტორიულ ტაძარს უკანასკნელ ხანს რუსი

ბერები დაპატრონებიან და ფსირცხასთვის ახალი ათონი დაურქმევიათ („ცნობის ფურცელი“ 1903. №2343). სოფ. ლიხნზე საუბრისას საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის იდენტობის მახსოვრობის თვალსაზრისით. ლიხნში იყო აფხაზთა მთავრის სასახლე, რომლის გარშემო აფხაზთა ფაცხები ყოფილა განლაგებული. აქვე ყურადღება გამახვილებულია სასახლის გარშემო



**სოფ. ლიხინი. ტაძარი და აფხაზეთის მთავრის სასახლის ნანგრევი. ცნობის ფურცელი. 1903. N177. საჯარო ბიბლიოთეკის ელექტრონული ვერსია**

მცხოვრებთა წარმომავლობაზე და ლინგვისტური ხასიათის ცვლილებებზე:

მთავრების დროს აქ თურმე ენა ქართული იყო გაბატონებული. როგორც ვიცით მთავრები უმეტესად თანამეცხედრებად დადიანთა ქალებს ირთავდნენ. ამათ თან მიჰყვანდათ ნამზითვნი ყმანი, რომელთაც სასახლის გარშემო ასახლებ-

დენ. დღეს ამ მოსახლეთა შორის მხოლოდ მეგრული გვარებია დარჩენილები და ხსოვნა მათის მეგრულის ჩამომავლობისა. ენას კი აფხაზურის გარდა სხვას ვერ გაიგონებთ („ცნობის ფურცელი“ 1903. №2349).

ავტორი ასევე საუბრობს ლიხნის სასახლის კედლებზე, როგორც განსაკუთრებულ ისტორიულ ძეგლზე, რომელიც არის აფხაზეთის დამოუკიდებლობის და აფხაზთა ძლიერების მოწმე. აქვე მთავრის ნასახლარის გვერდზე XI ს. ლიხნის ტაძარს აღწერს და მასზე მოთავსებულ ტაძრის უძველესობის (1066 წ.) დამადასტურებელ წარწერებზე ამახვილებს ყურადღებას ავტორი. აქ იყო აფხაზეთის მთავრის სეფერ ბეის საძვალე (რომელიც გაქრისტიანებულა და გიორგი დაურქმევია, ცოლად შეურთავს გრიგოლ დადიანის ასული, თამარი). ტაძარი მხატვრობით და საეკლესიო ნივთებით მდიდარი არ ყოფილა. ჟამთა ვითარების გამო განადგურებულა კედლის უძვირფასესი მხატვრობა და დაკარგულა საეკლესიო ნივთები. შემორჩენილი საეკლესიო ნივთების სიძველე სუკუნე, საუკუნენახევარს არ სცილდებოდა. ამ ნივთების შემონახვას ამავე ტაძრის მღვდლის ივანე გეგიას დამსახურებად აცხადებს და ხაზგასმით აღნიშნავს მის ღვაწლს ქრისტიანობის გავრცელების თვალსაზრისით. მამა გეგიას საეკლესიო ნივთები ომის წინ ტაძრის ერთ კედელში ჩაუმაღავს, ამგვარად უვნებელი გადარჩენილა, როდესაც ტაძარი გადაწვეს რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს. კორესპონდენტის ცნობით, ამავე ომში მოწამებორივად აღესრულა მამა ივანე გეგია. გარდა ამისა, ორი ისტორიული მოვლენის – აფხაზეთიდან უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძის ძალით წაყვანის და აფხაზების ამბოხების მოწმე ყოფილა ტაძარი.

აქვეა შერვაშიძეთა წარმომავლობაზე და ისტორიულ ფესვებზე ინფორმაცია. კორესპონდენციის მიხედვით „ქართლის ცხოვრება“ შარვაშიძეთა გვარის გაჩენას დავით აღმაშენებლის მეფობას უკავშირებს:

დავით აღმაშენებელმა დაიმორჩილა შირვანის მთავარი, შირვან-შაჰებად ანუ შერვაშე-ებად წოდებულნი. 1124 წ. ემირ ბენიშედიდს წაართვა დავით აღმაშენებელმა ქალაქი ანი და მთელი მისი გვაროვნობა აფხაზეთში გადმოსახლა. ალბად, ამავე დროს გადმოსახლა დავითმა შირვან-შაჰების გვარის რომელიმე თავადები, რომელთაც მერე შარვაშიძენი დაერქვათ. პირველი შერვაშიძე თამარ მეფის დროს ცხოვრობდა და დოთიანო ერქვა. როგორც დადიანნი, ისე შარვაშიძენი დამოუკიდებელნი მთავარი შეიქმნენ XV საუკუნის მიწურულში („ცნობის ფურცელი“ 1903. №2349).

ამავე სერიის ერთი წერილი შეეხება აფხაზეთის სამთავროს გაუქმებას და 1864 წლის აჯანყებას.

რუსული მმართველობა ყველაზე გვიან დამყარდა აფხაზეთის სამთავროში. რუსეთმა თანდათან დაიმორჩილა კავკასიის მთიელები. გადააყენა სვანეთის და სამეგრელოს მთავარი, გააუქმა ავტონომია და რუსული წეს-წყობილება შემოიღო. მხოლოდ აფხაზეთი იყო დარჩენილი. ნათელი იყო, რომ აფხაზეთს თავისუფლად დიდხანს არ დატოვებდა რუსეთი. კორესპონდენციაში საქართველოს მთავარმართველის პეტერბურგში გაგზავნილი წერილების შესახებ საინტერესო ინფორმაციაა მოცემული:

რას ვებოდით აფხაზეთის მთავარს, რა ღონის პატრონი ის არის, რომ ძალა გაგვიწიოს; უნდა აფხაზეთს მოვაშოროთ და ჩვენებური წესწყობილება შემოვიღოთ ამ მხარეშიაცო.



აფხაზეთის მთავარი მიხეილ შარვაშიძე. ცნობის ფურცელი.

**1903. N177.**

საჯარო ბიბლიოთეკის ელექტრონული ვერსია

მით უფრო, რომ ეს მხარე მოლაღატა, უნდო ხალხით არის დასახლებულიო („ცნობის ფურცელი“ 1903. №2356).

გადაწყდა 1863 წელს წაეყვანათ რუსეთში მთავარი და დაემორჩილებინათ აფხაზეთი. მთავრის წასაყვანად აფხაზეთში მოდის გენერლი შატილოვი 6 ათასი ჯარისკაცით პოლკოვნიკ როსტომ მარშანიასთან ერთად. ეროვნული სენტიმენტები იკვეთება მთავრის გადასახლების ამსახველ ეპიზოდში:

ნაპირზე აუარებელი ხალხი იდგა საყურებლად გამოსული. ყველას ეგონა, გემი ფოთისაკენ წავაო. ამოდრავდა გემის მანქანა, ზღვა აქაფდა. მთავარი ნაღვლიანი თვალებით გადმოსცქეროდა სასახლეს, აბჟუვას, მთლად აფხაზეთსა... გული აუჩუყდა, თვალებზე ცრემლი მოერია და თავი აარიდა იქაურობის ყურებას. მხოლოდ გონების თვალთ უცქეროდა თავის აწმყოსა და მომავალს, იმის გამოცნობას-ღა სცდილობდა, რა მომელის, რას მიზამენ, ან ჩემს ქვეყანას რა დაემართებაო... ერთი აზრი შავბედით ყორანსავით თავს დასჩხაოდა, მოსვენებას არ აძლევდა: ჩემთან ერთად ბოლო მოეღება აფხაზეთის მთავრობას, ჩემი დიდება გაჰქრა, გაჰქრა სამუდამოთაო... („ცნობის ფურცელი“ 1903. №2356).

1863 წელს აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შერვაშიძის გადასახლების შემდეგ, 1864 წელს 10 ივლისს აფხაზეთში რუსული მართვა-გამგეობა იქნა გამოცხადებული, რაც აფხაზებს სოხუმის სამხედრო ნაწილის უფროსმა პოლკოვნიკ კონიარმა ამცნო: „ბატონყმობა უნდა გადავარდეს აფხაზეთში, როგორც რუსეთის იმპერიის სხვა ნაწილებში მოხდაო, მიწები სახელმწიფოდ უნდა გადავიდესო“. ამბოხება ლიხნში დაიწყო. ამბოხებულებმა დახოცეს პოლკოვნიკი კონიარი და რუსთა ჯარი („ცნობის ფურცელი“ 1903. №2356). კონიართან ერთად, აჯანყებულებს ს. სოეჟსუს მოუკლავთ ბზიფის მაზრის დროებითი



ნაჩაღნიკი, კაპიტანი იზმაილოვი და მთავრობისგან ინფორმაციის შესაგროვებლად გამოგზავნილი ჩერეუკოვი. ამბოხება მარცხით დასრულდა. ამბოხებაში მონაწილეობა მიუღია სოხუმის და ზხიფის მაზრის რამდენიმე სოფელს. მათ შორის, წებელდაც ამბოხებულა და წებელდის სიმაგრის აღება უცდია ამბოხებულებს, მაგრამ ციხის გარნიზონს მედგარი წინააღმდეგობა გაუწევია („დროება“ 1966. №28). დამარცხებულები რუსეთის ხელისუფლებას უნდა დამორჩილებოდნენ. აქაურმა, დალის ხეობის მოსახლეობამ ოსმალეთში გადასახლება არჩია („ცნობის ფურცელი“ 1902. №1846).

ამბოხების მეთაურებმა გუდაუთის უფროსად დანიშნული დიმიტრი ჭავჭავაძის (შეპირდა უშუამდგომლებდა ეპატებინათ მათთვის) რჩევით მოინანიეს დანაშაული. ისინი რუსეთში გადასახლეს. დ. ჭავჭავაძის ბრძანებით მოხდა აფხაზეთის განიარაღებაც. მთავარმართებლის თანაშემწის მირსკის ბრძანებით გადაწვეს მთავრის სასახლე:

უზარმაზარი ქვითკირის შენობისა კედლები-ლაა დარჩენილი, აფხაზეთის დამოუკიდებლობის მოწამედ. და დღეს არა, ხვალ ისიც დაინგრევა. მოწმედვეა მრავალწლოვანი ცაცხვები, მათს ქვეშ დადგმული ფიქალი და ტრიალი მინდორი. დაიმარხა ძალა აფხაზთა და ეს, ერთს დროს ძლიერი, ხალხი დასუსტებულია და თითქმის გამქრალი („ცნობის ფურცელი“ 1903. №2356).

კორესპონდენციიდან საყურადღებოა ის გარემოება, რომ ავტორი ახდენს მკითხველებში ისტორიული მეხსიერების ადგილების კრისტალიზაციას. ამგვარი საუბრებით მედია მკითხველებში ააქტიურებდა ისტორიულ ხსოვნას და ხელს უწყობდა იდენტობის შენარჩუნებას.

ღირებულებათა, სიმბოლოთა, მახსოვრობათა, მითთა, ტრადიციათა სახეების რეინტერპრეტაციის თვალსაზრისით საინტერესო მასალებს ვხვდებით სხვა მოგზაურთა ჩანაწერებშიც. მოგზაურობის ჩანაწერები ქვეყნდება 1902 წ. ჰამუთ-ბეის (ნიკოლოზ ჯანაშია) ავტორობით, რომელიც ასახავს აფხაზთა ყოფა-ცხოვრებას, ბუნებას, ხასიათს, წინაპართა საფლავებისადმი პატივისცემას

... აფხაზს თავის დაუდევრობისა და სიზარმაცის გამო ვერ მოუხერხებია ხეირიანი ოდა აიშენოს, სასაფლაოზე კი მშვენიერი ქვითკირისა, თუ ხის ფიცრული „აჰათ გუნებია“ (ექვტერები). საზოგადოდ, აფხაზებს წინაპართა თაყვანის ცემა ძვალ-რბილში გამაჯდარი აქვთ. ერთი წამოძახებაც, შენს მიცვალებულს ღირსეულად ვერ ეცი პატივიო, ან როგორც იტყვიან ამ შემთხვევაში, მისთვის ერთი ჭიქა წყალი ვერ გაიმეტეო, სასიკვდილოდ მიაჩნია აფხაზს... („ივერია“ 1902. №109).

ნაციონალური იდენტობის უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს წარმოადგენს თვითდასახელება. სწორედ თვითდასახელების მეშვეობით ხდება იდენტობის ტერიტორიული მოცემულობის განსაზღვრა. ეთნოსიმბოლისტური პარადიგმის ერთ-ერთი ფუძემდებელი ინგლისელი მკვლევარი, ე. სმითი თვითდასახელებას იდენტობის აუცილებელ ნიშნად ასახელებს:

ნაციას განვსაზღვრავ, როგორც ადამიანთა თვითდასახელების მქონე ერთობა, რომელსაც უკავია სამშობლო მიწა და რომელსაც აქვს საერთო მითები და საზიარო ისტორია, საერთო საჯარო კულტურა, ერთიანი ეკონომიკა და ყველა წევრისთვის საერთო უფლება-მოვალეობანი“ (ჩხარტიშვილი 2004: 36).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საყურადღებო პუბლიკაციებს ვხვდებით იდენტობის თვითდასახელების შესწავლის

თვალსაზრისით. ამ მხრივ გამორჩეულია აფხაზი რაჟდენ გორდულაძის პუბლიკაცია, რომელშიც ფართო მსჯელობაა გამართული ქართულ საისტორიო მწერლობაში გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ (ეროვნულ, – „ნაციონალურ“) სახელწოდებათა არევ-დარევის შესახებ.

ხშირად რომელსამე ტომს, ერს (ჩვენს მწერლობაში ნაციის სიტყვის მნიშვნელობით „ერს“, რომ დავამკვიდრებდეთ, სჯობია: გამოჩნდნენ ისეთები, რომლებიც იმისათვის, რომ ხალხის თვალში გაეეროპილებიდა და განვითარების სახელი დაიმსახურონ, უცხო ქვეყნელთა სიტყვებს ჰხმარობენ ქართულის მაგიერ) დარქმევია იმ ქვეყნის სახელი სადაც მას უცხოვრია, ან დაბინავებულია. საკუთარი ტომობრივ-ნათესავური სახელწოდება დავიწყებია და მის ნაცვლად იმ ქვეყნის, მიწის, მხარის სახელწოდება მიუღია, სადაც გადასახლებულა და დამკვიდრებულა („ივერია“ 1898. №241).

სტატის ავტორის აზრით, გეოგრაფიული სახელწოდებისაგან მომდინარეობს კუთხეების სახელწოდება. აფხაზეთის ისტორიული მნიშვნელობის მოხმობით ავტორი ცდილობს გაფანტოს რუსულ თუ ქართულ მწერლობაში დამკვიდრებული არასამართლიანი დასკვნა – აფხაზები სხვა ტომის ხალხი არიან.

შეცდომა ამ მწერლებისა ადვილი ასახსნელია: ისინი ყოველთვის ეტაკებინან ენას, ისტორიას-კი ამ საუკეთესო ლამპარს ტომ-ნათესაობისას ყურადღებას არ აქცევენ. აფხაზეთი არის სახელი ქვეყნის, მიწის... იმიტომ კი არ დარქმევია ამ ქვეყანას აფხაზეთი, რომ ვითომ ერთი ტომის ხალხი – აფხაზები დასახლებულიყო აქ. ვინც უნდა დასახლებულ იყო აქ, აფხაზი დაერქმეოდა მხოლოდ იმისთვის, რომ აფხაზეთში სცხოვრებდა. „აფხაზი“ ტომად არ არსებობს, იყვნენ და არიან მხოლოდ აფხაზეთში მცხოვრებლები. VII ს. მოყოლებული გარეშე მტერთაგან შევიწროებული ქართლ-კახეთის ქართველობა „გარბოდა დასავლეთ

საქართველოში – აფხაზეთში და აქ დაერქვათ აფხაზები იმისთვის, რომ ის კუთხე სადაც ისინი დასახლდნენ, აფხაზეთი იყო.

ავტორი იმის დასტურად, რომ აფხაზეთი გეოგრაფიული სახელწოდებაა მოიხმობს ზეპირ გადმოცემებს. გადმოცემის მიხედვით სიტყვა აფხაზეთი წარმოდგება სიტყვებიდან „აქ ხაზიაო“. როდესაც „ურჯულოებს“ შეუწუხებიათ საქრისტიანო აფხაზეთი, მეფეს ასეთი ხერხისთვის მიუმართავს. როცა დაუმარცხებია „ურჯულოები“ წამოუყვანია დამარცხებულები და მათ თვალწინ გაუვლია „ხაზი“ აფხაზეთის საზღვარსა და დამარცხებულების სამფლობელოს შუა („ივერია“ 1898. №241, 242).

სპეციალური პუბლიკაცია მიეძღვნა ბესების ვინაობის საკითხის დადგენას. გამოითქვა ბესების აფხაზეთთან იგივეობის შეხედულება მოსე ჯანაშვილის (ესომის ფსევდონიმით) პუბლიკაციაში „ვინ არიან ბესები?“ („ივერია“ 1894, № 127). თუმცა, ეს შეხედულება უარყოფილია ივერიაში გამართული მსჯელობით. გვარამაძე ივანე (ვინმე მესხის ფსევდონიმით) წერილი „აფხაზები განა ბესები არიან?“ („ივერია“ 1894. №141).

თვითდასახელების თვალსაზრისით საყურადღებო ინფორმაციას აქვეყნებს „ივერიის“ კორესპონდენტი ფსევდონიმით „კელასურელი – იპა“. უთითებს „სუხუმს“ და არა სოხუმს და თვლის, რომ ეს არის ოსმალური სახელწოდება:

ლექსი შესდგება ორ თათრულ ლექსისაგან: სუ – წყალი, მდინარე, და „ლუმ“ „ხუმ“ – ქვიშა, ესე იგი ქვიშიანი, ქვიშის წყალი. მართლაც მდინარე „ბესლეტკა“ (ბასლა), ერთვის ზღვას, ქვიშიანია. ძველად, მანამ თათრები დაიჭერდნენ, სუხუმს სხვა-დასხვა სახელები ერქვა; სებასტოპოლისი, ცხუმი, აია, სატირპოლისი (ქალაქი მხსნელისა), დიასკური. მხოლოდ აფხაზები უწოდებენ „აყუ“-ს (ვგონებ გარყვნილი ლექსი უნდა იყო რომაელე-

ბისა: აქუა – aqua’ – წყალი (წყლის პირელები?) („ივერია“ 1892. №61).

საინტერესოა ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, ილიკო ვერმიცანაშვილის (ნიკოლოზ ჯანაშია) კორესპონდენცია დ. გუდაუთას შესახებ. დაბას აღმოსავლეთით ჩამოუდის პატარა მდინარე „გუდოუ (აფხაზ. დიდგულა), რომლისგანაც მიიღო თავისი სახელწოდება გუდაუთამ... დასავლეთით აგრეთვე რწყავს დ. გუდაუთს გუდოუზე უფრო პატარა მდინარე „აძლაგარამდ“ (წისქვილის წყალი)“ („ივერია“ 1897. №188).

სოფ. ლიხნი<sup>36</sup> ძველად „სოექსუდ“<sup>37</sup> წოდებული დ.გუდაუთიდან სამი ვერსით ყოფილა დაშორებული. ს. ლიხნი (აფ. ლახნა) „მთავრობის“ მოსპობამდე აფხაზეთის მთავრის სამყოფელ ადგილს წარმოადგენდა. აქ ყოფილა მთავრის სასახლის ნანგრევები, მეათე საუკუნის ტაძარი ქართულ-ბერძნული წარწერებით. 1866 წ. აფხაზებს საყდრის წინ მოუწყვიათ აჯანყება და გენერალი კანიერი თავისი ამალით მოუკლავთ. მაშინ დახოცილ რუსთა სახსოვრად კი „участия“ (ნიში) აუგიათ. დიდებული წარსულის მქონე სოფ. ლიხნი ავტორის თანამედროვეობაში იდენტობრივი თვალსაზრისით ასეთ საინტერესო სურათს იძლეოდა:

---

<sup>36</sup> სახელი ლიხინი ქართულ სიტყვა ლხინიდან დაერქვა, რადგან საუკეთესო სალხინო და დროს გასატარებელ ადგილად ითვლებოდა („ცნობის ფურცელი“. 1903. №2349).

<sup>37</sup> სოუქ-სუ – ოსმალური სახელიცა ჰქვია ლიხინს – სოუქ-სუ ე.ი. ცივი წყარო. მართლაც გარშამო მრავალს ალაგას ამოჩუხჩუხებს ცივი, ბროლივით ანკარა წყაროები, საამო არის სასმელად („ცნობის ფურცელი“ 1903. №2349).

ლიხნის საზოგადოება ერთი უდიდესი საზოგადოებათაგანია აფხაზეთის მთელს დასავლეთს ნაწილში შიგ რვაასი კომლი ითვლება. აქაურ მკვიდრთა ორი მესამედი ნაწილი გააფხაზებული ქართველობაა, რომელთაც დაჰვიწყებიათ თავიანთ სამშობლო ენა, გარნა შთამომავლობა კი ახსოვთ. მოხუცთა შორის ეხლაც გაიგონებთ ქართულს ენას. როგორც სარწმუნო წყაროთგან ვიცით, აქ ნამდვილი აფხაზები სამი-ოთხი გვარია, დანარჩენნი ქართველნი არიან. მაგალითად, აქ არიან ლოლობერიძენი (ღუბლია), ბანდალაძენი, ჩიქოვანები, კოპაშავიძენი, სინაძენი, ხოჯივანაშვილნი, გაბუნები, ფაღავები და სხვანი. ზოგს ამათგანს ეხლაც არ შეუწყვეტია კავშირი უწინდელ თავისს სამშობლოსთან. საზოგადოდ აქ ერთს მოვლენას შენიშნავთ: რაც უფრო გვიან გადმოსახლებულია ქართველი (მეგრელი) აქ, მით უფრო ღონიერია; რაც უფრო აფხაზდება ზნე-ჩვეულებით, მით უფრო ღარიბდება.

ლიხნის ერთი ნასოფლარი „ბომბორა“ რუსულ ახალშენად გადაქცეულა, რამაც ჩვენს საზოგადოებაში მიწის სიმცირე გამოიწვია („ივერია“ 1897. №194).

გ. ალიშბაიას კორესპონდენციის მიხედვით, ლიხნა დარქმევია სოფელს რუსეთთან შეერთების შემდგომ, მანამდე სამი ასოთი გამოითქმოდა ამ სოფლის სახელი ლ-ხ-ნ, რაც აფხ. აღმორჩეულს ნიშნავდა. საუბარია აფხაზების მოვლილ კარმიდამოზე, საკრებულო-სათათბირო ადგილზე, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძის ძის (საუბარია ნიკოლოზზე – ქ.მ.) სტუმრობა ლიხნაში. მათ პატივსაცემად ადგილობრივ მღვდელს პარაკლისი გადაუხდია. პარაკლისის დროს აქაური სამი სკოლის მოსწავლეებს უგალობია „ერთი რუსულად და მეორე აფხაზურად და არა ქართულად, როგორც წინად ქრისტიანობის შემოღებიდან 1870 წლამდის იყო“ („ივერია“ 1901. №267).

მდ. კოდორის მარცხენა ნაპირზე გაშენებული ს. აძვიბუა ანუ შვაწყალი სულ აფხაზებით ყოფილა დასახლებული (ავტორი დათიკო ვერმიცანაშვილი) („ივერია“ 1897. №200).

კ. გვასალია გვთავაზობს ოჩამჩირის განმარტებას. ოჩამჩირე ოსმალური (ჩემჩირ – ბზა) სიტყვაა და ნიშნავს ადგილს, სადაც ბზა ხარობს. ადრე აქ ბზა ხარობდა, ამიტომაც შეურქმევიათ ეს სახელი („ივერია“ 1899. №189).

„დაბა და სოფელის“ რუბრიკა საინტერესო ცნობებს იძლევა სოფ. მიხაილოვკას (ავტორი ილიკო მთავარანგელოზელი) შესახებ. სოფ. მიხაილოვკა ქ. სუხუმიდგან ჩრდილოეთით მდებარეობს 6-10 ვერსის მანძილზედ. წინათ, როცა აქ აფხაზები ცხოვრობდნენ, ამ სოფელს სახელად „გუმა“-ს უწოდებდნენ, მაგრამ 1879 წლიდან, მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძის ნებართვით ტრაპეზუნტელი ბერძნების გადმოსახლების შემდეგ, სახელი გამოეცვალა („ივერია“ 1901. №41).

თვითდასახელების ამსახველი მასალები თვალნათლივ გვიდასტურებს სხვადასხვა დროს სხვადასხვა კოლონისტის არსებობას ამ მხარეში.

ქართული ბეჭდური მედია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქალთა თემას, მის როლს როგორც ოჯახის, ასევე, ერის წინაშე. მ. ჩხარტიშვილთან თანაავტორობით გამოქვეყნებულ ადრინდელ ნაშრომში მივუთითებდით, რომ ერთი მხრივ, ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესში აუცილებელია სოციალურად მარგინალური ჯგუფების ნაციონალური ერთობის თანასწორუფლებიან წევრად ქცევა. აქედან გამომდინარე, ქარ-თველი ნაციონალისტები მზერას მიაპყრობენ ქალებს, როგორც სოციალურ მარგინალებს და მათ “იწვევენ” ქართულ ერთობაში სამოღვაწეოდ. “მიწვევისათვის” საფუძველს ქმნის

განათლება, საჯარო სივრცეების და საზოგადოებრივი საქმეების გაჩენა.<sup>38</sup> მეორე, არის ქალის სიმბოლური მნიშვნელობა, რომელსაც ასევე დიდ ყურადღებას უთმობენ ნაციონალისტები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც თავიანთი ერების კონცეფციას ადგენენ ეთნიკური ერთობის ხატის მიხედვით. ქალის კონცეპტის სიმბოლიზმის ისტორიული ფესვები ძალიან ღრმა და ხშირად წინა მოდერნის ეპოქის საზოგადოებათა მახასიათებელია. ნაციონალიზმი ამ უძველეს მატრიცას მხოლოდ ახალი შინაარსით ავსებს. საერთო წინაპარი ერის დედად წარმოდგინება (ჩხარტიშვილი, მანია 2011: 267).

აფხაზეთში ქალის როლი და ფუნქცია როგორც ოჯახში, ასევე საზოგადოებაში ბეჭდური მედიის მასალების ინფორმაციით, გამოირჩევა კუთხური ელემენტებით. თუმცა, როგორც ზემოთ მივუთითეთ, კუთხურობა არ ნიშნავდა განსხვავებულ თვითიდენტიფიკაციას.

იშვიათად შესაძლებელია სადმე ჰპოვოს კაცმა ისეთი პატივისცემა დედა-კაცისა, როგორც აფხაზეთში. ტურფად შემკობილმა და მდიდარმა კუთხემ აღმოსავლეთის შავის ზღვის პირისამ, სადაც მოსახლობენ აფხაზნი, ვერცა დამპრობელთა თვალთაგან და ვერცა მშვიდობიანთა მოხელეთაგან. ფინიკიელნი, ბერძენნი, რომაელნი, გენუეზელნი, ოსმალნი და ქართველნი მორიგეობით ჰფლობდენ ამ გემოვანს ნაჭერს და თითოეული მათგანი

---

<sup>38</sup>საქართველოში ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესი ხასიათდება ქალთა საზოგადოებების გაჩენით და მათი აქტიური მოღვაწეობით საზოგადოებრივ სარბიელზე მრავალი არისტოკრატიული და არა-არისტოკრატიული წარმომავლობის ქალბატონი ჩართული იყო საქველმოქმედო საქმიანობაში, რომლის მთავარი მიზანი ერის სულიერი და მატერიალური პრობლემების მოგვარებასა და დახმარების აღმოჩენაში მდგომარეობდა (კეცხოველი: 2008: 85-88).



ჰსტოვებდა მასზედ თავის მყოფობის კვალსა („დროება“ 1884. №266).

მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა „ვერ შეარყია აფხაზის დედა-კაცი და ვერ მოხიბლა იგი, რადგანაც დიდი ხნით ჩვეული იყო და სარგებლობდა უპირატესის უფლებითა“. საყურადღებოა ის გარემოება, რომ აფხაზეთმა სხვადასხვაგვარი მდგომარეობა გამოიარა, მაგრამ მიუხედავად ისტორიული პროცესებისა, აფხაზებმა შეინარჩუნეს საოჯახო ცხოვრების ტრადიციები, რომლის დაცვა დედაკაცის მოვალეობას შეადგენდა „ამასთანავე სხვა თავის საქმესაც უძღვებოდა, მეზობელ ტომებთან, სახელდობრ, ჩერქეზებთან, უბიხებთან, ჯიქებთან მეგობრობითა და კეთილის მოწყობილებით არიგებდა თავის ქვეყნის საკეთილდღეო საქმეებს.“ ქალთა ამგვარი უფლებები, კორესპონდენციის მიხედვით, დროდადრო მამაკაცების უკმაყოფილებას იწვევდა და ხდებოდა დედაკაცის უფლებების წინააღმდეგ გამოსვლა, მაგრამ ეს გამოსვლები ქალთა გამარჯვებით სრულდებოდა. დროთა განმავლობაში დედაკაცის მდგომარეობაში დიდი მნიშვნელობა შეიძინა ჩამომავლობამ.

დედა-კაცი მაღალის წოდებისა სარგებლობს დიდისავე უფლებითა, იგი აღასრულებს რელიგიურს წესსა, წინ მიუძღვის საზოგადო საქმეებს, წინამძღოლობს, ღამით მსვლელობის დროს, მტაცებლობისთვის; იგი სრულიად ედარება მამაკაცსა („დროება“ 1884. №266).

მაღალი წოდების დედაკაცების უფლებებისგან განსხვავებით, აფხაზეთში უკიდურესად განსაზღვრული იყო დაბალი ფენის დედაკაცების გავლენა და მოქმედება

იმის ტვირთს შეადგენს საოჯახო და სამამულო მუშაობა და მხოლოდ წოდება ძიძისა აძლევს მას პატივსა თავის თანამემამულეთა შორის.

ე.ი. ძიძის წოდება დიდ პატივად ითვლებოდა აფხაზეთში. როგორც კი გავრცელდებოდა მაღალი წოდების ქალბატონის ფეხმძიმობის შესახებ ინფორმაცია, დედაკაცები თავიანთი ქმრებით იწყებდნენ მისვლას, ძვირფას საჩუქარს მიართმევდნენ და სთხოვდნენ ქალბატონს, რომ მიიღოს ძიძად. გაძიძავების ტრადიცია, როგორც ყოველგვარი ზნე-ჩვეულებები და სარწმუნოებაც-კი, პოლიტიკური საფუძვლით არის ახსნილი:

ყოველთა ჩვეულებათა, ზნეობათა და თითქმის თვით სარწმუნოებასაც აფხაზეთასა აქვს პოლიტიკური საფუძველი. აფხაზი არასოდეს არას იქმს თვინიერ საბოლოო სარგებლობისა, იგი წინ-დახედულობითა ფიქრობს... თქვენ აქ ჰპოვებთ დიდს განსხვავებას სხვა-და-სხვა სარწმუნოების მიქონთა, მოთმინებით შეწყნარებასა, ზოგადსა თვითმმართველობასა, არისტოკრატიულსა რესპუბლიკასა, ემანსიპაციასა, ანუ დედაკაცთა თავისუფლებასა დამოკიდებულებისაგან, საკუთრების უფლების უარყოფასა ამ ლექსითა, მაგალითად: „რაიცა არს შენი, ჩემი არს; ხოლო რაიცა არს ჩემი, შენი არს“; ჰპოვებთ აგრეთვე დიდსა სიყვარულსა თავისუფლებისადმი და სამშობლო ქვეყნისადმი, სტუმართ მოყვარობისადმი, სპარტანელთა სიმკაცრესა ცხოვრებაში და სხვანი... ჩვეულება მებატონეთა შვილების ძიძათადმი გასაზრდელად დაფუძნებულია იმ მოსაზრებაზედ, რომ ამით აფხაზნი ვითომ უფრო მჭიდროდ დაუახლოვდებიან მდაბალსა წოდებასა, ანუ მეზობელ ტომთა და ამ სახით მოიპოვებენ მათ მზურვალე სიყვარულსა და განუსაზღვრელს მინდობასა („დროება“ 1884. №266). არა იშვიათად აფხაზეთის თავადნი, მათის გავლენის განსაზღვრელებლად საზღვარს გარეთ მათთა სამფლობელოთა, მისცემდნენ ხოლმე აღსაზრდელად, მაგალითებრ, სამურზაყანოში, სამეგრელოში, გურიაში და იმერეთშიაც, რომ იქაც ჰყოლოდათ

ერთგულნი კაცნი და მიელოთ შემწეობა თავიანთ უკიდურეს მდგომარეობაში. მდაბალი წოდებაც, რასაკვირველია, მონა-რული იყო, ნათესაობა ჩამოეგდო თავადებთან და მათ შორის მოეპოვა შემწენი და მფარველნი („დროება“ 1884. №275).

მაგრამ XIX ს-ში სოციალურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა ასახვა ჰპოვა გაძიძავების ტრადიციაშიც. ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ, ჩვეულებამ სხვაგვარი მიმართუ-ლება მიიღო, აფხაზები თავიანთი ინტერესების დასაცავად, ძლიერ პირებს – სასულიერო წოდების, ადმინისტრაციის, სამ-საჯულო უფლების წარმომადგენლებს მიმართავდნენ თავი-ანთი შვილის აღზრდის თხოვნით.

მედია ყურადღებას იქცევს აფხაზეთში ქალთა თავის-უფლებაზე აქცენტების დასმით:

აფხაზის ქალი დამწყვდეული არ არის: იგი სარგებლობს დი-დის თავისუფლებით. მართალია, ოჯახზე მამაკაცივით ზრუნავს და თითქმის მომეტებულადაც... მართალია ცოლ-ქმრობის (ანუ საზ. ქალ-კაცის) უღლის სიმძიმეს ოდნავ ქალი-სკენ გადჰხრის, მაგრამ ესევე აძლევს აფხაზის ქალს დიდს უფლებასა და თავისუფლებას. ქალი პატივდებული არსებაა. პატარობიდან სიბერემდე ყველა ყრილობაზე, ტირილსა და აღაპზე; იგი თავისუფლად ტრიალებს მამაკაცებში, ღებუ-ლობს მონაწილეობას იმათთან ერთად ცეკვაში. არა ერთი მაგალითი ყოფილა იმისა, რომ ხშირად ქალი წინამძღოლად ჰყოლიათ ღამით სიარულის დროს. ქალი ასრულებს რელი-გიურს წესებსა და ცერემონიებს და მლოცავად ითვლება როგორც აფხაზთა მიერ გაღმერთებულ ზოგ მამრობითის სქესისა, ისე მდედრობითის სქესის წმინდანებისა („ივერია“ 1888. №169).

მიუხედავად ქალის ამგვარი როლისა, ქალი უნდა იყოს უმანკო, მორცხვი, იგი უფროს მამაკაცთა წინაშე უნდა ლაპარაკობდეს კრძალვით და მორიდებით, ერთის სიტყვით, აფხაზის აზრით, არ ვარგა, რომ მანდილოსანი ქუდოვნებდეს.

განსაკუთრებული ყოფილა სტუმართმოყვარეობის ტრადიცია და მასპინძელი ქალებისადმი სტუმრის პატივისცემა:

მასპინძელი და მისნი მონათესავენი ერთობთ თავზედ ადგანან და გულის-მოდგინედ ისმენენ სტუმართ საუბარს და ვერცა რა-ვინ გაბედავს სიტყვის ჩამორთმევას, რაც უნდა სიცრუეს ლაპარაკობდეს. ამას ზრდილობა მოითხოვს და სტუმართა პატივის ცემა. შემდგომ რამოდენიმე ხნისა გამოვა მასპინძელი ქალი და თავ-მდაბლად თავის დაკვრით მოიკითხავს სტუმრებს: სტუმარნიც ადგებიან და ნაცვალს მოკითხვას მოახსენებენ. საღმრთო ვალია თვითეულის აფხაზისა ყოველის ახალის პირის ნახვის დროს და განსაკუთრებით დედა-კაცისა, წამოდგეს და მშვიდობისა და სიმრთელის ამბავი ჰკითხოს. როდესაც მასპინძელი ქალი გამოვა, მაშინ მასპინძელი კაციც დაჯდება საზოგადო სუფრაზედ („დროება“ 1884. №276)

საზოგადო საქმისადმი ქალთა ჩართულობაც სათანადოდ არის გადმოცემული მედიაში. ამ მხრივ აღსანიშნავია კნეინა აღათია შერვაშიძის როლი ქართულად წირვა-ლოცვის აღვლენის მოპოვების საქმეში, რომელსაც თხოვნით მიუმართავს საქართველოს ეგზარქოს ფლაზიანესადმი:

როგორც მე, ისე აქაურს მრევლსა (საუბარია სოხუმზე) მარტო ქართულად გვესმის წირვა-ლოცვა, ეს ათი წელიწადია, ამ ენაზე არა სრულდება, მოიღეთ მწყემს-მთავრული მოწყალეობა და უბრძანეთ, რათა ყველასათვის გასაგებს ენაზე სწირონ და ილოცონ ხსენებულს ტაძარშიო. ამ დღეებში ამავე შინაარსის

თხოვნა გაუგზავნეს მისს მეუფებას მთელის სოხუმის ქართველ მკვიდრთა, თხოვნაზე 300-ზე მეტს კაცს უწერია ხელი. ამავე საგნის შესახებ აქედგან ტფილისში წამოსვლას აპირობს ერთი ყველასაგან პატივცემული მცხოვრები სოხუმისა ბ-ნი პეტრე ბარკალაია, რომელმაც პირადად უნდა მოახსენოს მისს მეუფებას გაჭირებული ყოფა უწირვა-ლოცვოდ დაშთენილ ქართველთა. იმედი აქვთ, რომ მწყემსმთავარი უნუგეშოდ არ დასტოვებს თვისთა სულიერთა შვილთა აჯა-ვედრებას... („ცნობის ფურცელი“ 1898. №620).

ქალთა ტრადიციული როლი და ფუნქცია ეპოქის გამოწვევების შესაბამისად ახალი კონტექსტით ივსება და თვითობის დაცვისათვის ბრძოლაში წარმოგვიდგება როგორც საზოგადოების აქტიური წევრი.

ამგვარად, განხილული პუბლიკაციები ნათლად ადასტურებს იდენტობის დენაციონალიზაციის წინააღმდეგ ქართველი პუბლიცისტების ინტენსიურ ბრძოლას. ისინი იდენტობის დენაციონალიზაციას უპირისპირებენ ერთი მხრივ, ისტორიული მეხსიერების გააქტიურებას მკითხველებში, მეორე მხრივ, ახალი ნაციონალური მეხსიერების შექმნას.

**თავი მეხუთე.**  
**ეკონომიკური ერთობა აფხაზეთში**

ქართული ერთობის კონსოლიდაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა მყარი ეკონომიკური ერთობის შექმნა, ვინაიდან სოციალური თუ ეკონომიკური საკითხების გადაჭრა მნიშვნელოვანი იყო ეროვნული საკითხების გადაწყვეტის გზაზე. ამით იყო განპირობებული XIX ს. მეორე ნახევარში, რუსი-ფიკატორული პოლიტიკის ბატონობის ხანაში, ბეჭდური მედიის განსაკუთრებული ყურადღება ქვეყნის ეკონომიკურ გაძლიერებაზე. ილია ჭავჭავაძე მისივე რედაქტორობით გამოძავალ „ივერიაში“ მიუთითებდა:

ისტორია მართო იმ ერს ეკითხება, რომელსაც მიწაზე ფეხი უდგას და ხელი გუთანს უვლია. თავდაპირველი შემოქმედი ეროვნობისა და ერის სიმდიდრისა მართო გუთანი და მიწა ყოფილა და იქნება კიდევ, რადგანაც ისტორიას ჩვენთა მამა-პაპათა მხნეობას და თავგანწირვას ეს ორი ძვირფასი განძი ჩვენთვის შეურჩენია, რადგანაც საპოლიტიკო და საეკონომიო ყოფა-ცხოვრება ამ ორი საგნით სულდგმულობს („ივერია“ 1882. № 9).

ამიტომაც მედია საგანგებოდ მსჯელობს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მის გაუმჯობესების გზებზე; ხშირად ვხვდებით ინფორმაციებს ბუნებრივ სიმდიდრეებზე (მაგალითად, ზვის ტყეები და მისი ექსპლოატაცია, ქვანახშირის საბადოები); ქვეყნდება სხვა სოციალური პრობლემების ამსახველი ცნობები. ეს ცნობები შეეხება: უგზობას, სხვადასხვა ავადმყოფობას, უექიმობას, მოხელეების თავგასულობას, მოსავლიანო-

ბა-მოუსავლიანობას, უამინდობას, წყალდიდობას, ანტისანიტარ-  
რიას და სხვა...

ზემოთ, როდესაც ტერიტორიულ იდენტობას განვიხი-  
ლავდი, მივუთითე თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდა რუსეთ-  
თურქეთის ომის შემდგომ აფხაზეთი. რუსეთმა კოლონიზატო-  
რული პოლიტიკის გატარება დაიწყო დაცარიელებულ აფხა-  
ზეთში, ქართველებს აქ დასახლების უფლებას არ აძლევდა. ამ  
საკითხის განხილვას ვერ გავუქვევით იდენტობის ეკონომიკურ  
პრობლემებზე მსჯელობისას, რადგან მიწა იდენტობის აუცი-  
ლებელ მახასიათებელთან ერთად არის მისი ეკონომიკური  
განვითარების საფუძველი.

აფხაზეთის კოლონიზაციის პარალელურად, რუსეთის  
ხელისუფლებამ დაიწყო ამ მხარის ბუნებრივი პოტენციალის  
შესწავლა. ამ მხარის ბუნებრივი პოტენციალის შესასწავლად  
მოსკოვის სამეურნეო საზოგადოება სპეციალურ წარმომადგე-  
ნელს – ბარონ ნიკოლაის გზავნის, რომელიც შესაბამისი ანგარი-  
შით წარმდგარა სამეურნეო საზოგადოების წინაშე. ანგარიში-  
დან ამონარიდი გამოქვეყნებულია „დროებაში“, სადაც აქცენ-  
ტები დასმულია აფხაზეთის ბუნებრივ სიმდიდრეებზე:

ამ ქვეყანაში, გარეშე უსაზღვრელი და ძალიან ძვირფასი ტყეე-  
ბისა, არის ისეთი ადგილები, რომ ახარებს ვახს, აზრეშუმის  
ჭიას, თამბაქოს და ამ სახით ხელს უწყობს ღვინის, აზრეშუმის  
და თუთუნის კეთებას. მაგრამ ამისთანა მოხელეობის დასა-  
ფუძნებლათ და ქვეყნის გასაცოცხლებლათ საჭირო იყო ფულის  
ჩაყრა და მუშა ხალხის გამრავლება („დროება“ 1879. №36).

კორესპონდენცია ერთგვარი გაფრთხილება და მოწო-  
დებაა ამ მხარის ბუნებრივი სიმდიდრეების კეთილდღეობის  
წყაროდ ქცევაზე.

კავკასიის საუფლისწულო მამულების ინსპექტორ კლინგელის ინიციატივით მოეწყო სპეციალური ექსპედიცია ქუთაისის გუბერნიაში სამეურნეო წარმოების შესასწავლად. ექსპედიციის მიზანი იყო დას. საქართველოს სამეურნეო წარმოების შესწავლა ძველად და იმჟამად ადგილმდებარეობისა და ჰავის გათვალისწინებით, ვინაიდან კავკასიის საუფლისწულო დეპარტამენტს განუზრახავს სხვადასხვა სამეურნეო წარმოების დაწყება. ექსპედიციაში შედიოდა სახაზინო სააზნაურო ბანკის დამფასებელი აგრონომი კოფოკოვი, აგრონომი აფიცერი სიმენსონი და პუბლიკაციის ავტორი (ივერია 1894. №8). გ. ჩიჩუა ყურადღებას ამახვილებს ქვეყნის ძველი თუ ახალი მეურნეობის გამოკვლევის მნიშვნელობაზე. მისი მოსაზრებით, ჩვენი სამეურნეო საზოგადოების მიერ ამგვარი კომისიის შექმნა და ყოველწლივ სხვადასხვა მხარის დათვალიერება, ხალხის საქმიანობის და მეურნეობის გაცნობა, დიდ დახმარებას გაუწევდა ხალხს: კომისია ადგილზე შეისწავლიდა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას და მუშა-ხალხსაც მისცემდნენ სპეციალისტები საჭირო რჩევა-დარიგებებს (ივერია 1894. №8). თუმცა, აღნიშნული ექსპედიციების მიზანი უფრო ფართო მნიშვნელობის იყო – ერთი მხრივ, ამ მხარს ათვისება, მეორე მხრივ, შემოსავლის წყაროდ ქცევა.

მედია ისეთ ფაქტორებზე ამახვილებს ყურადღებას, რაც ეკონომიკურ წინმსვლელობას მოუტანს ქვეყანას. „ცნობის ფურცელი“ აღნიშნავს, რომ სოხუმის ოლქში აფხაზთა და მეგრელთა უმთავრეს წყაროს სიმინდი შეადგენს, რომელიც აქაური ჰავის და ნიადაგის წყალობით უხვ მოსავალს იძლევა. დასავლეთ აფხაზეთში კარგი შემოსავლით მაღლარი ვენახი (კაჭიჭი, ავასარხუ, ადესა) ხარობს. აქცენტები დასმულია იმაზე თუ რამ



შეიძლება გააძლიეროს ეკონომიკური თვალსაზრისით აქაური მოსახლეობა. თუმცა, აქვე მითითებულია აფხაზეთის მკვიდრთა სიზარმაცე და დაუდევრობა. აფხაზები ხეხილის მოყვანასაც მისდევენ, კორესპონდენციის ცნობით, მაგრამ მხოლოდ თავისი თავის დასაკმაყოფილებლად და არა გასაყიდად. რადგან აქ ხილის გაყიდვა სასირცხვილოდ მიაჩნდათ. მათი აზრით, „ხილი საყოველთაოა, ყველასია, მისი აღკრძალვა სააუგო საქმეა“ („ცნობის ფურცელი“ 1902. №1729).

დიდი ზიანი მიაყენა ადგილობრივ მეურნეობას აქ ჩასახლებულმა უცხო იდენტობის წარმომადგენლებმა. მაგალითად ს. აბუაყვაში ჩასახლებულ გერმანელებს ას-ასი წლის მაღლარი ვენახები გაუჩეხავთ და მის ნაცვლად სიმინდის თესვა დაუწყიათ („დროება“ 1884. №188). ასევე გაუჩეხავთ მაღლარი ვენახი ს. პეტროვსკოეში (სახელი რუსების ჩამოსახლების შემდეგ დაურქმევიათ, მანამდე აფხაზებით ყოფილა დასახლებული) დასახლებულ რუსებს ხორბალის მოყვანის მიზნით, მაგრამ ვენახიც გაუფუჭებიათ და პური ვერ მოუყვანიათ, ბოლოს ისღა დარჩენოდათ სიმინდი მოყვანათ („ცნობის ფურცელი“ 1904. №2625).

აფხაზეთის ეკონომიკურ სიძლიერეს, როგორც აღვნიშნე, მესიმინდეობა წარმოადგენდა. აფხაზეთის მიწა სიმინდის უხვ მოსავალს იძლეოდა. „აქაურს ვაჭრობას სულს უდგამს და, საზოგადოდ, მთელს ოჩამჩირეს ცოცხალის ადამიანის ფერს აძლევს – სიმინდი... სიმინდილაა აქაურის აღებ-მიცემობის თვალსაჩინო საგანი, სიმინდითღა იბრუნებენ აქაურნი მკვიდრნი სულსა“- წერდა თ. სახოკია („მოამბე“ 1896. №12: 3). „სიმინდის ოდენა სარგებლობა ჯერჯერობით არც ერთ სხვა მცენარეს არ მოაქვს აფხაზეთში... სიმინდის მოყვანა ჩვენს ხალხს უფრო ვინემ სხვა ერის გადმოსახლებულთ“ („კვალი“

1897. №12: 252). 1892 წლის „ივერია“ გვაცნობებს, რომ როგორც კი ყადაღა მოიხსნა სიმინდის საზღვარგარეთ გატანისთვის, სოხუმში ორ დღეში ორი ათას ფუთზე მეტი გაიყიდა („ივერია“ 1892. №61). ოჩამჩირიდა-ნაც 2 მილიონ ფუთამდე სიმინდი გაჰქონდათ უმეტეს წილად ოსმალეთში და მცირედი ნაწილი საფრანგეთში (მარსელში) („მოამბე“ 1896. №12: 2).

სიმინდის მოსავალს ისეთი გასავალი არ ჰქონდა 90-იან წლებში, როგორც ადრე. ფასმა ძალიან დაიწია, იმდენად რომ აფხაზები უარს აცხადებენ სიმინდის მოყვანაზე („ივერია“ 1892. №38). აფხაზებს სიმინდით ვაჭრობაში კონკურენტი გამოუჩნდა ამერიკის სახით, რამაც განაპირობა ფასის დაცემა. თუ წინა წლებში 2 მილიონამდე ფუთ სიმინდი გაჰქონდათ ოჩამჩირიდან, 1896 წლისთვის თ. სახოკიას მითითებით 50 ათასი ფუთი სიმინდი ძლივს გაუტანიათ. აფხაზების უარი გამოიწვია იმ გარემოებამ რომ გასაყიდ ფასზე მეტი უჯდებოდა სიმინდის მოსაყვანად – თუ შვიდი შაური ჯდებოდა მოყვანა ამ წელს ხუთ შაურად გაყიდულა („მოამბე“ 1896. №12: 3).

იმპერიალისტური პოლიტიკის წყალობით, ახალი სამეურნეო (თამბაქო) კულტურა განვითარდა აფხაზეთში, რამაც ჩანაცვლა ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრე და მდიდარი აფხაზეთი გახდა უცხო იდენტობის ეკონომიკური სიძლიერის საფუძველი. აფხაზეთში თამბაქოს კულტურის გაშენება ბერძენ და სომეხ კოლონისტებს უკავშირდება:

ოფიციალური ცნობით, 1900 წელს სოხუმის ოლქიდან გაიტანეს 150 ათას ფუთამდე თამბაქო; პლანტატორთა რიცხვი სამი ათასამდის ავიდა („ცნობის ფურცელი“ 1902. №1729).

როგორც „ცნობის ფურცელი“ იუწყება 1903 წლისთვის ამ მხარეში 4 ათასზე მეტი სომეხი ყოფილა, რომლებიც მეთამბაქეობით იყვნენ დაკავებული („ცნობის“ ფურცელი 1903. №2309).

უცხოელთა ხელში ყოფილა თამბაქოს გატანაც აფხაზეთიდან. 1894 წლის „ივერია“ სოხუმში ერთადერთ თამბაქოს მყიდველ რუს ვაჭარს ბოლდანოვს ასახელებს, რომელსაც პეტერბურგში გაჰქონდა საქონელი. გაზეთი აღნიშნავს თამბაქოს კარგ მოსავლიანობას, თუმცა დაბალი კონკურენციის გამო ნაკლები ფასი ჰქონია („ივერია“ 1894. №37).

მედია ხაზგასმით მიუთითებს, რომ აფხაზეთის ბუნებრივი სიმდიდრეების აქ მცხოვრებთა ეკონომიკური კეთილდღეობის წყაროდ გადასაქცევად აუცილებელია საერთო მონდომება და სამეურნეო სააქციო საზოგადოების შექმნა:

ცარიელი ალაგების შესასყიდათ და იქ ჩვენი დაბალი ხალხის დასასახლებლათ. რადგან თვითონ რუსეთშიაც არის ამისთანა საქმისათვის ფულიანი კაცების საზოგადოება შედგენილი, ჩვენი ქვეყნის საზოგადოებას და ჩვენი ქვეყნის საადგილმამულო ბანკებს შეუძლიანთ შეუერთდენ იმათ; იყოლიონ ჩვენს ქვეყნებში, გუბერნიებში, უეზდებში აგენტები, რომ ყოველ ღონისძიებით შეაგონონ და გაუადვილონ გადასახლება ნაყიდ ცარიელ ალაგებზე იმავე წესით, როგორც ამერიკის დამსახლებელი საზოგადოება მოქმედობს („დროება“ 1879. № 47).

გამოითქვა პატარა ამხანაგობის შექმნის თვალსაზრისიც. ვინაიდან ბზის ხეების გაზრდას ორმოცდაათი წელი სჭირდება და კავკასიაში არსებული რაოდენობა, ავტორის აზრით, დიდდიდი ცხრა-ათი წელი იქნება საკმარისი, ამიტომაც მიიჩნევს, რომ პატარა ამხანაგობის შექმნაც სარგებლიანი იქნება. აქვე მიუთითებს ამ საქმით აქაურების დასაქმების აუცილებლობას:

ამ საქმის მინდობა აქაურ მცხოვრებთათვის იმით არის კარგი და სასარგებლო, რომ მეტი სახსარი მიეცემა ცხოვრების განსაკარგებლად და კეთილდღეობის ასაღორძინებლად („ივერია“ 1886. №266).

ამასთან, ამა თუ იმ იდენტობის მატარებელი ხალხის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გაზეთებში იმართება მსჯელობები პრობლემის მოგვარების გზებზე. ქვეყნდება სხვადასხვა საზოგადოების საქმიანობის და კრებების ამსახველი მასალები, სადაც ნათლად ჩანს სხვადასხვა სამეურნეო საზოგადოებაში არსებული პრობლემები. მაგალითად, თამბაქოს მოყვანის საქმის დაქვეითების მიზეზად დასახელებულია სათანადო ცოდნის უქონლობა. კრებაზე გადაწყდა თხოვნით მიმართონ კავკასიაში თამბაქოს საამხანაგო საწყობებს, თამბაქოს მოყვანის შემსწავლელი კურსების დაარსების და არსებული სააქციზო წესრიგის შეცვლის თაობაზე („ივერია“ 1898; №15; „ცნობის ფურცელი“ 1902; №1729).

მედია გულისტკივილით მიუთითებს აღნიშნული ამხანაგობების უცხოელთა მიერ შექმნის მაგალითებზე. ს. აძვიბუაში, 1895 წლიდან როსტოველ მდიდარს მაქსიმოვს დაუარსებია ხე-ტყის ქარხანა მდ. კოდორის მარჯვენა მხარეს. აფხაზეთის ხე-ტყეს დიდი ხანია ეტანებოდნენ კაპიტალისტები და ერთიანად გაკაფეს მშვენიერი ტყეები. მაქსიმოვი მიუვალ ადგილებში დარჩენილ ძვირფას ხე-ტყეს მისდგომია. ჩხალთაში კანტორა გაუხსნია, ს. აძვიბუაში სახერხი ქარხანა. აქედან ზღვამდე ლიანდაგიანი რკინიგზა გაუყვანია და ამგვარად ანადგურებდა აფხაზეთის სიმდიდრეს. გარდა ამისა, მაქსიმოვი აუტანელ პირობებში ამუშავებდა ადგილობრივებს ქარხანაში თუ სხვა სამუშაოებზე („ცნობის ფურცელი“ 1905. №2823). მედია იუწყება აფხა-

ზეთში ფრანგული ამხანაგობის შექმნის შესახებაც, რომლებსაც რამდენიმე მილიონ ფრანკად შეუქენია პრინც ოლდენბურგის ტყეების მოხმარების ნება („ივერია“ 1886. № 272).

ამგვარად, აფხაზეთის ბუნებრივი სიმდიდრეები უცხოელებს ჩაუვარდათ ხელში და გაჰქონდათ ჩვენგან „მილიონობით სიმინდი, იაფ ფასად ნაყიდი, გააქვთ „შავი-ქვა“, გააქვთ მილიონობით ბამბა და აბრეშუმი, გააქვთ აგრეთვე მილიონობით ბზა და სხვა მრავალი სიმდიდრე“. აქაურები კი ხელცარიელები რჩებოდნენ („ივერია“ 1886. №266).

აფხაზეთის ეკონომიკური მოღონიერებისადმი მიძღვნილ მრავალრიცხოვან მსჯელობებში წარმატების ერთ-ერთ გზად იკვეთება საბანკო დაწესებულების შექმნა, რომელიც არა მარტო ფინანსური დაწესებულება იქნებოდა, არამედ ქართული იდენტობის ეკონომიკური გაძლიერების საფუძველი გახდებოდა. აფხაზეთი თავისი ბუნებრივი სიმდიდრეებით მიმზიდველი აღმოჩნდა უცხოელებისათვის, ადგილობრივებისთვის კი მიუწვდომელი იყო ფინანსური თვალსაზრისით არასახარბიელო მდგომარეობის გამო. ასეთ ვითარებაში ბანკები და დეპოზიტი საშურ ეროვნულ საქმეს შეასრულებდნენ. გაზეთებში ოქუმის (სამურზაყანოა) მაგალითზე ამგვარი დაწესებულების არ არსებობის მიზეზად ისევ და ისევ ადგილობრივთა დაუდევრობაა დასახელებული („ივერია“ 1895. №53). მითუმეტეს, რომ ბანკის დასაარსებლად სახსრები ჯერ კიდევ ომიანობის დროს გაუღია სოხუმის ოლქის მაშინდელ უფროსს ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეს („ივერია“ 1897. №117).

ეკონომიკური განვითარების კიდევ ერთ გზად კორესპონდენციებში დასახელებულია სამიმოსვლო გზების გაყვანა:

ეკონომიურად-კი სოხუმს განა ცოტა მნიშვნელობა აქვს! გააკეთეთ გზა და ეს ყოველად შემკული ქვეყანა აივსება მცხოვრებლებით და ყოველ ნაირი სიმდიდრე თავს გამოჰყოფს. სხვა რომ არა იყოს-რა, საკმარისია მისი სიმინდი და ტყე. სიმინდი ყოველ წლებით 15-20 მილიონი ფუთი გავა გასასყიდად. ტყეს ხომ თქმა არ უნდა. გზის გაყვანის შემდეგ ხუთი წელი არ უნდა, რომ ეს სიმდიდრე გაჩნდება. მევენახეობა ხომ აქ პირველი საქმეა, ვენახისათვის ასეთი ადგილი მგონი მთელს საფრანგეთშიაც არ იყოს („ივერია“ 1889. №263).

სოხუმ-ზუგდიდის, აგრეთვე კოდორ-ოჩამჩირეს დამაკავშირებელი გზის აუცილებელი საჭიროების შესახებ არაერთი ინფორმაცია გვხვდება. ამ გზის გასაყვანად 1885 წელს სოხუმის ოლქის უფროსად პოლკოვნიკ ვედენსკის ყოფნის დროს სამურზაყანოელთაგან კომლზე მანეთი შეუფროვებიათ. ამ მიზნით შეუკრებიათ 41 ათასი, მაგრამ გზა მაინც არ შეკეთებულა. 1892 წლისთვის კვლავ ალუძრავთ გზის საკითხი და ადგილობრივ ადმინისტრაციას გადაუწყვეტია გზის მკვიდრთა ხარჯით გაყვანა. ადგილობრივებს უქონლობის გამო უარი განუცხადებიათ მონაწილეობის მიღებაზე, მაგრამ „ძალა აღმართს ხნავსო! ბოლოს მაინც გააღებინეს მკვიდრთ ფული. კოდორის საბოქაულომ 31, 000 მანეთი გადაიხადა. ხოლო სამურზაყანოელთ კიდევ გადაახდევინეს 9 მანეთი, ანუ წინად გადახდილ 14,000 მანეთითურთ, სულ 68,000 მან. ესე იგი 11 მანეთი. სამურზაყანოელ განიორწყლებულ გლეხისთვის 11 მანეთის გადაება ადვილი არ იყო“ – მიუთითებს ავტორი (თ. სახოკია. „მომამბე“ 1896. № 12: 16-17).

კოლონიზაციის პროცესს თან ერთვოდა მემამულეების და მოურავების ზღვარგადასული თავგასულობა. გარდა იმისა, რომ მოიჯარადრეებს მოსავლის თითქმის ნახევარს ართმევ-

დნენ გლეხებს (მოიჯარადრეები თითქმის სამეგრელოს მკვიდრი ყოფილან), ამასთან გაუსაძლის პირობებში ამყოფებდნენ. ამის არაერთი მაგალითია გამოქვეყნებული გაზეთებში („ცნობის ფურცელი“ 1903. № 2023; № 2186).

ისტორიაში არასდროს არ მომხდარა ისეთი მოვლენა, რომ მმართველ წრეებს თავისი ნებით, გარემოებისაგან ძალდაუტანებლად, დაეთმოთ ხალხისთვის რაიმე მნიშვნელოვანი უფლება... მმართველი წრეები ემორჩილებოდნენ და დღესაც ემორჩილებიან მხოლოდ საზოგადოებრივ ძალას, მაგრამ ეს ძალა საკმაოდ ძლიერი უნდა იყოს, რომ მათ ბატონობაზე ხელი ააღებინოს და „დათმობა“ აიძულოს... („ივერია“ 1905. №188).

ეპიზოდით თვალსაჩინოა, რომ მედია მოუწოდებს მკითხველებს საყოველთაო დარაზმულობისაკენ, მთელ საქართველოში გავრცელებული აგრარული მოძრაობის გაძლიერებისაკენ. საქართველოში აგრარული მოძრაობა ეკონომიკურ ხასიათს ატარებდა და განპირობებული იყო გლეხების გაჭირვებული მდგომარეობით და მცირემიწიანობით. მოძრაობამ იმდენად მძლავრი ხასიათი უნდა მიიღოს, რომ მთავრობა იძულებული გახდეს ყურადღება მიაქციოს გლეხთა ეკონომიკურ საჭიროებას და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ეკონომიკური ცვლილებების მოთხოვნით დაწყებულმა საყოველთაო-სახალხო მოძრაობამ მასობრივად მოიცვა საქართველო და მათ შორის, აფხაზეთი. ქონებრივ შევიწროებას დაერთო ეროვნული უუფლებობა და დაბეჩავებულმა ხალხმა ხმა ამოიღო უსამართლობის და ჩაგვრის წინააღმდეგ. უსამართლობის მაგალითად დასახელებულია ხალხის მიერ არჩეული ქალაქის (სოხუმის) თავის არაერთხელ არ დამტკიცება

მთავრობის მიერ და მთავრობის დამტკიცებულ მმართველთა მიერ საზოგადო ფულის ფლანგვა.

მაგრამ ქალაქის ძალად-მმართველთ რა ენაღვლებათ? განა ქალაქის ინტერესი აწუხებთ მათ? რა არის სოხუმი მათთვის ან თვითონ რა არიან სოხუმისთვის! ვინც გამოგზავნა, იმას ხომ კარგად ემსახურებიან, და სოხუმელებმა რაც უნდათ, ის იფიქრონ!

ფიე! ვინ არიან ეს სოხუმელები, ეს მეგრელები, იმერლები, აფხაზები! რა მნიშვნელობა აქვთ მათ მთავრობისაგან დაყენებულის ქალაქის თავისთვის? („ცნობის ფურცელი“ 1905. №2782).

გაზეთებში აფხაზეთში გავრცელებული სახალხო მოძრაობის ეთნიკურ საფუძვლებზეც არის საუბარი. როგორც კი გავრცელდა სახალხო მოძრაობა საქართველოში აფხაზებმაც აიმაღლეს თავიანთ გაჭირვებაზე ხმა. ამით ისარგებლეს „აფხაზის“ კორესპონდენციით, „წყლის მღვრევის“ და „გადაკიდების მოტრფიალებმა“ და აფხაზებს არიგებდნენ:

ვიცი, რომ თქვენ მშვიდი, კეთილი და წესიერების მოყვარული ხალხი ხართ, თქვენგან არავითარი უწესოება არ არის მოსალოდნელი, დარწმუნებულნი ვართ, არც იქნებაო. მაგრამ თქვენი მეზობელი ქართველები კი სანდონი არ არიან; იმათგან თქვენს დასალუჰად რასმე უნდა მოველოდეთ...

ქადაგებამ თავისი შედეგი გამოიღო და ბოროტი ძალები აამხედრა მოძმეთა წინააღმდეგ. შეიქნა საშინელი ძარცვა-გლეჯა, კაცის-კვლა, დაჭრა და სხვა... („ცნობის ფურცელი“ 1905. № 2801).

ამას ერთვოდა ენით აუწერელი შევიწროება, რომელშიც აფხაზები აღმოჩნდნენ იქ სადაც რუსები ჩასახლეს. ჩამოარ-



თვეს სახნავ-სათესი მიწები, საძოვრები, ვენახები და მოსულელებს გადასცეს. წყლის გზაც მოუსპეს და უწყლობით საქონელი ეხოცებოდათ. ბევრჯერ მიუმართავთ თხოვნით ხელისუფლებისათვის თუმცა ამაოდ და რადგანაც თხოვნით ვერაფერს გახდნენ თავიანთ სამართალს მიმართეს („ცნობის ფურცელი“ 1905. №2801). ე.ი. ეროვნულმა ჩაგვრამ ეკონომიკური საფუძველი გამოაცალა იდენტობას.

ბეჭდურ მედიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემას წარმოადგენს თვითმართველობის საკითხი, ვინაიდან საზოგადოების წარმატებისა და კეთილდღეობის ერთ-ერთი გზა სწორედ, თვითმართველობის შემოღება იყო. ამიტომაც, სიხარულით იტყობინება ს. ჯულელი („სევ-ლი“-ს<sup>39</sup> ფსევდონიმით) აფხაზეთში თვითმმართველობის შემოღების შესახებ:

სოხუმი ამიერიდან თვითვე შეიქმნება თავისი თავის მმართველ-მომვლელად, თვითვე დაიცავს თავის ინტერესებს და უფრო თავისუფლად უფრო ხელ-შეუშლელად დაიკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას.

მხოლოდ ამ თავისუფლება-წარმატებისათვის აუცილებელი იყო გონივრული და შეგნებული გამოყენება. ავტორი ამ წარმატების მაგალითად ასახელებს ჩატარებულ არჩევნებს, რომელშიაც ხმოსნებად უმეტესად ქართველები აურჩევიათ („ივერია“ 1896. №44; 1899. №53). შემდეგი ეტაპი იყო ქალაქის თავის არჩევნები. ხმოსნებს უნდა გაემართლებინათ სოხუმელების იმედი და აერჩიათ ქალაქის ავ-კარგზე გულშემმატკივარი, შესაბამისი ცოდნა-გამოცდილების მქონე, ადგილობრივ გარემოე-

---

<sup>39</sup>სევ-ლი – ს. ჯულელი. იხ. ფსევდონიმების ლექსიკონი. ელექტრონული ვერსია.

ბათა მცოდნე და ქვეყნის მოყვარული პირი. თუმცა, ამ მხრივ არ გამართლდა სოხუმელების იმედი. 1899 წელს ქალაქის თავის არჩევნებში მონაწილეობას იღებდა სამსახურიდან გადამდგარი მემამულე ლ. ბერენსი და ავ. ბარკალაია. არჩევნებში გაიმარჯვა ავ. ბარკალაიამ, მაგრამ ხმოსანთა და მცხოვრებთა მიერ არჩევნებით გამოთქმული უკმაყოფილების გამო უარს განაცხადებს თანამდებობაზე („ივერია“ 1899. №112). ხელახლა ჩატარებულ არჩევნებში გაიმარჯვა ალ. სარაჯიშვილმა („ივერია“ 1899. №139), მიუხედავად ამისა, ქუთაისის გუბერნატორმა (თ.კ. გერშელმანმა – ქ.მ.) მაინც ლ. ბერენსი დაამტკიცა ქალაქის მოურავის თანამდებობაზე („ივერია“ 1899. №151; №157). მთავრობას, ასევე, ქალაქის გამგეობის წევრად ამორჩეული თ. სახოკია („ცნობის ფურცელი“ 1903. №2194) არ დაუმტკიცებია („ივერია“ 1903. №173). როგორც ვხედავთ, ბიუროკრატias ხალხის მიერ არჩეული არც ერთი ქალაქის თავი დაუნიშნავს, საამისო სხვა მიზეზი არ ჰქონია, გარდა იმისა, რომ ქართველები იყვნენ:

მათ მაგიერ-კი დღეს ათვალისწუნებული, გარნა ერთს დროს უძლეველი და უშიშარი ბიუროკრატია ნიშნავდა მღვრიე წყალში ბედის მადიებელთ – ჩრდილოეთიდან ჩვენს მშვენიერს სოხუმში საარშიყოდ გადმოხვეწილთ, მათი სახლი აქ მუდამ ლეგიონია („ცნობის ფურცელი“ 1905. №2843).

გაზეთები ასევე არ ტოვებენ უყურადღებოდ ახალდანიშნული იმპერიის მოხელეების არაკეთილსინდისიერ ქმედებებს, მათ შორის, არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო ლ. ბერენსის შესახებ. ამ ქმედებებით ქალაქის მცხოვრებთ ექმნებათ სოციალურ-ეკონომიკურ სირთულეები. ასე მაგალითად, სასმელი წყლის მიწოდება შეუწყვიტა ქალაქს ბერენსმა („ივერია“ 1899.

№174). მისი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება მოსახლეობისადმი ასახულია სოხუმის ქალაქის საბჭოს სხდომის ამსახველი კორესპონდენციებში. აქედანვე ვგებულობთ, რომ ბერენსის ქმედებებს ქალაქის გულშემატკივარი ხმოსნები უწევდნენ წინააღმდეგობას („ივერია“ 1899. №186; 1899 №237). ბერენსის არაკეთილსინდისიერ მოქმედებაზე ამახვილებს ყურადღებას „ცნობის ფურცელიც“. გაზეთის ცნობით, ქალაქის თავად დანიშვნისთანავე გასცემს ბრძანებას მეგრელების გასახლების შესახებ, რომლებიც 20 წლის წინ დასახლებულან სოხუმის მახლობლად უსარგებლო ადგილებზე, აუყვავებიათ და გაუშენებიათ იქაურობა („ცნობის ფურცელი“ 1903. №2309). ბერენსის თავგასულობა უფრო შორს მიდის. მას საჩივარი შეუტანია სოხუმის სასამართლოში ნახმოსნარ თ. სახოკიას წინააღმდეგ კერძო საუბარში სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის („ცნობის ფურცელი“ 1903. №2320). საქმე შეეხებოდა ყასბებისადმი ბერენსის უსამართლო გადაწყვეტილებას. ყასბებიც მეგრელები ყოფილან. იმდენად დაბალი ხორცის ნიხრი დაუწესა ყასბებს, რომ გაფიცვაც კი გამოუცხადებიათ. ასეთ უსამართლო მოპყრობას გამოექომაგა ხმოსანი თ. სახოკია, რომელსაც ბერენსის უსამართლობასა და სიცრუეში დადანაშაულებისთვის, სასამართლომ 75 მანეთი ჯარიმა ან ერთი თვით პატიმრობის განაჩენი გამოუტანა („ცნობის ფურცელი“ 1903. №2328).

ეკონომიკური თვალსაზრისით აფხაზეთის გაძლიერებას მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს რკინიგზის გაყვანა. მაგრამ რკინიგზის გაყვანისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ხალხის საჭიროება და სურვილი, რათა ამ მდიდარ მხარეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ადვილად მიეწოდებინა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, რომელიც მოუსავ-

ლიანობით და უმიწობით გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამიტომაც რკინიგზის გაყვანა გონივრულად უნდა მომხდარიყო, რომ თანაბარი სარგებლობა მოეტანა როგორც აქაურებისთვის ისე მიმწოდებლებისთვის. რკინიგზის ხაზი აუცილებლად მთის მოსახლეობის სიახლოვეს უნდა გაეყვანათ, რათა მთის სიმდიდრით, მადნეულით და ხე-ტყით სარგებლობა ჰქონოდა ახალ გზას („ცნობის ფურცელი“ 1902. №1917).

აფხაზეთის ეკონომიკური კეთილდღეობის წყაროდ აქ აღმოჩენილი ბუნებრივი სიმდიდრეები უნდა ქცეულიყო. რკინით, ვერცხლით, ქვანახშირით მდიდარი აღმოჩნდა აფხაზეთი: ტკვარჩელი და ჯგერდე – ქვანახშირით; ბედია, ოჩამჩირე – ვერცხლით და ტყვიით; მორკვილა საღებავით; ჭილოუ სპილენძით („ცნობის ფურცელი“ 1897. №399; 1898. №577). მრავლად მოაწყდა აფხაზეთს უცხოელი თუ არაუცხოელი გამდიდრების სურვილით. მთავრობის ნებართვით ს. ოქუმი შეუსწავლიათ სოხუმელ ვაჭარ გ. გვალას და ფ. ივანიდს და ტყვიავერცხლის მადანი აღმოუჩენიათ, რომელიც ოდესეღ ვაჭარ გალპერინისთვის მიუყიდიათ („ცნობის ფურცელი“ 1898. №619). სხვადასხვა მადანი აღმოუჩენია ამ მხარეში ამერიკელ გეოლოგს როსბერგს: ს. ოქუმში ვერცხლი, ტყვია, თითბერი, სპილენძი, რკინა, გვარჯილა; ს. რეჩში მთის ბროლი; ს. ჩხორთოლში რკინა, ზუმბური, სპილენძი, ფისი; ს. საბერიოში ქვის ქვანახშირი; ს. ბედიაში მარმარილოს ქვა, გიშერი. კორესპონდენტი მოუწოდებს ქართველ საზოგადოებას სათანადო ყურადღება მიაქციონ ამ ბუნებრივ სიმდიდრეებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს სიმდიდრეები უცხოელებს ჩაუვარდებათ ხელში და პირში ჩალა გამოვლებული დავრჩებითო („ცნობის ფურცელი“ 1898. №619; №664). სპეციალური კომისია ჩამოსულა

ოქუმის ბუნებრივი სიმდიდრეების შესასწავლად ოდესელი მილიონერი გალპერინის, გეოლოგი როსბერგის, ინჟინერი ცეიტლინის და შტიეგერი მარტინოვის შემადგენლობით, რომლებსაც აღმოუჩენიათ ტყვია-ვერცხლის მადანი. გალპერინს განუზრახავს ოქუმში ქარხნის აშენება და ოქუმიდან გუდავაში რკინიგზის გაყვანა. მისი ანგარიშით წელიწადში მილიონ ფუტზე მეტი მადნის გატანა იქნებოდა შესაძლებელი („ცნობის ფურცელი“ 1898. №649). მილიონერის პირადი ანგარიშით გაყვანილი რკინიგზა დიდი შვება იყო აქაური უგზოობით შეწუხებული მოსახლეობისათვის.

აფხაზეთის ქვანახშირის თვისებები საგანგებოდ შეუსწავლია ინჟინერ კარნოჟიცკის და პეტერბურგის მინერალური საზოგადოებისთვის მოუხსენებია ქვანახშირის კარგი თვისებების შესახებ. აქვე აღნიშნულია, რომ ამ სიმდიდრისთვის თვალი დაუდგამს უცხოელ კაპიტალისტებს ბელგიელ ამხანაგობას 75 მლნ გამოუყვიათ ამ მადნების შემუშავებლად („ცნობის ფურცელი“ 1900. №1108). სექტემბერში უკვე გახსნა ქვანახშირის მადნის პირველი გვირაბი. გვირაბის გახსნას ესწრებოდა კავკასიის მიწათმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ა.ს. ერმოლოვი. გვირაბს ერმოლოვის პატივსაცემად „ერმოლოვის“ გვირაბი ეწოდა. მინისტრი დეკემბით მიულოცავს კავკასიის მთავარმმართველს გ.ს. გოლიცინს მდიდარი მრეწველობის დაწყებას („ცნობის ფურცელი“ 1900. №1254). ეს კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმისა თუ როგორ ხდება აფხაზეთის ბუნებრივი სიმდიდრეების ათვისება უცხო იდენტობის მიერ და ამავე დროს როგორ მკვიდრდება უცხო (რუსული) სახელები ამ მხარეში.

ტყვარჩელის ქვანახშირის მადნის შესახებ საინტერესოა მთავარმმართველის წერილი მინისტრისადმი, რომელშიც დახმარებას აღუთქვამს, ამ საქმის მოთავეთ. „ვისურვებ, რომ საქმე არ გადავიდეს უცხოელთა ხელში და აღყვავდეს არა თუ კავკასიის, არამედ მთელის რუსეთის სასარგებლოდ“ („ცნობის ფურცელი“ 1900. №1255). ოჩამჩირის საზოგადოებას კაპიტალისტებისთვის 80 000 საჟენი ადგილი მიუცია მადნის ოჩამჩირიდან გასატანად 70-80 წლის ვადით, რისთვისაც მემადნე 100 მან. გადაიხდიდა ყოველ წლობით დაბის სასარგებლოდ („ცნობის ფურცელი“ 1899. №860). შემდგომში კვლავ მიმართავს ოჩამჩირლებს მადნების მეპატრონე ბუტმი დე კაცმანი და მისი ამხანაგობა 200 დესეტინა მიწის თხოვნით ნავსადგურის და ყაზარ-მების ასაშენებლად („ცნობის ფურცელი“ 1900. №1327). თუმცა, როგორც გაზეთებიდან ჩანს, მადნის საწარმოებლად სათანადო სახსრების მოძიებას ვერ ახერხებს კაცმანი დე ბუტმი და თავს ანებებს ტყვარჩელის ქვანახშირის წარმოებას („ცნობის ფურცელი“ 1901. №1619). მაგრამ 1902 წლის „ცნობის ფურცელი“ ბეჭდავს სოხუმიდან რუსული გაზეთისათვის „რუსკია ვედომოსტისათვის“ მიწოდებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც ბუტმის ქვანახშირის მადნების დასამუშავებლად ინგლისელი მდიდრებისგან მოუპოვებია 2 ნახევარი მილიონი ფული და 6 მილიონი აქციებით და ოჩამჩირეში ელოდებოდნენ ინგლი-სელ ინჟინრებს ამ საქმის საწარმოებლად ხარჯის ადგილზე შესასწავლად („ცნობის ფურცელი“ 1902. №19 90).

ზემოთ განხილული მასალები საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის აუცილებელ ფაქტორად მიუთითებს ეკონომიური საკითხების გადაწყვეტას.

## ბოლოთქმა

გამოკვლევაში „აფხაზეთი და ქართული იდენტობა“, განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომით – ეთნოსიმბოლისტური პარადიგმის ფარგლებში გაანალიზებულია რეგიონალური იდენტობის ისტორიის რეპრეზენტაცია ქართული ბეჭდური მედიით.

რუსული მმართველობის დროს მწვავედ დადგა რეგიონალური იდენტობის საერთო, ქართულ იდენტობაში გამოთლიანების საკითხი. დენაციონალიზაციის პირობებში უცხო იდენტობა ახდენდა რეგიონალური იდენტობის ქართველობისაგან განსხვავებულ თვითიდენტიფიკაციას. ქართველობის შენარჩუნებისათვის გამორჩეულად რთულ პერიოდში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართულმა ინტელიგენციამ, აქტიური მუშაობა გააჩაღა ბეჭდური მედიის საშუალებით იდენტობრივი საკითხებისადმი ინდიფერენტული საზოგადოების გამოსაფხიზლებლად.

საყოველთაოდ აღიარებული თვალსაზრისით, სწორედ, ბეჭდური მედია უწყობს ხელს ეროვნული გრძნობების გამძაფრებას და ერთობის შეკავშირებას. ბეჭდური მედია ქმნის საერთო ეროვნული მასშტაბის მკითხველთა საზოგადოებას. აღნიშნულის გათვალისწინებით ქართველმა სამოციანელებმა იდეოლოგიური ბრძოლის იარაღად აქციეს ბეჭდური მედია. ფაქტებს ადგილზე არსებული რეგიონალური წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ამუქებდნენ.

წინამდებარე გამოკვლევაში ნაჩვენებია თუ როგორ ცდილობდა რუსული მმართველობა დენაციონალიზაციას იდენ-

ტობრივი მახასიათებლების მოშლით, რასაც ქართველმა პუბლიცისტებმა დაუპირისპირეს ქართული მიწა-წყლის, ქართული ენის, სარწმუნოების შენარჩუნებისათვის შეურიგებელი ბრძოლა.

XIX საუკუნეში ქართული იდენტობისათვის მნიშვნელოვანი გამოწვევა აღმოჩნდა რუსეთ-თურქეთის ომები. ამ ომებში როგორც ოსმალების, ასევე, რუსების მომხრე აფხაზები, ორიენტაციის არჩევანით ცდილობდნენ თვითობის შენარჩუნებას, რის შედეგადაც როგორც ტერიტორიული, ასევე რელიგიური ტიხრების მოშლის რეალური საშიშროების წინაშე აღმოჩნდა აფხაზეთი. ომები რუსეთის გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ ამ ორი იმპერიის ტერიტორიულმა ცილობამ მძიმე დაღი დაასვა საქართველოს, კერძოდ, აფხაზეთს. შედეგები ერთი მხრივ, მუჰაჯირობით იყო გამოხატული, მეორე მხრივ, მთელი სიმძაფრით ქართული ტერიტორიების გახლეჩისაკენ იყო მიმართული. ხოლო რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად დაცარიელებულ აფხაზეთში ხელისუფლება ეთნიკური სურათის შეცვლის მიზნით ქართველებს საკუთარ, მამა-პაპათა სისხლით მორწყულ მიწა-წყალზე დასახლების უფლებას არ აძლევდა და სამაგიეროდ, ხელს უწყობდა შავი ზღვის ნაპირების არაქართველებით – ყაზახებით, ძალგორსებით, ბერძნებით, ესტებით, ბულგარელებით, მოლდაველებით, ოსმალეთიდან წამოსული სომხებით, სახელმწიფოსთვის როგორც საიმედო დასაყრდენით დასახლებას. მედია ძალისხმევას არ იშურებდა ჩვენი მიწა-წყალი უცხოთა ხელში რომ არ აღმოჩენილიყო. სახელმწიფოს არსებობისათვის ტერიტორიის ფლობის აუცილებლობაზე მსჯელობებით გაზეთები მკითხველ საზოგადოებას უღვივებდა ნაციონა-



ლურ გრძნობას და მოუწოდებდა სრულიად ქართველობას საკუთარი მიწა-წყლის დაცვა/შენარჩუნებისათვის ბრძოლისაკენ.

მაგრამ არა მარტო ტერიტორიული იდენტობა აღმოჩნდა კოლონიალიზმის პირობებში ურთულეს მდგომარეობაში. რუსული მმართველობის სიმძიმე დააწვა იდენტობის ენობრივ მახასიათებელს, როგორც ნაციონალური იდეოლოგიის გავრცელების უმთავრეს საშუალებას, რომელიც განსაკუთრებულ როლს ასრულებდა იდენტობრივი ერთობის შექმნაში. ამით განპირობებულმა საგანმანათლებლო სივრცის რუსიფიკაციამ, სასწავლებლებიდან ქართულ ენაზე სწავლების ამოღებამ გადაგვარების საფრთხის წინაშე დააყენა ქართული იდენტობა. აქვე აღვნიშნავ იმ გარემოებასაც, რომ ენობრივი იდენტობრივი მოშლას ემსახურებოდა რუსული მმართველობის მიერ აფხაზური კადრების რუსულ სასწავლებლებში მომზადების ხელშეწყობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბეჭდური მედიის უმთავრესი საზრუნავი გახდა ქართული ენის უნუგემო ვითარების გამოსწორება, ერის განათლების ამაღლება, ვინაიდან შეუძლებელია ერის კეთილდღეობა განათლების გარეშე. ერის განათლების საკითხის მოგვარების მიზნით „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ინიციატივით არსდება სკოლები, წიგნთსაცავები, დამხმარე საზოგადოებები. ბეჭდურმა მედიამ თავის თავზე აიღო სასწავლებლების ხელშეწყობისათვის პროპაგანდა. გაზეთის ფურცლებზე იმართებოდა სწავლის, სკოლის მნიშვნელობის შესახებ სპეციალური მსჯელობები. სამოქალაქო განათლების ამაღლების მხრივ, სამკითხველოების განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ხშირად ქვეყნდებოდა წერილები მათი გახსნის აუცილებლობა/სარგებლიანობის თაობაზე. კორესპონდენციების ანალიზით

გამოიკვეთა, რომ სამკითხველოებმა დიდი სარგებლობა მოუტანა ხალხის გონებრივ გამოფხიზლება/განვითარებას და დედაენის განმტკიცებას მხარეში, რომელსაც უცხო (რუსული) იდენტობა გადაშენებით ემუქრებოდა.

ქართული იდენტობის გადარჩენისთვის ბრძოლაში მნიშვნელონი როლი შეასრულა სკოლასა და ეკლესიასთან ერთად, ქართულმა თეატრმა. თეატრი ნაციონალური ენის საჯარო გამოყენების ერთ-ერთი საშუალება იყო, რომლის მეშვეობითაც აჯანსაღებდა დამსწრე საზოგადოების სულს, ადგენდა და აკავშირებდა ქართულ იდენტობას. წარმოდგენის შემდეგ საღამო ქართული ლექსების კითხვით გრძელდებოდა, რაც შეკრებილ საზოგადოებას ნაციონალურ გრძნობებს უღვივებდა და უძლიერებდა. ამასთან, წარმოდგენები ხშირ შემთხვევაში საქველმოქმედო ხასიათს ატარებდა (ეხმარებოდნენ ღარიბ მოსწავლეებს, სკოლისა თუ სამკითხველოს დაარსებას უწყევდნენ შემწეობას, აგრეთვე წყალდიდობით დაზარალებულებს). ე.ი. თეატრი მრავალმხრივ ეწეოდა ეროვნულ საქმეს. ამგვარი მიზანდასახულებით იყო განპირობებული თეატრის შესახებ გამართული ხშირი საუბრები ბეჭდური მედიაში.

XIX ს-ის მეორე ნახევარში რთული განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული ტრადიცია. ოსმალთაგან აფხაზეთის გამაჰმადიანების პროცესი რუსეთთან შეერთებით შეწყდა და აქტიური მუშაობა გაჩაღდა ხალხის კვლავ ქრისტიანობაზე მოსაქცევად. მართალია, მართლმადიდებელ რუსეთთან ქრისტიანულ იდეოლოგიას საფრთხე არ ემუქრებოდა, მაგრამ იმპერიული მმართველობა კულტურულ საყრდენს აცლიდა ქართულ იდენტობას, რაც გამოვლინდა რელიგიური მეხსიერების კვალის წაშლის ინტენსიურ მცდე-

ლობა-განხორციელებაში. აფხაზეთში რელიგიური თვალსაზრისით არსებულ ვითარებას თვალნათლივ ასახავს ბექდური მედია. აქ ქრისტიანულ და მაჰმადიანურ სარწმუნოებასთან ერთად მძლავრად ყოფილა შემონახული წარმართული წარმოდგენები.

რელიგიური მეხსიერების გადარჩენისთვის ბრძოლა მჭიდროდ უკავშირდება ენობრივი იდენტობის გადარჩენისათვის ბრძოლას. ვინაიდან ენა კომუნიკაციასთან ერთად, ხელს მეხსიერების გავრცელებასაც უწყობდა, ამიტომაც, დაიწყო შეურიგებელი ბრძოლა წირვა-ლოცვის ქართულად აღვლენის უფლებისათვის. განსაკუთრებულია ამ მხრივ როგორც კერძო, ისე სასულიერო პირთა დამსახურება. მიუხედავად დევნა-შევიწროებისა, ქართული სამღვდელთა ინტენსიურ მოღვაწეობას ეწეოდა ქრისტიანული სარწმუნოების და სწავლა-განათლების ქადაგების თვალსაზრისით აფხაზეთში.

თვითობის შენარჩუნებისათვის რთულ ეპოქაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სამაგალითო მოღვაწეობის ამსახველი ეპიზოდების აქტივაციას მკითხველებში, რადგან რუსულმა მმართველობამ ინდიფერენტული გახადა ქართველობა ეროვნული საკითხებისადმი. მედია საზოგადო საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებას უპირისპირებს კერძო პირების სამაგალითო მოღვაწეობას, მათ უანგარო სამსახურს. ამგვარი, სამაგალითო მოღვაწეობის ამსახველი ეპიზოდებით ცდილობს ინდიფერენტული მოსახლეობის გამოფხიზლებას.

როგორც აღვნიშნე, დენაციონალიზაციის მძაფრი ფორმებით გამოკვეთილი იმპერიული მმართველობა კულტურულ საყრდენს აკლიდა ქართულ იდენტობას. ამიტომაც ქართულ ბექდურ მედიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამო-

ქალაქო ცნობიერების ასამაღლებლად ისტორიული მეხსიერების გააქტიურება. იდენტობის ისტორიული ფესვებისადმი მიბრუნება/ძიება აუცილებელია ნაციონალური ერთიანობის შესაქმნელად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი საზოგადოების უმნიშვნელოვანესი საფიქრალი გახდა ისტორიის დაცვა, რაც იდენტობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის ტოლფასი იყო. ქართველი პუბლიცისტები მართებულად მიიჩნევდნენ, რომ წარსულის საფუძვლიანი შესწავლა დიდ დახმარებას გაუწევდა არასასურველი თანამედროვე ცხოვრების შეცვლაში, ხელს შეუწყობდა ეროვნული მოძრაობის აღმავლობას. ამ მიზანს ემსახურებოდა ერთი მხრივ, აფხაზეთის ეკლესია-მონასტრების ისტორიულ ფესვებზე, მეორე მხრივ, აფხაზეთის წეს-ჩვეულებებზე, ტრადიციაზე, კულტურაზე ინტენსიური საუბრები მკითხველებთან. ქართული კულტურის ძეგლების მიმართ განხორციელებულ ვანდალიზმს მედია მათ ისტორიულ ფესვებზე საუბარს აგებებდა. აღნიშნული აქტივობებით კი ცდილობდა ქართული კულტურის გარშემო ქართველთა დარაზმულობას.

იდენტობის შენარჩუნებისათვის ისტორიული ბრძოლის ნათელი დადასტურებაა თვითდასახელების თვალსაზრისით აფხაზეთში არსებული მდგომარეობა. თვითდასახელება იდენტობის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია, რომლის მეშვეობით ხდება ტერიტორიული მოცემულობის განსაზღვრა. ამ მხრივ ბეჭდური მედიის კორესპონდენციებზე დაკვირვებამ გვიჩვენა სხვადასხვა დროს სხვადასხვა კოლონისტის არსებობა აფხაზეთში. ამგვარი ფაქტების საპასუხოდ, გაზეთებში ქვეყნდება ქართულ-აფხაზური თვითდასახელებების ავთენტურობის დამადასტურებელი პუბლიკაციები.

ქართველობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვანია ქალთა როლი ოჯახისა და ერის წინაშე. ტრადიციული როლით და ფუნქციით გამორჩეული ქართველი ქალები თვითობის დაცვისათვის ბრძოლაში წარმოგვიდგებიან როგორც საზოგადოების აქტიური წევრები. ამ თვალსაზრისითაც გამორჩეულია აფხაზეთისადმი მიძღვნილი კორესპონდენციები.

ქართული ერთობის კონსოლიდაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა მყარი ეკონომიკური ერთობის შექმნა, ვინაიდან სოციალური თუ ეკონომიკური საკითხების გადაჭრა მნიშვნელოვანი იყო ეროვნული საკითხების გადაწყვეტის გზაზე. ამიტომაც, ბეჭდური მედია საგანგებოდ ამხვილებდა ყურადღებას ქვეყნის ეკონომიკურ ვითარებაზე, მის გაუმჯობესების გზებზე, ისეთ ფაქტორებზე, რაც ეკონომიკურ წინსვლელობას მოუტანდა ქვეყანას. კაპიტალისტური კოლონიალიზმით გამოხატული რუსული მმართველობის შედეგად, აფხაზეთში განვითარდა ახალი სამეურნეო კულტურა თამბაქოს სახით, რამაც ჩაანაცვლა აქ გავრცელებული სიმინდის კულტურა და მდიდარი აფხაზეთი გახდა უცხო იდენტობის ეკონომიკური სიძლიერის საფუძველი. სამეურნეო კულტურის კოლონიზაციის პროცესში, აფხაზეთის ეკონომიკური კეთილდღეობის წყაროდ აქ აღმოჩენილი ბუნებრივი სიმდიდრეები უნდა ქცეულიყო. რკინით, ვერცხლით, სპილენძით, ქვანახშირით მდიდარი აღმოჩნდა აფხაზეთი. მედია მიუთითებდა, აფხაზეთის ბუნებრივი სიმდიდრეების აქ მცხოვრებთა ეკონომიკურ საზრდოდ გადასაქცევად საერთო მონდომების აუცილებლობაზე და ცდილობდა ეკონომიკური ერთობის შექმნას კაპიტალისტური კოლონიალიზმის წინააღმდეგ.

აფხაზეთის ეკონომიკური გაძლიერების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რკინიგზის გაყვანა ამ მხარეში. ამ მოვლენას ადგილობრივი მოსახლეობისთვის სარგებელი, რომ მოეტანა, საამისოდ, მედია ინტენსიურ მსჯელობებს მართავდა რკინიგზის აუცილებლობის და ადგილობრივთათვის სარგებლიანობის თაობაზე. ხაზგასმა ხდებოდა ისეთ საკითხებზე, როგორცაა ხალხის საჭიროება და სურვილი, რათა ამ მდიდარ მხარეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ადვილად მიწოდებინა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, რომელიც მოუსავლიანობით და უმიწობით გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. საბოლოო ჯამში კი განაპირობებდა ქართული იდენტობის ეკონომიკურ მოღონიერებას.

ამდენად, ნაშრომში განხილულ მრავალრიცხოვან მასალაზე დაკვირვებით, ქართული ბეჭდური მედია აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა ქართული იდენტობის გადასარჩენად, ახდენდა საერთო დარაზმულობას იდენტობის ტერიტორიის, ენის, სარწმუნოების დასაცავად თეორიული თუ კონკრეტული ხასიათის პუბლიკაციებით. აღნიშნული აქტივობებით ბეჭდური მედია ცდილობდა აფხაზეთის დანარჩენ საქართველოსთან ერთიანობის სენტიმენტების გაძლიერება-განმტკიცებას და მძლავრი ქართული ერთობის შექმნას.

## **გამოყენებული ლიტერატურა:**

**ბასილაძე, მაჭავარიანი 2012:** ი.ბასილაძე, თ.მაჭავარიანი. სასულიერო განათლება XIX საუკუნის მეორე ნახევრის აფხაზეთში. საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. N12. თბილისი.

**ბიბილური 2007:** თ. ბიბილური. აფხაზეთის პრობლემები და ქართული პრესა (1870-1900-იანი წლების გაზეთების „დროებისა“ და „ივერიის“ მიხედვით). აღმაშენებელი. 2. თბილისი.

**ვარდოსანიძე 2009:** ს. ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927 წ.წ.). თბილისი: ნათლისმცემელი.

**გამახარია 2005:** ჯ. გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა (I ს. – 1921 წ.). თბილისი.

**გამახარია 2006ა:** ჯ. გამახარია. წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი. კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ. თბილისი.

**გამახარია 2006ბ:** ჯ. გამახარია. წმიდა მღვდელმოწამე კირიონ II (სამაგლიშვილი) და აფხაზეთი. კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ. თბილისი.

**გამახარია 2006გ:** ჯ. გამახარია. წმიდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი. კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ. თბილისი.

**გამახარია 2007:** ჯ. გამახარია. წმიდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) და აფხაზეთი. კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ. თბილისი.

**გელენავა 2011:** ი. გელენავა. აფხაზეთში რუსიფიკატორული პოლიტიკის ისტორიისათვის. კრებულში: რუსიფიკატორული პოლიტიკა და ეთნოლინგვისტური ვითარება აფხაზეთში XIX – XXI სს. თბილისი: უნივერსალი.

**გობეჩია 1959:** ვ. გობეჩია. მელიტონ გობეჩია: ცხოვრება და მშემოქმედება. სოხუმი.

**გულუა 2012:** ნ. გულუა. აფხაზეთი XIX-XX-XXI საუკუნეების საქართველოს პერიოდიკაში. ქუთაისი.

**კვარაცხელია 2011:** ბ. კვარაცხელია. იაკობ გოგებაშვილი მუჰაჯირობის შემდგომი პერიოდის აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების შესახებ. განათლება. №3. თბილისი-სოხუმი. თბილისი.

**კვაშილავა 2017:** ი. კვაშილავა. ისტორიულ-ეთნოგრაფიული სამურზაყანო. თბილისი.

**კეცხოველი 2008:** ი. კეცხოველი. ილია ჭავჭავაძე და მეცხრამეტე საუკუნის ქართველი ქველმოქმედი თავადაზნაურობა. ანალები (ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრი). თბილისი: მემატრიანე.

**ლორთქიფანიძე 2012:** მ. ლორთქიფანიძე. აფხაზეთი და აფხაზეთი. თბილისი: მერიდიანი.

**მანია 2015:** ქ. მანია. აფხაზეთი და ქართული იდენტობა “ივერიის“ პუბლიკაციების მიხედვით. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. IX-X. თბ: მერიდიანი.

**მანია 2017:** K. Mania. Deda Ena as a symbol of Georgian Identity according to Iakob Gogebashvili's letters. Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies. Center for East European Studies University of Warsaw. 27. 2017.

**მანია 2018ა:** ქ. მანია. რელიგიური იდენტობა აფხაზეთში ბეჭდური მედიის რეპრეზენტაციით (დროება, ივერია, ცნობის ფურცელი). ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. XV-XVI. თბილისი.

**მანია 2018ბ:** ქ.მანია. რელიგიური ისტორიული მეხსიერება აფხაზეთში ბეჭდური მედიის რეპრეზენტაციით (დროება, ივერია, ცნობის ფურცელი). ეროვნული არქივის საერთაშორისო კონფერენციის კრებული. თბილისი. 2018. <https://archive.gov.ge/ge/sametsniero-publikatsiebi/erovnuli-arkivis-saertashoriso-konferentsiis-krebuli-2018-1>



**ნაჭყებია 2006:** ნ. ნაჭყებია. აფხაზეთის პრობლემატიკა XIX საუკუნის ქართულ პრესაში. თბილისი.

**ჟორდანია 2011:** ივანე გეგია. გაზაფხულის მოლოდინში. ოთარ ჟორდანიას საერთო რედაქციით. თბილისი. 2011.

**პავლიაშვილი 2004:** ქ. პავლიაშვილი. ახალი ათონის სიმონ კანანელისა და წმ. ათონის "რუსიკის" მონასტრების ურთიერთ-მიმართების საკითხი (XIX-XX სს.). ქართული დიპლომატია. N11.

**პაპუაშვილი 2005:** ნ. პაპუაშვილი. ამბროსი (ხელაია) რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში „სტატიის გამო „ხმა სოხუმიდან“. გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ნუგზარ პაპუაშვილმა. თბილისი: კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი.

**პატარიძე 2008:** ე.დ. სმითი. ნაციონალური იდენტობა. თარგმნა ლელა პატარიძემ. თბილისი: ლოგოს პრესი.

**როგავა 2004:** გ. როგავა. რელიგია და ეკლესია აფხაზეთში. აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია. თბილისი.

**რბზს 1941:** Библиография русской периодики Грузии. Часть первая (1828-1920).

**სახოკია 1984:** თ. სახოკია. ჩვენი საუკუნის ადამიანები. რედაქცია, შენიშვნები და პირთა სახელები დაურთო სოლომონ ხუციშვილმა. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

**ქგაზ 1963:** ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია ტ. III. ნაკ. I.

**ქგაზ 1965:** ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. ტ. IV.

**ქსე 1984:** ქართული საბჭოთა ენციკლოედია. ტ. 7. თბილისი.

**ჩხარტიშვილი 2004:** ე.დ. სმითი. ნაციონალიზმი თეორია, იდეოლოგია, ისტორია. თარგმანი ინგლისურიდან მარიამ ჩხარტიშვილისა. თბილისი.

**ჩხარტიშვილი, მანია 2011:** მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში. *ივერია* და მისი მკითხველი საქართველო. თბილისი. უნივერსალი.

**ჩხარტიშვილი, მანია 2013-2014:** მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. „ოსმალოს საქართველო“ ივერიის რეპრეზენტაციით. ქართული წყაროთმცოდნეობა. № XV-XVI. თბილისი: უნივერსალი.

**ჩხარტიშვილი 2010:** ც. ჩხარტიშვილი. აფხაზეთის თეატრალური ცხოვრება XIX საუკუნის 80-90-იანი წლებში და ისტორიული მახასიათებლები. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხებია. 1(7). თბილისი: უნივერსალი.

**ძიძარია 1962:** ა. ძიძარია. XIX საუკუნის ქართველი მოღვაწეები აფხაზეთის შესახებ. მნათობი. №7.

**ჭურღულია 1971:** ო. ჭურღულია. პირველი ქართული წარმოდგენა აფხაზეთში: (ოჩამჩირე 1885 წ.). თეატრალური მოამბე. თბილისი. N1.

**ჭურღულია 1974, 1983:** ო. ჭურღულია. ნარკვევები ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან. წიგნი I. სოხუმი: ალაშარა; წიგნი II. სოხუმი: ალაშარა.

**ჭურღულია 1999:** ო. ჭურღულია. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი ინტელიგენცია და აფხაზეთი. შრომები. საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემია. №2.

**ჭურღულია 2000:** ო. ჭურღულია. ილია ჭავჭავაძე და აფხაზეთი. მაცნე, აფხაზეთის რეგიონალურ მეცნიერებათა აკადემია (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია). №1.

**ჭურღულია 2013:** ო. ჭურღულია. ილია ჭავჭავაძე და გაზეთი „ივერია“ აფხაზეთის შესახებ. ისტორიული მემკვიდრეობა. №7, 8. თბილისი.

## **Apkhazeti and Georgian Identity**

### **Through the print media representation**

19th century Georgian identity faced a great danger because of the Russian government. Ilia's triad – *Fatherland, Language, and Religion* had to be subordinated under Russian government.

During the period of Russian colonialism, the ideological struggle of the Georgian nationalists - generation of sixties under the leadership of Ilia Chavchavadze was of special importance for the saving/preserving the Georgian identity. The generation of sixties used print media as the main tool of their ideological struggle. According to the generally recognized point of view, printed media assists in creating cultural identity and establishing readers' society. Media intensifies national feelings and creates unity around the idea. Due to the above mentioned, the Georgian intelligentsia began to work actively through print media to protect their identity among the people. They intensively covered the developments in the country, published information, special correspondence, historical-ethnographic discussions about different parts of Georgia. The print media used these materials to unite readers around a common pain.

In the researches dedicated to Apkhazeti materials of printed media (part of them) are used by the researchers – O. Churgulia, A. Dzidzaria, T. Bibiluri, Ts. Chkhartishvili and

others for their purposes. In the point of view of studying Georgian-Apkhazian cultural-literary relationship it is noteworthy A. Dzidzaria's, O. Churgulia's contribution. Partially, analyze of press materials in order to study the history of Apkhazeti are represented in the works of T. Bibiluri and N. Nachkebia. The article of Ts. Chkhartishvili is also interesting, which shows dramatic life of Apkhazeti in the analyze of Georgian press publication. Press publications about Apkhazeti are also published by the researchers J. Gamakharia, N. Papuashvili and others in their works.

In this research, I intend to analyze various and numerous materials of printed media ("Droeba", "Iveria", "Tsnobis Purtseli", "Moambe", "Mtskemi", "Kvali") dedicated to Apkhazeti in the context of research of history of Georgian identity. The main accents are paid at subjectivist factors - social perceptions, values and memories. Each chapter of the paper presents the struggle for the survival of identical characteristics.

### **Chapter One. Territorial Identity in Apkhazeti**

Russo-Turkish war in 1877-1878 played a significant role in the Georgians' life. Battles also took places in the North-West – at Apkhazeti territory. Consequently, results of Russo-Turkish war are in the center of attention in the printed media. Because, territory is an important characteristic of identity, and colonialism with ferocity was directed to separate territories of Georgia. For this purpose, government of Russia didn't allow Georgi-

ans to settle in emptied Apkhazeti after Russo-Turkish war. Special discussions were conducted in the printed media about the issue of inhabiting the Black Sea territories (by Cossacks, Malaya Russ, Bulgarians, Armenians from Ottoman-Turkey), where the attempt of totally changing ethnic picture is obviously visible. There was a consideration, that “at the littorals of the Black Sea where a lot of blood and money of Russians were poured and spent, there must be only a church of Russia, Russian language and studying in Russian as well” (“Droeba” 1879. №36).

The best places of the Black Sea district and Sokhumi division were delivered to the state officials of Caucasus. By the support of the local administration, some parts of this land were delivered to Armenians, Greeks and Ottoman-Turks (“Iveria” 1895. №83). Later, (from 1899) after an insistent demand, locals also got a permission to buy lands here. But they managed to leave poor locals without lands from one side, because of raising prices artificially and from the other hand, because of the obedience towards the government (“Iveria” 1905. №121).

The reader is also provided by the information about ethnic changes. After the Ottoman Turks failure, (because of fighting at Ottoman Turks side) Apkhazs were forced to leave Apkhazeti with them. And in emptied Apkhazeti (particularly in Gudauta) more than 200 Armenians, coming from Anatolia settled there. Residents exiled in Asia Minor, because of the hard conditions in a new residence were conditioned to come

back. When they came back, their lands and estates were occupied by others (Armenians) (“Iveria” 1888. №58; 1891. №33). Apkhazs, as unreliable elements returned from Ottoman Turks, weren’t allowed to settle in the vicinity of Sokhumi. The reason of this kind of punishment was the fight at Ottoman-Turks side during Russo-Turkish war, because of that they were called as betrayers (“Tsnobis Purtseli” 1903. №2309).

The big flow of Armenians came to the Black Sea littoral in 1895. They were leasing lands and were cultivating tobacco here, but they were under subordination of Turkey and weren’t paying any taxes to the government. At that time Georgian peasants were in hard conditions without lands. In order to improve the living conditions of a Georgian peasant, it was necessary to give him a land to live like a normal human being and provide himself. Instead of that, government used measures worsening conditions of people; pursuing a policy, aiming to reduce Georgian elements at Georgian territory and increase the number of migrators from internal provinces.

Indigenous, local, who resides in the land for several thousands of years poured by blood of his ancestors, can’t use whatever is given by nature and history (“Iveria” 1905. №8).

- writes appalled Pilipe Gogichaishvili. Historic land, which is a place of memory of ancestors, saints, heroes, “foreign/other” Identity was trying to occupy it. He hopes that oppressing Georgians in their land will be ended very soon.

By 1905, 30 thousand of Armenians were settled in Sokhumi district and after the expiration of terms, they still were insisting to stay there. Armenian newspaper “Mshak” editor A. Kalantar wrote a statement to the economic society requesting temporary stay for them in here. According to his statement, Armenian tobacco makers were useful and necessary elements in developing tobacco culture at the Black Sea region. But the issue is considerably complex; it goes beyond the frames of hospitality and developing tobacco culture. According to P. Gogichaishvili, at the same time, “temporary” settling foreign element in this small territory and creating a tight settlement will result in creating indigenous settlement in several years and will reduce the land for locals. Probably, in the end it will bring us to a requirement of national dividing of settlement, according to parentage (“Iveria” 1905. №40). These kind of discussions at “Iveria” papers angered Armenian bourgeoisie, who arranged a special meeting to identify Armenian people’s needs and developed “Petition of Transcaucasian Armenians”. By this petition, they demanded a right to settle Armenians in Caucasus, resettled from Ottoman Turkey (“Iveria” 1905. №60).

Soon, assumption of P. Gogichaishvili became reality, the issue about the requirement of national dividing of settlement, according to parentage. The obvious confirm of this is a letter “Answer of Emigrant”. The author tried historically to identify the resettled Armenians right and found out that they as “Pontics” have a right to settle on the Black Sea littoral

("Iveria" 1905. №86). P. Gogichaishvili contrasts 'Historic' study of emigrant with theoretical discussion based on territory and nation ("Iveria" 1905. №187). By the discussion about the necessity of territory for the state existence, the newspaper was trying to intensify national feeling and unify them around it.

A new era came for Apkhazeti by the effort of Russian government, which fundamentally changed the color of its old life style. Press intensively reports the results of colonization policy:

The estates have changed, people became colorful, you can hear Russian, Georgian, Greek, Armenian, Estonian languages; Megruli Kabalaxi, Ottoman Fez, Russian Kartuz – are messed together. It all looks like a Babylon Building, when you listen to all these. And you ask a question to yourself – what are the indigenous of this country doing, how it came, that others are sitting at the table of locals! ("Tsnobis Purtseli" 1903 №2309).

Adjacent villages of Sokhumi were settled by foreign identities: Dranda by settler Moldavians (Dranda Monastery was given to Russian monks by the government), Vladimirovka, Nikolaevski, Poltava, Petropavlovka, Balkana villages by Russians. Although, as I've mentioned, they couldn't get used to the local climate and several Russians were left here. After Russians leaving village Nikolaevski, Georgians from Samegrelo settled there ("Iveria" 1886. №165). Villages Pshapi and Merkheuli were also settled Georgians from Samegrelo. Apparently,



even Greeks couldn't get used to the local climate and left village Volginski. Malaria was unbearable for Russian settlers in the village Bombora (Gudauta) ("Iveria" 1886. №233). Village Anukhva was also settled by Armenians ("Tsnobis Purtseli" 1903. №2343).

In this very difficult situation, newspaper pays attention to Duke G. Eristavi's decision about selling his lands Georgians from Samegrelo and Imereti in cheap price near Sokhumi. Author likes Duke G. Eristavi's decision, because peasant can use this land and he becomes the owner of the land also ("Iveria" 1899. №71). At that time, these types of initiatives had a significant meaning in the aspect of maintaining territorial identity.

In Ilia Chavchavadze's speech, which he said during his visit in Sokhumi in 1903 main accents are paid in maintaining own lands:

Till now, we were protecting this beautiful Apkhaz-Georgian land by a sword and somehow we did it. Today, the sword is in the scabbard. Today, another enemy is coming, as we see, not so close and face to face – like an honest sword, but quiet, sneaky, like an evil spirit and a thief. Enemy is money, sly and manipulator. He will treat you with smile and caress and at first you will be even thankful how he will take this beautiful, beloved and rich country.

I will say more: Let God save you from this horrible evil spirit let God become you undefeatable from money and keep this beautiful country, where blood of your ancestors are poured

everywhere for your longevity and for glory of your children and relatives and for your show-off (“Iveria” 1903. №118).

Ilia Chavchavadze with his speech and publishing it in the newspaper was intensifying national feeling among readers and listeners, in order to begin common mobilization for protecting legal rights of the historic territories.

As the discussed material testifies, the imperial goals of the Russian government served to denationalize the historical Georgian land. In order to keep Georgian land in the hands of Georgians, the print media, arguing for the necessity of owning a territory for the existence of the state, aroused the national sense of the readers and called for the protection of their own land.

## **Chapter Two. Linguistic Identity in Apkhazeti**

The next issue, I want to discuss is a linguistic characteristic of identity, which became one of the main purpose of Russian Imperial policy. Russification of the educational system had started. They completely took out teaching in Georgian language at Georgian schools and studying process was handed over to the teachers, who didn't know any Georgian. Concerning to the issue, there is an intensive discussion in media about the meaning of mother tongue, receiving education on mother tongue, generally, about the function of Georgian language at schools and in the families. The main idea of these letters were,

that people's education, which was denying mediation of mother language to deliver first steps of education, was blocking new generation's mind, lowering, depriving them as mentally as well as morally. In a word, it was opposing the purpose of educating people.

